

დავით გაბუნია, გიორგი თაყთაეიშვილი

# საერთაშორისო საავტორო სამართალი

ბერნის კონვენცია  
რომის კონვენცია  
TRIPS შეთანხმება

ანალიზი და კომენტარები  
მეორე გამოცემა

წიგნი I

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი  
საქკატენტი

---

ნაშრომში განხილულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს ფუნდამენტური საერთაშორისო აქტების – ბერნის კონვენციის, რომის კონვენციისა და TRIPS შეთანხმების შექმნის ისტორია, იურიდიული სტრუქტურა, ძირითადი პრინციპები, ცალკეული ნორმების ანალიზი და კომენტარი. დანართის სახით მოცემულია აღნიშნული აქტების ქართული და ინგლისურენოვანი ტექსტები.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს საერთაშორისო საავტორო სამართლის სფეროში საქპატენტის მიერ 2005 წელს გამოცემული წიგნის მეორე განახლებულ გამოცემას.

მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს, ამ წიგნთან ერთად, დავით გაბუნias ავტორობით გამოვიდა წიგნი, რომელშიც განხილულია ისმო-ს კიდევ ორი ხელშეკრულება – „საავტორო უფლებების შესახებ“ და „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“. ამ გამოცემებით ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდა საერთაშორისო საავტორო სამართლის ყველა იმ აქტის კომენტარი, რომლის მონაწილეცაა საქართველო.

წიგნი განკუთვნილია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სპეციალისტების, მოსამართლეების, ადვოკატებისა და საავტორო უფლებებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.

© დ. გაბუნია, გ. თაქთაქიშვილი, 2016წ.

ISBN 978-9941-0-9036-3 (ორივე წიგნის)

ISBN 978-9941-0-9037-0 (პირველი წიგნის)

## წინასიტყვაობა

საავტორო სამართლის სფეროს შეადგენს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებთან, შესრულებებთან, ფონოგრამებსა და სამაუნ-ყებლო ორგანიზაციების გადაცემებთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირება. საავტორო სამართლის ნორმებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის, არამედ შესაბამის დარგში ინვესტიციების მოზიდვისა და ერების კულტურული განვითარებისათვის.

საავტორო სამართალი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ფორმირდებოდა, XIX საუკუნის შემდგომ განვითარებას იწყებს საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეშიც, რაც გამოიხატა საერთაშორისო შეთანხმებების მიღებასა და ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზებაში. საერთაშორისო სისტემაში ტრანს-ფორმირების პროცესი განპირობებული იყო ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებითა და, ამ პირობებში, ეროვნულ საზღვრებს გარეთ ავტორთა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების შექმნის აუცილებლობით.

საავტორო სამართლის საერთაშორისო ინსტრუმენტების არსებობის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პირობებში. დღევანდელ მსოფლიოში, როცა მანძილმა და დრომ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, უახლესი საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი პროდუქცია, იქნება ეს ლიტერატურული თუ მუსიკალური ნაწარმოები, ფილმი, აუდიოჩანაწერი, კომპიუტერული პროგრამა, მონაცემთა ბაზა თუ სხვა, ადვილად ხელმისაწვდომი ხდება მსოფლიოს ყველა კუთხეში. ყოველივე ამან გამოიწვია საავტორო სამართალთან დაკავშირებული საკითხების აქტუალიზაცია, საზოგადოების ყურადღების ფოკუსირება ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებებსა და მათ ცალკეულ ნორმებზე. აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით, უცხოეთში გამოიცემა მრავალი სხვადასხვა სახის ლიტერატურა, მონოგრაფია, სტატია. იმართება სპეციალური სიმპოზიუმები, კონფერენციები და სხვა.

ნაშრომში განხილულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მოქმედი ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებშიც მონაწილეობს საქართველოც. ესენია ბერნის კონვენცია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ (1883-1971წ.), რომის კონვენცია შესრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და სამაუნყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ (1961წ.) და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) შეთანხმება (1964წ.). შესაბამისად, წიგნი შედგება სამი ნაწილისგან, რომლებშიც მოცემულია თითოეული აქტის შექმნის ისტორია, სტრუქტურა, ძირითადი პრინციპები, ცალკეული ნორმებისა და დებულებების ანალიზი და კომენტარი. ნაშრომს ბოლოში ერთვის აღნიშნული ხელშეკრულებების ქართულენოვანი ტექსტები და ოფიციალური ტექსტები ინგლისურ ენაზე, რაც

---

ვფიქრობთ დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს კომენტარების უკეთ გაგებაში.


წინამდებარე წიგნის შექმნაში განუვლი დახმარებისთვის გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ჩვენი უცხოელი კოლეგებისა და მეგობრების მიმართ, რომლებთანაც საქმიანმა ურთიერთობებმა და კონსულტაციებმა დიდი დახმარება გაგვინია მუშაობისას. განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნის პირველ გამოცემაზე მუშაობის პროცესში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის აკადემიის მაშინდელი დირექტორის – პროფესორ მპაზი სინჯელასა და ამავე უწყების ბიბლიოთეკის თანამშრომლების თანადგომა, რამაც საშუალება მოგვცა გვესარგებლა აკადემიის ბიბლიოთეკაში არსებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურით.

განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადოთ ბრიტანელ კოლეგებს, პროფესორებს ადრიან სტერლინგსა და ჯერალდ დვორკინს მათი ნაშრომებისა და საერთაშორისო საავტორო სამართლის საკითხებზე მათთან გამართული დიალოგების გამო, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წინამდებარე წიგნის შექმნაში.

აღნიშვნის ღირსია ჩვენი კოლეგებისა და მეგობრების, ლონდონის საოლქო სასამართლოს მოსამართლის მაიკლ ფაიშის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტების იორგენ ბლომქვისტის, ბორის კოკინისა და ათენის უნივერსიტეტის პროფესორის ირინი სტამატუდის დახმარება. მათთან საუბარი და დისკუსიები საავტორო სამართლის აქტუალურ პრობლემებზე ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა ჩვენთვის და, შესაბამისად, ასახვა ჰპოვა წინამდებარე ნაშრომში.

ასევე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქპატენტის თანამშრომლებს ქალბატონ ნინო ბებრიშვილს, რომლის მრავალმხრივი დახმარება მნიშვნელოვანი იყო წინამდებარე ნაშრომის შექმნასა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში და ქალბატონ მეგი ტატიშვილს ტექსტის რედაქტირებისათვის.

ვინაიდან ოფიციალური თარგმანები მრავალი ხარვეზით ხასიათდება, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ნაშრომში განხილული კონვენციების ტექსტების თარგმნა, რომლებიც დართული აქვს წიგნს. ამ საქმეში ავტორებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქპატენტის თანამშრომლებმა ქალბატონებმა თამარ მარუაშვილმა და ირინე კუციამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მათ.



# ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>ნაწილი 1. ბერნის კონვენცია</b> .....	<b>10</b>
თავი I. ზოგადი მიმოხილვა .....	10
სავტორო სამართლის ისტორია და ევოლუცია .....	10
ბერნის კონვენციის მიღება და განვითარება .....	15
ბერნის კონვენციის ძირითადი პრინციპები და სტრუქტურა .....	18
თავი II. დაცული ნაწარმოებები .....	20
ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები .....	20
წარმოებული ნაწარმოებები .....	27
ეროვნული კანონმდებლობით დაცული ნაწარმოებები .....	27
საინფორმაციო მასალები .....	28
თავი III. უფლებათა მფლობელები .....	28
ავტორები, უფლებამონაცვლეები და წარმომადგენლები .....	28
კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე უფლებათა მფლობელები .....	29
თავი IV. დაცული ავტორები .....	33
დაცვის კრიტერიუმები .....	33
ეროვნული რეჟიმი, კონვენციური უფლებები და წარმოშობის ქვეყანა .....	35
ავტომატური დაცვა და დაცვის დამოუკიდებლობა .....	36
უფლებათა ნაცვალგება .....	37
თავი V. ქონებრივი უფლებები .....	39
რეპროდუცირების უფლება .....	41
თარგმნის და გადამუშავების უფლება .....	42
გავრცელების უფლება .....	43
საჯარო გაცნობის უფლება .....	43
„Droit de suite“ ხელოვნების ნაწარმოებებსა და ხელნაწერებზე .....	47
თავი VI. პირადი არაქონებრივი უფლებები .....	47
ავტორობის უფლება .....	50
ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება .....	51
თავი VII. შიშველუფლები და გამონაკლისები .....	52
გამონაკლისები რეპროდუცირების უფლებებთან დაკავშირებით .....	54
ციტატების მოყვანის უფლება .....	57
ნაწარმოების გამოყენება ილუსტრაციების სახით სწავლების მიზნებისათვის .....	59
წყაროს და ავტორის მითითება .....	60
გამონაკლისები მასმედიასთან და მიმდინარე მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებით .....	60
გამონაკლისები ნაწარმოების ეთერით გადაცემასა და საჯარო გაცნობის .....	
სხვა საშუალებებთან დაკავშირებით .....	63
ლექციების და მიმართვების გარკვეული გამოყენება .....	64
მუსიკალური ნაწარმოებისა და მათთან დაკავშირებული ტექსტების ჩანერის .....	
უფლების შეზღუდვა .....	65
თავი VIII. უფლებების დაცვის ვადები .....	69
ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადა .....	69
პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედების ვადა .....	74
თავი IX. საავტორო უფლებების დარღვევები და დაცვის საშუალებები .....	76
თავი X. კონვენციის დამატებითი ასკვევები .....	77
თავი XI. მართვა, ფინანსები, პროცედურები .....	79
თავი XII. დამატებითი კარი. სპეციალური დებულებები მანვითარებად .....	
ქვეყნებთან დაკავშირებით .....	82

<b>ნაწილი 2. რუმის კონვენცია</b> .....	<b>87</b>
თავი I. ზოგადი მიმოხილვა .....	87
კონვენციის შექმნის ისტორია .....	87
საავტორო და მომიჯნავე უფლებების ურთიერთდამოკიდებულება .....	91
რუმის კონვენციის ძირითადი პრინციპები და დებულებები .....	92
თავი II. კონვენციის სტრუქტურა .....	93
თავი III. ტერმინების განმარტება .....	95
თავი IV. ეროვნული რეჟიმი და დაცვის მინიჭების კრიტერიუმები .....	98
ეროვნული რეჟიმი .....	98
დაცვის მინიჭების კრიტერიუმები .....	102
თავი V. დაცვის ობიექტები .....	107
თავი VI. დაცული უფლებები და დაცვის ვადები .....	109
შემსრულებლის უფლებები .....	109
ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები .....	120
სამაუნწყებლო ორგანიზაციის უფლებები .....	123
მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადები .....	125
თავი VII. გამონაკლისები და დათქმები .....	126
გამონაკლისები .....	126
დათქმები .....	128
თავი VIII. სხვა მატერიალური საკითხები .....	132
თავი IX. პროცედურული ნორმები .....	133

<b>ნაწილი 3. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა TRIPS შეთანხმების მიხედვით</b> .....	<b>141</b>
თავი I. შეთანხმების შექმნის ისტორია .....	141
თავი II. შეთანხმების სტრუქტურა, პრინციპები და ძირითადი დებულებები .....	143
თავი III. ეროვნული რეჟიმი .....	148
თავი IV. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი .....	150
თავი V. საავტორო უფლებები .....	152
თავი VI. მომიჯნავე უფლებები .....	158
შემსრულებლის უფლებები .....	158
ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები .....	161
სამაუნწყებლო ორგანიზაციის უფლებები .....	162
შემლუდვები და გამონაკლისები .....	163
თავი VII. უფლებების ამონაწილი .....	164
თავი VIII. უფლებების განხორციელება .....	165
თავი IX. დავების თავიდან აცილება და რეგულირება .....	167
დანართი 1. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია (პარიზის აქტი, 1971წ.) .....	169
დანართი 2. სამართაპორისო კონვენცია შემსრულებლის, ფონოგრამების დამამზადებლისა და სამაუნწყებლო ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ (რუმის კონვენცია, 1961წ.) .....	221
დანართი 3. შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS შეთანხმება, 1994წ.) .....	238
დანართი 4. BERNE CONVENTION .....	261
დანართი 5. ROME CONVENTION .....	285
დანართი 6. AGREEMENT ON TRADE-RELATED ASPECTS OF INTELLECTUAL PROPERTY RIGHTS .....	296
ლიტერატურა .....	310

## შესავალი

საერთაშორისო საავტორო სამართალი დასაბამს იღებს XIX საუკუნეში ევროპის ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებებიდან.

პირველი მრავალმხრივი ხელშეკრულება საავტორო უფლებების დაცვის სფეროში არის „ბერნის კონვენცია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ“, რომელსაც 1886 წელს ათმა ქვეყანამ მოაწერა ხელი. ბერნის კონვენციის მიღების მიზანი იყო ორმხრივი ხელშეკრულებებში არსებული დისპარმონიისაგან გათავისუფლება და ავტორთა დასაცავად საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის შექმნა. ამ კონვენციამ ძირითად პრინციპებად აღიარა ეროვნული რეჟიმის უცხოელ ავტორებზე გავრცელება და დაცვის მინიმალური სტანდარტების დადგენა. XX საუკუნის განმავლობაში ბერნის კონვენცია მრავალჯერ გადაისინჯა და 50-იან წლებამდე იყო ერთადერთი საერთაშორისო აქტი საავტორო უფლებების დაცვის სფეროში.

1951 წელს მიღებულ იქნა ამ სფეროს მარეგულირებელი მეორე საერთაშორისო დოკუმენტი – „საავტორო უფლებების დაცვის მსოფლიო კონვენცია“. ამ კონვენციის მიღების ინიციატორი იყო ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებებიდან გამომდინარე (დაცვისათვის აუცილებელი ფორმალური პროცედურები, ავტორთა უფლებების ქონებრივი უფლებებით შემოფარგვლა, დაცვის ვადების განსაზღვრის გართულებული სქემა), არ შეეძლო ბერნის კონვენციასთან მიერთება. მსოფლიო კონვენციის მონაწილეები გახდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნებიც, რომლებსაც ერთმანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაფორმებული ჰქონდათ ორმხრივი ხელშეკრულებები საავტორო უფლებების დაცვის სფეროში. ვინაიდან, ბერნის კონვენციასთან შედარებით მსოფლიო კონვენცია ნაკლებად მკაცრ მოთხოვნებს ითვალისწინებდა, 60-იან წლებში მას მიუერთდნენ, ასევე, ახლად შექმნილი დამოუკიდებელი ქვეყნებიც.

შემდგომი ნაბიჯი საერთაშორისო საავტორო სამართლის სფეროში გადაიდგა რომის კონვენციის მიღებით, რომელსაც ხელი მოეწერა 1961 წელს. წინა ორი კონვენციისაგან განსხვავებით, რომის კონვენციის დაცვის სუბიექტები არიან საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებათა მფლობელები – შემსრულებლები, ფონოგრამის დამამზადებლები და სამაუწყებლო ორგანიზაციები. რომის კონვენცია აღიარებულია „პიონერულ კონვენციად“, რადგან მისი მიღების მომენტში მხოლოდ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში არსებობდა მომიჯნავე უფლებების დაცვის კანონმდებლობა და მას უნდა ეთამაშა მასტიმულირებელი როლი ეროვნულ დონეზე მომიჯნავე უფლებების დაცვის სისტემების განვითარებაში. აღნიშნული გარემოებებით განპირობებული იყო ის, რომ რომის კონვენციამ დაადგინა მომიჯნავე უფლებების დაცვის გაცილებით დაბალი დონის სტანდარტები ბერნის



---

კონვენციით ავტორთათვის გათვალისწინებულ უფლებებთან შედარებით.

XX საუკუნის 70-იან წლებში ინფორმაციის ჩანერის და გადაცემის ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას მოჰყვა ფონოგრამების დამზადებისა და სამაუწყებლო გადაცემების სფეროში მეკობრეობის ზრდა მთელ მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ მომიჯნავე უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, საერთო და სამოქალაქო სამართლის ქვეყნებს შორის, არსებობდა კონცეპტუალური განსხვავება, წარმოქმნილი ნეგატიური პროცესების შეჩერების მიზნით, დღის წესრიგში დადგა მათი ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობა. 1971 წელს ხელი მოეწერა „ვენევის კონვენციას ფონოგრამების დამამზადებლების, მათი ფონოგრამების უნებართვო დუბლირებისაგან დაცვის შესახებ“, ხოლო 1974 წელს კი – „ბრიუსელის კონვენციას თანამგზავრით გადაცემული პროგრამის გადამტანი სიგნალების გავრცელებასთან დაკავშირებით“.

ვენევის კონვენცია მოითხოვს მისი მონაწილე ქვეყნისაგან, დაიცვას ფონოგრამების დამამზადებელი, რომელიც არის სხვა მონაწილე ქვეყნის მოქალაქე, ფონოგრამის დუბლიკატების უნებართვო დამამზადებისაგან, აგრეთვე, ასეთი ფონოგრამების იმპორტირებისა და საზოგადოებაში გავრცელებისაგან. ბრიუსელის კონვენცია ავალდებულებს მონაწილე ქვეყნებს მიიღონ ადექვატური ზომები მათ ტერიტორიაზე ან მათი ტერიტორიიდან თანამგზავრის საშუალებით გადაცემული პროგრამის გადამტანი სიგნალის უნებართვო გავრცელების თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად ამ კონვენციების პრაქტიკული მნიშვნელობისა, უნდა აღინიშნოს მათი მოქმედების შეზღუდული და სპეციფიკური ხასიათი.

ამავე პერიოდში მოხდა ბერნის კონვენციისა და მსოფლიო კონვენციების გადასინჯვა. ბერნის კონვენციის პარიზის აქტში, რომელსაც ხელი მოეწერა 1971 წელს, აისახა ტექნოლოგიების განვითარებით განპირობებული ცვლილებები. ბერნის კონვენციის განუყოფელი ნაწილი გახდა დამატებითი კარი, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა შეღავათები განვითარებადი ქვეყნებისათვის. უნივერსალურ კონვენციაში, ასევე, მოხდა ცვლილებები განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნათა გათვალისწინებით, აგრეთვე, უმნიშვნელოდ გაიზარდა ავტორთა უფლებები.

შემდგომში საერთაშორისო საავტორო სამართლის განვითარებაზე მუშაობა მიმდინარეობდა ორი საერთაშორისო ფორუმის – ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ფარგლებში.

1995 წელს GATT-ის ფარგლებში მიღებულ იქნა შეთანხმება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესახებ, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS შეთანხმება). TRIPS შეთანხმების ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად აღიარებულია შეთანხმებაში



---

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული დებულებების ჩართვა და სახელმწიფოთაშორის დავების გადაწყვეტის მექანიზმის ჩამოყალიბება.

TRIPS შეთანხმების მიღებამ, პრაქტიკულად, განსაზღვრა მანამდე არსებული შეთანხმებების ადგილი და მნიშვნელობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის საერთაშორისო სისტემაში. ამ შეთანხმებით ბერნის კონვენციის ნორმების მოქმედების პირდაპირმა გავრცელებამ ვმო-ს წევრ ქვეყნებზე და მასში რომის კონვენციის იდენტური და მსგავსი ნორმების ჩართვამ, სრულიად ახალი მნიშვნელობა და განზომილება შესძინა ამ კონვენციებს. TRIPS შეთანხმება, ბერნის და რომის კონვენციებთან ერთად ქმნის ტრიადას, რომელიც დღესდღეობით წარმოადგენს საავტორო და მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო დაცვის ქვაკუთხედს. ამავე დროს, TRIPS შეთანხმებამ რეალური საფუძველი გამოაცალა საავტორო უფლებების დაცვის მსოფლიო კონვენციის გამოყენების პერსპექტივებს.

1996 წელს ხელი მოეწერა ისმო-ს ორ ხელშეკრულებას („საავტორო უფლებების შესახებ“ (WCT) და „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ (WPPT)), რომლებიც ინტერნეტ-ხელშეკრულებების სახელითაა ცნობილი. ეს ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ავტორების, შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების დაცვას კიბერსივრცეში, აგრეთვე, მათთვის ახალი (TRIPS-პლუსი და რომი-პლუსი) უფლებების მინიჭებას. ამ ხელშეკრულებების მიღებით მკაფიოდ გამოიკვეთა საერთაშორისო საავტორო სამართალში უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების ტენდენცია.

წინამდებარე ნაშრომში თანამიმდევრობით განვიხილავთ ბერნის კონვენციას, რომის კონვენციასა და TRIPS შეთანხმებას, ხოლო ისმო-ს ინტერნეტ-ხელშეკრულებებს მკითხველი გაეცნობა საერთაშორისო საავტორო სამართლებრივი აქტების კომენტარების II წიგნის საშუალებით.

---

## ნაწილი 1

# ბერნის კონვენცია

## თავი I

### ზოგადი მიმოხილვა

#### საავტორო სამართლის ისტორია და ევოლუცია

საავტორო უფლებების დაცვის იდეა დაკავშირებულია იოჰან გუტენბერგის მიერ 1450 წელს საბეჭდო მონოპოლიის გამოგონებასთან, რამაც შექმნა ტექსტებისა და ილუსტრაციების სწრაფად, დიდი რაოდენობით გამრავლებისა და გავრცელების შესაძლებლობა.

ბეჭდვის ახალმა, მანამდე არნახულმა საშუალებებმა უმაღლეს დონეზე ხელისუფალთათვის მიუღებელი ნაწარმოებების გავრცელების შეზღუდვისა და უკანონო ასლების დამამზადებელი კონკურენტებისაგან მბეჭდავების დაცვის პრობლემა. ევროპაში მოკლე დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტები ცენზურის შემოღებისა და ბეჭდვის უფლებაზე პრივილეგიების დაწესების სახით.

პირველი პრივილეგიები გაიცა ვენეციაში. 1469 წელს ვენეციის სახელმწიფო საბჭომ მონოპოლიური უფლება მიანიჭა მბეჭდავ იოჰან შპეერს. შემდგომში, პრივილეგიების სისტემამ ფეხი მოიკიდა იტალიის სხვა სახელმწიფოებშიც და მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში.

XVII საუკუნის ბოლოსათვის ინგლისის სამეფო ხელისუფლების მიერ პრივილეგიების მიმნიჭებელი ინსტიტუტი, რომელიც, ძირითადად, იცავდა მბეჭდავთა და არა ავტორთა ინტერესებს, მათი კრიტიკის საგნად იქცა. 1710 წელს ინგლისში მიიღეს საავტორო უფლებების პირველი საკანონმდებლო აქტი (Copyright Act), რომელიც ანას სტატუტით არის ცნობილი. ამ აქტის არსი გამოხატული იყო მის სათაურში – „სწავლების მხარდაჭერა და უფლებამოსილ მფლობელთათვის ასლებზე საკუთრების უფლებათა დამაგრება.“

ანას სტატუტში ჩამოყალიბებული იყო პრინციპები, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინა ამ სფეროში სამართლის განვითარებაზე ინგლისში, თანამეგობრობის ქვეყნებში, აშშ-სა და სხვა.

---

აღნიშნული აქტი მრავალმხრივ არის ღირსშესანიშნავი. პირველ ყოვლისა, კანონმა ავტორს მისცა თავისი ნიგნების ბეჭდვის „ერთპიროვნული უფლება და თავისუფლება“. გამომცემლებს ამ უფლების მოპოვება მხოლოდ ავტორებისაგან ნებართვის მიღების გზით შეეძლოთ. მიიჩნევა, რომ 1710 წლის აქტი, საბოლოო ჯამში, გამომცემელთა სასარგებლოდ იქნა მიღებული, მაგრამ ფაქტია, რომ ანას სტატუტის თანახმად, ავტორი გახდა ნაწარმოების ბეჭდვის უფლების თავდაპირველი მფლობელი და მბეჭდავს ეს უფლება მისგან უნდა მოეპოვებინა.

1710 წლის აქტის ძირითადი დებულებები შეიძლება მოკლედ ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ავტორებს თავიანთი ნიგნების ბეჭდვის ერთპიროვნული უფლება მიენიჭათ სტატუტით დადგენილი ვადის განმავლობაში;
- მბეჭდავებს, ნიგნების გამყიდველებსა და სხვა პირებს, რომელთაც გამოქვეყნების მიზნით შეიძინეს ან სხვა გზით მოიპოვეს ნიგნების ხელნაწერები, დადგენილი ვადით მიენიჭათ ხელნაწერების ბეჭდვის ერთპიროვნული უფლება;
- სტატუტით გათვალისწინებული ვადა შეადგენდა: ა) 21 წელს 1710 წლის აპრილიდან, ამ თარიღზე ადრე დაბეჭდილი ნიგნებისათვის; ბ) 14 წელს გამოქვეყნებიდან – ამ დროისათვის არსებული გამოუქვეყნებელი ან შემდგომ დაწერილი ნიგნებისათვის. ასევე, ცოცხალი ავტორებისათვის გათვალისწინებული იყო დაცვა მომდევნო 14 წლით;
- სტატუტით დადგენილი უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე დაბეჭდილი ან იმპორტირებული ნიგნები ექვემდებარებოდა კონფისკაციას, ხოლო დამრღვევები ისჯებოდნენ ჯარიმით;
- აქტის შესაბამისად, სამართლებრივი დაცვის საშუალებები დამოკიდებული იყო ნიგნის სახელწოდების რეგისტრაციაზე ნიგნის გამომცემელთა კომპანიის რეესტრში;
- სტატუტით, ასევე, გათვალისწინებული იყო ნიგნების ასლების სავალდებულო დეკონირება უნივერსიტეტებსა და ბიბლიოთეკებში გამოსაყენებლად.

XVIII-XIX საუკუნეებში ინგლისში 1710 წლის აქტის მოქმედების სფერო და დაცვის ხანგრძლივობა გაფართოვდა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით. მათ შორის აღსანიშნავია: 1734 და 1767 წლების აქტები გრავირების სფეროში საავტორო უფლების შესახებ (Engraving Copyright Act); 1814 წლის აქტი სკულპტურის სფეროში

საავტორო უფლების შესახებ (Sculpture Copyright Act); 1833 წლის აქტი დრამატული ნაწარმოების სფეროში საავტორო უფლების შესახებ (Dramatic Literary Property Act), რომელმაც დააფუძნა შესრულების უფლება; 1842 წლის აქტი ლიტერატურის სფეროში საავტორო უფლების შესახებ (Literary Copyright Act), რომელმაც გაზარდა დაცვის ხანგრძლივობა – ავტორის სიცოცხლეს პლუს შვიდი წელი; და ბოლოს, 1862 წლის აქტი ნატიფი ხელოვნების სფეროში საავტორო უფლების შესახებ (Fine Arts Copyright Act), რომელიც მოიცავდა ფერწერულ ნამუშევრებს, ნახატებსა და ფოტოსურათებს.

1741 წლის 7 იანვარს დანიის სამეფოში მიღებულ იქნა ორდონანსი (Ordinance of January 7), რომლითაც აიკრძალა წიგნების ბეჭდვა, ავტორთა ან პირველი გამომცემლის ნებართვის გარეშე. დანიის ორდონანსი მიჩნეულია მეორე საკანონმდებლო აქტად მსოფლიოში, რომლითაც აღიარებული იყო ავტორთა უფლება, გამომცემლის უფლების პარალელურად.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საავტორო უფლების დაცვის იდეები გამოძახილს პოულობს სწრაფად განვითარებად ამერიკის კონტინენტზე.

აშშ-ს კონსტიტუციის მიღებამდე, 1787 წელს, ფედერაციის თავდაპირველი 13 შტატიდან 12-მა მიიღო კანონები, რომელთა მიხედვითაც, ავტორებს ენიჭებოდათ თავიანთი ნაწარმოებების ბეჭდვის უფლება. მათგან პირველი იყო 1783 წელს კონფიტიკტში მიღებული კანონი. თავისი არსით, ეს კანონები ბრიტანეთის 1710 წლის აქტის მსგავსი იყო.

1787 წელს მიღებულ იქნა აშშ-ს კონსტიტუცია (Constitution), რომლის მე-8 ნაწილის პირველ მუხლში ნათქვამია: „კონგრესს აქვს უფლებამოსილება... ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესს ავტორებისა და გამომგონებლებისათვის თავიანთ შესაბამის ნაწარმოებებსა და აღმოჩენაზე განსაზღვრული დროით განსაკუთრებული უფლების გარანტირების გზით“.

ამ დებულების საფუძველზე, 1790 წლის მაისში კონგრესმა მიიღო აშშ-ს პირველი აქტი საავტორო უფლების შესახებ (Copyright Act, May 31).

1790 წლის აქტი ავტორებსა და მათ უფლებამონაცვლებს ანიჭებდა ნაწარმოებების დაბეჭდვის ერთპიროვნულ უფლებასა და თავისუფლებას. ის განსაზღვრავდა დაცვის 14-წლიან საწყის პერიოდს

და ითვალისწინებდა ვადის 14 წლით გაგრძელების შესაძლებლობას, როგორც ეს ბრიტანულ აქტში იყო დადგენილი. აშშ-ში დაცვის მოსაპოვებლად, ისევე, როგორც ინგლისში, საჭირო იყო ნაწარმოების რეგისტრაცია.

საავტორო სამართლის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ. ავტორებს საფრანგეთში რევოლუციამდე არ ჰქონდათ კანონით დადგენილი რაიმე განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც ნაწარმოებების დაბეჭდვისა და შესრულების კონტროლის შესაძლებლობას მისცემდა მათ. ავტორთა ნაწარმოებების გამოყენება, სხვა ქვეყნების მსგავსად, ეფუძნებოდა სახელმწიფო პრივილეგიების სისტემას. ბეჭდვის უფლებები, ჩვეულებრივ, ენიჭებოდათ გამომცემლებს, შესრულების უფლებები კი – თეატრის დირექტორებს. ავტორები იძულებულნი იყვნენ ანაზღაურება მიეღოთ ამ უფლებამფლობელებთან გაფორმებული კონტრაქტის გზით.

აქაც, ისევე, როგორც მრავალ სხვა სფეროში, საფრანგეთის რევოლუციამ ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია. 1789 წლის 26 აგვისტოს მიღებულ იქნა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, რომლითაც, სხვასთან ერთად, მოისპო ავტორთა ნაწარმოებების ბეჭდვისა და შესრულების პრივილეგიებისა და ლიცენზიების ადრინდელი სისტემები.

დამფუძნებელი ასამბლეის ორმა დეკრეტმა, რომლებიც მიღებულ იქნა 1791 (Decree of January 13-19) და 1793 (Decree of July 19-24) წლებში, საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის კანონმდებლობას საავტორო უფლებების შესახებ.

1791 წლის დეკრეტი ეხებოდა თეატრებსა და შესრულების უფლებებს და ადგენდა, რომ:

- ცოცხალი ავტორების ნაწარმოებების შესრულება საჯაროდ შეიძლებოდა მხოლოდ ავტორის წერილობითი თანხმობით;
- უფლება მოქმედებდა ავტორის სიცოცხლეში და 5 წლის მანძილზე მისი გარდაცვალების შემდეგ.

1793 წლის კანონმა კი დაადგინა, რომ:

- ავტორებს, კომპოზიტორებს, მხატვრებსა და გრავიორებს ენიჭებოდათ თავიანთი ნაწარმოებების საფრანგეთში გაყიდვისა და გავრცელების განსაკუთრებული უფლება;
- უფლება მოქმედებდა ავტორის სიცოცხლის განმავლობაში და 10

წლის მანძილზე მისი გარდაცვალების შემდეგ.

ამ კანონებში აშკარაა ანას სტატუტისაგან განსხვავებული მიდგომა. საფრანგეთში ეს უფლებები აღწერილია, როგორც ავტორის უფლებები და გამოიყენება ავტორის სიცოცხლის მანძილზე, მიუხედავად გამოქვეყნებისა და ისეთი ფორმალობის დაცვისა, როგორცაა რეგისტრაცია.

XIX საუკუნის მანძილზე საფრანგეთის იურისპრუდენციაში შემუშავდა ავტორთა უფლებების ორი კატეგორია: ქონებრივი უფლებები (ნაწარმოებების კომერციული ან სხვა გამოყენების კონტროლის შესაძლებლობა) და პირადი არაქონებრივი უფლებები (ავტორად აღიარების და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა).

ქონებრივი უფლებები გამომდინარეობდა 1791 და 1793 წლების კანონებიდან. ეს უფლებები ჩამოყალიბდა როგორც შესრულების უფლება და რეპროდუცირების უფლება. პირადი არაქონებრივი უფლებები განვითარდა პრეცედენტული სამართალიდან და სწავლულთა ნაშრომებიდან.

გერმანიის სახელმწიფოებში კანონები ბეჭდვითი საქმიანობის რეგულირების თაობაზე მიღებულ იქნა XVIII-XIX საუკუნეებში, მაგრამ მათგან მხოლოდ 1837 წლის 11 ივნისის პრუსიის კანონი (Law on the Protection of Property in Works of Science and Art against unauthorised printing and reproduction of June 11) იყო წარმოდგენილი სრულყოფილი საკანონმდებლო აქტის ფორმით.

1837 წლის პრუსიის კანონი საფუძვლად დაედო 1870 წლის 11 ივნისის კანონს (Law of June 11), რომელიც მიღებულ იქნა გერმანიის მთელ იმპერიაში 1871 წლის დასაწყისიდან.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საავტორო უფლებების შესახებ კანონებმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა, პრაქტიკულად, ყველა განვითარებული ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში. ამასთან, გამოიკვეთა ამ უფლებების დაცვაში კონცეპტუალურად განსხვავებული ორი მიდგომა: საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრდა უფლებების დაცვის ე.წ. „კოპირაიტის“ (Copyright) სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა ანას სტატუტში ჩამოყალიბებულ პრინციპებსა და ნორმებს და საავტორო უფლებებს განიხილავდა, როგორც საკუთრების გარკვეულ ფორმას. სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში უპირატესობა მიენიჭა საფრანგეთში აღმოცენებულ იდეებსა და



მიდგომებს, რომლებიც საავტორო უფლებებში, გარდა საკუთრების ფორმისა, ხედავდნენ ავტორის პიროვნულ გამოხატულებას, რაც ბუნებითი სამართლის ძალით მოითხოვდა ისეთივე დაცვას, როგორც ქონებრივი უფლებები.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პრინციპული განსხვავებიდან გამომდინარე, საერთო სამართლის ქვეყნებში საავტორო უფლებების თავდაპირველ მფლობელად შეიძლება იურიდიული პირი მოგვევლინოს (მაგ., კომპანია) მაშინ, როდესაც სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში საავტორო უფლებების სათავეები, საზოგადოდ, ავტორთან არის დაკავშირებული.

### **ბერნის კონვენციის მიღება და განვითარება**

საავტორო უფლებების დაცვა საერთაშორისო დონეზე დაიწყო XIX საუკუნის შუა პერიოდიდან სახელმწიფოთა შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა სახელმწიფოების მიერ საავტორო უფლებათა ურთიერთცნობას, მაგრამ, ეროვნულ კანონმდებლობებში არსებულ ნორმათა განსხვავების გამო, მათ აკლდათ ერთგვაროვნება და სისრულე.

სახელმწიფოთა შორის ნაბეჭდი პროდუქციით ვაჭრობის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ავტორთა უფლებების დაცვის საერთო ნორმების არსებობისა და გამოყენების აუცილებლობა.

1878 წელს, ვიქტორ ჰიუგოს წინადადებით, ჩამოყალიბდა ლიტერატურისა და ხელოვნების საერთაშორისო ასოციაცია (L'Association litteraire et artistique internationale, ანუ ALAI), რომლის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ავტორთა უფლებების დაცვაში საერთაშორისო დონეზე კონსენსუსის მიღწევა წარმოადგენდა.

1882-1883 წლებში ALAI-ის მიერ ჩატარებულ ორ საერთაშორისო კონგრესზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შემუშავებულ იქნა პროექტი, რომელიც დაეგზავნა ქვეყნების მთავრობებს და იგი მოწონებულ იქნა. 1884-1886 წლებში ავტორთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ნორმების მოსამზადებლად გაიმართა დიპლომატიური კონფერენციები, რომლებიც დასრულდა 1886 წლის სექტემბერში ბერნში გამართულ დიპლომატიურ კონფერენციამე ახალი საერთაშორისო კონვენციის მიღებით. აღნიშნული კონვენციის ტექსტის დედანი წარმოდგენილი იყო ფრანგულ ენაზე სახელწოდებით



„Convention concernant La creation dune Union Internationale pour La protection des ocuores litteraires et artistiques“. ეს კონვენცია, რომელიც ცნობილია ბერნის კონვენციის სახელით, ხელმოწერილ იქნა ათი სახელმწიფოს მიერ (ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ჰაიტი, იტალია, ლიბერია, ესპანეთი, შვეიცარია და ტუნისი).

სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ბერნის კონვენცია მრავალჯერ იქნა გადასინჯული და მისი განვითარების ქრონოლოგია შემდეგნაირად გამოიყურება:

- ბერნის კონვენცია, ხელმოწერილი 1886 წლის 9 სექტემბერს, ძალაში შევიდა 1887 წლის 5 დეკემბერს;
- პარიზის აქტი, ხელმოწერილი 1896 წლის 4 მაისს, ძალაში შევიდა 1897 წლის 9 დეკემბერს;
- ბერლინის აქტი, ხელმოწერილი 1908 წლის 13 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1910 წლის 9 სექტემბერს;
- ბერნის დამატებითი პროტოკოლი, ხელმოწერილი 1914 წლის 20 მარტს, ძალაში შევიდა 1915 წლის 20 აპრილს;
- რომის აქტი, ხელმოწერილი 1928 წლის 2 ივნისს, ძალაში შევიდა 1931 წლის 1 აგვისტოს;
- ბრიუსელის აქტი, ხელმოწერილი 1948 წლის 26 ივნისს, ძალაში შევიდა 1951 წლის 1 აგვისტოს;
- სტოკჰოლმის აქტი, ხელმოწერილი 1967 წლის 14 ივლისს, მუხლები 22-38 ძალაში შევიდა 1970 წელს; ძალაში არ შესულა მუხლები 1-21 და პროტოკოლი განვითარებადი ქვეყნებისათვის;
- პარიზის აქტი, ხელმოწერილი 1971 წლის 24 ივლისს, ძალაში შევიდა 1974 წლის 10 ოქტომბერს. ამ აქტს ერთვის დამატებითი კარი სპეციალური დებულებებით, რომლებიც ითვალისწინებს შეღავათებს განვითარებადი ქვეყნებისათვის;
- 1979 წლის 28 სექტემბერს პარიზის აქტში შეტანილ იქნა გარკვეული შესწორებები.

ბერნის კონვენციის თანახმად, ყოველი მომდევნო აქტის მიღებისას, ქვეყნებს შეუძლიათ მიუერთდნენ კონვენციის ახალ რედაქციას. საქართველო ბერნის კონვენციის პარიზის (1971წ.) აქტს მიუერთდა 1995 წლის 26 მაისს.

რაც შეეხება კონვენციის მოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, თუ

ისინი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან შედარებით. შესაბამისად, საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ნორმების ტრანსფორმაცია საქართველოს კანონმდებლობაში სასურველი, მაგრამ არა სავალდებულო პირობაა საქართველოს ტერიტორიაზე მათი მოქმედების უზრუნველსაყოფად.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ბერნის კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტს, რომლის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბდა მისი ხელმოწერის სანაყის ეტაპზევე. კონვენციის შემდგომი გადასინჯვების დროს ხდებოდა ავტორთა გარანტირებული უფლებების გაფართოება და მათი დაცვის მექანიზმების დახვეწა. ნაწარმოებების გამოყენების სფეროში, ცვლილებებს გავლენა უნდა მოეხდინა ახალი ტექნიკური საშუალებების გაჩენაზე, უზრუნველყო არსებულ უფლებათა სათანადო გადასინჯვა და ახალ უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარება.

სტოკჰოლმში კონვენციის გადასინჯვის მიზანი იყო სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების შედეგებისა და რამდენიმე ახალი დამოუკიდებელი განვითარებადი სახელმწიფოს მოთხოვნილებების გათვალისწინება, აგრეთვე, ზოგიერთ ადმინისტრაციული ხასიათის ნორმაში ცვლილებების შეტანა. მუშაობა დებულებებზე, რომლებიც შეიმუშავეს სტოკჰოლმში განვითარებადი ქვეყნების ინტერესების უზრუნველსაყოფად, გაგრძელდა პარიზში 1971 წლის კონფერენციაზე, სადაც მომზადებულ და მიღებულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილებები. 1995 წლის იანვრამდე, როდესაც ძალაში შევიდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (შემდგომში – TRIPS შეთანხმება) ქვეყნების უმეტესობას გააჩნდა ბრიუსელის 1948 წლის ან პარიზის 1971 წლის აქტებით განსაზღვრული ვალდებულებანი.

TRIPS შეთანხმების მიღების შემდეგ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან სამოქმედოდ მიიღონ ბერნის კონვენციის პარიზის 1971 წლის აქტისა და მისი დამატებითი კარის დებულებები. ეს ვალდებულებები არ ვრცელდება იმ ნორმებზე, რომლებიც დაკავშირებულია ავტორთა არაქონებრივ უფლებებთან.

TRIPS შეთანხმებასთან (2005 წლის 1 მაისის მდგომარეობით)

შევრთებულია 148 სახელმწიფო და, ამდენად, ბერნის კონვენციის პარიზის 1971 წლის აქტის მოქმედება ვრცელდება მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაზე.

მომდევნო თავები ეხება ბერნის კონვენციის პარიზის 1971 წლის აქტს, ხოლო ცალკეული საკითხების სრულყოფილად გასაშუქებლად განვიხილავთ კონვენციის ადრინდელ ტექსტებსაც.

### **ბერნის კონვენციის ძირითადი პრინციპები და სტრუქტურა**

**მიზანი და ძირითადი პრინციპები.** ბერნის კონვენციის პრეამბულის შესაბამისად, კონვენციის მიზანია შეძლებისდაგვარად ეფექტურად და ერთი წესით დაიცვას ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე ავტორთა უფლებები.

ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე ავტორთა უფლებების დასაცავად (მუხლი 1(1)).

კონვენციას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი პრინციპი:

1. კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში წარმოშობილ ნაწარმოებს (ეს არის ნაწარმოები, რომლის ავტორი არის კავშირის ქვეყნის მოქალაქე ან ნაწარმოები, რომელიც გამოქვეყნდა ასეთ ქვეყანაში) უნდა ჰქონდეს კავშირის ყველა სხვა ქვეყანაში ისეთივე დაცვა, როგორსაც ეს ქვეყნები ანიჭებენ საკუთარ მოქალაქეებს („ეროვნული რეჟიმის“ პრინციპი).
2. ნაწარმოებზე ავტორთა უფლებების წარმოქმნა დამოკიდებული არ არის რაიმე ფორმალურ პირობებსა და პროცედურებზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, დაცვის მინიჭება ხდება ავტომატურად და არ არის დაკავშირებული რეგისტრაციასთან, შესანახდ გადაცემასთან და სხვა მსგავს ფორმალობებთან („ავტომატური დაცვის“ პრინციპი).
3. საავტორო უფლებების არსებობა და მათი გამოყენება არ არის დამოკიდებული დაცვის არსებობაზე ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში („დაცვის დამოუკიდებლობის“ პრინციპი).

კონვენცია, ასევე, ადგენს დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც ეხება ავტორთა უფლებებსა და დაცვის ხანგრძლივობას.

**ტექსტობრივი სტრუქტურა.** კონვენციის მუხლები 1-19 შეიცავს მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს. ისინი ეხება ბერნის კავშირის

დაარსებას, დაცულ ნაწარმოებებს, პირებს, რომლებზეც ვრცელდება დაცვა, დაცვისთვის აუცილებელ პირობებს, კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, უფლებათა შეზღუდვებსა და გამონაკლისებს, აგრეთვე, დარღვევების წინააღმდეგ მიმართულ ზომებს.

მე-20 მუხლი ითვალისწინებს წევრ ქვეყნებს შორის სპეციალური შეთანხმებების დადების შესაძლებლობას.

21-ე მუხლი მიუთითებს განვითარებადი ქვეყნებისათვის განკუთვნილ სპეციალურ დებულებებზე, რომლებიც შეადგენს პარიზის 1971 წლის აქტის დამატებით კარს.

22-25-ე მუხლები ეხება ადმინისტრაციულ საკითხებს ბერნის კავშირის ასამბლეასთან, აღმასრულებელ კომიტეტთან, საერთაშორისო ბიუროსა და ბიუჯეტთან დაკავშირებით.

26-38-ე მუხლები დაკავშირებულია ისეთ ფორმალურ საკითხებთან, როგორცაა კონვენციაში შესწორებების შეტანა, კონვენციის რატიფიკაცია და მასთან შეერთება, კონვენციის ადრინდელი აქტების გამოყენების შესაძლებლობა და გარდამავალი დებულებები.

**იურიდიული სტრუქტურა.** ვინაიდან, მიღების შემდეგ, ბერნის კონვენციამ განიცადა მრავალი ცვლილება და მასში შეტანილ იქნა სხვადასხვა დამატება, კონვენციის ამჟამინდელი იურიდიული სტრუქტურა, გარკვეულწილად, მოკლებულია სისტემურობასა და ლოგიკურ თანამიმდევრობას.

ბერნის კონვენციის თანახმად, საავტორო უფლებების დაცვა ვრცელდება ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე (მუხლი 1), რისი მაგალითებიც მოყვანილია მუხლში 2(1).

უფლებათა მფლობელები არიან ავტორები და მათი უფლებამონაცვლები (მუხლები: 2(6), 14<sup>bis</sup>). კონვენცია ადგენს კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც ავტორს ენიჭება დაცვა (მუხლები: 3, 4), განსაზღვრავს ეროვნული რეჟიმის და კონვენციური უფლებების გამოყენების პრინციპებს (მუხლები: 5, 6). კონვენცია ითვალისწინებს ავტორებისათვის პირადი არაქონებრივი (მუხლი 6<sup>bis</sup>), და ქონებრივი უფლებების (მუხლები: 2<sup>bis</sup>(3), 8, 9, 11, 11<sup>bis</sup>, 11<sup>ter</sup>, 12, 14, 14<sup>ter</sup>) მინიჭებას. რიგი დებულებებისა ეხება უფლებების შეზღუდვებსა და გამონაკლისებს (მუხლები: 2<sup>bis</sup>(2), 9(2), 10, 10<sup>bis</sup>, 11<sup>bis</sup>(2), 13). დადგენილია, რომ უფლებების მოპოვება და გამოყენება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალურ მოთხოვნებთან (მუხლი 5(2)),

საავტორო უფლების დაცვის საერთო ხანგრძლივობა შეადგენს ავტორის სიცოცხლის პერიოდსა და ორმოცდაათ წელს მისი გარდაცვალების შემდეგ (მუხლი 7(1)).

კონვენცია ითვალისწინებს უფლებების დარღვევით დამზადებულ ასლებზე ყადაღის დადებას (მუხლი 16), თუმცა, არ შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ თუ რა ქმედებები უნდა იქნეს მიჩნეული ავტორთა უფლებების დარღვევად.

ბერნის კონვენცია შეიცავს დამატებით კარს, რომელიც შედგება ექვსი მუხლისაგან. მათში მოცემულია სპეციალური დებულებები განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით.

## თავი II დაცული ნაწარმოებები

### ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები

ბერნის კონვენციის დაცვის ობიექტებს შეადგენს „ლიტერატურისა და ხელოვნების“ ნაწარმოებები. გამოთქმა „ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებები“ მოიცავს ყველა ნამუშევარს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, მისი გამოხატვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორცაა წიგნები, ბროშურები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები; დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები; ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები; მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან ტექსტის გარეშე; კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც არის გათანაბრებული კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატული ნაწარმოებები; ნახატები, ფერწერული, არქიტექტურული, სკულპტურული ნაწარმოებები, გრაფიურა და ლითოგრაფია; ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც გათანაბრებულია ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატული ნაწარმოებები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები; ილუსტრაციები, გეოგრაფიული რუკები, გეგმები, ესკიზები და სამგანზომილებიანი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებას“ (მუხლი 2(1)).

მოცემული განსაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ადგენს სფეროს (ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება), რომელსაც უნდა მიეკუთვნებოდეს დაცული ნაწარმოებები. როგორც ვხედავთ, დაცვა

ვრცელდება სამეცნიერო ნაშრომებზეც მიუხედავად იმისა, რომ ისინი უშუალოდ არ არის მოხსენიებული კონვენციის სახელწოდებასა და მის პირველ მუხლში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ნაშრომები დაცულია საავტორო უფლებებით არა ნაშრომების სამეცნიერო ხასიათის, არამედ მათი გამომხატვის ფორმის გამო. უნდა ითქვას, რომ დაცვას ექვემდებარება არა ნაწარმოების იდეა და შინაარსი, არამედ მისი გამომხატვის საშუალება (სიტყვები, ნოტები, ნახაზები და ა.შ.), რაც წარმოადგენს ნაწარმოებზე დაცვის გავრცელების ფუნდამენტურ პრინციპს.

განსაზღვრების თანახმად, ბერნის კონვენცია არ ადგენს რაიმე შეზღუდვებს ნაწარმოებების „გამომხატვის ხერხსა და ფორმასთან“ დაკავშირებით. ნაწარმოები დაცულია მიუხედავად იმისა განსახიერებელია ნაბეჭდ პროდუქციაში, არსებობს ხმის და გამოსახულების ჩანაწერის სახით, თუ წარმოდგენილია რაიმე სხვა ფორმით. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ეპოქაში, როცა ჩნდება ინფორმაციის წარმოდგენის, შენახვისა და გადაცემის ახალი საშუალებანი.

ნაწარმოების დონე და მისი მხატვრული ღირებულება, რაც არსებითად სუბიექტური კრიტერიუმებია, დაცვის თვალსაზრისით, მხედველობაში არ მიიღება. იგივე უნდა ითქვას ნაწარმოების მიზანზე. ის შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო, რაიმე პრაქტიკული ან კომერციული მიზნით. ყოველივე აღნიშნული გავლენას არ ახდენს ნაწარმოების დაცვაზე.

განსაზღვრებაში მოცემულია ნაწარმოებების ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარება დაცვას. მასში სიტყვა „როგორც“ მიუთითებს, რომ ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ატარებს ილუსტრაციულ ხასიათს. ბერნის კავშირის ქვეყნებს გააჩნიათ უფლებამოსილება გაავრცელონ დაცვა სხვა სახის ნაწარმოებებზეც.

მოკლედ განვიხილოთ ჩამონათვალში მოცემული ნაწარმოებები კატეგორიების მიხედვით.

**ნიგნები, ბროშურები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები.** ნაწარმოებთა ეს კატეგორია გამოირჩევა როგორც მრავალფეროვნებით, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. აქ „ნიგნები“ და „ბროშურები“ „წერილობითი ნაწარმოებების“ მხოლოდ მაგალითებია და დაცვა ვრცელდება ყველა ამ სახის ნაწარმოებზე მათი შინაარსის,



მოცულობის, მიზნისა და ფორმის მიუხედავად. ის მოიცავს როგორც წერილებს, საგაზეთო სტატიებს, საინფორმაციო ცნობარებს, ტექნიკურ და სამეცნიერო ხასიათის წიგნებს, კატალოგებს, კომერციული ხასიათის დოკუმენტებსა და სარეკლამო მასალებს, ისე რომანებს, ლექსებს, პოემებს, ფილოსოფიურ თხზულებებს და სხვ.

**ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები.** ეს ნაწარმოებები, ჩვეულებრივ, ცნობილია როგორც „გეპირი ნაწარმოებები“. კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ უარი თქვან ამ კატეგორიის ზოგიერთი სახის ნაწარმოების (პოლიტიკური გამოსვლები და სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვები) დაცვაზე (მუხლი 2<sup>bis</sup>(1)), ან ამგვარ ნაწარმოებებზე დაცვის გასაზრცელებლად მოითხოვონ მათი მატერიალური სახით დაფიქსირება (მუხლი 2(2)).

**დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები.** ეს ნაწარმოებები განკუთვნილია მაყურებელთა წინაშე წარმოსადგენად ან შესასრულებლად. მათ მიეკუთვნება ყველა სახის პიესა – კომედიები, დრამები, ტრაგედიები, სკეტჩები და სხვ.

სასცენო ნაწარმოებები, რომლებიც შეიცავს როგორც სიტყვებს, ისე მუსიკას მიეკუთვნება მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებთა რიცხვს. ასეთ ნაწარმოებებს წარმოადგენს: ოპერა, კომედიური ოპერა, ოპერეტა, მუსიკალური კომედია და სხვ.

**ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები.** მსოფლიოში ამ სახის ნაწარმოებებს ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები აქვს. დრამატულ ნაწარმოებთა მსგავსად, ისინი იქმნება სცენაზე შესასრულებლად, მაგრამ ნაწარმოების შინაარსის გადმოსაცემად, სასცენო სახის შესაქმნელად და მაყურებელში ემოციების აღსაძვრელად იყენებენ სხეულის მოძრაობას, ჟესტიკულაციას და მიმიკას.

სტოკჰოლმის 1967 წლის აქტის მიღებამდე, ასეთი ნაწარმოებების დასაცავად აუცილებელი იყო მათი დაფიქსირება წერილობითი ან რაიმე სხვა ფორმით. ეს მოთხოვნა განპირობებული იყო მტკიცებულებების არსებობასთან დაკავშირებული მოსაზრებებით. მიიჩნეოდა, რომ, მაგალითად, ბალეტის გამოხატვა პირობითი ნიშნებით ცეკვის ზუსტი აღწერის საშუალებას იძლეოდა და შეიძლება გამოყენებულიყო მტკიცებულებად უფლებების დარღვევის დადგენის მიზნით.



ტელევიზიისა და, შემდგომ, გამოსახულების ჩასაწერი (ვიდეო) ტექნიკის განვითარებამ და ფართო გავრცელებამ ძირეულად შეცვალა პრობლემის ხასიათი – წინა პლანზე წამოიწია ქორეოგრაფიული და მსგავსი ნაწარმოებების უკანონო დაფიქსირებისა და საჯარო გადაცემის საკითხმა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ მტკიცებულებებისადმი წაყენებული მოთხოვნები ქვეყნებში განსხვავებული იყო, ხოლო კონვენცია ეროვნულ კანონმდებლობებს ნებას რთავდა დაენესებინათ დაცვის ზოგადი პირობა – ნაწარმოებების მატერიალური ფორმით ფიქსირების აუცილებლობა (მუხლი 2 (2)).

ქორეოგრაფიული ნაწარმოებების შესრულებისა და პანტომიმის წერილობითი ფიქსაციის მოთხოვნა გაუქმდა ბერნის კონვენციის სტოკჰოლმის რედაქციაში.

**მუსიკალური ნაწარმოებები ტექსტით ან ტექსტის გარეშე.** უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სამართალი, ისევე, როგორც ეროვნულ კანონმდებლობათა უმრავლესობა, არ შეიცავს მუსიკალური კომპოზიციის განსაზღვრებას. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს ხმების თანამიმდევრობას, რომელიც ჩვეულებრივ ხასიათდება რიტმითა და მელოდიით. მუსიკალური ნაწარმოები შეიძლება იყოს მსუბუქი (ესტრადა, პოპ-მუსიკა) ან კლასიკური (ჰიმნები, საგუნდო ნაწარმოებები, სიმფონიები), ერთი ან რამდენიმე ინსტრუმენტისათვის (სონატები, საეკლესიო მუსიკა და სხვა), ან დიდი ორკესტრებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალური კომპოზიციის დაცული ელემენტების იდენტიფიცირება არც თუ ადვილ ამოცანას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა – მელოდიის უმნიშვნელო ცვლილების შემთხვევაში, გვაქვს თუ არა საქმე ახალ ნაწარმოებთან, ექვემდებარება თუ არა დაცვას მუსიკალური ფრაზა ან რამდენიმე ნოტის კომბინაცია.

ისევე, როგორც ქორეოგრაფიული ნაწარმოებების და პანტომიმების შემთხვევაში, მუსიკალური კომპოზიციების დაცვის პირობას არ წარმოადგენს ნაწარმოების რაიმე მატერიალური სახით დაფიქსირება. კონვენციის 2(3) მუხლის თანახმად, დაცვას ექვემდებარება მუსიკალური კომპოზიციის არანჟირებაც.

კონვენციაში სიტყვები – „ტექსტით ან ტექსტის გარეშე“ ნიშნავს, რომ ნებისმიერი ტექსტი, რომელიც თან ერთვის მუსიკას, დაცულია ისევე, როგორც მუსიკალური ნაწარმოები.

**კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც არის გათანაბრებული კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატული ნაწარმოებები.** კინემატოგრაფიული ნაწარმოები წარმოადგენს გამოსახულებათა თანამიმდევრობას ხმის თანხლებით ან უამისოდ, რომელიც ჩანერილია მგრძნობიარე მასალაზე და ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას. კინემატოგრაფიული ნაწარმოებები შეიძლება იყოს მუნჯური ან ხმოვანი, განსხვავდებოდეს სახეობის (მხატვრული, დოკუმენტური, ქრონიკალური), მოცულობის (სერიალი, სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი), შექმნის ხერხის (ნატურაში გადაღება, სტუდიაში გადაღება, ნახატი ფილმები) და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი მახასიათებლებით.

მუხლი 2(1) კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან ათანაბრებს კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატულ ნაწარმოებებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომა ჩამოყალიბდა უკვე ბერნის კონვენციის ბერლინის 1908 წლის აქტში, მან რეალური დატვირთვა და აზრი შეიძინა ტელევიზიისა და აუდიოვიზუალური პროდუქციის (ვიდეოკასეტები, დისკები) წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით.

მრავალი დისკუსია მიედევნა სატელევიზიო საშუალებებით შექმნილი ნაწარმოებების კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან გათანაბრების საკითხს. აზრთა სხვადასხვაობა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, სატელევიზიო ნაწარმოები შეიძლება არსებობდეს დაფიქსირების გარეშე, ხოლო დაფიქსირების შემთხვევაში განსხვავებულია ამ პროცესის განხორციელების ხერხები და საშუალებები. საბოლოოდ, სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციაზე, ქვეყნების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სატელევიზიო ნაწარმოებების კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან გათანაბრების საკითხს.

სტოკჰოლმის კონფერენციის შემდეგ, მოძრავი გამოსახულებების ჩანერის, რეპროდუცირებისა და ჩვენების ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა, აგრეთვე, ძირითადად, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილ ვიდეოკასეტებსა და ვიდეოდისკებზე ჩანერილი ნაწარმოებების კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან გათანაბრების საკითხიც. აღნიშნულმა მიდგომამ თავისი ასახვა უკვე ჰპოვა უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლობაში.

**ნახატები, ფერწერული, არქიტექტურული, სკულპტურული, გრაფიკული და ლითოგრაფიული ნაწარმოებები.** ეს კატეგორია, პრაქტიკულად, მოიცავს ხელოვნების ყველა ნაწარმოებს, როგორც ორგანოზომილებიანს (ნახატები, ფერწერული ტილოები, ლითოგრაფია და სხვ.), ისე სამგანზომილებიანს (მონუმენტები, სკულპტურა, არქიტექტურული ნაწარმოებები და სხვ.). ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს ხასიათის (ნატურალისტური, მეტაფორული, აბსტრაქტული) და დანიშნულების მიხედვით. აღნიშნული კატეგორია არ მოიცავს სამეცნიერო და საინჟინრო დანიშნულების ნახაზებსა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს, რომლებიც ჩამონათვალში ცალკეა გამოყოფილი.

**ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც გათანაბრებულია ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატული ნაწარმოებები.** ეს ნაწარმოებები მოიცავს ყველა სახის (პორტრეტი, პეიზაჟი და ა.შ.) და დანიშნულების (სამოყვარულო, პროფესიული, სარეკლამო და სხვ.) ფოტოგრაფიებს. კონვენცია, კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მსგავსად, იცავს ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატულ ნაწარმოებებსაც, რაც მას სძენს თავისუფლების ხარისხს ტექნიკური საშუალებების განვითარებასთან დაკავშირებით. კონვენცია ღიად ტოვებს სხვადასხვა კატეგორიის ფოტოგრაფიისთვის დაცვის მინიჭების საკითხს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მისი ყოვლისმომცველი ხასიათი, პრაქტიკული თვალსაზრისით, სიძნელეებს წარმოშობდა, რომელთა აცილების გზები ეროვნული კანონმდებლობით უნდა განსაზღვრულიყო. მაგალითად, მიუღებელი იქნებოდა, რომ დაცვა გავრცელებულიყო პასპორტისათვის განკუთვნილ ფოტოსურათებზე, მით უმეტეს, რომ ამჟამად მათი გადაღება ძირითადად ხდება ავტომატური ფოტოაპარატურის გამოყენებით ადამიანის შემოქმედებითი მონაწილეობის გარეშე.

**გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები.** კონვენცია იყენებს ზოგად ტერმინს – „გამოყენებითი ხელოვნება“, რაც დაცვის გავრცელების საშუალებას იძლევა ნაწარმოებების ფართო ასორტიმენტზე – სამკაულებზე, საიუველირო ნაწარმზე, ნივთებზე, სათამაშოებზე, ავეჯზე, შპალერზე, ტანსაცმელზე და ა.შ. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა უფლებამოსილია განსაზღვროს დაცვის ინსტრუმენტი, რომელსაც,

საავტორო უფლებების კანონმდებლობის გარდა, შეიძლება წარმოადგენდეს სხვა სპეციალური კანონები, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

**ილუსტრაციები, გეოგრაფიული რუკები, გეგმები, ესკიზები და სამგანზომილებიანი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებას.** ეს არის კატეგორია, რომელიც შეიცავს მრავალი სახის ნაწარმოებს და ბერნის კონვენციის მიღებისთანავე (1886 წ.) ფიგურირებს დაცულ ნაწარმოებთა ჩამონათვალში.

ბერნის კონვენციის ფრანგული და ინგლისურენოვანი ტექსტების პუნქტუაციაში არსებული განსხვავების გამო, ამ ჩამონათვალის ინტერპრეტაცია გარკვეულ ორამროვნებას იწვევს. ფრანგული ტექსტიდან ცხადად ჩანს, რომ „ილუსტრაციები და რუკები“ ამ ჩამონათვალის ქვეკატეგორიას წარმოადგენს, მაშინ, როცა ინგლისური ტექსტი ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ვინაიდან ბერნის კონვენციის ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს (მუხლი 37(გ)), მართებულად უნდა მივიჩნიოთ პირველი მოსაზრება.

როგორც აღვნიშნეთ, კონვენციის მუხლში 2(1) მოცემული ჩამონათვალი ატარებს ილუსტრაციულ ხასიათს. კონვენცია მხოლოდ მაგალითების მოყვანით ანიჭებს კავშირის ქვეყნებს უფლებამოსილებას დაცვა გაავრცელონ ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა ნამუშევრებზეც.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ჩამონათვალში არ ფიგურირებს კომპიუტერული პროგრამები, მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობით ჯერ კიდევ TRIPS შეთანხმების ხელმოწერამდე, როდესაც ისინი პირდაპირ აღიარეს დაცვის ობიექტებად, კომპიუტერული პროგრამები მიაკუთვნეს დაცულ ნაწარმოებთა რიცხვს.

აშშ-ს 1976 წლის საკანონმდებლო აქტით (Copyright Act), ხმის ჩანაწერები, კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მსგავსად, მიჩნეულია ორიგინალურ ნაწარმოებად და დაიცვება საავტორო უფლებებით. თუმცა, ის, რომ აშშ-ის კანონმდებლობა ხმოვან ჩანაწერს მიიჩნევს დაცულ ნაწარმოებად, არ ნიშნავს იმას, რომ ბერნის კავშირის სხვა წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან იგივე გააკეთონ.

## ნარმოებული ნაწარმოებები

კონვენცია იცავს ისეთ ნაწარმოებებსაც, რომლებიც სხვა ნაწარმოებების საფუძველზე შექმნილი. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება გადამუშავებული და შედგენილი ნაწარმოებები, რომლებსაც ნარმოებულ ნაწარმოებებს (derivative works) უწოდებენ.

თარგმანები, გადამუშავებები, მუსიკალური არანჟირებები, ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი სახეცვლილებანი დასულია, როგორც ორიგინალური ნაწარმოებები (მუხლი 2(3)).

დაცვას, აგრეთვე, ექვემდებარება შედგენილი ნაწარმოებები – „ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებთა კრებულები, როგორცაა ენციკლოპედიები და ანთოლოგიები“, მაგრამ ნაწარმოებთა კრებულები მასალების შერჩევითა და განლაგებით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს უნდა წარმოადგენდეს (მუხლი 2(5)).

კონვენციის მუხლების 2(3) და 2(5) შესაბამისად, ნარმოებული ნაწარმოებების დაცვა უნდა განხორციელდეს ორიგინალურ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების შეუღახავად.

## ეროვნული კანონმდებლობით დაცული ნაწარმოებები

ნაწარმოებებზე დაცვის გავრცელების მოთხოვნის თვალსაზრისით, კონვენცია გამოყოფს ორ ჯგუფს. პირველ ჯგუფს შეადგენს ის ნაწარმოებები, რომელთა დაცვის ვალდებულება კონვენციით პირდაპირ ეკისრება ბერნის კავშირის ქვეყნებს. მეორე ჯგუფში კი შედის ნაწარმოებები, რომელთა დაცვა კავშირის ქვეყნების კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს.

ბერნის კონვენცია კავშირის ქვეყნებს ანიჭებს უფლებას ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში განსაზღვრონ დაცვის გავრცელება გარკვეული კატეგორიის ნაწარმოებებზე. ამ ნაწარმოებებს განეკუთვნება:

- საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და იურიდიული ხასიათის ოფიციალური ტექსტები და ასეთი ტექსტების ოფიციალური თარგმანები (მუხლი 2(4));
- პოლიტიკური გამოსვლები და სასამართლო პროცესის მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები (მუხლი 2<sup>bis</sup>(1)).

ბერნის კავშირის ქვეყნების კანონმდებლობით განისაზღვრება,

აგრეთვე, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების, სამრეწველო ნიმუშებისა და მოდელებისათვის ეროვნული კანონების გამოყენების ფარგლები და პირობები.

ნაწარმოებებს, რომლებიც წარმოშობის ქვეყანაში დაცულია მხოლოდ, როგორც სამრეწველო ნიმუშები და მოდელები, კავშირის სხვა ქვეყანაში ენიჭება ისეთივე დაცვა, როგორსაც ამ ქვეყანაში ანიჭებენ ანალოგიურ ობიექტებს. მაგრამ, თუ ამ ქვეყანაში არ ხდება სამრეწველო ნიმუშებისა და მოდელების სპეციალური დაცვა, ეს ნაწარმოებები დაცული უნდა იყოს, როგორც ხელოვნების ნაწარმოებები (მუხლი 2(7)). როგორც ვხედავთ, ხელოვნების ნაწარმოებების მიმართ კონვენცია ითვალისწინებს გამონაკლისს ეროვნული რეჟიმიდან და დაცვა ეფუძნება ნაცვალგების პრინციპს.

### **საინფორმაციო მასალები**

დაცვა არ ვრცელდება დღის ახალ ამბებზე, ან სხვადასხვა ფაქტზე, რომელთაც უბრალო პრესინფორმაციის ხასიათი აქვს (მუხლი 2(8)).

აღსანიშნავია, რომ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური განმარტებით, დაცვას ექვემდებარება კრებულები, რომელშიც საინფორმაციო მასალები შერჩეული და განთავსებულია ინტელექტუალური ხასიათის საქმიანობის საფუძველზე.

## **თავი III უფლებათა მფლობელები**

### **ავტორები, უფლებამონაცვლები და წარმომადგენლები**

ბერნის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება კონვენცია „ქმნიან კავშირს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე ავტორთა უფლებების დასაცავად“. ამდენად, კონვენცია ნაწარმოებზე უფლებათა მფლობელად ნაწარმოების ავტორს მიიჩნევს.

ბერნის კონვენცია არ იძლევა ცნების – „ავტორი“ – განსაზღვრებას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაწარმოებები, რომლებიც მოცემულია მუხლში 2(1) წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორი არის პიროვნება, რომლის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად იქმნება ნაწარმოები.



ავტორობის ამგვარმა განსაზღვრამ ასახვა ჰპოვა ბერნის კავშირის ქვეყნების უმრავლესობის საკანონმდებლო აქტებში, მაგრამ „ავტორის“ დეფინიციის შეტანა ბერნის კონვენციაში ნააწყდა წინააღმდეგობას, რაც განპირობებული იყო საერთო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ქვეყნებს შორის ავტორობის არსთან დაკავშირებული განსხვავებული შეხედულებით. თუ სამოქალაქო სამართლის ქვეყნები ავტორობის საფუძვლად პიროვნების მიერ ნაწარმოების შექმნაში შეტანილ ინტელექტუალურ-შემოქმედებით წვლილს მიიჩნევენ, საერთო სამართლის ქვეყნები ნაწარმოებში განსახიერებული შრომისა და ოსტატობის კონცეფციის მიმდევრები არიან.

მუხლი 2(6) აწესებს, რომ დაცვა მოქმედებს ავტორისა და მისი უფლებამონაცვლეების სასარგებლოდ. ამდენად, ავტორის უფლებები გადადის მის მემკვიდრეებზე და თუ ეს ეროვნული კანონმდებლობითაა დაშვებული, უფლებები შეიძლება გადაეცეს სხვა პირებსაც.

მუხლი 15(1) ადგენს ავტორობის პრეზუმფციას. საპირისპირო მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, ავტორად მიიჩნევა პირი, რომლის სახელი აღნიშნულია ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით. ეს პირობა გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ავტორს ნაწარმოებზე მითითებული აქვს ფსევდონიმი, რომელიც არ იწვევს ეჭვს მის ვინაობაში.

ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების შემთხვევაში, როდესაც ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, გამომცემელი, რომლის სახელიც აღნიშნულია ნაწარმოებზე, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნევა ავტორის წარმომადგენლად და უფლებამოსილია დაიცვას და განახორციელოს ავტორის უფლებები (მუხლი 15(3)).

კონვენციის მუხლი 15(4) აწესრიგებს ავტორის წარმომადგენლობის საკითხს, როდესაც ნაწარმოები არ არის გამოქვეყნებული და ავტორის ვინაობა უცნობია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ავტორი კავშირის ქვეყნის მოქალაქეა, ამ ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც ეძლევა კავშირის ქვეყნებში მისი უფლებების დაცვისა და განხორციელების უფლებამოსილება.

### **კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე უფლებათა მფლობელები**

კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე უფლებათა მფლობელის



დადგენა საერთაშორისო საავტორო სამართლის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს.

ამჟამად, კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე უფლებათა მფლობელის დადგენის თვალსაზრისით, მსოფლიოში მოქმედებს სამი ძირითადი სისტემა:

პირველი ცნობილია როგორც „film copyright“ სისტემა, მოქმედებს საერთო სამართლის ქვეყნებში და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების თავდაპირველ მფლობელად ფილმის დამამზადებელს (პროდიუსერს) აღიარებს, ანუ ამ სისტემის მიხედვით, საავტორო უფლებები თავიდანვე ეკუთვნის იმ პირს (ჩვეულებრივი კინოკომპანია), რომელმაც აიღო ინიციატივა ფილმის დაფინანსებასა და შექმნაზე. მაგალითად, ბრიტანეთის კანონმდებლობის თანახმად, „როდესაც ლიტერატურის, დრამატული, მუსიკალური ან ხელოვნების ნაწარმოები შექმნილია დაქირავებული პირის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, დამქირავებელი არის საავტორო უფლებების პირველი მფლობელი, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით“. (United Kingdom, Copyright, Designs & Patents Act 1988 §11(2)). 1993 წლიდან დიდ ბრიტანეთში ევროდირექტივის შესაბამისად (E.C. Term of Protection Directive 1993 Art. 2(1)) პროდიუსერთან ერთად, საავტორო უფლებების მფლობელად აღიარებულია ფილმის რეჟისორიც. ამჟამად, „film copyright“ სისტემა, თავდაპირველი სახით მოქმედებს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ავსტრალია, ახალი ზელანდია და კანადა.

მეორე სისტემა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების თავდაპირველ მფლობელად იმ პირებს მიიჩნევს, რომელთაც მის შექმნაში შემოქმედებითი წვლილი აქვთ შეტანილი და, შესაბამისად, ნაწარმოების თანავტორები არიან. მაგრამ, იმავდროულად ეს სისტემა ითვალისწინებს სამართლებრივ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც საავტორო უფლებები კინემატოგრაფიული ნაწარმოების გამოყენებაზე საბოლოოდ გადაეცემა ერთ პირს – ფილმის პროდიუსერს. აღნიშნული სისტემა, რომელიც ცნობილია „legal assigment“ სისტემის სახელწოდებით, მოქმედებს ავსტრიასა და იტალიაში.

თითქმის ანალოგიურია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი სისტემა, სადაც საავტორო უფლებები პროდიუსერს გადაეცემა „დაქირავებული შრომის“ (work made by hire) დებულებების საფუძველზე.

მესამე სისტემა, რომელიც „presumption of legitimation“ სისტემის სახელითაა ცნობილი, მოქმედებს საფრანგეთსა და გერმანიაში. მასში გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმების მიხედვით, საავტორო უფლებები, აგრეთვე, გადაეცემა პროდიუსერს, თუ ხელშეკრულებაში პირებთან, რომელთაც შემოქმედებითი ნვლილი შეაქვთ ფილმის შექმნაში, სხვა რამე არ არის გათვალისწინებული.

ბერნის კონვენციის მუხლის 14<sup>bis</sup>(1) თანახმად, კინემატოგრაფიული ნაწარმოები დაცულია, როგორც ორიგინალური ნაწარმოები და მასზე საავტორო უფლებების მფლობელი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორითაც ორიგინალური ნაწარმოების ავტორი.

კონვენციის მუხლის 14<sup>bis</sup>(2)(ა) შესაბამისად, აღნიშნული უფლებების მფლობელობის განსაზღვრა წარმოადგენს იმ ქვეყნის კანონმდებლობის პრეროგატივას, რომელშიც მოითხოვება დაცვა. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარეობს ორი შედეგი:

- ბერნის კავშირის მონაწილე ქვეყანა თავისუფალია აირჩიოს კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე უფლებათა მფლობელის დადგენის მისთვის სასურველი სისტემა;
- ფილმის იმპორტირებისას, მასზე უფლებების მფლობელი დგინდება იმპორტის ქვეყნის კანონმდებლობით, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ არის მიჩნეული უფლებათა მფლობელად ფილმის წარმოშობის ქვეყანაში. მაგალითად, თუ მოითხოვება ქართული ფილმის დაცვა ბრიტანეთში, ფილმის მფლობელი დგინდება ბრიტანეთის კანონმდებლობით, ხოლო თუ დაცვა მოითხოვება გერმანიაში, მაშინ უკვე მოქმედებს ამ უკანასკნელის კანონმდებლობა.

კონვენციის მუხლი 14<sup>bis</sup>(2)(ბ) ეხება მხოლოდ იმ ქვეყნებს, სადაც მოქმედებაშია „presumption of legitimation“ სისტემა. ამ მუხლის თანახმად, ასეთ ქვეყნებში ავტორებს, თუ მათ იკისრეს კინემატოგრაფიული ნაწარმოების შექმნაში შემოქმედებითი ნვლილის შეტანა, არ შეუძლიათ ნებისმიერი საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობის არარსებობისას, არ დაუშვან ნაწარმოების რეპროდუცირება, გავრცელება, საჯარო შესრულება, სადენით ან ეთერში გადაცემა, ნებისმიერი სხვა საშუალებით საჯარო გაცნობა, აგრეთვე, ტექსტის სუბტიტირება ან დუბლირება. აღნიშნული ქვეყნებისათვის 14<sup>bis</sup>(2)(ბ) მუხლის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა.

მუხლის 14<sup>bis</sup>(2)(გ) შესაბამისად, ფილმის პროდიუსერის ქვეყნის კანონმდებლობის პრეროგატივაა დაადგინოს თუ რა სახით უნდა

გაფორმდეს ავტორის თანხმობა ფილმის შექმნაში მონაწილეობის მიღებაზე.

ამავე მუხლის თანახმად, თუ მოითხოვება ფილმის დაცვა კავშირის სხვა ქვეყანაში, მაშინ უკვე ამ ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს ავტორის თანხმობასთან დაკავშირებულ პირობებს. ამასთან, თუ ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ პროდიუსერსა და ავტორს შორის შეთანხმებას უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა, ეს ქვეყანა ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით შეატყობინოს ისმო-ს გენერალურ დირექტორს, რათა მან აცნობოს კავშირის სხვა ქვეყნებს.

ამ მუხლის მოქმედების შესაძლო შედეგები ჩანს შემდეგი მაგალითებიდან:

- ფილმის პროდიუსერს კანადაში არ ესაჭიროება წერილობითი თანხმობა, რათა მოითხოვოს დაცვა თავის ქვეყანაში, რადგან ამ ქვეყნის კანონმდებლობით იგი მიიჩნევა უფლებების მფლობელად მის მიერ შექმნილ ნებისმიერ ფილმზე. მაგრამ, თუ იგი ითხოვს დაცვას საფრანგეთში, ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მას დასჭირდება ავტორთა თანხმობის წერილობითი ფორმით წარდგენა.
- იტალიაში ფრანგი პროდიუსერისაგან არ მოითხოვება ავტორთა წერილობითი თანხმობა, მაგრამ, თუ იგი ითხოვს დაცვას თავისსავე ქვეყანაში (საფრანგეთში), მას დაჭირდება აღნიშნული თანხმობა.

14<sup>bis</sup>(3) მუხლის თანახმად, 14<sup>bis</sup>(2)(ბ) მუხლით გათვალისწინებული პრემიუმაცია არ ვრცელდება კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის შექმნილი სცენარების, დიალოგებისა და მუსიკალური ნაწარმოების ავტორებსა და დამდგმელ რეჟისორზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით.

როგორც ვხედავთ, 14<sup>bis</sup>(3) მუხლი ეხება ფილმში ძირითადი შემოქმედებითი ნვლილის შემტან პირთა კატეგორიებს, რომლებიც, ეროვნულ კანონთა უმრავლესობით, მიიჩნევიან ფილმის ავტორებად. ამდენად, მუხლის 14<sup>bis</sup>(2)(ბ) მოქმედება შეიძლება გავრცელდეს შემოქმედთა დანარჩენ კატეგორიებზე – მსახიობებზე, ოპერატორებზე, მხატვრებსა და სხვებზე, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეროვნული კანონმდებლობით მიჩნეული არიან ფილმის თანა-ავტორებად.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ სტოკჰოლმის 1967 წლის

კონფერენციამ, რომლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე უფლებათა მფლობელების დადგენის უნიფიცირებული პრინციპების შემუშავება და კონვენციაში დამკვიდრება წარმოადგენდა, ვერ მიაღწია თავის მიზანს და საკვანძო საკითხების დარეგულირება კვლავ ეროვნულ კანონმდებლობებს მიანდო. შემდგომ, პარიზის კონფერენციაზე, ეს საკითხები პრაქტიკულად აღარ განხილულა და 14<sup>bis</sup> მუხლი სტოკჰოლმის აქტიდან პარიზის აქტში უცვლელად იქნა გადმოტანილ.

## თავი IV დაცული ავტორები

ბერნის კონვენციის მუხლები, რომლებიც ამ თავში უნდა განვიხილოთ, ორ ფუნდამენტურ საკითხს ეხება: პირველი – ისინი ადგენენ უცხოელ ავტორთა კატეგორიას, რომლებსაც ბერნის კავშირის მონაწილე ქვეყანამ თავისი მოქალაქეების გარდა, უნდა მიანიჭოს დაცვა (მუხლები: 3, 4, 6) და მეორე – დაცვის რეჟიმი, რომელიც ვრცელდება ქვეყანაში უცხოელ ავტორებზე (მუხლი 5). ეს ორი საკითხი კონცეპტუალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი განეკუთვნება უცხოელთა სტატუსის დამდგენ ნორმებს, მეორე კი, ნორმათა კოლიზიის სფეროს.

### დაცვის კრიტერიუმები

მუხლის 3(1) თანახმად, კონვენციით დაცვა ვრცელდება:

- ავტორებზე, რომლებიც არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მათი როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებისათვის (მოქალაქეობის კრიტერიუმი);
- ავტორებზე, რომლებიც არ არიან კავშირის არც ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მათი ნაწარმოებებისათვის, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში ან ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში და კავშირის ქვეყანაში (ტერიტორიული კრიტერიუმი).

ავტორები, რომლებიც არ არიან კავშირის რომელიმე ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში, ამ კონვენციის მიზნებისათვის, უთანაბრდებიან ამ ქვეყნის მოქალაქეებს (მუხლი 3(2)).

უნდა აღინიშნოს, რომ სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენცია-

ზე შეტანილ იქნა ფუნდამენტური ცვლილება ავტორთა დაცვის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. თუ ბრიუსელის 1948 წლის აქტის შესაბამისად, მოქმედებდა მხოლოდ დაცვის ტერიტორიული პრინციპი, ანუ დაცვის გარცელებისათვის პირველი გამოქვეყნება უნდა მომხდარიყო კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, სტოკჰოლმის აქტის მიხედვით, იმ ავტორთა ნაწარმოებებს, რომლებიც არიან კავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები ან გააჩნიათ იქ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, კონვენცია იცავს მიუხედავად იმისა გამოქვეყნებულია თუ არა ნაწარმოები და სად გამოქვეყნდა პირველად – კავშირში შემავალსა, თუ სხვა ქვეყანაში.

კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისა და არქიტექტურული (ან ხელოვნების) ნაწარმოებების შემთხვევაში, კონვენციით გათვალისწინებული დაცვა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ არ არის შესრულებული მუხლით 3(1) დადგენილი „მოქალაქეობის“ და „ტერიტორიული“ კრიტერიუმები (მუხლი (4)).

კერძოდ, მუხლის 4(ა) თანახმად, დაცვა ვრცელდება იმ კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ავტორებზე, რომელთა დამამზადებელს შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში აქვს. მუხლი 4(ბ) ითვალისწინებს დაცვის მინიჭებას კავშირის რომელიმე ქვეყანაში აგებული არქიტექტურული ნაწარმოებების ავტორებისათვის ან ხელოვნების იმ სხვა ნაწარმოებების ავტორებისათვის, რომლებიც შეადგენენ კავშირს რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს.

დაცვის დამატებითი პირობა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით პირველად გაჩნდა სტოკჰოლმის 1967 წლის აქტში, რამაც გაზარდა დაცული კინემატოგრაფიული ნაწარმოებების რაოდენობა, რითაც დაინტერესებული იყვნენ როგორც ფილმის დამამზადებლები, ისე ავტორები.

კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, კავშირის წევრ ქვეყნებში ავტორთა დაცვისათვის აუცილებელი პირობები ძირეულად განსხვავდებიან იმის მიხედვით, არიან ავტორები კავშირში შემავალი ქვეყნების მოქალაქეები, თუ არარეზიდენტები. კერძოდ, კავშირში შემავალი ქვეყნების მოქალაქეების საავტორო უფლებები დაცულია როგორც მათ გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე, ხოლო თუ ავტორი არ არის კავშირის ქვეყნის მოქალაქე, მასზე დაცვის უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოები პირველად (ან ერთდროულად) გამოქვეყნდა კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში.

ნაწარმოები გამოქვეყნებულად მიიჩნევა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში, თუ ის გამოქვეყნდა ორ ან მეტ ქვეყანაში მისი პირველი გამოქვეყნებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში (მუხლი 3 (4)).

როგორც ვხედავთ, არარეზიდენტ პირებზე მათზე დაცვის გავრცელების კრიტიკულ პირობას ნაწარმოების გამოქვეყნება ნაწარმოად გენს. ამასთან, დაცული უნდა იყოს მეორე პირობაც – ნაწარმოები პირველად უნდა გამოქვეყნდეს კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში ან ერთდროული უნდა გამოქვეყნდეს ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში და კავშირის ქვეყანაში.

გამოთქმა „გამოქვეყნებული ნაწარმოებები“ კონვენციის მუხლის 3(3) შესაბამისად, ნიშნავს ავტორების თანხმობით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, ასლების დამზადების საშუალებების მიუხედავად, იმ პირობით, რომ ასეთი ასლების რაოდენობა, ნაწარმოების ხასიათის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს.

ტერმინი – „გამოქვეყნებული ნაწარმოებები“ არ მოიცავს ნაწარმოების შესრულებას, საჯარო გადაცემას, ხელოვნების ნაწარმოების გამოფენას, არქიტექტურული ნაწარმოების აგებას და სხვა. მაგალითად, თუ კავშირში შემავალ ქვეყნებში ან მათ გარეთ შესრულდა ნაწარმოები იმ ავტორისა, რომელიც არ არის კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქე, მასზე არ ვრცელდება კონვენციით გათვალისწინებული დაცვა, რადგან, კონვენციის თანახმად, ნაწარმოების შესრულება არ მიიჩნევა ნაწარმოების გამოქვეყნებად.

### **ეროვნული რეჟიმი, კონვენციური უფლებები და წარმოშობის ქვეყანა**

5(1) მუხლის თანახმად, ავტორები იმ ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც დაცულია კავშირის ქვეყნებში, გარდა წარმოშობის ქვეყნისა, სარგებლობენ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით (ეროვნული რეჟიმი) და იმ უფლებებით, რომლებიც გარანტირებულია კონვენციით (კონვენციური უფლებები).

როცა ავტორი ითხოვს დაცვას წარმოშობის ქვეყანაში, მისი დაცვა შემოიფარგლება ამ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით (მუხლი 5(3)) და მასზე არ ვრცელდება კონვენციით გათვალისწინებული დაცვა.



5(4) მუხლის თანახმად, წარმოშობის ქვეყნად ითვლება:

- კავშირის რომელიმე ქვეყანაში ნაწარმოების პირველადი გამოქვეყნების შემთხვევაში – ეს ქვეყანა; ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში კავშირის რამდენიმე ქვეყანაში, რომლებიც დაცვის სხვადასხვა ვადას ითვალისწინებენ – ის ქვეყანა, რომლის კანონმდებლობითაც დადგენილია დაცვის უმოკლესი ვადა;
- ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში იმ ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში და კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში – ეს უკანასკნელი ქვეყანა;
- იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებები არ არის გამოქვეყნებული ან პირველადაა გამოქვეყნებული ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, კავშირის სხვა რომელიმე ქვეყანაში ერთდროული გამოქვეყნების გარეშე, ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის ავტორი, იმ პირობით, რომ: ა) კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში, რომელთა დამამზადებელს შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი აქვს კავშირის ქვეყანაში, წარმოშობის ქვეყნად უნდა ჩაითვალოს ეს ქვეყანა, და ბ) კავშირის ქვეყანაში აგებული არქიტექტურული ნაწარმოებების შემთხვევაში, ან ხელოვნების სხვა ნაწარმოებების შემთხვევაში, რომლებიც შეადგენს კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს, წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა ეს ქვეყანა.

### **ავტორიატური დაცვა და დაცვის დამოუკიდებლობა**

5(2) მუხლი ადგენს, რომ 5(1) მუხლით გათვალისწინებული უფლებების არსებობა და მათი გამოყენება არ არის დამოკიდებული რაიმე ფორმალური მოთხოვნების შესრულებაზე ისევე, როგორც ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დაცვის არსებობაზე. დაცვის ფარგლები და ავტორისათვის თავისი უფლებების დასაცავად მინიჭებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, გარდა კონვენციის დებულებებისა, რეგულირდება მხოლოდ იმ ქვეყნის კანონებით, სადაც მოითხოვება დაცვა.

ამ მუხლში ჩამოყალიბებულია კონვენციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – ნაწარმოებზე საავტორო უფლებები წარმოიშვება ავტომატურად, ყოველგვარი ფორმალური მოთხოვნების შესრულების გარეშე. ამგვარი ფორმალური მოთხოვნები შეიძლება იყოს ნაწარმოების შესანახად გადაცემა, მისი რეგისტრაცია სამთავრობო ან საჯარო დანესებულებაში, სარეგისტრაციო საფასურების გადახდა და სხვა.



5(2) მუხლის მოთხოვნა უფლებების ავტომატურ წარმოშობაზე ეხება მხოლოდ კონვენციურ უფლებებს. ის არ ეხება დაცვის პირობებს, რომელიც ვრცელდება ნაწარმოებზე წარმოშობის ქვეყანაში.

ფაქტიურად, კავშირის ქვეყანას შეუძლია იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოშობილია ამ ქვეყანაში, უფლებების წარმოქმნა და გამოყენება დაუკავშიროს ფორმალური მოთხოვნების შესრულებას, რაც ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს. მაგრამ, კონვენციის 5(2) მუხლიდან გამომდინარე, ნაწარმოების ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს დაცვა კავშირის სხვა ქვეყნებში ყოველგვარი ფორმალური მოთხოვნების შესრულების გარეშე. იგივე ეხება კონვენციით გარანტირებულ უფლებებსა და დაცვის ხანგრძლივობას.

### უფლებათა ნაცვალება

6(1) მუხლის თანახმად, თუ რომელიმე ქვეყანა, რომელიც არ შედის კავშირში, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს იმ ავტორების ნაწარმოებების დაცვას, რომლებიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეა, ამ უკანასკნელ ქვეყანას შეუძლია მიიღოს საპასუხო ზომები და შეზღუდოს შესაბამისი ქვეყნის ავტორების ნაწარმოებების დაცვა. ამდენად, ამ მუხლს კონვენციაში შემოაქვს ნაცვალების პრინციპი არარეზიდენტი ავტორების მიმართ.

როგორც აღვნიშნავდით, მუხლებიდან 3(1)(ბ) და 5(1) გამომდინარე, არარეზიდენტი ავტორები კავშირის წევრ ქვეყანაში, სადაც ნაწარმოები პირველად იქნა გამოქვეყნებული, სარგებლობენ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვით, ხოლო კავშირის სხვა ქვეყნებში მათზე ვრცელდება როგორც ეროვნული რეჟიმით, ისე ბერნის კონვენციით გათვალისწინებული დაცვა. მუხლი 6(1) ითვალისწინებს, რომ დაცვა არარეზიდენტი ავტორების ნაწარმოებებზე შეიძლება შეიზღუდოს, თუკი კავშირის მონაწილე ქვეყნების მოქალაქეები არ სარგებლობენ ნაცვალებით იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეებსაც ეს ავტორები წარმოადგენენ.

ამ შეზღუდვას არა აქვს ფართო ხასიათი, რაც მთლიანობაში იმოქმედებდა კავშირის ქვეყნებსა და კავშირის გარეთ მყოფ ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე, ის გაცილებით ვიწრო ხასიათისაა და ეხება მხოლოდ იმ ქვეყანას, სადაც პირველად მოხდა გამოქვეყნება და იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეცაა ავტორი.

მაგრამ, თუ პირველი გამოქვეყნების ქვეყანამ შეზღუდა არარეზიდენტი ავტორის უფლებები, მაშინ 6(1) მუხლის მეორე

წინადადების შესაბამისად, კავშირის სხვა ქვეყნებს ეძლევა უფლება აღნიშნულ ავტორს მიანიჭონ ისეთივე უფლებები, როგორც მას ექნება პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში.

6(1) მუხლი იძლევა დაცვაზე უფლებების შემლუდვის, მაგრამ არა დაცვაზე მთლიანად უარის თქმის საშუალებას. თუ რა შემლუდვებს დაანესებს ქვეყანა, ეს უშუალოდ ქვეყნის პრეროგატივაა.

6(1) მუხლის მოქმედება ვრცელდება ავტორებზე, რომლებიც პირველი გამოქვეყნების თარიღისათვის კავშირის გარეთ მყოფი ქვეყნის მოქალაქეები არიან და არა აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში.

6(2) მუხლის თანახმად, 6(1) მუხლით დაწესებულ ზომებს არ გააჩნია უკუქმედების ძალა. კერძოდ, შემლუდვები არ ახდენენ გავლენას იმ უფლებებზე, რომლებიც ავტორს მიღებული აქვს კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში ამ შემლუდვების დაწესებამდე.

6(3) მუხლი შეიცავს პროცედურული ხასიათის მოთხოვნებს იმ შეტყობინებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გააკეთოს კავშირის წევრმა ქვეყანამ მის მიერ დაწესებული შემლუდვების თაობაზე.

ეს შეტყობინება წერილობითი განცხადების სახით ეგზავნება ისმო-ს გენერალურ დირექტორს და განსაზღვრავს ქვეყნებს, რომელთა მიმართაც შემლუდვებია დაწესებული და იმ შემლუდვებს, რომლებიც ვრცელდება ამ ქვეყნების მოქალაქე ავტორების ნაწარმოებებზე. გენერალური დირექტორის მოვალეობაა აცნობოს ამ შეტყობინებების თაობაზე კავშირის მონაწილე ქვეყნებს.

წერილობითი განცხადების გაგზავნა გენერალური დირექტორის სახელზე არ ხდება შემლუდვის დაწესების აღიარების მიზნით, მას მხოლოდ ინფორმაციული დატვირთვა აქვს.

ქვეყანა, რომელმაც დაანესა შემლუდვები, არ არის ვალდებული აცნობოს ამის შესახებ იმ ქვეყანას, რომელზეც ვრცელდება ეს შემლუდვები.

ამ მუხლით დაწესებული პროცედურული მოთხოვნების მიზანია, რომ შეტყობინება შემლუდვის შესახებ ცნობილი გახდეს კავშირის ყველა ქვეყნისათვის, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ ან არ გამოიყენონ მუხლით 6(1) მინიჭებული უფლება ანალოგიური შემლუდვების შემოღების თაობაზე.

## თავი V ქონებრივი უფლებები

ქონებრივი უფლებების ცნება, შესრულებისა და რეპროდუცირების უფლებების სახით, საწყისს იღებს ფრანგულ კანონმდებლობაში იმ დროიდან, როცა მიღებულ იქნა პირველი დეკრეტები საავტორო უფლებებთან დაკავშირებით (1791-1793 წლები – Decree of January 13-19 და Decree of July 19-24). შემდგომ, ეს ცნება მკვიდრდება სამოქალაქო სამართლის სხვა ქვეყნებშიც.

რეპროდუცირებისა და ინფორმაციის გავრცელების ტექნიკურ საშუალებათა განვითარებასთან ერთად, იზრდება იმ უფლებათა ჩამონათვალიც, რომლებიც შეადგენს ქონებრივ უფლებებს.

სამოქალაქო სამართლის ქვეყნების უმეტესობასა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობებში მოცემულია ქონებრივ უფლებათა ამომწურავი ჩამონათვალი.

ამ თვალსაზრისით, განსხვავებულია გერმანული და ფრანგული კანონმდებლობები. ამ ქვეყნების კანონებში ქონებრივი უფლებები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად, რომლებსაც წარმოადგენს ნაწარმოების მატერიალური ფორმით რეპროდუცირებისა და ნაწარმოების არამატერიალური ფორმით საჯარო გავრცელების უფლებები. ამ ქვეყნებში დამკვიდრებული კონცეფციის მიხედვით, ყველა ქონებრივი უფლება განიხილება როგორც ამ ორი ძირითადი კატეგორიის კონკრეტული გამოვლინება, რაც აღნიშნული ფართო ცნებების, ნაწარმოების გამოყენების ახალ ფორმებზე გავრცელების საშუალებას იძლევა.

ბერნის კონვენცია ავტორებს ანიჭებს რიგ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად სახეობებად: რეპროდუცირების უფლება, თარგმნისა და გადაამუშავების უფლება, გავრცელების უფლება და საჯარო გაცნობის უფლება. არსებობს სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი უფლებებიც, რომლებიც არც ერთ აღნიშნულ კატეგორიას არ მიეკუთვნება. ავტორთა ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია კონვენციის შემდეგ მუხლებში:

- გეპირი გამოსვლების, მიმართვების და სხვა ამგვარი ხასიათის ნაწარმოებების კრებულის შედგენის უფლება (მუხლი 2<sup>bis</sup>(3));
- თარგმნის უფლება (მუხლი 8);

- ნაწარმოების ნებისმიერი სახით ან ფორმით რეპროდუცირების უფლება (მუხლი 9);
- დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით საჯარო შესრულების უფლება (მუხლი 11(1)(i));
- დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების შესრულების ნებისმიერი საშუალებით საჯარო გადაცემის უფლება (მუხლი 11(1)(ii));
- დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების თარგმანთან დაკავშირებული უფლება (მუხლი 11(2));
- ეთერით ან საჯარო გადაცემის ნებისმიერი სხვა უსადენო საშუალებით ნიშნების, ხმების, ან გამოსახულებების გადაცემის უფლება (მუხლი 11<sup>bis</sup>(1)(i));
- ეთერით გადაცემული ნაწარმოებების სადენით საჯარო გადაცემის ან ეთერით ხელახალი გადაცემის უფლება (მუხლი 11<sup>bis</sup>(1)(ii));
- ეთერით გადაცემული ნაწარმოებების საჯარო გადაცემის უფლება ხმამაღლამოლაპარაკით ან სხვა ნებისმიერი ანალოგიური ხელსაწყოთა მეშვეობით (მუხლი 11<sup>bis</sup>(1)(iii));
- ლიტერატურული ნაწარმოებების საჯარო წაკითხვის უფლება (მუხლი 11<sup>ter</sup>(1)(i));
- ლიტერატურული ნაწარმოებების წაკითხვის საჯარო გადაცემის უფლება (მუხლი 11<sup>ter</sup>(1)(ii));
- ლიტერატურის ნაწარმოებების თარგმანის საჯარო წაკითხვისა და საჯარო გადაცემის უფლება (მუხლი 11<sup>ter</sup>(2));
- გადამუშავების, არანაწილებისა და სხვა ცვლილების უფლება (მუხლი 12);
- კინემატოგრაფიული გადამუშავების უფლება (მუხლი 14(1)(i));
- ნაწარმოების კინემატოგრაფიული გადამუშავების, რეპროდუცირებისა და ამგვარად გადამუშავებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების გავრცელების უფლება (მუხლი 14(1)(ii));
- ნაწარმოების კინემატოგრაფიული გადამუშავების საჯარო შესრულებისა და სადენით საჯარო გადაცემის უფლება (მუხლი 14(1)(iii));
- „droit de suite“ ხელოვნების ნაწარმოებების ორიგინალბთან და მწერლებისა და კომპოზიტორების ხელნაწერების ორიგინალბთან დაკავშირებით (მუხლი 14<sup>ter</sup>).

## რეპროდუქციის უფლება

რეპროდუქცირება, საზოგადოდ, ნიშნავს ნაწარმოების ასლების დამზადებასთან დაკავშირებულ ქმედებას. რეპროდუქციის უფლება ავტორის ფუძემდებლურ უფლებას წარმოადგენს.

ლიტერატურული ნაწარმოების რეპროდუქციის შედეგს წარმოადგენს ამ ნაწარმოების ტექსტის ხელნაწერი ან დაბეჭდილი ასლები. იგივე შეიძლება ითქვას დრამატული ნაწარმოების ტექსტის ან მუსიკალური ნაწარმოების ნოტების ასლებზე.

ხელოვნების ნაწარმოების რეპროდუქცირება შეიძლება მოხდეს ხელით, ფოტოგრაფირების, ან სხვა საშუალებით. სკულპტურული ნაწარმოების შემთხვევაში რეპროდუქცირება შეიძლება გამოიხატოს სკულპტურის ზუსტი ასლის დამზადებაში.

ლიტერატურის, დრამატული თუ მუსიკალური ნაწარმოების რეპროდუქცირება შეიძლება განხორციელდეს, ასევე, ხმოვანი ან აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების სახით. ვიზუალური ჩანაწერის ხერხების გამოყენებით შეიძლება მოხდეს ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუქცირება.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ქსელების ფართო გამოყენებამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა რეპროდუქციის ცნებაში, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ისმო-ს ინტერნეტ-ხელშეკრულებებში.

ბერნის კონვენციის მუხლის 9(1) თანახმად, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ ამ ნაწარმოებების ნებისმიერი სახით ან ფორმით რეპროდუქცირებაზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება, რომელიც ბერნის კონვენციაში ჩართულ იქნა სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციაზე.

ამ დრომდე მიიჩნევდნენ, რომ ეროვნულ კანონმდებლობებში ადრეული პერიოდიდან არსებული უნებართვო ბეჭდვასა და ასლების გამრავლებასთან დაკავშირებული მუხლები სავსებით საკმარისია ავტორთა უფლებების დასაცავად. სტოკჰოლმის კონფერენციამ დაადგინა, რომ რეპროდუქციის უფლება უნდა იყოს სპეციალურად გარანტირებული ბერნის კონვენციით.

მუხლი 9(3) ითვალისწინებს, რომ „ამ კონვენციის მიზნებისათვის ხმის ან გამოსახულების ჩანაწერი მიიჩნევა რეპროდუქცირებად“.

ეს დებულება ჩართულ იქნა კონვენციაში იმის ნათელსაყოფად, რომ ნაწარმოების ასლების დამზადების ანალოგიურად, ხმისა და გამოსახულების ჩანერა წარმოადგენს ნაწარმოების რეპროდუცირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებების რეპროდუცირების უფლებების საყოველთაო აღიარებამდე, ბერლინის 1908 წლის აქტით ეს უფლება ვრცელდებოდა მხოლოდ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე.

ამჟამად, კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით, ეს უფლებები ბერნის კონვენციის 14(1)(i) მუხლში ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ ამ ნაწარმოებების კინემატოგრაფიულ გადამუშავებაზე და რეპროდუცირებაზე და ამგვარად გადამუშავებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების გავრცელებაზე“.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლის შესაბამისად, ავტორებს რეპროდუცირების უფლების გარდა, აქვთ კინემატოგრაფიული გადამუშავებისა და კინემატოგრაფიული ნაწარმოების გავრცელების უფლება. აღნიშნული უფლებების ტრიადის ერთდროული არსებობა განპირობებულია იმ მართვი მოსაზრებით, რომ გადამუშავების უფლება აზრს ვარგავს, თუ არ მოხდა გადამუშავებული ნაწარმოების ფირზე ჩანერა (რეპროდუცირება) და შემდგომ საბოლოო კინემატოგრაფიული პროდუქციის გავრცელება ეკრანზე დემონსტრირების მიზნით.

### **თარგმნის და გადამუშავების უფლება**

თარგმნასთან დაკავშირებით უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ორი უფლება – ავტორის განსაკუთრებული უფლება ნება დართოს თავის ნაწარმოების თარგმანზე (მუხლი 8) და მთარგმნელის უფლება თარგმანის, როგორც ორიგინალური ნაწარმოების დაცვაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებების დაცვით (მუხლი 2(3)).

მე-12 მუხლის თანახმად, ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავისი ნაწარმოების გადამუშავების, არანაწარმოებისა და სხვა ცვლილებების ნებართვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონვენციის 14(1)(i) მუხლი ადგენს მათი ნაწარმოებების კინემატოგრაფიული გადამუშავების განსაკუთრებულ უფლებას. მაგალითად, რომანის ავტორის უფლებაა ნება დართოს ან აკრძალოს ფილმის გადაღება მისი რომანის საფუძველზე.



14(2) მუხლის თანახმად, ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოების ნაწილობრივი გადამუშავებით მიღებული კინემატოგრაფიული პროდუქტის გადამუშავება ნებისმიერ მხატვრულ ფორმად საჭიროებს ორიგინალური ნაწარმოების ავტორისაგან ნებართვის მიღებას. მაგალითად, თუ რომანის საფუძველზე შექმნილია კინემატოგრაფიული ნაწარმოები, ხოლო ამ უკანასკნელის გადამუშავების შედეგად განზრახულია დაიდგას პიესა, ამის განსახორციელებლად საჭირო იქნება ნებართვის მიღება, როგორც კინემატოგრაფიული ნაწარმოების, ისე რომანის ავტორისაგან.

### **გავრცელების უფლება**

გავრცელების უფლება დაკავშირებულია ავტორის უფლებასთან გააკონტროლოს თავისი ნაწარმოების ასლების გავრცელება. ავტორის უფლება ნება დართოს ან აკრძალოს თავისი ნაწარმოების ასლების გავრცელება საზოგადოებაში, აღიარებულია ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობით. მიუხედავად მრავალი ცდისა, ბერნის კონვენციის მიერ არ იქნა აღიარებული ზოგადად ავტორის უფლება გავრცელებაზე. ავტორის ეს უფლება აღიარებულია მხოლოდ ერთი სახის ნაწარმოების – კინემატოგრაფიული ნაწარმოების მიმართ (მუხლი 14(1)(i)).

კონვენციიდან გამომდინარე, მაგალითად, იმ ფილმის ფირი, რომელშიც გამოყენებულია ნაწარმოები (რომანი, სცენარი, ჩანერილი მუსიკა და სხვა), განხილულ უნდა იქნეს, როგორც კინემატოგრაფიული რეპროდუქცია და გამოყენებული ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს ამ ფილმის ასლების გავრცელებას.

### **საჯარო გაცნობის უფლება**

დებულებები, რომლებიც ადგენენ ავტორის უფლებას გაცნოს თავისი ნაწარმოებები საზოგადოებას მოცემულია ბერნის კონვენციის მუხლებში: 11, 11<sup>bis</sup>, 11<sup>ter</sup>, 14.

ნაწარმოების საჯარო გაცნობა შეიძლება მოხდეს მისი საჯარო შესრულებით ან საჯარო გადაცემით სადენის (კაბელი)<sup>1</sup>, ეთერის, ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

მე-11 მუხლი ეხება დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების

<sup>1</sup> ბერნის კონვენციის ინგლისურენოვან ტექსტში გამოყენებულია ტერმინი „სადენი“ (wire). თანამედროვე ლიტერატურაში „სადენი“-ს მაგივრად, ძირითადად, გამოიყენება ტერმინი „კაბელი“.

საჯარო შესრულებას უშუალოდ აუდიტორიის წინაშე ან ასეთი ნაწარმოებების შესრულების საჯარო გადაცემას.

მუხლი 11(1)(i) ადგენს, რომ დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებით ნება დართონ თავისი ნაწარმოებების საჯარო შესრულებაზე, მათ შორის, ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით საჯარო შესრულებაზე.

ეს მუხლი ეხება ნაწარმოების უშუალო შესრულებას აუდიტორიის თანდასწრებით, მაგალითად, თეატრის სცენაზე, საკონცერტო დარბაზში ან ნებისმიერ გასართობ ადგილას (რესტორანი, კაბარე და სხვა). გამოთქმა – „ნებისმიერი საშუალებებით ან ხერხით“ კი მოიცავს ნაწარმოების შესრულებას საზოგადოების წინაშე ჩანაწერების გამოყენებით. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც აუდიო-ვიზუალურ, ისე ხმოვან ჩანაწერს.

მუხლი 11(1)(ii) დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს ანიჭებს მათი ნაწარმოებების შესრულების საჯარო გადაცემის უფლებას ნებისმიერი საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლში გამოყენებულია გამოთქმა – „ნებისმიერი საშუალებით საჯარო გადაცემის უფლება“, ის არ მოიცავს ეთერში გადაცემას (მუხლი 11<sup>bis</sup>) და ეხება საჯარო გადაცემას სადენით, ხმამაღლამოლაპარაკით ან სხვა საშუალებით. სადენით გადაცემის მაგალითია შესრულების გადაცემა საკაბელო არხის აბონენტთათვის უშუალოდ ნაწარმოების შესრულების ადგილიდან.

მუხლი 11(2) დრამატული, მუსიკალურ-დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოებების ავტორების უფლებებს, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ მუხლით 11(1), ავრცელებს ამ ნაწარმოებების თარგმანებზე. მაგალითად, პიესის ავტორს ქართულ ენაზე აქვს უფლება: ჯერ ერთი, ნება დართოს მისი პიესის ნებისმიერ სხვა ენაზე თარგმანზე (მუხლი 8) და მეორე – ნება დართოს მის ამ ენაზე შესრულებაზე მუხლის 11(2) თანახმად. თარგმანის ავტორს, თავის მხრივ, აგრეთვე, გააჩნია უფლება ნება დართოს თარგმნილი პიესის შესრულებაზე.

მე-11 მუხლთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი მოიცავს მხოლოდ დრამატულ, მუსიკალურ-დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებებს და არა აქვს შეხება ლიტერატურის ნაწარმოებებთან. გასაგები მიზეზების გამო, შესრულების უფლება არ ვრცელდება ხელოვნების ნაწარმოებებზე.

მუხლის 11<sup>bis</sup>(1) დებულებები დაკავშირებულია ნაწარმოებების ეთერში გადაცემასთან, საეთერო გადაცემების რეტრანსლაციასა და სადენით (კაბელი) ხელახალ გადაცემასთან, აგრეთვე, ეთერით გადაცემული ნაწარმოების საჯარო გადაცემასთან ხმა-მაღლამოლაპარაკით, ან ნიშნების, ხმების ან გამოსახულებების გადამცემი ნებისმიერი ანალოგიური ხელსაწყოს მეშვეობით.

მუხლი 11<sup>bis</sup>(1)(i) ადგენს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ უფლება ნება დართონ მათი ნაწარმოებების ეთერით გადაცემაზე ან ამ ნაწარმოებების საჯარო გადაცემაზე ნიშნების, ხმების, ან გამოსახულებების უსადენო გადაცემის ნებისმიერი სხვა საშუალებებით. ეს უფლება ეხება როგორც რადიო (ხმების), ისე სატელევიზიო (გამოსახულებები და ხმები) გადაცემებს.

მუხლი 11<sup>bis</sup>(1)(ii) მოიცავს საჯარო გაცნობის უფლების ორ ასპექტს – უფლებას ეთერით გადაცემული ნაწარმოების ხელახალ გადაცემაზე სადენით (კაბელი) ან მის რეტრანსლაციაზე ეთერის მეშვეობით. ეს უფლებები ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც გადაცემა ახორციელებს არა პირვანდელი, არამედ სხვა ორგანიზაცია.

ეთერში გადაცემული ნაწარმოების სადენით ხელახალი გადაცემის დროს, საკაბელო არხის ოპერატორი იღებს საეთერო გადაცემას და შემდგომ ავრცელებს მას საკაბელო ქსელით, რომელშიც ჩართული არიან აბონენტები. საავტორო უფლებები არ მოქმედებს, თუ სამაუწყებლო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს ეთერით გადაცემას (შემდგომ სამაუწყებლო ორგანიზაცია), ეკუთვნის საკაბელო არხი, რომლითაც ხდება შემდგომი გადაცემა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლის შესაბამისად, ერთ ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე და ნაწარმოების ეთერით გადაცემასა და სადენით ხელახალ გადაცემაზე ავტორისაგან მხოლოდ ერთი ნებართვის აღებაა საჭირო, ავტორს ნებისმიერ შემთხვევაში რჩება უფლება სამაუწყებლო ორგანიზაციასთან კონტრაქტის გაფორმებისას, თავის სურვილისამებრ, შეზღუდოს გაცემული ნებართვის ფარგლები. ეს საკითხი საერთაშორისო პრაქტიკაში ხანგრძლივი დებატებისა და სასამართლო გარჩევების საგანი იყო.

მეორე შემთხვევა, რომელიც რეგულირდება ასევე 11<sup>bis</sup>(1)(ii) მუხლით, ეხება სიტუაციას, როცა ეთერით გადაცემის ხელახალი გადაცემა ხდება ისევ ეთერის საშუალებით, ანუ ადგილი აქვს ე.წ. რეტრანსლაციას.

იმ შემთხვევაში, თუ ხელახალი გადაცემა ხდება სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ, ეს ორგანიზაცია საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ავტორისაგან. თუკი ხელახალ გადაცემას ახორციელებს იგივე სამაუწყებლო ორგანიზაცია, გადაცემის პირობები განისაზღვრება ავტორისა და ამ ორგანიზაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

მუხლის 11<sup>bis</sup>(1)(iii) თანახმად, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორის უფლებაა ნება დართოს ეთერში გადაცემული ნაწარმოების საჯარო გაცნობისათვის გადაცემაზე ხმამაღლამოლაპარაკით, ნიშნების, ხმების ან გამოსახულებების გადამცემი ნებისმიერი სხვა ანალოგიური ხელსაწყოთა მეშვეობით.

მაგალითად, თუ ხმამაღლამოლაპარაკე მოთავსებულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, მაშინ იმისათვის, რომ ხმამაღლამოლაპარაკით გადაიციეს გადაცემა საჭიროა ეთერით გადაცემული ნაწარმოების ავტორის ნებართვა. ეს უფლება, ასევე, მოიცავს შემთხვევას, როცა საზოგადოებრივ ადგილში მოთავსებულია სატელევიზიო ეკრანი, რომლის საშუალებითაც საზოგადოების წარმომადგენლები თვალს ადევნებენ გადაცემას.

მუხლის 11<sup>ter</sup>(1)(i) თანახმად, ლიტერატურის ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ თავისი ნაწარმოებების საჯარო წაკითხვაზე, მათ შორის, ნებისმიერი საშუალებებით ან ხერხით განხორციელებული საჯარო წაკითხვის ჩათვლით. ეს მუხლი ანალოგიურია მუხლისა 11(1)(i), რომელიც ეხება დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულებას. ფრაზა – „ნებისმიერი საშუალებებით ან ხერხით“ ეხება წაკითხვას საჯარო გაცნობის მიზნით, ხმოვანი ან აუდიო-ვიზუალური ჩანაწერის გამოყენებას.

11<sup>ter</sup>(1)(ii) მუხლის შინაარსი 11(1)(ii) მუხლის ანალოგიურია. ის ადგენს ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის განსაკუთრებულ უფლებას ნაწარმოების საჯარო გადაცემაზე, გარდა ეთერით გადაცემისა.

ავტორის უფლება ნაწარმოების წაკითხვის ეთერით გადაცემაზე, ხელახალ გადაცემაზე ეთერით, სადენით, ხმამაღლამოლაპარაკით ან სხვა ანალოგიური საშუალებებით, დადგენილია 11<sup>bis</sup>(1) მუხლით, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი.

ლიტერატურის ნაწარმოების ავტორს, ასევე, აქვს განსაკუთრებული უფლება ნაწარმოების თარგმანის საჯარო წაკითხვაზე, მათ შორის,

ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით საჯარო გადაცემაზე (მუხლი 11<sup>ter</sup>(2)).

ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორებს აქვთ უფლება ნება დართონ კინემატოგრაფიულად გადამუშავებული და რეპროდუცირებული ნაწარმოებების საჯარო შესრულებაზე და სადენით საჯარო გადაცემაზე 14(1)(ii). მაგალითად, ავტორი რომანისა, რომელიც დაედო საფუძვლად კინემატოგრაფიულ ნაწარმოებს უფლებამოსილია ნება დართოს ან აკრძალოს ფილმის საჯარო შესრულება და სადენით საჯარო გადაცემა. ფილმის ეთერით გადაცემა ან ამ გადაცემის ეთერით ან სადენით (კაბელი) ხელახალი გადაცემა მუხლის 11<sup>bis</sup>(1) საფუძველზე, საჭიროებს რომანის ავტორის ნებართვას.

### **„Droit de suite“ ხელოვნების ნაწარმოებებსა და ხელნაწერებსა**

მუხლი 14<sup>ter</sup>(1) ადგენს, რომ ავტორები ხელოვნების ნაწარმოებების ორგინალებთან და მწერლებისა და კომპოზიტორების ხელნაწერებთან დაკავშირებით, მათი პირველი დათმობის შემდეგ, ნაწარმოების ყოველი გაყიდვისას სარგებლობენ წილობრივი მონაწილეობის განსაკუთრებული უფლებით „droit de suite“. ამ მუხლში სიტყვა „ორიგინალი“ გამოყენებულია ნაწარმოების პირველად გამოქვეყნებული ნაწარმოების მნიშვნელობით.

ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვა არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კავშირის ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, საიდანაც არის ავტორი, იძლევა ასეთივე შესაძლებლობას. წილის სიდიდე ეფუძნება ნაცვალგების პრინციპს (მუხლი 14<sup>ter</sup>(2)).

თანხის ოდენობისა და შეგროვების პროცედურის დადგენა ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა (მუხლი 14<sup>ter</sup>(3)).

## **თავი VI**

### **პირადი არაქონებრივი უფლებები**

თუ ავტორის ქონებრივი უფლებები, ამა თუ იმ ფორმით, აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ XV საუკუნეში, პირადი არაქონებრივი უფლებების სამართლებრივი დაცვა დაიწყო გაცილებით გვიან. მას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და გერმანიაში.

პირადი არაქონებრივი უფლებები გამოხატავს იმ ღრმა პიროვნულ კავშირს, რომელიც გააჩნია ავტორს თავის ნაწარმოებთან. ნაწარმოები შეიძლება მივიჩნიოთ ავტორის განუყოფელ ნაწილად, მისი სულიერი სამყაროს – ფიქრების, აზრების, ემოციების თუ გრძნობების ანარეკლად, რაც გამოიხატება სხვადასხვა ფორმით – ლიტერატურული ნაწარმოების, მუსიკალური კომპოზიციის, ფერწერული ტილოს თუ სხვა სახით.

ისტორიულად, ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებში სამი განმსაზღვრელი ასპექტი წარმოჩნდა:

- ავტორის უფლება მიიღოს გადაწყვეტილება როდის და რა სახით გააცნოს ნაწარმოები საზოგადოებას<sup>2</sup>;
- ავტორის უფლება აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად (ავტორობის უფლება);
- ავტორის უფლება არ დაუშვას მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანა (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება).

პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გადაიღვა საფრანგეთში. XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის სასამართლოებმა, თუმცა, მზღუდული და ჯერ კიდევ გაუმართავი ფორმით, თავის გადაწყვეტილებებში პირველად აღიარეს ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებები. კერძოდ, აღიარებულ იქნა ავტორის უფლება განახორციელოს კონტროლი ნაწარმოების გამოყენებაზე, მასზე ქონებრივი უფლებების გადაცემის შემდეგაც.

მომდევნო ათწლეულებში, საფრანგეთში თანდათანობით მკვიდრდება დოქტრინა ნაწარმოების ხელშეუხებლობის შესახებ, რომელიც სათავეს იღებს, ერთის მხრივ, 1791-1793 წლების რევოლუციური იდეების ფართო ინტერპრეტაციაში, ხოლო მეორე მხრივ, ეყრდნობა სამართალდარღვევებისათვის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

XIX საუკუნის ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში პირადი არაქონებრივი უფლებების ინსტიტუტი უკვე აღმოცენდა, მის პრინციპებს აკლდა კოჰერენტულობა და სახელწოდებაც ჯერ კიდევ არ იყო საყოველთაოდ მიღებული.

საფრანგეთისაგან განსხვავებით, გერმანიაში პირადი არაქონებრივი უფლებების ინსტიტუტის ფორმირება მოხდა ფართო კონცეფციის

2 ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „Divulcation right“.



საფუძველზე, რომელსაც საფუძვლად დაედო გერმანელი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის იმანუილ კანტის იდეები, ჩამოყალიბებული სამართლის პრობლემებისადმი მიძღვნილ მის ნაწერებში. მაგრამ იმ დროს გერმანელ სწავლულებში არ სუფევდა ამ საკითხისადმი ერთიანი მიდგომა. ნაწილი განიხილავდა მას როგორც უბრალოდ ქონებრივი ან მემკვიდრეობითი უფლებების სხვაგვარ გამოვლინებას, მეორენი კი თვლიდნენ, რომ ეს უფლება ძირეულად განსხვავებულია ქონებრივი უფლებებისაგან. მიუხედავად მიდგომებში არსებული სხვაობისა, თანხმობა იყო ერთ საკითხთან მიმართებაში – პირადი არაქონებრივი უფლებების აღიარების და დაცვის აუცილებლობის თაობაზე. ამ მიდგომამ თავისი ასახვა ჰპოვა პრუსიის 1870 (Law of June 11) და გერმანიის 1876 (Law 1876) წლის კანონებში, ხოლო შემდგომ კი – 1901 (Law of June 19 (Literatur-Urherbergesetz) and Publishing Law) და 1907 (Kunst-Urherbergesetz) წლების კანონმდებლობაში.

1920 წლიდან ბერნის კავშირში შემავალი ქვეყნების უმრავლესობაში, ფეხს იდგამს პოზიტიური დამოკიდებულება პირადი არაქონებრივი უფლებების ინსტიტუტისადმი და ის თანდათანობით იწყებს დამკვიდრებას ეროვნულ კანონმდებლობებში. მიუხედავად კანონებში არსებული განსხვავებებისა, ყველა მათგანი აღიარებს ავტორის ძირითად უფლებებს, უფლებას განაცხადოს ნაწარმოების შექმნის თაობაზე, ავტორობის უფლებასა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას.

ამ დროს საფრანგეთის სასამართლოები პირადი არაქონებრივი საავტორო უფლებების დარღვევის შემთხვევაში, უკვე იღებენ გადაწყვეტილებებს ნაწარმოებთა ასლების ბრუნვიდან ამოღების შესახებ.

ეს უფლებები ყველგან მიჩნეულია განუსხვისებლად. მათი გამოყენება ავტორის პრეროგატივაა (მიუხედავად ქონებრივი უფლებების სტატუსისა). მაგრამ, არსებობს განსხვავება პირადი არაქონებრივი უფლებების გამოყენების ხანგრძლივობაში. უკანასკნელი დამოკიდებულია, თუ რა კონცეპტუალურ საფუძველს ეყრდნობა კანონმდებლობით გათვალისწინებული საავტორო უფლებების ინსტიტუტი – მონისტურსა თუ დუალისტურ შეხედულებებს.

მონისტური კონცეფციის შემთხვევაში, ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები მიიჩნეულია მჭიდროდ დაკავშირებულად და ურთიერთდამოკიდებულად. შესაბამისად, მათი დაცვის ხანგრძლივობა ერთნაირია.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, დუალისტური მიდგომა გულისხმობს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების სრულ დამოუკიდებლობას და, აქედან გამომდინარე, თუ ქონებრივი უფლებები შეზღუდულია დროში, პირადი არაქონებრივი უფლებები შეიძლება უვადოდ იყოს დაცული.

მონისტურ შეხედულებებს ეყრდნობა გერმანიისა და ავსტრიის კანონმდებლობა, ხოლო დუალისტურ მიდგომას იზიარებს საფრანგეთი და ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა საფრანგეთის კანონმდებლობის გავლენით არის ჩამოყალიბებული.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, საავტორო უფლებებთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული იყო საერთო სამართლის ქვეყნების სამართლებრივი ხედვა. აქ დამკვიდრებული მიდგომისათვის უცხოა ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებების ფილოსოფია, მისი ყოვლისშემძველი სახით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებები მთლიანად იყო იგნორირებული. დიდი ბრიტანეთის 1862 წლის კანონი „ნატივი ხელოვნების ნაწარმოების საავტორო უფლებების შესახებ“ კრძალავდა ხელოვნების ნაწარმოებში რაიმე ცვლილების შეტანას ავტორის ნებართვის გარეშე, ხოლო პრეცედენტული სამართალი ითვალისწინებდა ზომებს მიმართულს სხვისი სახელის გამოყენების ან შეურაცხყოფის წინააღმდეგ.

ბერნის კონვენცია აღიარებს ორი სახის პირად არაქონებრივ უფლებას – ავტორობის უფლებასა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას (მუხლი 6<sup>bis</sup>(1)). აღნიშნული მუხლი პირველად გაჩნდა კონვენციაში რომის 1928 წლის აქტში.

### ავტორობის უფლება

ნაწარმოების ავტორობის აღიარების უფლება წარმოადგენს პირველ პირად არაქონებრივ უფლებას, რომელიც დაცულია მუხლით 6<sup>bis</sup>(1). არსებითად, ეს ნიშნავს, რომ ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს მისი ავტორობის აღიარება ცხადი და არაორაზროვანი გზით.

მუხლი 6<sup>bis</sup>(1) პირდაპირ არ მიანიშნებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ავტორის იდენტიფიცირება. მაგრამ, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ყველაზე იოლია ეს გაკეთდეს ავტორის სახელის მოთავსებით თვალსაჩინო ადგილზე, მაგალითად, ლიტერატურის ნაწარმოების შემთხვევაში – ნაწარმოების ქვედა ნაწილზე.

ავტორობის უფლება პოზიტიური ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

- ავტორის სახელი არ არის აღნიშნული ნაწარმოების ასლებზე;
- ნაწარმოების ასლების ავტორად მითითებულია სხვა პიროვნების სახელი;
- ძნელია ნაწარმოების ავტორის სახელის გარჩევა ნაწარმოების ასლებზე.

მუხლიდან  $6^{bis}(1)$  ცხადად არ ჩანს, მაგრამ, ავტორობის არსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორობის უფლება ავტორს შეუძლია განახორციელოს ნეგატიური ფორმითაც, მაგალითად, გამოაქვეყნოს ნაწარმოები ფსევდონიმით ან ანონიმურად. არ დაუშვას სხვის ნაწარმოებზე თავისი სახელის, როგორც ავტორის, აღნიშვნა.

### ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება

მუხლის  $6^{bis}(1)$  თანახმად, ავტორის მეორე პირად არაქონებრივ უფლებას ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება წარმოადგენს, რომელიც მუხლში განსაზღვრულია, როგორც ავტორის უფლება „არ დაუშვას ნაწარმოების ნებისმიერი გაუკუღმართება, დამახინჯება, ან სხვაგვარი ცვლილება, აგრეთვე, ამ ნაწარმოების ნებისმიერი სხვა შელახვა, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებას ან რეპუტაციას“.

გამოთქმა „ნებისმიერი დამახინჯება, ხელყოფა ან სხვაგვარი ცვლილება“ საკმარისად ფართოა და მოიცავს ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც შეიძლება შეტანილ იქნეს ნაწარმოებში, მაგრამ, ამავე დროს, შეზღუდულია პირობით, რომ ამ ცვლილებებით ზიანი არ უნდა მიადგეს ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას.

ცვლილებები ნაწარმოებში შეიძლება იყოს ტრივიალური, ტექნიკური ხასიათის, მაგალითად, წიგნის ბეჭდვის დროს დაშვებული ტიპოგრაფიული შეცდომები ან ხელოვნების ნაწარმოების რეპროდუცირების ტექნოლოგიური მიზეზებით დაშვებული ხარვეზები.

შეიძლება ნაწარმოებში შეტანილი იყოს არსებითი ცვლილებები – ავტორის ნებართვის გარეშე ნაწარმოების ტექსტიდან მისი გარკვეული ნაწილის ამოღება ან დამატება, ტექსტის პერიფრაზირება ან შემოკლება. იგივე შეიძლება ითქვას ერთი ჟანრის მუსიკალური ნაწარმოების სხვა ჟანრის ნაწარმოებად გადაკეთებას ან ხელოვნების ნაწარმოების რაიმე სახით მოდიფიცირებაზე.

უფრო რთულსა და დელიკატურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, როდესაც საკითხი ეხება ნაწარმოების გადამუშავებას ავტორის თანხმობით, მაგალითად, როდესაც რომანის საფუძველზე იქმნება კინემატოგრაფიული ნაწარმოები. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, მიუღებელი იქნებოდა ავტორის მოთხოვნა, რომ ფილმი ზუსტად ასახავდეს რომანის ტექსტს, მაგრამ, თავის მხრივ, ამ თვალსაზრისით, ფილმის ავტორების შემოქმედებითი თავისუფლებაც არ შეიძლება იყოს აბსოლუტური.

ამ შემთხვევაში, ავტორის უფლებაა მოითხოვოს რომანის სიუჟეტის, მისი გმირებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების შენარჩუნება, რათა არ მოხდეს მისი ნააზრევის გაუკუღმართება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ეხებოდა ნაწარმოების რეპროდუცირებას და გადამუშავებას, მაგრამ ყოველივე აღნიშნული თანაბრად ვრცელდება ნაწარმოების შესრულების ან საჯარო გაცნობის შემთხვევებზეც, როდესაც დაცული უნდა იყოს, აგრეთვე, ნაწარმოების ხელშეუხებლობის პრინციპი.

## თავი VII შემღუდვები და გამონაკლისები

საავტორო სამართლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე აღიარებულ იქნა გარკვეულ შემთხვევებში საავტორო უფლებების შემღუდვის აუცილებლობა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში.

უფლებების შემღუდვა არ აყენებს ეჭვქვეშ საავტორო უფლებების დაცვის სისტემის დადებით გავლენას ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე. მას შემოაქვს მხოლოდ მაკორექტირებელი ელემენტები, რომლებიც აბალანსებს ავტორებისა და საზოგადოების ინტერესებს ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ეს საკითხი, ბერნის კონვენციის მომზადების პერიოდში, ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო და ასახვა ჰპოვა კონვენციის მთელ რიგ დებულებებში.

ბერნის კონვენციის ნორმები, რომლებიც აწესებს აღნიშნულ შემღუდვებს, შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად. პირველს უკვე შევეხეთ კონვენციის იმ მუხლების განხილვისას, რომელთა

საფუძველზეც ეროვნული კანონმდებლობით დაცვის გავრცელების არიდან შეიძლება გამორიცხულ იქნეს გარკვეული სახის ნაწარმობები. ასეთებად, როგორც ითქვა, შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული ხასიათის ტექსტები და ამგვარი ტექსტების ოფიციალური თარგმანები (მუხლი 2(4)); გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმობები (მუხლი 2(7)); პოლიტიკური ხასიათის გამოსვლები და სასამართლო პროცესების მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები (მუხლი 2<sup>bis</sup>(1)). ჩვენ, ასევე, აღვნიშნეთ, რომ კონვენციის მუხლის 2(8) თანახმად, დაცვა არ ვრცელდება დღის ახალ ამბებსა და სხვადასხვა ფაქტზე, რომელთაც უბრალო პრესინფორმაციის ხასიათი აქვს.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება დებულებები, რომლითაც კავშირის წევრ ქვეყნებს ეძლევათ უფლება დაუშვან ნაწარმობათა თავისუფალი გამოყენება გარკვეული პირობებითა და გარკვეული მიზნებით, მაგალითად, სასწავლო პროცესში, კვლევის მიზნით ან სიახლეების შესახებ რეპორტაჟებში გამოსაყენებლად (მუხლები: 9(2), 10, 2<sup>bis</sup>(2) და 10<sup>bis</sup>).

დებულებების მესამე ჯგუფი წარმოდგენილია მუხლებში 11<sup>bis</sup>(2) და 13. ამ დებულებების შესაბამისად, შესაძლებელია ნაწარმობების გარკვეული სახით გამოყენება ნებართვის გარეშე, მაგრამ სამართლიანი ანაზღაურების პირობით.

აღნიშნული შეზღუდვების დანესების იურიდიული საფუძველი განსხვავებულია ზემოთ განხილული ჯგუფების მიხედვით.

პირველი შემთხვევა ეფუძნება გარკვეული სახის ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების პრინციპს, რაც ფართო საზოგადოების ინტერესების გამოხატულებას წარმოადგენს.

მეორე ჯგუფის დებულებების მოქმედება უფრო ვიწრო ხასიათისაა. ის ითვალისწინებს დაცული ნაწარმობების უნებართვო გამოყენებას, მაგრამ მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული მიზნებისათვის. კერძოდ, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა საავტორო უფლებები შეიძლება იქნეს უგულებელყოფილი საზოგადოების გარკვეული კონკრეტული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

მესამე ჯგუფის დებულებები ეფუძნება „იძულებითი ლიცენზირების“ პრინციპს, როცა ნაწარმობის გამოყენება შესაძლებელია ავტორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მაგრამ ყოველი გამოყენებისათვის შესაბამისი ჰონორარის გადახდის პირობით.

ბერნის კონვენციით, უმეტეს შემთხვევებში, შეზღუდვების დაწესებას არა აქვს სავალდებულო ხასიათი და იგი ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივად არის მიჩნეული.

დებულებებთან, რომლებიც პირველ ჯგუფს შეადგენს, ჩვენ უკვე გვქონდა შეხება მე-2 თავში „დაცული ნაწარმოებების“ განხილვისას. ამჟამად, ჩვენ გავაანალიზებთ მეორე და მესამე ჯგუფის დებულებებს.

### **გამონაკლისები რეპროდუქციების უფლებებთან დაკავშირებით**

როგორც აღვნიშნეთ, ქონებრივი უფლებების განხილვისას, ბერნის კონვენციის 1967 წლის სტოკჰოლმის აქტის მიღებამდე, ბერნის კონვენცია არ სცნობდა ავტორთა განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუქცირებაზე. შესაბამისად, კავშირის ქვეყნებს შეეძლოთ დაეწესებინათ გარკვეული შეზღუდვები ამ უფლებასთან დაკავშირებით, ან საერთოდ უარეყოთ ის.

ამ დროისათვის ეროვნული კანონმდებლობების მიერ უკვე აღიარებული იყო ავტორთა უფლებები რეპროდუქცირებაზე, მაგრამ, იმავდროულად, დაწესებულ იქნა გარკვეული გამონაკლისები მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. კავშირის ქვეყნებში ამ საკითხისადმი მიდგომები არ იყო ერთგვაროვანი და ეროვნული კანონმდებლობებით დადგენილი გამონაკლისების ხასიათი იცვლებოდა ქვეყნიდან ქვეყანაში. კერძოდ, ქვეყნებში, რომლებიც კულტურული განვითარების დონით შედარებით ჩამორჩებოდნენ, რეპროდუქცირების უფლების შეზღუდვები საკმაოდ ფართო იყო (მაგ., ფინეთი), ხოლო, ამ თვალსაზრისით, მონინავე ქვეყნებში (მაგ., საფრანგეთი) დაშვებული გამონაკლისები მკაცრად განისაზღვრებოდა.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, სტოკჰოლმის მე-მთაღნიშნულ კონფერენციაზე, სადაც აღიარებულ იქნა ავტორების უფლება ზოგადად რეპროდუქცირებაზე, მის შეზღუდვებთან დაკავშირებით ქვეყნები შეთანხმდნენ ისეთ ფორმულირებაზე, რომელიც, ერთი მხრივ, არ შეეხებოდა საავტორო უფლებებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობით დაწესებულ გამონაკლისებს, ხოლო, მეორე მხრივ, არ დაუშვებდა ისეთი ხასიათის შეზღუდვებს, რომლებიც პრაქტიკულად არაქმედითს გახდიდა რეპროდუქცირების უფლებას. აღნიშნული დებულებები საბოლოოდ ჩამოყალიბდა კონვენციის მუხლის 9(2) სახით: „კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება, გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაუშვას ასეთი ნაწარმოებების რეპროდუქცირება იმ პირობით, თუ ასეთი



რეპროდუცირება არ აყენებს ზიანს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებასა და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს”.

ამ მუხლით დაწესდა ე.წ. სამსაფეხურიანი ტესტი, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს რეპროდუცირების უფლებების ეროვნული კანონმდებლობით დადგენილმა შეზღუდვებმა, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ წინააღმდეგობაში ბერნის კონვენციასთან.

მუხლის 9(2) თანახმად, შეზღუდვის შემოღება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი სამი პირობის ერთდროული დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- რეპროდუცირება უნდა მოხდეს მხოლოდ გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში;
- არ უნდა აყენებდეს ზიანს ნაწარმოების ჩვეულებრივ (ნორმალურ) გამოყენებას;
- უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

პირველი პირობის თანახმად, რეპროდუცირების უფლების შეზღუდვას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ზოგადი საფუძველი (მაგ., ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები). ის უნდა უკავშირდებოდეს კონკრეტულ მიზნებს, რომლებიც განპირობებული უნდა იყოს განსაკუთრებული შემთხვევებით.

მეორე პირობის შესაბამისად, საავტორო უფლებების შეზღუდვამ ხელი არ უნდა შეუშალოს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას.

ზოგადი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებად უნდა მივიჩნიოთ ნაწარმოების იმ დანიშნულებით გამოყენება, რომელიც ჩვეულებრივ მოსალოდნელია ამ სახის ნაწარმოებისათვის.

სტოკჰოლმის კონფერენციის პირველი მთავარი კომიტეტის ანგარიშის თანახმად, ნაწარმოების ჩვეულებრივი გამოყენების ხელშემშლელ გარემოებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს გარკვეული მიზნით ნაწარმოების ასლების დიდი რაოდენობით დამზადება. მაგრამ რაოდენობრივ მახასიათებელს ვერ მივიღებთ შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად, რადგან გარკვეულ გარემოებებში რამდენიმე ასლიც კი შეიძლება იქცეს ნაწარმოების გამოყენების ხელშემშლელ ფაქტორად. მაგალითად, განსხვავებულად უნდა შეფასდეს სკოლის ორკესტრის საჭიროებისათვის მუსიკალური პარტიტურის ნაწილის ასლების დამზადება და რომანის ნაწყვეტის ასლების დამზადება

მოსწავლეთათვის შესასწავლად.

მესამე პირობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ავტორთა კანონიერი ინტერესების უსაფუძვლო შელახვას, სტოკჰოლმის კონფერენციის პირველმა მთავარმა კომიტეტმა თავისი პოზიცია შემდეგნაირად დააფიქსირა:

„...საკმარისად დიდი რაოდენობით ასლების დამზადება, რომლებიც განკუთვნილია ინდუსტრიულ სანარმოში გამოსაყენებლად... შესაძლებელია უსაფუძვლოდ არ ლახავდეს ავტორის კანონიერ ინტერესებს, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ამისათვის სამართლიანი საზღაურის გადახდას. თუ დამზადებულია მცირე რაოდენობის ასლები, ფოტოკოპირებაზე ნებართვა შეიძლება მიეცეს საზღაურის გადახდის გარეშე. კერძოდ, ინდივიდუალურად და მეცნიერული მიზნით გამოსაყენებლად“.

უნდა აღინიშნოს, რომ სტოკჰოლმის კონფერენციამ არ გაიზიარა ცალკეულ დელეგაციათა წინადადებები, რათა ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით მუხლში 9(2) მოცემული ყოფილიყო იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გავრცელდებოდა რეპროდუცირების უფლებასთან დაკავშირებული გამონაკლისები და, როგორც ვთქვით, შემოიფარგლა ზოგადი ფორმულით.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში რეპროდუცირების უფლებასთან დაკავშირებული გამონაკლისები განსხვავებულია და შეიძლება გამოიყოს ის ძირითადი შემთხვევები, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს მუხლის 9(2) მოთხოვნებს. ასეთი შემთხვევებია:

- რეპროდუცირება ადმინისტრაციული მიზნებისა და სასამართლო წარმოებისათვის;
- რეპროდუცირება პირადი სარგებლობისათვის;
- რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკების, არქივების და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიზნებისათვის;
- ტექსტების სპეციალური ასლების (ბრაილის შრიფტის გამოყენებით) და ხმოვანი ჩანაწერების დამზადება უსინათლოთათვის.

მუხლის 9(2) სამსაფეხურიანი ტესტი არ ეხება რეპროდუცირებასთან დაკავშირებულ გამონაკლისებს, რომლებიც ცალკეა მოცემული კონვენციის 2<sup>bis</sup>(2), მე-10 და 10<sup>bis</sup> მუხლებში. მათ დებულებებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

## სიტყვების მოყვანის უფლება

ბერნის კონვენციით დაშვებული შემდეგი გამონაკლისი დაკავშირებულია რეპროდუცირების უფლებასთან და უკავშირდება ციტატების მოყვანას ნაწარმოებებიდან. ნაწყვეტების ციტირებას ჩვეულებრივ, ადგილი აქვს პოლემიკური და კრიტიკული ხასიათის მასალებში, ისტორიულ ტრაქტატებში, ქრესტომათიული ხასიათის სახელმძღვანელოებში და სხვ. ამგვარი გამონაკლისები დაშვებულია ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობით.

ბერნის კონვენციაში აღნიშნულს ეხება მუხლი 10(1), რომლის მოქმედებას, მუხლისაგან 9(2) განსხვავებით, სავალდებულო ძალა აქვს კავშირის ქვეყნებისათვის და ის ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

„დასაშვებია ციტატების მოყვანა ნაწარმოებიდან, რომელიც კანონიერად უკვე გახდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, იმ პირობით, რომ ეს შეთავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან და მისი მოცულობა გამართლებულია დასახული მიზნით, მათ შორის, სტატიების ციტირება ჟურნალ-გაზეთებიდან პრესის მიმოხილვის ფორმით“.

აღნიშნული ფორმულირება მიღებულ იქნა სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციაზე. ის აწესებს რიგ პირობებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა, რათა ნაწარმოებიდან ციტირება დასაშვებად იქნეს მიჩნეული. ეს პირობებია:

1) უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოები, საიდანაც ხდება ციტირება, კანონიერად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. ნაწარმოების ხელმისაწვდომობა ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც ნაწარმოების გამოქვეყნებას, ისე მის შესრულებას საზოგადოების წინაშე, საჯარო გადაცემას მაუწყებლობის საშუალებითა და სხვა. ის არ ვრცელდება გამოუქვეყნებულ ხელნაწერებსა და ვიწრო წრისათვის დაბეჭდილ ნაწარმოებებზე.

მუხლი 10(1) არ ადგენს რაიმე შეზღუდვას ნაწარმოებების სახეობათა მიხედვით. ციტირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასალები წიგნებიდან, პერიოდული გამოცემებიდან, სამაუწყებლო გადაცემებიდან, კინემატოგრაფიული და დრამატული ნაწარმოებებიდან. მაგალითად, თუ თეატრის სცენაზე სრულდება დრამატული ნაწარმოები ან ხდება ლიტერატურის ნაწარმოების დეკლამირება, კრიტიკოსს ან თეატრალურ მიმომხილველს პუბ-

ლიკაციის მომზადებისას შეუძლია ჩანაწერების გამოყენებით მოიყვანოს ციტატები ნაწარმოებიდან.

მოთხოვნა „კანონიერად ხელმისაწვდომი“ მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ნაწარმოები ხელმისაწვდომი ხდება საზოგადოებისათვის, როგორც ავტორის თანხმობის, ისე იძულებითი ლიცენზიის საფუძველზე. ის, აგრეთვე, არ გამორიცხავს ციტირების მიზნით ფოლკლორის ნაწარმოების გამოყენებასაც.

2) მეორე პირობა დაკავშირებულია მოთხოვნასთან, რომ ციტატების მოყვანა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „კეთილსინდისიერ საქმიანობას“. ანგლო-საქსური სამართლისათვის (საერთო სამართლის სისტემა) დამახასიათებელი „კეთილსინდისიერი საქმიანობის“ კონცეფცია, პრაქტიკულად უცხოა კონტინენტური ევროპისათვის და, პრეცედენტული სამართლის ტრადიციებიდან გამომდინარე, ამ საკითხის განსჯა ეროვნული სასამართლოების პრეროგატივას წარმოადგენს.

ციტირების კეთილსინდისიერების შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონვენციის მუხლში 9(2) მოცემული კრიტერიუმი – ციტირება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

3) მესამე პირობის თანახმად, ციტატის მოცულობა გამართლებული უნდა იყოს დასახული მიზნით გამართლებულ მოცულობით. ამდენად, ამ თვალსაზრისით, ბერნის კონვენცია არ ადგენს რაიმე კონკრეტულ ფარგლებს. სტოკჰოლმის კონფერენციის პირველმა მთავარმა კომიტეტმა ამ საკითხთან დაკავშირებით უპირატესობა მიანიჭა მიდგომას, რომლის თანახმადაც ის უნდა გადაწყდეს გამართლებული მიზნის და კეთილსინდისიერი საქმიანობის კრიტერიუმების საფუძველზე და, შესაბამისად, ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, გახდება სასამართლოების განხილვის საგანი.

მუხლი 10(1) არ იძლევა იმის ჩამონათვალს, თუ რა მიზნებისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული ციტატები და მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ დასაშვებია საგაზეთო სტატიებიდან და პერიოდული გამოცემებიდან ციტატების მოყვანა პრესის მიმოხილვების სახით. მაგრამ სტოკჰოლმის კონფერენციაზე და მისი მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდში გამართული დისკუსიების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ციტირება მეცნიერების, განათლების,

კრიტიკისა და საინფორმაციო მიზნებისათვის თავსდება ამ მუხლის მოქმედების ფარგლებში.

### **ნაწარმოებების გამოყენება ილუსტრაციების სახით სწავლების მიზნებისათვის**

მუხლის 10(2) თანახმად, ეროვნული კანონმდებლობის და კავშირის ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმებების პრეროგატივაა ნება დართოს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების გამოყენებაზე სწავლების მიზნებისათვის, ილუსტრაციის სახით.

ისევე, როგორც ციტატების მოყვანისას, ნაწარმოებების გამოყენება ილუსტრაციის სახით უნდა ხდებოდეს დასახული მიზნით გამართლებული მოცულობით და არ ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერი საქმიანობის პრინციპებს. თუმცა, სიტყვები „ილუსტრაციის სახით“ გარკვეულწილად ზღუდავს ნაწარმოების გამოყენების მოცულობას, ის არ გამორიცხავს ნაწარმოების მთლიანად ილუსტრირების შესაძლებლობასაც, თუ ეს გამართლებულია სწავლების მიზნებით.

სტოკჰოლმის კონფერენციის პირველი მთავარი კომიტეტის ანგარიშში მითითებულია, რომ სწავლებაში მოიაზრება ყველა დონის სწავლება (სასწავლო ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, მუნიციპალურ და სახელმწიფო სკოლებში, აგრეთვე, კერძო სასწავლებლებში), მაგრამ ის არ მოიცავს სწავლებას, რომელიც საზოგადოებისთვისაა ხელმისაწვდომი, თუ არ მიეკუთვნება ზემოთ მითითებულ კატეგორიებს. ნაწარმოებების გამოყენება ილუსტრაციის სახით სწავლების მიზნებისათვის შეიძლება განხორციელდეს გამოცემების, ეთერით გადაცემების და ხმის ან გამოსახულებების ჩანაწერების საშუალებით.

ამავე კომიტეტის განმარტებით, ნაწარმოებების ჩართვა საეთერო გადაცემებში, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო ინსტიტუტებისა და სკოლებისათვის, დასაშვებია იმ შემთხვევებშიც, როდესაც ისინი სრულდება ფართო აუდიტორიის წინაშე. ასეთი გამონაკლისი ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით ეხება არა უშუალოდ ეთერით გადაცემებს, არამედ ჩანაწერების საშუალებით ამ გადაცემების შესრულებასაც საკლასო ოთახებსა და სასწავლო აუდიტორიებში.

მუხლი 10(2) არ ადგენს რაიმე შეზღუდვებს გამოცემების, ხმის, ან გამოსახულებების ჩანაწერების ასლების რაოდენობაზე, აგრეთვე, შეზღუდული არ არის ეთერით გადაცემის მასშტაბები და

გადაცემული პროგრამების ჩანაწერების ასლების რაოდენობა, თუ ეს განპირობებულია სწავლების მიზნებით.

აქ ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ის, რომ ასეთი ასლების რაოდენობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერი საქმიანობის პრინციპებს.

### **წყაროს და ავტორის მითითება**

მუხლი 10(3) ადგენს, რომ ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების ციტირებისას და ნაწარმოებების ილუსტრაციის სახით სწავლების მიზნებისათვის გამოყენებისას მითითებულ უნდა იქნეს წყარო და ავტორი, თუ ეს უკანასკნელი აღნიშნულია ამ წყაროში. მოთხოვნა წყაროს და ავტორის მითითების შესახებ ატარებს სავალდებულო ხასიათს.

პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ მუხლის 6<sup>bis</sup> არსებობის პირობებში, აღნიშნული მოთხოვნა თითქოს ზედმეტია, მაგრამ მისი ჩართვა მე-10 მუხლში ნაკარნახევი იყო იმ მოსაზრებით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამორიცხულიყო ყოველგვარი გაუგებრობა.

### **გამონაკლისები მასმედიასთან და მიმდინარე მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებით**

ბერნის კონვენცია დასაწყისიდანვე ითვალისწინებდა გამონაკლისებს გარკვეული სახის ნაწარმოებების პრესაში თავისუფალ გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გამონაკლისების არსებობის საფუძველს წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების ხელშეწყობა.

დებულებები, რომლებიც არეგულირებს ნაწარმოებების თავისუფალ გამოყენებას ზემოაღნიშნულ კონტექსტში, შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად – სტატიებისა და სხვა ხასიათის ნაწარმოებების გამოყენება მასმედიის მიერ (მუხლი 10<sup>bis</sup>(1)) და ნაწარმოებების გამოყენება საზოგადოების ინფორმირების მიზნით მიმდინარე მოვლენების მიმოხილვისას (მუხლები: 2<sup>bis</sup> (2), 10<sup>bis</sup> (2)).

მუხლი 10<sup>bis</sup>(1) ეხება მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური, ან რელიგიური საკითხების შესახებ სტატიებისა და ეთერით გადაცემული ნაწარმოებების მასალების მასმედიის მიერ თავისუფალ გამოყენებას.

თუ ბერნის კონვენციის ადრინდელი ტექსტების მიხედვით ამ



ნაწარმოების რეკონსტრუქცია, საგანგებო დათქმების არარსებობის პირობებში, კონვენციით პირდაპირ იყო დაშვებული, სტოკჰოლმის 1967 წლის აქტის შესაბამისად, მათი თავისუფალი გამოყენება კავშირის ქვეყნების კანონმდებლობის პრეროგატივაა.

საკომუნიკაციო სისტემების განვითარების გათვალისწინებით, ბრიუსელის 1948 წლის აქტისაგან განსხვავებით (მუხლი 9), სტოკჰოლმის 1967 წლის აქტით დაშვებული გამოწვევები, გარდა გაზეფებისა და პერიოდიკაში გამოქვეყნებული სტატიებისა, ვრცელდება, აგრეთვე, იმავე ხასიათის მასალებზე, რომლებიც გადაიცემა ეთერით.

საზოგადოებრივ უნდა ითქვას, რომ ბერნის კონვენციის მიხედვით, მასმედიაში სტატიებისა და მასალების თავისუფალი გამოყენება შეზღუდულია მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური, ან რელიგიური საკითხების თემატიკით და არ ვრცელდება, მაგალითად, ისეთ სფეროებზე როგორც არის მეცნიერება, განათლება, კულტურა და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ მუხლის მოქმედება რეკონსტრუქციის უფლების გარდა მოიცავს უფლებას საჯარო გადაცემაზე ეთერისა და სადენის (კაბელი) საშუალებით.

სტოკჰოლმის კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ მუხლის 10(2) მსგავსად, მუხლი 10<sup>bis</sup>(1) მოიცავს სამაუწყებლო გადაცემების მეორად გამოყენებასაც. კერძოდ, მათ საჯარო შესრულებას ხმამაღლამოლაპარაკის ან სატელევიზიო ეკრანის გამოყენებით.

ეს მუხლი, ასევე, მოითხოვს ნაწარმოების გამოყენებისას ავტორების პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას. კერძოდ, ისევე როგორც ციტირების ან სწავლების მიზნით ილუსტრირების შემთხვევებში (მუხლი 10(3)), უნდა არსებობდეს მკაფიო მითითება ნაწარმოების ავტორსა და წყაროზე. ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

10<sup>bis</sup>(2) მუხლის თანახმად, „კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას, ასევე, რჩება უფლება განსაზღვროს პირობები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ფოტოგრაფიის, კინემატოგრაფიის, ეთერით გადაცემის ან სადენით საჯარო გადაცემის საშუალებით მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას რეკონსტრუქციულ იქნეს და საინფორმაციო მიზნით გამართლებული მოცულობით გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი

ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ისმის ან ჩანს მოვლენის მსვლელობისას“.

ხშირად, მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას საინფორმაციო მასალებში შეიძლება ჩანდეს ან ისმოდეს ნაწარმოები, რომელიც ექვემდებარება დაცვას. მაგალითად, ოფიციალური ვიზიტებისას უკრავენ სახელმწიფო ჰიმნებსა და სხვადასხვა საცერემონიო მუსიკას, რომელიც ძალაუნებურად ისმის ასეთი მოვლენების შესახებ პირდაპირი რეპორტაჟის დროს ან მისი შემდგომი გაშუქებისას. ცხადია, ასეთ შემთხვევებში ყოველთვის შეუძლებელია კომპოზიტორისაგან წინასწარი თანხმობის მიღება ნაწარმოების რეპროდუცირებაზე ან საჯარო გაცნობაზე და სრულიად ლოგიკურია, რომ ამგვარ სიტუაციებში დაშვებულ იქნეს შესაბამისი გამონაკლისები.

კომპოზიტორის მემკვიდრეების ნებართვის გარეშე შეიძლება გაუფერდეს მუსიკალური ნაწარმოები რეპორტაჟში, რომელიც ეძღვნება კომპოზიტორის ბიუსტის გახსნასთან დაკავშირებულ ცერემონიას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ნაწარმოები, რომლის რეპროდუცირებაზე ვრცელდება გამონაკლისი, უნდა სრულდებოდეს უშუალოდ ცერემონიის მსვლელობისას და მისი შემდგომში ჩართვა აუდიოვიზუალურ ჩანაწერსა თუ სამაუწყებლო გადაცემაში დაუშვებელია.

სამხატვრო გამოფენის გახსნის რეპორტაჟის დროს, არ ჩაითვლება ავტორის უფლებების დარღვევად, თუ, მაგალითად, კადრში გამოჩნდა მისი ფერწერული ტილოს ან სკულპტურული ნაწარმოების გამოსახულება.

კონვენციის შესაბამისად, მიმდინარე მოვლენის გაშუქებისას ნაწარმოების რეპროდუცირების მოცულობა გამართლებული უნდა იყოს საინფორმაციო მიზნებით. ამდენად, ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მაგალითად, ცერემონიალის დროს შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების მთლიანად რეპროდუცირებას ან სამხატვრო გამოფენაზე ნარმოდგენილი ყველა ნაწარმოების ჩვენებას.

აღნიშნული ეხება ფოტოებსაც, რომლებიც იბეჭდება მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებში.

მუხლის 10<sup>bis</sup> ორივე პუნქტის შესაბამისად, გამონაკლისების დაშვება ეროვნული კანონმდებლობის საგანს შეადგენს. მაგრამ, მუხლისაგან 10<sup>bis</sup>(1) განსხვავებით, მუხლით 10<sup>bis</sup>(2) კავშირის ქვეყანას

ენიჭება უფლება „განსაზღვროს პირობები“, რომელთა მიხედვითაც ნაწარმოებები შეიძლება იქნეს რეპროდუცირებული და გახდეს საჯარო ხელმისაწვდომი ავტორის ნებართვის გარეშე. მაგალითად, ქვეყანამ ასეთ პირობად, იძულებითი ლიცენზირების საფუძველზე, შეიძლება დაანესოს ავტორისათვის სამართლიანი ანაზღაურების გადახდა.

### **გამონაკლისები ნაწარმოების ეთერით გადაცემასა და საჯარო გაცნობის სხვა საშუალებებით დაკავშირებით**

მუხლის 11<sup>bis</sup>(2) თანახმად, კავშირის ქვეყნები უფლებამოსილი არიან დაადგინონ მუხლში 11<sup>bis</sup>(1) მითითებული ეთერით გადაცემისა და საჯარო გაცნობის სხვა საშუალებების გამოყენებისას საავტორო უფლებათა მოქმედების პირობები. კერძოდ, ამ ქვეყნებს შეუძლიათ დაუშვან ნაწარმოების ამგვარი გამოყენება უფლების მფლობელისაგან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, მისთვის სამართლიანი ანაზღაურების მიცემის პირობით, ანუ დაანესონ ასეთი შემთხვევებისათვის იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი.

ეს გამონაკლისი ბერნის კონვენციაში გაჩნდა რომის 1928 წლის აქტში, როდესაც პირველად იქნა შემოღებული საავტორო უფლებები ნაწარმოების ეთერში გადაცემასთან დაკავშირებით. ამ მუხლის მოქმედება გაფართოვდა ბრიუსელის 1948 წლის აქტში და მოიცვა ყველა ის უფლება, რომელიც ამჟამად ფიგურირებს პარიზის 1971წ. აქტში.

მუხლი 11<sup>bis</sup>(2), ასევე, ადგენს, რომ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ავტორის პირადი არაქონებრივ უფლებებს, ხოლო შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, სამართლიანი ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს კომპეტენტური ორგანო.

სამაუნწყებლო ორგანიზაციებს თავის საქმიანობაში ხშირად სჭირდებათ გადაცემების ჩაწერა სასურველ დროს მათი გამოყენებისათვის. მუხლი 11<sup>bis</sup>(3) აწესრიგებს სამაუნწყებლო ორგანიზაციების მიერ გადაცემული ნაწარმოებების ჩაწერის საკითხს. ამ მუხლის შესაბამისად, 11<sup>bis</sup>(1) მუხლის საფუძველზე გაცემული ნებართვა არ გულისხმობს გადაცემული ნაწარმოების ჩაწერის ნებართვას ხმების ან გამოსახულებების ჩაწერი მონოპოლიტობების გამოყენებით. ამავე დროს, კონვენცია ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივად მიიჩნევს ხანმოკლე გამოყენებისათვის ჩანაწერების შესრულების წესების განსაზღვრას, რასაც ახორციელებს სამაუნწყებლო ორგანიზაცია

საკუთარი მონყობილობებით და იყენებს საკუთარი საეთერო გადაცემებისათვის. ამავე კანონმდებლობით, განსაკუთრებული დოკუმენტური ხასიათის გამო, შესაძლებელია ნებადართული იყოს ასეთი ჩანაწერების შენახვა ოფიციალურ არქივებში.

### ლექსიების და მიმართვების ბარკვეული გამოყენება

მუხლი 2<sup>bis</sup>(2) ნებას რთავს კავშირის ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობას „...განსაზღვროს პირობები, რომლითაც ლექციები, მიმართვები და ამავე ხასიათის საჯაროდ წარმოთქმული სხვა ნაწარმოებები შეიძლება რეპროდუცირებულ იქნეს პრესის მეშვეობით, გადაიცეს ეთერით, გადაიცეს საჯარო გაცნობისათვის სადენის მეშვეობით და გახდეს საჯარო გაცნობის საგანი, როგორც ეს გათვალისწინებულია ბერნის კონვენციის მუხლში 11<sup>bis</sup>(1), როდესაც ამგვარი გამოყენება გამართლებულია საინფორმაციო მიზნით“.

სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციაზე ამ მუხლში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მან, პრესასთან ერთად, მოიცვა მუხლში 11<sup>bis</sup>(1) წარმოდგენილი საჯარო გაცნობის ყველა საშუალება. ამასთან, მისი მოქმედება აღარ გავრცელდა ქადაგებებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მუხლი 2<sup>bis</sup>(2) არ ითვალისწინებს მასში დადგენილი მიზნებისათვის კინემატოგრაფიული ნაწარმოების გამოყენებას.

იმის გათვალისწინებით, რომ მუხლის 2<sup>bis</sup>(2) თანახმად, ნაწარმოების გამოყენების პირობების განსაზღვრა ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა, კავშირის ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა დაადგინონ მუხლში 2<sup>bis</sup>(2) მითითებული ნაწარმოების გამოყენების იძულებითი ლიცენზირებების რეჟიმი სამართლიანი ანაზღაურების გადახდის საფუძველზე.

მუხლის 2<sup>bis</sup>(2) თანახმად, ნაწარმოებების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საინფორმაციო მიზნით. მაგრამ, თუ მუხლის 10<sup>bis</sup>(2) შესაბამისად, ნაწარმოების რეპროდუცირება ან საზოგადოებისათვის გაცნობა სხვადასხვა საშუალებით (ეთერით გადაცემა, კინემატოგრაფია და სხვა) გამართლებულია მიმდინარე მოვლენების გაშუქების მიზნით, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ახალი, მუხლის 2<sup>bis</sup>(2) შემთხვევაში, სიახლის ელემენტი არ თამაშობს როლს და ნაწარმოებით დაინტერესება განპირობებულია თემითა და შინაარსით.

მაგალითად, საჯარო ლექცია, რომელიც ეხება წარსულის ცნობილ მოღვაწეს ან ისტორიულ მოვლენას, შეიძლება დაიბეჭდოს პრესაში ავტორის ნებართვის გარეშე. ამასთან, დასაშვებია, რომ ნაწარმოები რეპროდუცირებული იქნეს მთლიანად.

მუხლის 2<sup>bis</sup>(3) თანახმად, ავტორი სარგებლობს 2<sup>bis</sup>(2) მუხლში მითითებული თავისი ნაწარმოებების კრებულის შედგენის განსაკუთრებული უფლებით.

### **მუსიკალური ნაწარმოებებისა და მათთან დაკავშირებული თემების ჩანერის უფლების შეზღუდვა**

ჩვენ განვიხილეთ გამონაკლისები საავტორო უფლებებთან მიმართებაში, რომლებიც გამომდინარეობდა საზოგადოებრივი ინტერესებიდან და დაკავშირებული იყო განათლების, კვლევებისა და ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების მიზნით ნაწარმოებების გამოყენებასთან.

რაც შეეხება მუსიკალური ნაწარმოებების ავტორების ჩანერის უფლებების შეზღუდვის დანესებას, მას სხვა საფუძველი აქვს და, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ჩამწერი ინდუსტრიის განვითარების ინტერესებით.

იმისათვის, რომ ბიძგი მისცემოდა ჩამწერ ინდუსტრიაში ინვესტიციების მიზიდვას და, შესაბამისად, მის განვითარებას, ამ დარგის ჩამოყალიბების სანცის ეტაპზევე შეზღუდულ იქნა ავტორთა უფლებები გაეკონტროლებინათ ნაწარმოებების ჩანერა და ჩანანერების გავრცელება.

როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ, ერთი მხრივ, ხელი არ შეშლოდა ჩამწერი ინდუსტრიის სწრაფ აღმავლობას, ხოლო მეორე მხრივ – დაცული ყოფილიყო ავტორთა იმ დროისათვის უკვე აღიარებული უფლებები მექანიკურ ჩანერასთან მიმართებაში.

ასეთ კომპრომისულ ვარიანტად მიჩნეულ იქნა მუსიკალური ნაწარმოების ჩანერაზე იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის გავრცელება, რამაც ასახვა ჰპოვა ამერიკის შეერთებული შტატების 1909 წლის (Copyright Act) და გერმანიის 1910 წლის (Law of May 22) კანონებში საავტორო უფლებების შესახებ. ბერნის კონვენციის ბერლინის 1908 წლის აქტის მომზადებისას, აქტიურად განიხილებოდა

კონვენციის მონაწილე ქვეყნებში მუსიკალურ ჩანაწერებზე იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის სავალდებულო გავრცელების საკითხი. მაგრამ, ნამოჭრილ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით, ამ საკითხის დარეგულირება საბოლოოდ ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივად იქნა მიჩნეული (ბერნის კონვენციის ბერლინის აქტის 1908 წლის აქტის მუხლი 13(2)).

აღნიშნულმა მუხლმა გარკვეული ცვლილებები განიცადა ბერნის კონვენციის შემდგომი გადასინჯვისას (რომში 1928 წელს და ბრიუსელში 1948 წელს) და სტოკჰოლმის 1967 წლის აქტში ჩამოყალიბდა 13(1) მუხლის სახით შემდეგნაირად:

„კავშირის თითოეულ ქვეყანას შეუძლია თავისთვის დაანესოს დათქმები და პირობები მუსიკალური ნაწარმოებების ავტორისა და იმ ნებისმიერი ტექსტის ავტორისთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებებთან დაკავშირებით, რომელმაც გასცა მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად ტექსტის ჩაწერის ნებართვა, რათა ასეთ ტექსტთან ერთად, თუ ამგვარი არსებობს, გასცეს ამ მუსიკალური ნაწარმოების აუდიო ჩანაწერის დამზადების ნებართვა; თუმცა, ყველა ასეთი დათქმა და პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებმაც ისინი დაანესა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ამ ავტორების უფლებას მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება, რომელსაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს უფლებამოსილი ორგანო“.

ამდენად, მუხლის 13(1) თანახმად, ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყანას გააჩნია უფლება დაანესოს იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი მუსიკალური ნაწარმოებების ჩაწერასთან დაკავშირებით. ამ ნორმას არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი და მისი შემოღება ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა. იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი ვრცელდება მუსიკალური ნაწარმოების თანხმლებ ტექსტზეც იმ პირობით, თუ არსებობს ტექსტის ავტორის წინასწარი თანხმობა მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად ტექსტის ჩაწერის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მუხლის 13 (1) დებულებები იძულებითი ლიცენზირების შესახებ არ ვრცელდება კინემატოგრაფიული ნაწარმოებების რეპროდუცირების უფლებაზე. იძულებითი ლიცენზირების მექანიზმის ამოქმედება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უკვე არსებობს მუსიკალური ნაწარმოების ადრინდელი ჩანაწერი, რომელიც განხორციელდა ავტორის თანხმობით. პირველი ჩანაწერის გაცემებაზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ავტორის უფლებაა და უნებართვოდ ჩაწერა ლახავს ავტორის როგორც ქონებრივ, ისე



პირადი არაქონებრივ უფლებებს.

დათქმები და პირობები, რომლებსაც აწესებს კავშირის წევრი ქვეყანა, ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც ისინი დააწესა. ამდენად, ავტორს ერთი და იმავე ნაწარმოებზე სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება გააჩნდეს განსხვავებული უფლებები.

უნდა აღინიშნოს, რომ სტოკჰოლმის აქტმა გააუქმა ბერნის კონვენციის ადრინდელი აქტებით დაშვებული იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის გავრცელება ჩანაწერების საჯარო შესრულებაზე. აღნიშნული დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ მუსიკალური დისკების საჯარო შესრულებამ მიიღო ფართო ხასიათი, ის კონტრაქტით რეგულირების საგანია და იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის გავრცელებამ ამ სფეროზე აზრი დაკარგა.

სტოკჰოლმის 1967 წლის აქტის მიღებამდე, ბერნის კონვენციის შესაბამისად, მექანიკური რეპროდუცირების უფლებები არ ვრცელდებოდა იმ ნაწარმოებებზე, რომელთა რეპროდუცირება მოხდა კანონიერ საფუძველზე, ბერლინის აქტის ძალაში შესვლამდე, ხოლო იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომლებიც შეუერთდნენ ბერნის კონვენციას შემდგომ პერიოდში – მათი კონვენციასთან შეერთების თარიღამდე.

ამ დებულებების მოქმედება გამოიხატებოდა იმაში, რომ მუსიკალური ნაწარმოების ჩანერა, ავტორის ნებართვის გარეშე, შეიძლებოდა განხორციელებულიყო მითითებული თარიღების შემდეგაც. გარდა ამისა, ამ თარიღებამდე აღნიშნული იმუნიტეტი ვრცელდებოდა მთელ ნაწარმოებზე, მისი მხოლოდ ნაწყვეტის ჩანაწერის არსებობის შემთხვევაშიც კი.

სტოკჰოლმის აქტმა გააუქმა ბერნის კონვენციის ამ ნორმის მოქმედება და, შესაბამისად, ავტორებსა და მათ სამართალმემკვიდრეებს ახალი ჩანერების განხორციელებისას მიეცათ ანაზღაურების მიღების საშუალება.

სტოკჰოლმის აქტის მუხლის 13(2) შესაბამისად, 1928 წლის 2 ივნისს რომში და 1948 წლის 26 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი კონვენციების მუხლის 13(3) თანახმად, „კავშირის ქვეყნებში გავრცელებული მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერების რეპროდუცირება ამ ქვეყანაში შესაძლებელია მუსიკალური ნაწარმოების ავტორის ნებართვის გარეშე, ვიდრე ორი წელი არ გავა ქვეყნისათვის ამ აქტით ვალდებულებების დაკისრების შემდეგ“.

ამ მუხლის არსი მდგომარეობს შემდეგში:

- თუკი ქვეყანა მიუერთდა ბერნის კონვენციას სტოკჰოლმის 1967 წლის ან პარიზის 1971 წლის აქტის საფუძველზე, მუხლის 13(1) მოქმედება ვრცელდება დაცული მუსიკალური ნაწარმოების და შესაბამისი ტექსტის ნებისმიერ ჩანწერაზე, რომელიც გაკეთდა შეერთების შემდეგ, დამოუკიდებლად იმისა, არსებობდა თუ არა მანამდე ნაწარმოების კანონიერ საფუძველზე გაკეთებული ჩანაწერი.
- თუ ქვეყანა შეერთებული იყო კონვენციის ბრიუსელისა და რომის აქტებს, მაშინ იმუნიტეტი, რომელიც დაწესებული იყო ამ აქტების მუხლის 13(2) შესაბამისად, ბერლინის აქტის მიღებამდე კანონიერად შესრულებულ ჩანაწერებზე იწურება ქვეყნის მიერ სტოკჰოლმისა და პარიზის აქტით დადგენილი ვალდებულებების აღიარებიდან 2 წლის შემდეგ.
- თუ ქვეყანა შეერთებული იყო ბერლინის აქტთან, მაშინ იმუნიტეტის მოქმედება წყდება სტოკჰოლმისა და პარიზის აქტებთან შეერთებისთანავე.

მუხლის 13(3) ბმესაბამისად, მუხლების 13(1) და 13(2) საფუძველზე გაკეთებული ჩანაწერები, რომლებიც დაინტერესებული მხარეების ნებართვის გარეშეა იმპორტირებული ქვეყანაში, რომელშიც ისინი მიჩნეულია უკანონოდ, ექვემდებარება ყადაღის დადებას.

ამ მუხლის მოქმედება გამოიხატება იმით, რომ იმუნიტეტის გავრცელებას ჩანაწერებზე, რომლებიც კანონიერად არის გაკეთებული მუხლების 13(1) და 13(2) შესაბამისად, აქვს ტერიტორიული ხასიათი და მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ისინი გააკეთეს. მაგალითად, თუ მუსიკალური ნაწარმოების და თანმხლები ტექსტის ჩანაწერი გაკეთებულია კანონიერ საფუძველზე კავშირის რომელიმე ქვეყანაში, ეს არ ავალდებულებს კავშირის სხვა ქვეყნებს დაუშვან მათი იმპორტი, თუ შესაბამისი კანონმდებლობით ეს ჩანაწერები არ მიიჩნევა კანონიერად.

## თავე VIII უფლებების დაცვის ვადები

### მონაბრძვი უფლებების მოქმედების ვადა

ბერნის კონვენციის მიხედვით, ავტორის ქონებრივი უფლებების დაცვის ვადა შეადგენს ავტორის სიცოცხლის პერიოდსა და ორმოცდაათ წელს მისი გარდაცვალების შემდეგ (მუხლი 7(1)). დაცვის ვადის მარეგულირებელი ნორმა პირველად გაჩნდა კონვენციის ბერლინის 1908 წლის აქტში, მაგრამ იმ დროს ის არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს და, ვადის ხანგრძლივობის დადგენისას, ქვეყნებს უტოვებდა თავისუფალი არჩევანის უფლებას. ამ ნორმამ სავალდებულო ხასიათი მიიღო ბრიუსელის 1948 წლის აქტში, რომელმაც, ამასთან ერთად, დაადგინა დაცვის განსხვავებული ვადები სპეციფიკური შემთხვევებისათვის.

დაცვის ორმოცდაათწლიანი ვადა არ ყოფილა შემთხვევით არჩეული. სწორად და გამართლებულადაა მიჩნეული, რომ დაცვის ხანგრძლივობა უნდა მოიცავდეს ავტორისა და სამი თაობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის პერიოდს. ნორმალურად არის მიჩნეული ავტორის სიცოცხლის ხანგრძლივობას დაემატოს პერიოდი, რომელიც საკმარისი იქნება, რათა მისმა მემკვიდრეებმა, ვიდრე მათ იგი ახსოვთ, მიიღონ შემოსავალი. ამასთან, უფრო ხანგრძლივი პერიოდის დადგენა, რა თქმა უნდა, შექმნის სიძნელეებს ნაწარმოების გამოყენებისათვის მრავალრიცხოვანი უფლებამემკვიდრეებისაგან ნებართვის აღების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჭიროა საზოგადოების მოთხოვნილებების გათვალისწინებაც კულტურული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე. ისინი შეძლებისდაგვარად უნდა დაკმაყოფილდეს წინააღმდეგობების შექმნის გარეშე, რაც სხვასთან ერთად, გულისხმობს ნაწარმოებებზე ავტორებისა და მათი მემკვიდრეების მონოპოლიის გარკვეული ვადით შეზღუდვას.

მუხლი 7(2) ადგენს დაცვის ვადას კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში. ამ მუხლის მიხედვით, კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ „...დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ მას მერე, რაც ნაწარმოები ავტორის თანხმობით ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისათვის, ან თუ ასეთი ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში ეს ვერ განხორციელდა, – ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ“.

ამ ნორმის დადგენით სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციამ მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ბრიუსელის ადრეულ აქტში. ამ აქტის მუხლის 7(3) შესაბამისად, კავშირის ქვეყნები თავისუფალნი იყვნენ სურვილისამებრ დაედგინათ ეს ვადა, მაგრამ ის არ უნდა ყოფილიყო წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი.

სტოკჰოლმის კონფერენციის მოსამზადებელ პერიოდში, კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ დაცვის ისეთივე ხანგრძლივი პერიოდის მოთხოვნა, როგორც ზოგადად ნაწარმოებისათვის, არამართებულად იქნა მიჩნეული, ვინაიდან დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ფილმები ინარჩუნებენ ღირებულებას და დიდი შემოსავალი მოაქვთ უფლებების მფლობელთათვის.

რაც შეეხება ვადის ათვლის დაწყების თარიღს, მიღწეულ იქნა თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ მიზნით ავტორის გარდაცვალების (ან ცოცხლად დარჩენილი ბოლო ავტორის გარდაცვალების, რადგან ფილმები უმეტეს შემთხვევაში ერთობლივი ნაწარმოებებია), ან თუნდაც, საავტორო უფლების მფლობელის გარდაცვალების (იმ შემთხვევაში, თუ ფილმის დამამზადებელი მიჩნეულია საავტორო უფლების მფლობელად) თარიღის გამოყენება პრაქტიკაში საკმაოდ რთულია.

სტოკჰოლმის 1967 წლისა და მოგვიანებით პარიზის 1971 წლის კონფერენციებმა წევრ ქვეყნებს ნება დართეს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ ორმოცდაათი წლის საერთო პრინციპის შეუცვლელად, გაეთვალისწინებინათ, რომ კინემატოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ვადა ამოიწუროს ორმოცდაათი წლის შემდეგ, რაც ისინი ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისათვის.

აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კინემატოგრაფიული ნაწარმოების ხელმისაწვდომობა მოიცავს არა მხოლოდ ფილმების ასლებით საზოგადოების უზრუნველყოფას, ანუ მის გამოქვეყნებას, არამედ, აგრეთვე, მათ დემონსტრირებას კინოთეატრებში ან სატელევიზიო არხების საშუალებით. მნიშვნელოვანია კონვენციის მოთხოვნა „ავტორის თანხმობასთან“ დაკავშირებით, ვინაიდან არამართლზომიერი იქნებოდა დაცვის ვადის მოქმედების ათვლა იმ ჩვენების თარიღიდან, რომელზეც ავტორს თანხმობა არ მიუცია.

მუხლი 7(2), ასევე, ითვალისწინებს, რომ საავტორო უფლება იწურება, თუ ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში

კინემატოგრაფიული ნაწარმოები არ გახდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. ამ დებულების მიზანია თავიდან აიცილოს საავტორო უფლების გადაჭარბებით ხანგრძლივი ვადა, ან ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში, თუ ნაწარმოები არასოდეს იქნა ნაჩვენები კინოთეატრში ან ტელევიზიით – უვადო საავტორო უფლება.

მუხლი 7(3) ეხება ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს და ადგენს რომ „კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ, მას მერე, რაც ნაწარმოები კანონიერად გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის“.

ცხადია, რომ ანონიმურად ან ფსევდონიმით შექმნილი ნაწარმოების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი და ამიტომ, შეუძლებელია მისი გარდაცვალების თარიღის განსაზღვრა და, შესაბამისად, ვადის ათვლა.

აღნიშნული პრინციპი მოცემული იყო ჯერ კიდევ ბრიუსელის 1948 წლის აქტში, მაგრამ სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციამ მასში გარკვეული შესწორებები შეიტანა. წინა ტექსტში გამოყენებული გამოთქმა – „გამოქვეყნება ავტორის თანხმობით“, სტოკჰოლმის კონფერენციამ ჩაანაცვლა სიტყვებით – „კანონიერად გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის“. ამით, ჯერ ერთი შედარებით ვიწრო ცნება – „გამოქვეყნება“ შეიცვალა უფრო ფართო ცნებით – „ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის“, მეორეც, სიტყვა – „კანონიერის“ გამოყენებით ეს დებულება გავრცელდა ფოლკლორულ ნაწარმოებებზე, რომლებიც შეიძლება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს ნებართვით (იხ. მუხლი 15(4)), რომლის მოქმედებაც აშკარად კანონიერია მაშინაც კი, როდესაც განხორციელებულია ავტორის თანხმობის გარეშე.

მუხლი 7(3) ითვალისწინებს საერთო პრინციპის – ავტორის გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წელი – მოქმედების გავრცელებას ორ შემთხვევაში: პირველი, როდესაც ავტორის მიერ შერჩეული ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს მის ვინაობაში და მეორე – როდესაც ანონიმურად ან ფსევდონიმით შექმნილი ნაწარმოების ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ნაწარმოების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომად გახდომიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

ეს მუხლი ნებას რთავს წევრ ქვეყნებს უარი თქვან ანონიმურად ან ფსევდონიმით შექმნილი ნაწარმოებების დაცვაზე, თუ არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ავტორის გარდაცვალებიდან გასულია

ორმოცდაათი წელი, რითაც აცილებული იქნება საავტორო უფლების უვადო მოქმედება ნაწარმოებებზე, რომლებიც არასოდეს გამხდარა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. აღნიშნულის დაშვებით კონვენცია, ასევე, არ ზღუდავს იმ ძველი ხელნაწერების ან ხელოვნების ნაწარმოებების გამოქვეყნებას, რომელთა ავტორები უცნობია, თუ მიჩნეულია, რომ მათი გარდაცვალებიდან გასულია ორმოცდაათ წელზე მეტი.

მუხლი 7(4) ადგენს დაცვის ვადას ფოტოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის, რომელიც უნდა იყოს შეადგენდეს მინიმუმ 25 წელს შექმნის თარიღიდან. აღნიშნული ვადა კომპრომისის შედეგია და გამომდინარეობს გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებთან დაკავშირებით კავშირის ქვეყნებს შორის არსებული პოზიციების განსხვავებიდან. ისინი შეიძლება დაცული იყოს საავტორო უფლებით, სამრეწველო ნიმუშებით ან მოდელებით (ჩვეულებრივ, რეგისტრაციის საშუალებით). ფოტოგრაფიებთან დაკავშირებით დაცვის მინიმუმის 25 წლის შემოღებით პრაქტიკულად დადასტურდა მათი გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთან გაიგივების ფაქტი.

მუხლი 7(5) ადგენს დაცვის ვადის დანყების თარიღს. ამ მუხლის შესაბამისად, მე-7 მუხლით დადგენილი ვადების ათვლა უნდა დაიწყოს ავტორის გარდაცვალების, ან ნაწარმოების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად გახდომის, ან შექმნის შემდგომი წლის 1 იანვარიდან. ნათელია, რომ ავტორის უფლებების მოქმედების ვადა სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული იქნება და შეიძლება გაგრძელდეს თითქმის მთელი წლითაც, მაგრამ ერთიანი ათვლის წერტილის არსებობა პრაქტიკული მიზნებით გამართლებულად იქნა მიჩნეული.

კონვენციის მიერ დადგენილი ვადები მინიმალურია და ნებისმიერ ქვეყანას თავისი კანონმდებლობით შეუძლია დაადგინოს საავტორო უფლებების მოქმედების უფრო ხანგრძლივი ვადა (მუხლი 7(6)).

დადგენილ მინიმალურ ვადებთან დაკავშირებით, ზოგიერთი ქვეყნისათვის კონვენცია უშვებს გამონაკლისებს. კერძოდ, მუხლი 7(7) თანახმად, კავშირის ქვეყნებს, რომელთაც გააჩნიათ ვალდებულებები ბერნის კონვენციის რომის აქტით, და რომლებიც პარიზის 1971 წლის აქტის ხელმოწერის დროისათვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით ანიჭებდნენ უფრო ხანმოკლე ვადის დაცვას, ვიდრე ეს გათვალისწინებულია აღნიშნული აქტით, უფლება აქვთ ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთებისას ძალაში დატოვონ ეს ვადები.



აღნიშნული გამოწვევის შეტანის იქნა სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციაზე და დადასტურდა პარიზის 1971 წლის კონფერენციაზე, რათა საშუალება მიეცათ ქვეყნებისათვის მიეღოთ მე-7 მუხლის ახალი ტექსტი.

მუხლი 7(8) ეხება დაცვის ვადების გამოყენების წესს ბერნის კავშირის ქვეყნებში. ამ მუხლის შესაბამისად, „ნებისმიერ შემთხვევაში ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. თუმცა, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეს ვადა არ აღემატება ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დადგენილ ვადას“.

ამდენად, დაცვის პერიოდი იმართება ქვეყნის კანონით, რომელშიც მოითხოვება დაცვა, მაგრამ ის არ აჭარბებს წარმოშობის ქვეყანაში დადგენილ ვადას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ქვეყნის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

როგორც ვხედავთ, მუხლი 7(8) ითვალისწინებს ვადების შედარების წესს, რომელიც ეფუძნება ქვეყნებს შორის ნაცვალგების პრინციპს და წარმოადგენს გამოწვევის ეროვნული რეჟიმის საერთო პრინციპიდან.

ქვეყნებს შორის ურთიერთობაში, ამ დებულების გამოყენების თვალსაზრისით, შესაძლებელია სამი შემთხვევის არსებობა:

1. ერთი ქვეყნის კანონმდებლობა იყენებს მუხლით 7(1)–7(4) გათვალისწინებული დაცვის მინიმალურ ვადებს, ხოლო მეორე ქვეყანაში კი დაცვის ვადები აღემატება დადგენილ სტანდარტებს.
2. როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ვადები აღემატება კონვენციით გათვალისწინებულ მინიმალურ სიდიდეებს, მაგრამ დაცვის ხანგრძლივობა ერთ ქვეყანაში მეტია, ვიდრე მეორეში.
3. ქვეყანა შეერთებულია სტოკჰოლმის 1967 წლის ან პარიზის 1971 წლის აქტს, მაგრამ ამ აქტების 7(7) მუხლის საფუძველზე დაწესებული აქვს დადგენილ მინიმუმზე ნაკლები ვადა, ხოლო მეორე ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს სტანდარტულ ან უფრო ხანგრძლივ ვადას.

მუხლი 7<sup>bis</sup> ეხება თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების დაცვის ვადას და ადგენს ამგვარი ნაწარმოებებისათვის მე-7 მუხლით განსაზღვრული საერთო წესის გამოყენების ვალდებულებას. კონვენცია არ განსაზღვრავს „თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებებს“, ვინაიდან დამოკიდებულება იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა

ნარიმართოს თანამშრომლობა, რათა ნაწარმოების შექმნაში ერთი თანაავტორის წვლილი არ იყოს გამორჩეული სხვა თანაავტორების წვლილისაგან, განსხვავდება კავშირის ქვეყნების კანონებში.

კონვენცია ადგენს, რომ ვადის გამოთვლისას განმსაზღვრელია ცოცხლად დარჩენილი ბოლო ავტორის გარდაცვალების თარიღი. თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების შემთხვევაში არ იქნებოდა მისაღები საზოგადოების მფლობელობაში მისი ნაწილ-ნაწილ გადასვლა, თითოეული თანაავტორის გარდაცვალების თარიღის შესაბამისად, ვინაიდან ნაწარმოები იყო და რჩება ერთობლივ ნაწარმოებად. არ იქნებოდა სამართლიანი მათი წვლილის გამოყოფაც იმისდა მიხედვით, თუ რამდენ ხანს იცოცხლა თითოეულმა, რადგან, ასევე, რთული იქნებოდა ამის განხორციელებაც.

### პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედების ვადა

პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედების ვადის მარეგულირებელი ნორმა მოცემულია მუხლში 6<sup>bis</sup>(2), რომლის თანახმადაც, „ავტორისათვის მინიჭებული უფლებები ინარჩუნებს ძალას მისი გარდაცვალების შემდეგ, სულ მცირე, ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადის გასვლამდე“.

ცხარე დისკუსიების შემდეგ, სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციაზე, აღნიშნული დებულების მიღებით, კონვენციამ დააფიქსირა ბერნის კავშირის წევრი ქვეყნების ნეიტრალური პოზიცია ამ საკითხისადმი არსებული მიდგომებისადმი. ერთ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ პირადი არაქონებრივი უფლება უშუალოდ არის მიბმული ქონებრივ უფლებასთან და, ამდენად, უნდა შეწყვიტოს თავისი მოქმედება ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო მეორე შემთხვევაში თვლიან, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები არსებობს ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და მათი მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს ქონებრივი უფლებების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ბრიუსელის 1948 წლის აქტის მიხედვით, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მოქმედებს „მისი სიცოცხლის მანძილზე“, ხოლო მათი გაგრძელება ქონებრივი უფლებების არსებობის ვადამდე ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივა იყო. სტოკჰოლმის 1967 წლის აქტის მიხედვით პირადი არაქონებრივი უფლება ინარჩუნებს ძალას ავტორის გარდაცვალების

შემდეგაც და გრძელდება „სულ მცირე, ქონებრივი უფლებების მოქმედების შეწყვეტამდე“.

ამდენად, 1967 წლამდე კონვენციის არსებულ ვარიანტში პირადი არაქონებრივი უფლებების გაგრძელება უბრალოდ შესაძლებელი იყო, მაგრამ შემდეგ აღნიშნულმა სავალდებულო ძალა შეიძინა.

უფრო მეტიც, სიტყვების – „სულ მცირე“ გამოყენება ნათლად მიუთითებს, რომ ეს არის მოვალეობის მინიმუმი და ეროვნულ კანონებს ხელს არაფერი უშლის დაადგინოს უვადო დაცვა. მიუხედავად ამისა, კონვენცია ასე შორს არ მიდის, რადგან რიგ ქვეყნებში ძველების, შენობებისა და ეროვნული კულტურის სხვა საგნების დაცვა და შენახვა წარმოადგენს საჯარო სამართლის საკითხს.

მუხლი 6<sup>bis</sup>(2) ნებას რთავს ქვეყნის კანონმდებლობას, რომელშიც მოითხოვება დაცვა, განსაზღვროს პირთა წრე და დაწესებულებები, რომელთაც შეეძლებათ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები განახორციელონ მისი გარდაცვალების ან ქონებრივი უფლებების ამოწურვის შემდეგ.

მუხლი 6<sup>bis</sup>(2), ასევე, გვთავაზობს გამონაკლისს, რომელიც სტოკჰოლმის 1967 წლის კონვენციის განმავლობაში მიღწეული კომპრომისის შედეგია და საშუალებას აძლევს საერთო სამართლის ქვეყნებს მიუერთდნენ ახალ ტექსტს (ამჟამად, პარიზის 1971 წლის აქტი) ან მოახდინონ მისი რატიფიცირება ეროვნულ კანონმდებლობაში სერიოზული ცვლილებების შეტანის გარეშე.

კერძოდ, ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების მომენტში არ ითვალისწინებენ ავტორის გარდაცვალების შემდეგ კონვენციის მუხლით 6<sup>bis</sup>(2) გათვალისწინებული ყველა უფლების დაცვას, უფლებამოსილნი არიან ამ უფლებათაგან ზოგიერთის მოქმედება შეწყვიტონ მისი გარდაცვალების შემდეგ. ცხადია, თუ დაცულია შესაბამისი პირობები ამ გამონაკლისით შეიძლება ისარგებლონ არამართო ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებმა.

ქვეყნებს, რომლებიც ისარგებლებენ ამ გამონაკლისით შეუძლიათ, მაგალითად, შეინარჩუნონ მხოლოდ ავტორობის უფლება, ხოლო ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება სასამართლო განხილვის საგნად დატოვონ. მიუხედავად იმისა, რომ გამონაკლისის გამო სუსტდება საერთო წესი, სტოკჰოლმის აქტის მუხლი 6<sup>bis</sup>(2) უდავოდ

ბრიუსელის 1948 წლის აქტის გაუმჯობესებაა. ბრიუსელის ტექსტის შესაბამისად, კავშირის ქვეყნები არ იყვნენ ვალდებული დაეცვათ პირადი არაქონებრივი უფლებების არცერთი ელემენტი ავტორის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სტოკჰოლმის აქტის თანახმად, მათ ეს უნდა განახორციელონ, სულ მცირე, ქონებრივი უფლებების ამონურვამდე.

მუხლიდან 6<sup>bis</sup>(3) გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების საშუალებები რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს სამოქალაქო სარჩელი და სისხლის სამართლებრივი დევნა, რითაც შეუძლია ისარგებლოს ავტორმა, მისმა მემკვიდრეებმა ან იმ პირებმა, რომლებსაც კანონმა მისცა შესაბამისი უფლებამოსილება. ჩვეულებრივ, ეროვნული კანონმდებლობები ითვალისწინებს ისეთ სანქციებს, როგორც არის – ზარალის ანაზღაურება, კომპენსაციის გადახდა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ეს ნორმა არ შეცვლილა რომის 1928 წლის აქტის მიღების შემდეგ.

## თავი IX საავტორო უფლებების დარღვევები და დაცვის საშუალებები

ბერნის კონვენცია პრაქტიკულად არ იძლევა საავტორო უფლებების დარღვევის დადგენის და ამ უფლებების განხორციელების მექანიზმებს. ამ საკითხებს ეხება კონვენციის მხოლოდ ერთი, მე-16 მუხლი.

მუხლის 16(1) შესაბამისად, ავტორის უფლებების დარღვევით დამზადებული ასლები ექვემდებარება ყადაღის დადებას კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ამ ნაწარმოებს აქვს სამართლებრივი დაცვა.

ყადაღის დადება ვრცელდება რეპროდუქციებზეც, რომლებიც შემოდის ქვეყნიდან, სადაც ნაწარმოები არ არის დაცული, ან აღარ სარგებლობს დაცვის უფლებით (მუხლი 16(2)).

მუხლს 16(3) საფუძვლად უდევს დაცვის „ტერიტორიული“ პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ იმის დადგენა, არის თუ არა ასლები დამზადებული ავტორის უფლებების დარღვევით, ხდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელშიც წარმოებს ასლების იმპორტირება.

ამრიგად, მოპასუხეს არ შეუძლია თავი დაიცვას იმის საფუძველზე, რომ იმპორტირებული ასლი დამზადებულია ქვეყანაში, სადაც ნაწარმოები არ არის დაცული, შესაბამისად, კანონიერად არის დამზადებული და შეიძლება მისი იმპორტირება.

კონვენცია არ ეხება „პარალელური იმპორტის“ საკითხებს, ანუ იმპორტირებულ ასლებს, რომლებიც მართლზომიერად იყო დამზადებული უცხოურ ქვეყანაში, მაგრამ რომელთა დამზადება ან იმპორტი არ იყო ნებადართული საავტორო უფლების მფლობელის მიერ იმ ქვეყანაში, სადაც ხორციელდება იმპორტი. კონვენციის შესაბამისად, ავტორს რომ ჰქონოდა „გავრცელების უფლება“ იქ სადაც ეს დაშვებულია ადგილობრივი კანონით, ის შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული პარალელური იმპორტის აღსაკვეთად ადგილობრივ ბაზარზე. ამგვარი უფლების უქონლობისას, საავტორო უფლების მფლობელი მთლიანად უნდა დაეყრდნოს ადგილობრივი კანონის დებულებებს, კონვენციური დებულების მხარდაჭერის გარეშე.

მე-16 მუხლის დებულებების გარდა, რომლებიც ეხება უფლებების დარღვევით დამზადებულ ასლებს, კონვენცია არ შეიცავს სხვა დებულებებს სასამართლო დაცვის საშუალებებისა და სასჯელების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. კონვენციაში, აგრეთვე, არ არის ნორმები არსებული უფლებების განხორციელების თაობაზე, გარდა 36-ე მუხლის ზოგადი დებულებებისა, რომლის თანახმადაც, ქვეყნები კისრულობენ ვალდებულებას კონვენციის გამოყენების უზრუნველსაყოფად მიიღონ აუცილებელი ზომები, ხოლო ქვეყნებს, რომლებიც უერთდებიან კონვენციას, შესაძლებლობა აქვთ კონვენციის დებულებები აამოქმედონ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

## თავი X

### კონვენციის დამატებითი ასკვეთები

**გავრცელების კონტროლი.** კავშირის თითოეული ქვეყნის მთავრობას კონვენცია უნარჩუნებს უფლებას „კანონმდებლობით ან სხვა აქტებით დაუშვას, გააკონტროლოს, ან აკრძალოს ნებისმიერი იმ ნაწარმოების ან პროდუქციის ბრუნვაში გაშვება, პრეზენტაცია ან ჩვენება, რომელთა მიმართაც კომპეტენტური ორგანო საჭიროდ მიიჩნევს ასეთი უფლების გამოყენებას“ (მუხლი 17).

ამდენად, მე-17 მუხლის თანახმად, ნევრი ქვეყნების სუვერენული

უფლებები არ შეიძლება იქნეს ხელყოფილი კონვენციით მინიჭებული უფლებების საფუძველზე. ავტორებს კონვენციური უფლებებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციაზე გამართული დისკუსიებისას მიჩნეულ იქნა, რომ მე-17 მუხლი ძირითადად ეხება ცენზურის და ნაწარმოების გავრცელებაზე უფლების მიცემის ან აკრძალვის შემთხვევებს. ეს მუხლი არ უშვებს ისეთი რეჟიმის დაწესებას, რომლის თანახმადაც, ნაწარმოებები გავრცელდება იძულებითი ლიცენზიის საფუძველზე.

**არსებული ნაწარმოებების დაცვა.** კონვენციის მოქმედება ვრცელდება ყველა ნაწარმოებზე, რომელიც ძალაში შესვლის მომენტისათვის, წარმოშობის ქვეყანაში უფლებების მოქმედების ვადის ამონურვის საფუძველზე, არ გამხდარა საყოველთაო კუთვნილება (მუხლი 18(1)).

მაგრამ, თუ ნაწარმოები ადრე მინიჭებული დაცვის ვადის გასვლის გამო, უკვე იქცა საყოველთაო კუთვნილებად ქვეყანაში, რომელშიც მოითხოვება დაცვა, იგი აღარ ექვემდებარება ხელახალ დაცვას (მუხლი 18(2)).

**უფრო ფართო დაცვის მინიჭება.** მე-19 მუხლის თანახმად, კონვენცია არ უშლის ხელს ნებისმიერი უფრო ფართო დაცვის მოთხოვნას, რომელიც შეიძლება მინიჭებულ იქნეს კავშირის ქვეყნების კანონმდებლობით. ეს მუხლი, რომელიც შემოღებულ იქნა ბერლინის 1908 წლის აქტით და მცირეოდენი ცვლილება განიცადა ბრიუსელის 1948 წლის აქტში, გულისხმობს, რომ კონვენციური უფლებები წარმოადგენს მხოლოდ მინიმუმს და ეროვნული რეჟიმის პრინციპიდან გამომდინარე, კავშირის ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ მოითხოვონ მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი უფლებები.

**სპეციალური შეთანხმებები კავშირის ქვეყნებს შორის.** მე-20 მუხლით გათვალისწინებულია, რომ კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ ერთმანეთთან დადონ სპეციალური შეთანხმებები, თუ ასეთი შეთანხმებები ავტორებს ანიჭებს, კონვენციასთან შედარებით, უფრო ფართო უფლებებს ან შეიცავს სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას.

ამ მუხლის საფუძველზე გაფორმებულ შეთანხმებას წარმოადგენს ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების დაცვის შესახებ.



## თავი XI მართვა, ფინანსები, პროცედურები

კონვენციის მუხლები: 22, 23, 24 და 25 ეხება კავშირის ასამბლევას, აღმასრულებელ კომიტეტს, საერთაშორისო ბიუროსა და კავშირის ბიუჯეტს.

კავშირს ჰყავს ასამბლეა, რომელიც შედგება კავშირის ქვეყნებისაგან (მუხლი 22(1)(ა)). ასამბლეა განაგებს კავშირის ფუნქციონირებასა და კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს (მუხლი 22(2)(ა)(i)), ირჩევს ასამბლევას აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს (მუხლი 22(2)(ა)(iv)), განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, იღებს მის ორწლიან ბიუჯეტს, ამტკიცებს საბოლოო ანგარიშებსა (მუხლი 22 (2) (ა)(vi)) და იღებს 22-26 მუხლების შესწორებებს (მუხლი 22 (2)(ა)(x)).

აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ქვეყნებისაგან, რომლებიც არჩეულია ასამბლევას მიერ ასამბლევას წევრი ქვეყნებისაგან. შვეიცარიას, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს ისმო-ს შტაბ-ბინა, აქვს ex-officio ერთი ადგილი კომიტეტში (მუხლი 23(2)(ა)). აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რიცხვი შეესაბამება ასამბლევას წევრი ქვეყნების რიცხვის ერთ მეოთხედს (მუხლი 23(3)).

აღმასრულებელი კომიტეტი ამზადებს ასამბლევას დღის წესრიგის პროექტს (მუხლი 23(6)(ა)(i)), ასამბლევას წარუდგენს წინადადებებს ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული კავშირის პროგრამისა და ორწლიანი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით (მუხლი 23(6)(ა)(ii)), ასამბლევას წარუდგენს გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებს (მუხლი 23(6)(ა)(iv)), იღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყოს გენერალური დირექტორის მიერ კავშირის პროგრამის შესრულება (მუხლი 23(6)(ა)(v)).

კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ფუნქციები ხორციელდება საერთაშორისო ბიუროს მიერ (მუხლი 24(1) (ა)), ისმო-ს გენერალური დირექტორი არის ბერნის კავშირის მთავარი აღმასრულებელი პირი და წარმოადგენს კავშირს (მუხლი 24(1)(გ)).

კავშირს აქვს ბიუჯეტი (მუხლი 25(1)(ა)). კავშირის ბიუჯეტის დაფინანსების ძირითადი წყაროებია კავშირის ქვეყნების შესატანები და საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან დაკავშირებული მომსახურებისათვის დადგენილი საფასურები და გადასახადები (მუხლი 25(3)).

კონვენციის ცვლილებებთან და გადასინჯავსთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია მუხლებში: 26, 27.

მუხლების 22-26 ცვლილებები (კავშირის ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტის, საერთაშორისო ბიუროს, ბიუჯეტისა და 26-ე მუხლის დებულებების თაობაზე, რომლებიც ეხება ამ მუხლების ცვლილებას) მიიღება ასამბლეის მიერ ხმების სამი მეოთხედით, ხოლო მუხლების 22 და 26(2) ნებისმიერი ცვლილება მიიღება ხმების ოთხი მეხუთედით (მუხლი 26(2)).

27-ე მუხლის შესაბამისად, „კონვენცია შეიძლება გადასინჯოს მასში ისეთი ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლებიც სრულყოფენ კავშირის სისტემას“.

კონვენციის გადასინჯვა ხდება კავშირის ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციებზე. კონვენციის აქტის და მისი დამატებითი კარის ნებისმიერი გადასინჯვა მოითხოვს მიცემული ხმების ერთსულოვან თანხმობას.

**მიღება და ძალაში შესვლა.** 28-ე და 29-ე მუხლები ეხება კონვენციის მიღების პროცედურებს რატიფიკაციის ან შეერთების გზით.

რატიფიკაცია ხდება, თუ ქვეყანა შესაბამის კონფერენციაზე ხელს მოაწერს კონვენციის ტექსტს და შემდგომ, ფორმალურად დაადასტურებს მის მიღებას.

შეერთება ხდება, თუ ქვეყანა შესაბამის კონფერენციაზე არ მოაწერს ხელს ტექსტს, მაგრამ კონვენციას უერთდება უფრო მოგვიანებით.

პარიზის 1971 წლის აქტში არის სპეციალური დებულებები, რომლებიც ქვეყანას ანიჭებს უფლებას მიიღოს კონვენციის დებულებები, გარდა 1-21 მუხლებისა, რომლებიც ეხება მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებს და დამატებითი კარისა განვითარებადი ქვეყნების შესახებ (მუხლი 28(ბ)). თუ რატიფიკაციის ან შეერთებისას ქვეყანამ გამორიცხა აღნიშნული დებულებების მოქმედება, მას რჩება უფლება შემდგომ გაავრცელოს ისინი თავის ტერიტორიაზე (მუხლი 28(გ)). 29-ე მუხლი კონკრეტულად ეხება კონვენციასთან შეერთების პროცედურას.

**იურიდიული დათქმები.** მუხლის 30(1) თანახმად, კონვენციის რატიფიკაცია ან მასთან შეერთება ავტომატურად იწვევს კონვენციის ყველა დებულების მიღებას და, ზოგადი წესის შესაბამისად არ დაიშვება იურიდიული დათქმები, გარდა კონვენციის დამატებითი კარისა და

1-21 მუხლებისა, რაც დაშვებულია მუხლით 28(1)(ბ).

დათქმები, ასევე, ვრცელდება დებულებებზე დავების მოგვარების შესახებ საერთაშორისო სასამართლოში განხილვის გზით (მუხლი 33(2)), აგრეთვე, დამატებით კარში განვითარებული ქვეყნებისათვის ნებადართულ გამონაკლისებზე.

**ტერიტორიები, რომლებზეც კავშირის ქვეყნებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა.** რატიფიკაციისას ან შეერთებისას, კავშირის ნებისმიერმა ქვეყანამ შეიძლება განაცხადოს, რომ კონვენცია ვრცელდება ყველა ან ზოგიერთ ტერიტორიაზე, რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი (მუხლი 31).

**ადრინდელი აქტების გამოყენება.** 32-ე მუხლი დაკავშირებულია რთულ სიტუაციებთან, რომლებიც წარმოიშობა კონვენციის სხვადასხვა აქტთან შეერთებულ წევრ ქვეყნებს შორის. ამჟამად, დროის გასვლასა და TRIPS შეთანხმების მიღებასთან დაკავშირებით, საგრძნობლად შემცირდა ქვეყნების რიცხვი, რომლებსაც ვალდებულებები გააჩნიათ კონვენციის ადრინდელი აქტების შესაბამისად.

**დავების გადაწყვეტა.** კავშირის ორ ან მეტ ქვეყანას შორის დავა კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე, შეიძლება შეტანილ იქნეს განსახილველად საერთაშორისო სასამართლოში, თუ მხარეთა შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მუხლი 33(1)). თუმცა, ეს შესაძლებლობა ჯერ არ ყოფილა გამოყენებული.

**ადრინდელი აქტების მოქმედება.** ქვეყანა, რომელსაც სურს ბერნის კავშირში განეწინააღმდეგოს, არ შეიძლება შეუერთდეს ბერნის კონვენციის ადრინდელ აქტებს. ქვეყნებს, რომლებიც ამჟამად უერთდებიან კონვენციას, შეუძლიათ განეწინააღმდეგონ მხოლოდ პარიზის 1971 წლის აქტის მიღებით (მუხლი 34).

**ხანგრძლივობა და დენონსირება.** კონვენცია ძალაში რჩება დროის შეზღუდვის გარეშე. ქვეყნებს შეუძლიათ კონვენციის დენონსირება (მუხლი 35), მაგრამ სინამდვილეში ეს, ალბათ, მხოლოდ თეორიული შესაძლებლობაა.

**აუცილებელი ზომების მიღება.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნები, რომლებიც უერთდებიან კონვენციას, ვალდებულებას იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც აუცილებელია მისი გამოყენების უზრუნველსაყოფად და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა განახორციელონ კონვენციის დებულებები (მუხლი 36).

**ენები.** 37-ე მუხლი შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს კონვენციის ოფიციალური ტექსტების შესახებ. პარიზის 1971 წლის აქტს ხელი მოეწერა ერთ პირად ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ოფიციალური ტექსტები დადგენილია რამდენიმე სხვა ენაზე. თუმცა, ამრთა სხვადასხვაობის შემთხვევებში, კონვენციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

## თავი XII

### **დამატებითი კარი. სპეციალური დებულებები განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით**

მოსაზრება ბერნის კონვენციის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნებისათვის სპეციალური რეჟიმის დაწესების შესახებ პირველად გამოითქვა აფრიკის ქვეყნების საავტორო უფლებების დაცვის თაობაზე გამართულ შეხვედრაზე, რომელიც 1963 წელს შედგა ქ. ბრაზავილში.

აღნიშნული იდეა გახდა სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციის მოსამზადებელი სამუშაოების ერთ-ერთი მთავარი თემა და შემდგომ აისახა სტოკჰოლმის აქტის პროტოკოლში განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით, რომელიც ამ ქვეყნებისათვის შეღავათების დაწესებას ითვალისწინებდა.

ეს დოკუმენტი მოექცა ავტორთა უფლებებთან დაკავშირებული არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების (ALAI, CIZAK და სხვ.) კრიტიკის ქვეშ, ხოლო მისი მიღება დიდ წინააღმდეგობას წააწყდა განვითარებული ქვეყნების (უპირველეს ყოვლისა ინგლისის) მხრიდან, საბოლოოდ კი უარყოფილ იქნა. ამ პერიოდში დაპირისპირებამ განვითარებულსა და განვითარებად ქვეყნებს შორის პოლიტიკური ელფერი მიიღო – განვითარებადი ქვეყნები იმუქრებოდნენ ბერნის კონვენციიდან გასვლით. მხოლოდ სტოკჰოლმის კონფერენციის შემდგომ გამართული შეხვედრებისა და მოლაპარაკებების სერიის შედეგად გახდა შესაძლებელი ამ ქვეყნების მიერ კომპრომისული გადანყვეტილებების მიღწევა, რაც პარიზის 1971 წლის კონფერენციაზე ჩამოყალიბდა პარიზის აქტის დამატების სახით.

დამატებითი კარის ტექსტი შეიცავს სპეციალურ დებულებებს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც ნებას რთავს ასეთ ქვეყნებს დაანესონ სისტემები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება კონვენციით დაცული ნაწარმოებები გარკვეული პირობებით იყოს თარგმნილი ან რეპროდუცირებული ავტორებისაგან ნებართვის მიღების გარეშე.

დამატებითი კარი წარმოადგენს პარიზის აქტის განუყოფელ ნაწილს (მუხლი 21). იგი შეიცავს ექვს მუხლს, რომლებიც დანომრილია რომაული ციფრებით, რათა გამოირიცხოს კონვენციის ძირითადი ტექსტის მუხლებთან ამ მუხლების აღრევა.

**შეღავათების გავრცელება.** პირველი მუხლი ადგენს ვისზე და რა პირობებით ვრცელდება პარიზის 1971 წლის აქტის დამატებით კარში გათვალისწინებული შეღავათები. მუხლის I(1) თანახმად, ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად ითვლება განვითარებად ქვეყნად და თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან, აგრეთვე, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე მი-აჩნია, რომ ვერ შეძლებს ამოქმედოს პარიზის აქტის ყველა დებულება უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, შეუძლია მოითხოვოს მასზე პარიზის აქტის დამატებითი კარით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელება. ასეთი თხოვნით შეტყობინება ან განცხადება ეგზავნება ისმო-ს გენერალურ დირექტორს. შეღავათების მოქმედების ვადა 10 წელია. ამ დროის გავლის შემდეგ, ქვეყნის თხოვნის საფუძველზე, ის შეიძლება გაგრძელდეს შემდგომი 10 წლით. თუ ქვეყანა აღარ მიიჩნევა განვითარებად ქვეყანად, მასზე სამეღავათო რეჟიმი აღარ მოქმედებს (მუხლი I(3)).

თუ ქვეყანა სარგებლობს პარიზის აქტის დამატებითი კარით გათვალისწინებული შეღავათებით, ბერნის კავშირის სხვა ქვეყანას არა აქვს უფლება მიანიჭოს ნაწარმოებებს, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის ეს განვითარებადი ქვეყანა, იმაზე ნაკლები დაცვა, ვიდრე ვალდებულია მიანიჭოს პარიზის აქტის 1-20 მუხლების დებულებების თანახმად (მუხლი 1(6)(ა)).

**თარგმნის უფლების შემლუღვა.** თარგმნის უფლებების შემ-ლუღვის საკითხებს ეხება დამატებითი კარის II და V მუხლები. მუხლის II(1) თანახმად, ქვეყანას, რომელიც სარგებლობს II მუხლით გათვალისწინებული შეღავათებით, შეუძლია ბეჭდვითი ან რეპროდუქციების სხვა ანალოგიური ფორმით გამოქვეყნებული ნაწარმოების მიმართ თარგმნის განსაკუთრებული უფლება (მუხლი 8) შეცვალოს არაგანსაკუთრებული და არაგადასაცემი ლიცენზირების სისტემით, რომლებიც გაიცემა ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენტური ორგანოს მიერ. ეს შეღავათები, როგორც აღვნიშნეთ, ვრცელდება მხოლოდ „ბეჭდვითი ან რეპროდუქციების სხვა ანალოგიური ფორმით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე“, ანუ ამ

მუხლის მოქმედების სფეროში, მაგალითად, არ შედის ფილმები და აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერები.

მუხლი II(5) ადგენს, რომ არ შეიძლება ნაწარმოების თარგმნის მიზანი, რომელზეც ვრცელდება შეღავათი, იყოს ნებისმიერი რამე და ის უნდა უკავშირდებოდეს სწავლებას ან სამეცნიერო კვლევებს.

მუხლები II(2), II(3) და II(4) განსაზღვრავს თარგმნაზე ლიცენზიის გაცემის პირობებს. პირველ ყოვლისა, პირი, რომელზეც გაიცემა ლიცენზია, უნდა იყოს ამ ქვეყნის მოქალაქე (მუხლი II(2)). იგულისხმებიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. მეორე პირობა დაკავშირებულია ენასთან, რომელზეც უნდა ითარგმნოს ნაწარმოებები. კონვენცია ანსხვავებს ენებს, რომლებიც საერთო სარგებლობაშია ერთ ან რამდენიმე განვითარებად ქვეყანაში და ენებს, რომლებიც არ არის იქ საერთო სარგებლობაში (მუხლი II(3)).

პარიზის კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ გამოთქმა „ენა, რომელიც არის საერთო სარგებლობაში“ გარდა ენისა, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ასევე, მოიცავს რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ენას, ან ენას, რომელიც გამოიყენება გარკვეული მიზნებისათვის (მაგ., სახელმწიფო მმართველობაში, ან საგანმანათლებლო სფეროში).

ლიცენზია საერთო სარგებლობის ენაზე თარგმნისათვის შეიძლება გაიცეს ნაწარმოების გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ, ხოლო თუ საქმე არ ეხება ასეთ ენაზე თარგმნას, ეს პერიოდი შეიძლება შემცირდეს ერთ წლამდე (მუხლები: II(2) და II(3)).

II(4)(ა) მუხლის თანახმად, ლიცენზიები, რომლებიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს სამი წლის შემდეგ, არ შეიძლება გაიცეს დამატებითი ექვსთვიანი ვადის გასვლამდე, ხოლო ლიცენზიებისათვის, რომელთა მიღება შესაძლებელია ერთი წლის გასვლის შემდეგ, დამატებითი პერიოდი შეადგენს ცხრა თვეს.

საავტორო უფლებების მფლობელს შეიძლება აღუდგეს თავისი განსაკუთრებული უფლებები თარგმნაზე, თუ ის თვითონ გამოსცემს თარგმანს იგივე ენაზე. თუმცა, ამ შემთხვევაში შეიძლება გაგრძელდეს იძულებითი ლიცენზიის საფუძველზე უკვე გამოქვეყნებული ასლების გაყიდვა (მუხლი II(6)).

II(9) მუხლის თანახმად, ნაწარმოების თარგმნის უფლება, ასევე, შეიძლება მიეცეს სამაუწყებლო ორგანიზაციასაც, რომლის შტაბ-



ბინა მდებარეობს განვითარებად ქვეყანაში. ისევე, როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევაში, თარგმანი აქაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სწავლების ან კვლევების მიზნით.

V მუხლი ნებას რთავს ბერნის კავშირში შემავალ განვითარებად ქვეყნებს, ნაცვლად II მუხლით გათვალისწინებული იძულებითი ლიცენზირების რთული სისტემისა, თარგმნისათვის აირჩიონ უფრო მარტივი „10-წლიანი რეჟიმი“, რომელიც გათვალისწინებული იყო ბერნის კონვენციის 1896 წლის რედაქციით.

ამ სისტემის მიხედვით, თუ ნაწარმოების პირველი გამოქვეყნების თარიღიდან 10 წლის განმავლობაში არ გამოქვეყნებულა თარგმანი საერთო სარგებლობის ენაზე, საავტორო უფლებების მფლობელი კარგავს განსაკუთრებულ უფლებას თარგმნაზე ამ ენასთან მიმართებაში.

**რეპროდუცირების უფლების შეზღუდვა.** რეპროდუცირების უფლების შეზღუდვის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია დამატებითი კარის III მუხლში. ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ რეპროდუცირებაზე ზღვდვითი ან ანალოგიური ფორმით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე შეუძლია გაცეს იძულებითი ლიცენზია (მუხლი III(7)).

III(7) მოქმედება ვრცელდება, ასევე, რეპროდუცირებაზე აუდიო-ვიზუალური ფორმით, ლიცენზიები გაიცემა თუ რეპროდუცირება განკუთვნილია სისტემატური სწავლების მიზნებისათვის.

საზოგადოდ, რეპროდუცირებაზე ლიცენზიის გაცემა დასაშვებია ნაწარმოების გამოქვეყნებიდან 5 წლის შემდეგ (მუხლი III(3)).

საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების, მათემატიკისა და ტექნიკური სფეროს ჩათვლით, გამოცემებისათვის ეს პერიოდი შეადგენს სამ წელიწადს, ხოლო მხატვრული, პოეტური, დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის, აგრეთვე, ხელოვნების დარგის ნიგნებისათვის ეს პერიოდი შეადგენს შვიდ წელიწადს (მუხლები: III(3) (i) და III(3)(ii)).

ლიცენზია ნაწარმოების თარგმანის რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე არ გაიცემა, თუ თარგმანი არ იყო გამოქვეყნებული თარგმანზე უფლების მფლობელი პირის მიერ ან მისი ნებართვით, ან როცა თარგმანი გაკეთებულია ენაზე, რომელიც არ არის საყოველთაო სარგებლობაში ქვეყანაში, სადაც მოთხოვნილი იყო ლიცენზია (მუხლი (5)).

**ზოგადი დებულებები.** დამატებითი კარის IV მუხლში მოცემულია რიგი დებულებები, რომლებიც ეხება როგორც თარგმნაზე, ისე რეპროდუცირებაზე ლიცენზიების გაცემას.

მუხლი V(1) ადგენს, რომ ლიცენზიები II და III მუხლების შესაბამისად, შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ პირობით, თუ პირი, რომელმაც განაცხადი გააკეთა ლიცენზიაზე, ქვეყანაში დადგენილი წესების თანახმად, დაამტკიცებს, რომ მან ნებართვისათვის მიმართა პირს, რომელსაც აქვს თარგმნის და რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება და უარი მიიღო მისგან ან მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ვერ შეძლო დაედგინა პირი, რომელიც ამ უფლებებს ფლობს.

ლიცენზიები არ ვრცელდება ნაწარმოების ასლების ექსპორტზე და ძალაშია მხოლოდ ნაწარმოების და მისი თარგმანის გამოქვეყნებისას იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც იყო მოთხოვნილი (მუხლი IV (4)).

V(6) მუხლის თანახმად, ლიცენზია უნდა ითვალისწინებდეს სამართლიანი კომპენსაციის გადახდას იმ პირისათვის, რომელიც ფლობს უფლებას თარგმანს ან რეპროდუცირებაზე.

---

## ნანილი 2

# რომის კონვენცია

### თავი I

## ზოგადი მიმოხილვა

### კონვენციის შექმნის ისტორია

XIX საუკუნის დამლევს ხმის ჩამწერი მონწყობილობისა და კინოს გამოგონებასთან დაკავშირებულმა მნიშვნელოვანმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა შეშფოთება შეიტანა შემოქმედთა წრეებში – გაჩნდა ნაწარმოებთა გამოყენების სრულიად ახალი საშუალებები. აქტუალური გახდა კინემატოგრაფიასა და ხმის ჩანაწერებში ნაწარმოებთა უნებართვო გამოყენებისაგან ავტორთა დაცვის საკითხი, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. შექმნილმა სიტუაციამ ბიძგი მისცა შესაბამის სამართალშემოქმედებით ინიციატივებს, რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1908 წელს ბერლინის კონფერენციაზე ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციაში შეტანილი ცვლილებების სახით.

ბერნის კონვენციის ბერლინის აქტით, ავტორებს მიენიჭათ დამატებითი უფლებები, რომლებიც ეხებოდა ნაწარმოების მექანიკურ რეპროდუქციებას (ნაწარმოების შესრულების ჩანერა), ნაწარმოების კინემატოგრაფიული საშუალებებით რეპროდუქციებას (ნაწარმოების მიხედვით ფილმის გადაღება) და შესრულებას (ფილმის ჩვენება). იმავდროულად, ნაწარმოების კინემატოგრაფიული რეპროდუქცია (ფილმი) გათანაბრებულ იქნა ორიგინალურ ნაწარმოებთან, და აღნიშნულისგან განსხვავებით, ბერნის კონვენციამ ხმის ჩანაწერი არ აღიარა საავტორო უფლებებით დაცვის ობიექტად.

ამდენად, ბერნის კონვენციით საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის ქვეშ მოექცნენ კინომწარმოებლები, ხოლო ხმის ჩამწერი კომპანიები დაცვის გარეშე დარჩნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ფილმის შექმნა, როგორც წესი, დაკავშირებულია მრავალფეროვან და რთულ ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობასთან, რომელშიც მონაწილეობს მრავალი შემოქმედი (სცენარის ავტორი, კომპოზიტორი, მხატვარი, რეჟისორი და სხვ.)

მაშინ, როდესაც ხმის ჩანერა, ძირითადად, მხოლოდ შემსრულებლისა და ხმის ოპერატორის ერთობლივი საქმიანობის შედეგია და მასში შემოქმედებითი ელემენტები ნაკლებად არის წარმოჩენილი. ბერნის კონვენციაში ამ ობიექტებისადმი გამოხატული არაერთგვაროვანი მიდგომა სწორედ მათში განსახიერებულ შემოქმედებით ნვლილში არსებულ განსხვავებებში უნდა ვეძებოთ.

XX საუკუნის დასაწყისში, ხმის ჩამწერი კომპანიების მსგავსად, საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის გარეშე აღმოჩნდნენ შემსრულებლებიც. ხმის ჩანერის ტექნოლოგიის გავრცელებას თან სდევდა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები შემსრულებელთათვის. კერძოდ, ზემოაღნიშნული ტექნიკური საშუალებები, ერთი მხრივ, დიდ ასპარეზს უხსნიდა შემსრულებელთა შემოქმედებას, რადგან ფართო აუდიტორიისათვის ხდებოდა ხელმისაწვდომი. თუმცა, მეორე მხრივ, გრამფირფიტების გაჩენამ დიდი გავლენა მოახდინა შემსრულებელთა პროფესიულ ცხოვრებაზე, ვინაიდან იკლო მოთხოვნილებამ ე.წ. ცოცხალ შესრულებაზე. პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე შექმნილ მდგომარეობას დაერთო მასობრივი უმუშევრობაც.

XX საუკუნის ოციან წლებში, ეთერით გადაცემის და, შესაბამისად, სამაუწყებლო კომპანიების გაჩენის შედეგად, გამოიკვეთა კიდევ ერთი ინდუსტრია, რომლის ინტერესები მჭიდროდ იყო დაკავშირებული საავტორო უფლებების დაცვასთან. მატერიალური რესურსი, რომელიც იხარჯებოდა ეთერით გადაცემის პროცესის უზრუნველსაყოფად და გადაცემების მოსამზადებლად, ცხადად მეტყველებდა გადაცემის ჩანერის, შემდგომი რეპროდუცირებისა და უნებართვო რეტრანსლაციისაგან მათი დაცვის აუცილებლობაზე. ამასთან, ეთერით გადაცემა წარმოადგენდა ხმის ჩანაწერების გამოყენების კიდევ ერთ საშუალებას, რაც აშკარად მიუთითებდა ხმის ჩამწერ კომპანიებს, შემსრულებლებსა და სამაუწყებლო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების სამართლებრივი დარეგულირების აუცილებლობაზე. გარდა ამისა, სამაუწყებლო ორგანიზაციების გადაცემების დაცვა პირდაპირ უკავშირდებოდა იმ ავტორების უფლებების დაცვას, რომელთა ნაწარმოებებიც გადაიცემოდა ეთერით.

XX საუკუნის ოცდაათიან წლებში გერმანიასა და ავსტრიაში დაიწყო ერთობლივი მუშაობა ახალ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, სწრაფად განვითარებადი კინო, ხმის ჩამწერი და სამაუწყებლო ინდუსტრიების და, მეორე

მხრივ, შემსრულებელთა უფლებების დაცვას. აღნიშნული მუშაობის შედეგად, ავსტრიაში 1936 წელს მიიღეს ახალი კანონი, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად, მონესრიგა და დაცვით უზრუნველყო შემსრულებელთა, ხმის ჩამწერთა და სამაუწყებლო ორგანიზაციის უფლებები. ავსტრიული გამოცდილება 1941 წელს გაიზიარა იტალიამ, მაგრამ მან გავრცელება ვერ ჰპოვა სხვა ქვეყნებში.

საერთაშორისო დონეზე მომიჯნავე უფლებების მფლობელთა დაცვის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა ჯერ კიდევ 1928 წელს რომში, მიმდინარე კონფერენციაზე ბერნის კონვენციის გადასინჯვისას. თუმცა, მაშინ მიიჩნიეს, რომ შემსრულებელთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის მიღება ნაადრევი იყო. 1939 წელს სამადენში (შვეიცარია) ბერნის კავშირისა<sup>1</sup> და კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ იქნა ექსპერტთა შეხვედრა, რომელზეც მომზადდა ორი შეთანხმების პროექტი. პირველი ეხებოდა შემსრულებლებს და ფონოგრამის დამამზადებლებს, მეორე კი – სამაუწყებლო ორგანიზაციებს. მაგრამ შეთანხმების მიღებას მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი.

ბერნის კონვენციის გადასინჯვის მიზნით, 1948 წელს ბრიუსელში ჩატარებულ დიპლომატიურ კონფერენციაზე კვლავ წამოიჭრა მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კონვენციაზე მუშაობის პერიოდში განიხილებოდა შემსრულებელთათვის საავტორო უფლებების მინიჭების საკითხიც. თუმცა, მათი უფლებების ამგვარად დაცვის შესაძლებლობა შემდგომში გამოირიცხა. კონფერენციაზე მიიღეს სამი რეზოლუცია, რომელთა საფუძველზეც ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყნებს უნდა შეესწავლათ და შეემუშავებინათ შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების სამართლებრივი დაცვის საშუალებები. იმავდროულად, ხაზგასმული იყო, რომ ამით არ უნდა შელახულიყო ავტორთა უფლებები. სწორედ აღნიშნულმა რეზოლუციებმა მისცა ბიძგი დაინტერესებული ქვეყნების მთავრობებს განეახლებინათ მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების გადანყვეტის გზების ძიება.

მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო დაცვის მექანიზმების შემოღების პროცესში მონაწილეობდნენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები – ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაცია, მუსიკოსთა საერთაშორისო

1 ბერნის კავშირი – ბერნის კონვენციის წევრი ქვეყნების გაერთიანების არაოფიციალური სახელი.

ფედერაცია, ფონოგრაფიული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაცია და ევროპის სამაუწყებლო კავშირი. შეხვედრების შედეგად მიღებულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია. აღნიშნულ პროცესს მხარს უჭერდა სამი საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Labor Organization), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო) და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაერთიანებული საერთაშორისო ბიურო (შემდგომში გარდაიქმნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციად). ამ მოლაპარაკებებში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობა განპირობებული იყო კინო, ხმის ჩამწერი და სამაუწყებლო ინდუსტრიების სწრაფი განვითარების პირობებში შემსრულებელთა დასაქმებისა და მათი ინტერესების დაცვის საკითხების აქტუალობით, ხოლო იუნესკო-ს მონაწილეობა კი დაკავშირებული იყო 1952 წ. „საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენციის“ მიღებასთან, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებდა იუნესკო.

1951 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ბერნის კავშირის ქვეყნების სამდივნოსთან ერთად ჩაატარა შეხვედრა რომში. ამ შეხვედრაზე მიიღეს კონვენციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დაცვის მინიჭებას ერთდროულად შემსრულებელთათვის, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის. მრავალი განხილვისა და დისკუსიების შემდეგ, მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები საბოლოოდ შეთანხმდნენ მომავალი კონვენციის ამგვარ ფორმატზე.

1956 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნოს მოწვევით და ფინანსური მხარდაჭერით ჟენევაში ჩატარდა შეხვედრა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. შეხვედრაზე ჩამოყალიბდა მომავალი კონვენციის პროექტი კომენტარებითურთ.

თავის მხრივ, იუნესკო-მ და ბერნის კავშირის სამდივნომ 1957 წელს მონაკოში მოაწყვეს ექსპერტთა შეხვედრა, რომლის დროსაც შეიმუშავეს „საავტორო უფლებების ზოგიერთი მომიჯნავე უფლების“ დაცვის კონვენციის კიდევ ერთი პროექტი.

სამივე ზემოაღნიშნული პროექტი შეიცავდა მნიშვნელოვან განსხვავებებს სხვადასხვა საკითხისადმი მიდგომაში და მოითხოვდა შეჭერებას. აღნიშნული განხორციელდა ჰააგაში 1960 წელს,



სამთავრობო ექსპერტების მონაწილეობით შემდგარ შეხვედრაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი ბოდენჰაუზენი. ჰააგაში მომზადებული კონვენციის შეჯერებული პროექტი (ე.წ. ჰააგის პროექტი) შემდგომში საფუძვლად დაედო რომის კონვენციას.

1961 წლის 10-26 ოქტომბერს რომში შედგა შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვისადმი მიძღვნილი დიპლომატიური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 41 ქვეყნის წარმომადგენელი და სამი საერთაშორისო ორგანიზაცია: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, იუნესკო და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაერთიანებული საერთაშორისო ბიურო. კონფერენციის შედეგად, 1961 წლის 26 ოქტომბერს ხელი მოეწერა საერთაშორისო კონვენციას „შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ“ (რომის კონვენცია), რომელმაც დასაბამი მისცა საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებათა საყოველთაო აღიარებასა და დაცვას. რომის კონვენცია ძალაში შევიდა 1964 წელს და მისი არსებობის განმავლობაში არ გადასინჯულა. დღეის მდგომარეობით რომის კონვენციის წევრია 76 ქვეყანა. საქართველოს პარლამენტმა რომის კონვენციის რატიფიცირება განახორციელა 2004 წლის 17 თებერვალს.

რომის კონვენციის ადმინისტრირებას ახორციელებს ისმო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და იუნესკო.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ბერნის კონვენცია შეიქმნა საავტორო უფლებების სფეროში უკვე არსებული ეროვნული კანონმდებლობების უნიფიცირების მიზნით, რომის კონვენციამ, დაადგინა რა მინიმალური სტანდარტები, რომლებიც უნდა ასახულიყო ეროვნულ კანონმდებლობებში, განაპირობა მომიჯნავე უფლებების დაცვის ეროვნული სისტემების ჩამოყალიბება.

### **საავტორო და მომიჯნავე უფლებების ურთიერთდამოკიდებულება**

რომის კონვენციაზე მუშაობის პროცესში უდიდესი ყურადღება დაეთმო საავტორო და მომიჯნავე უფლებების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, რომელსაც საგანგებოდ მიეძღვნა კონვენციის პირველი მუხლი, რომლის თანახმად „ამ კონვენციით მინიჭებული დაცვა ხელუხლებლად ტოვებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვას და არანაირად არ ახდენს

ზემოქმედებას მასზე. შესაბამისად, კონვენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება იქნეს გაგებული, როგორც ასეთი დაცვის შემლახველი“. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს მომიჯნავე უფლებების დაცვისა და განხორციელების საფუძველს. იმის გათვალისწინებით, რომ მომიჯნავე უფლებები, როგორც წესი, წარმოიშობა საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენების (ნაწარმოების შესრულების, ასეთი შესრულების ჩანერის, ნაწარმოების საჯარო გადაცემის) შედეგად, კონვენციაზე მუშაობის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ, ერთი მხრივ, საავტორო და, მეორე მხრივ, მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ურთიერთდამოკიდებულება სპეციალურ მონესრიგებას საჭიროებდა, რაც გაკეთდა კიდევ კონვენციის პირველი მუხლით.

დიპლომატიურ კონფერენციაში მონაწილე ზოგიერთი დელეგაცია მიიჩნევდა, რომ კონვენციის პირველი მუხლის ამგვარი რედაქციით ჩამოყალიბება არ იყო სავალდებულო, რადგან კონვენციამ, რომელიც არ ეხება საავტორო უფლებებს, არ შეუძლია შეზღუდოს ისინი. თუმცა, მონაწილეთა უმრავლესობის დაბეჭითებით მოთხოვნის შედეგად, კონვენციაში ასეთი ჩანაწერი მაინც გაკეთდა.

არსებობს მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც მომიჯნავე უფლებების წარმოშობა და განხორციელება არ უკავშირდება საავტორო უფლებების გამოყენებას: პირველი, თუ შესრულების, ფონოგრამის დამზადების ან გადაცემის დროს გამოიყენება ნაწარმოები, რომელზეც საავტორო უფლების დაცვის ვადა ამოწურულია და მეორე, თუ შესრულების, ფონოგრამის დამზადების ან გადაცემის დროს გამოიყენება ობიექტი, რომელზეც არ ვრცელდება საავტორო უფლება. მაგალითად, როდესაც ფონოგრამის დამამზადებელი იწერს ფრინველთა გალობას ან სამაუწყებლო ორგანიზაცია ახორციელებს სპორტული შეჯიბრის გადაცემას.

### **რომის კონვენციის ძირითადი პრინციპები და დაბუღებები**

კონვენციის პირველი ძირითადი პრინციპია ე.წ. ეროვნული რეჟიმის პრინციპი, რომლის საფუძველზეც კონვენციის წევრი ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს სამართლებრივი დაცვით სხვა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანია პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს მომიჯნავე უფლებების მფლობელთა დაცვას ყოველგვარი ფორმალური პროცედურების გარეშე, ანუ შემსრულებლის, ფონოგრამის დამამზადებლისა და სამაუწყებლო ორგანიზაციის უფლებების წარმო-

შობისათვის აუცილებელი არ არის შესრულებისა და გადაცემის ჩანაწერის ან ფონოგრამის სახელმწიფო რეგისტრაცია, დეკონირება და ა.შ.

კონვენციის ძირითადი დებულებები ეხება შემსრულებელთა უფლებებს – „ცოცხალი“ შესრულების გადაცემასა და ჩანაწერს, აგრეთვე, შესრულების ჩანაწერის გამოყენებას. ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ფონოგრამის რეპროდუცირების უფლების მინიჭებას, სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის მათი გადაცემის რეტრანსლაციის, ჩანაწერისა და ჩანაწერის რეპროდუცირების უფლებებს, შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ფონოგრამის მეორადი გამოყენების (ტელე და რადიო ეთერით გადაცემა, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საჯარო გაცნობა) შემთხვევებში ჰონორარის მიღების უფლებას და დაცვის მინიმალურ ვადას, რომელიც შეადგენს 20 წელიწადს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონვენციით გათვალისწინებული შემსრულებლების არც ერთი უფლება არ ვრცელდება, თუ შემსრულებელი დათანხმდა მისი შესრულების ვიზუალურ ან აუდიოვიზუალურ ჩანაწერში ჩართვაზე.

## თავი II კონვენციის სტრუქტურა

რომის კონვენცია შედგება 34 მუხლისაგან. მუხლები 1-22 ეხება კონვენციის ძირითად (მატერიალურ) საკითხებს, ხოლო მუხლები 23-34 არეგულირებს კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მისი ძალაში შესვლისა და სხვა პროცედურულ საკითხებს.

კონვენციის პირველი მუხლი აწესრიგებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ურთიერთდამოკიდებულებას. მე-2 მუხლი ეთმობა ეროვნული რეჟიმის პრინციპს, ხოლო მე-3 მუხლი ადგენს კონვენციაში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინის განმარტებას.

კონვენციის მუხლები: 4, 5 და 6 განსაზღვრავს, შესაბამისად, შემსრულებლებისთვის, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის დაცვის მინიჭების პირობებს.

კონვენციის დაცვით სარგებლობენ შემსრულებლები, ფონოგრამის დამამზადებლები და სამაუწყებლო ორგანიზაციები. დაცვის ობიექტებია: შესრულებები, ფონოგრამები და საეთერო გადაცემები. კონვენცია

ფონოგრამის დამამზადებლებსა და სამაუწყებლო ორგანიზაციებს ანიჭებს (მუხლები: 10 და 13) განსაკუთრებულ უფლებებს, ხოლო შემსრულებლებს აძლევს საშუალებას არ დაუშვან გარკვეულ ქმედებათა განხორციელება (მუხლი 7). ამასთან, შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს უფლება აქვთ მიიღონ ანაზღაურება კომერციული მიზნით გამოქვეყნებული ფონოგრამის მეორადი გამოყენებისათვის (მუხლი 12).

კონვენცია, აგრეთვე, განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც უნდა დარეგულირდეს მისი მონაწილე სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობებით (მუხლები: 7(2), 8, 9).

კონვენცია იძლევა გამონაკლისების დაშვებისა (მუხლი 15) და დათქმების გაკეთების (მუხლები: 5(3), 6(2), 16, 17) საშუალებას.

საავტორო უფლებების მსგავსად, კონვენციის მიხედვით, მომიჯნავე უფლებების წარმოშობისათვის სავალდებულო არ არის სახელმწიფო რეგისტრაციისა და სხვა ფორმალური პროცედურების განხორციელება (მუხლი 11).

შესრულებისათვის, ფონოგრამისა და საეთერო გადაცემისათვის კონვენცია ადგენს დაცვის მინიმალურ ვადებს (მუხლი 14).

კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად, კონვენციით გათვალისწინებული შემსრულებლების უფლებები არ მოქმედებს, თუ შემსრულებლის თანხმობით განხორციელდა შესრულების ვიზუალური ან აუდიო-ვიზუალური ფორმით ფიქსაცია.

კონვენცია არ აღიარებს და, შესაბამისად, არც იცავს შემსრულებელთა არაქონებრივ უფლებებს, თუმცა, არ ზღუდავს მონაწილე ქვეყნებს ეროვნულ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ ეს უფლებები. ბერნის კონვენციისაგან განსხვავებით, ის არ შეიცავს აგრეთვე, უფლებების განხორციელებასთან (კონტრაფაქციული საქონლის დაყადაღება) დაკავშირებულ ნორმებს.

კონვენციის მე-20 მუხლის შესაბამისად, კონვენციას არ გააჩნია უკუქცევითი ძალა.

21-ე მუხლის თანახმად, კონვენცია არ ლახავს დაცვის ნებისმიერ სხვა საშუალებებს, რომლებითაც სარგებლობენ შემსრულებლები, ფონოგრამის დამამზადებლები ან სამაუწყებლო ორგანიზაციები.

მონაწილე სახელმწიფოები არ არიან შეზღუდული ერთმანეთთან

დადონ ახალი შეთანხმებები, რომლებიც გააფართოვებს შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუნწყებლო ორგანიზაციების უფლებებს ან დაადგენს დაცვის ისეთ ახალ პირობებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კონვენციას (მუხლი 22).

### თავი III ტერმინების განმარტება

ბერნის კონვენციის მე-3 მუხლი განმარტავს კონვენციაში გამოყენებულ ძირითად ტერმინებს. ამასთან, აღნიშნული მუხლი მიუთითებს, რომ ტერმინების განმარტება გამოიყენება ამ კონვენციის მიზნებისათვის.

(ა) ქვეპუნქტის თანახმად, „შემსრულებლები,, არიან: მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვა პირები, რომლებიც ასრულებენ როლს, მღერიან, კითხულობენ, დეკლამირებენ, უკრავენ ან სხვაგვარად მონაწილეობენ ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების შესრულებაში. დიპლომატიური კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ამ ტერმინით უნდა მოიაზრებოდნენ დირიჟორებიც. ამასთან, როგორც ვხედავთ, ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და, შესაბამისად, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ეროვნული კანონმდებლობით გააფართოვონ ის. კონვენციაში მოყვანილი ამ განმარტებიდან ცხადად გამომდინარეობს, რომ შემსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. ამასთან, იგი შეიძლება იყოს პროფესიონალი ან არაპროფესიონალი, სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი.

(ბ) ქვეპუნქტი განმარტავს ფონოგრამის ცნებას. კონვენციის შესაბამისად, „ფონოგრამა“ განმარტებულია, როგორც მხოლოდ ხმოვანი ჩანაწერი და ის არ მოიცავს გამოსახულების ან ხმისა და გამოსახულების ერთობლივ ჩანაწერს.

(გ) ქვეპუნქტში მოცემულია „ფონოგრამის დამამზადებლის,, ცნება. „ფონოგრამის დამამზადებელი“ არის პირი, რომელიც საკუთარ თავზე იღებს ინიციატივას და კისრულობს პასუხისმგებლობას შესრულების ან სხვა ხმების პირველი ხმოვანი ჩანაწერის განხორციელებაზე, შესაბამისად, უშუალოდ ახორციელებს შესრულების ჩანერისთვის საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებებს.

კონვენციის შესაბამისად, ფონოგრამის დამამზადებელი შეიძლება

იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

(დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, „ფონოგრამის გამოქვეყნება“ განმარტებულია, როგორც მისი ასლების საზოგადოებისათვის გონივრული რაოდენობით შეთავაზება. კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, გამოქვეყნების უფლებით სარგებლობს მხოლოდ ფონოგრამის დამამზადებელი. ამდენად, სწორედ მისი პრეროგატივაა საზოგადოებისათვის ფონოგრამის ასლების შეთავაზება. რაც შეეხება შეთავაზებული ფონოგრამების რაოდენობას, უნდა აღინიშნოს, რომ „გონივრული რაოდენობა“ პირობითი განსაზღვრებაა და, ამდენად, დამოკიდებულია ფონოგრამაზე ჩანერილ შესრულებაზე, ანუ შესრულებული ნაწარმოების ჟანრზე, შემსრულებლის პოპულარობასა და ა.შ. მაგალითად, თუ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ათასი ცალი ფონოგრამა, რომელზეც ჩანერილია ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი შემსრულებელი, სავარაშთაობა საზოგადოების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, იგივე რაოდენობის ფონოგრამა, რომელზეც ჩანერილია პოპულარული შემსრულებელი, ვერ დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას, რადგან საზოგადოებაში ამ უკანასკნელს გაცილებით უფრო მეტი მსმენელი ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დავის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლოს პრეროგატივაა განმარტოს ფონოგრამების რა რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს „გონივრულ რაოდენობად“.

საზოგადოებისათვის შეთავაზება ნიშნავს, რომ გამოქვეყნებული ფონოგრამა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ნებისმიერი დაინტერესებული წარმომადგენლისათვის. ამდენად, როდესაც ფონოგრამის ასლები ხელმისაწვდომია მხოლოდ პირთა შეზღუდული წრისათვის, ამგვარი ქმედება ვერ ჩაითვლება „გამოქვეყნებად“.

(ე) ქვეპუნქტის შესაბამისად, რეპროდუცირება ნიშნავს ჩანანერის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადებას. ამ ქვეპუნქტის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ის ეხება ზოგადად ჩანანერის (fixation) და არა ფონოგრამის (phonogram) რეპროდუცირებას, რადგან თუ შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლის კონვენციური უფლებები დაკავშირებულია მხოლოდ ხმოვანი ჩანანერის (ფონოგრამის) რეპროდუცირებასთან, სამუშაოებლო ორგანიზაციის უფლებები უკავშირდება, აგრეთვე, მისი გადაცემების ვიზუალური ან აუდიო-ვიზუალური ფორმით ჩანერასა და შემდგომ რეპროდუცირებას.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ კონვენციაში გამოყენებული ტერმინი „ფონოგრამა“ მოიცავს მხოლოდ ხმოვან ჩანაწერს, ხოლო ტერმინი „ფიქსაცია“ – როგორც ხმოვან, ისე ვიზუალურ და აუდიო-ვიზუალურ ჩანაწერს.

რაც შეეხება თავად რეპროდუცირების პროცესს, ის მოიცავს ჩანაწერის (მაგ., გრამფირფიტა, კასეტა და ა.შ.) ასლების დამზადებას. მოგვიანებით, ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით, მათ შორის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, საქართველოს კანონით (მე-4 მუხლის (ო) ქვეპუნქტი), ჩანაწერის რეპროდუცირებად მიჩნეულია, აგრეთვე, ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ჩაწერა დროებით ან მუდმივად შესანახად ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური, ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით.

(ვ) ქვეპუნქტი განმარტავს „ეთერით გადაცემის“ ცნებას, რომელიც მოიცავს საზოგადოებისთვის ხმების ან/და გამოსახულებების გადაცემას მხოლოდ უსადენო საშუალებებით. აქედან გამომდინარეობს, რომ საკაბელო გადაცემის ორგანიზაციები და გადაცემები, რომლებიც გადაიცემა სადენით, არ წარმოადგენს კონვენციის დაცვის საგანს. თუმცა, კონვენციის ამგვარი მიდგომა არ ზღუდავს წევრ ქვეყნებს, რომ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა გაავრცელონ ეროვნული კანონმდებლობით საკაბელო სამაუწყებლო ორგანიზაციებზეც. როგორც ზევით აღვნიშნეთ, კონვენცია ადგენს დაცვის მინიმალურ პირობებს და არ ზღუდავს მონაწილე ქვეყნებს დაცვის გაფართოვების საკითხებში.

საავტორო სამართალში ეთერით გადაცემის პროცესი ტრადიციულად განიმარტება, როგორც ხმების ან/და გამოსახულებების გადაცემა ეთერით, რომელიც შეიძლება აღქმული იყოს იმ პირთა მიერ, რომლებიც გადაცემის ადგილიდან ისეთ მანძილზე იმყოფებიან, რომ ასეთი გადაცემის გარეშე ხმები ან/და გამოსახულებები არ შეიძლება აღქმული იყოს მითითებულ ადგილზე (ადგილებზე).<sup>2</sup>

(ზ) ქვეპუნქტი განმარტავს ეთერით ხელმეორედ გადაცემის, ანუ რეტრანსლაციის ცნებას, რომელიც გულისხმობს ერთი სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემის

2 ტექნოლოგიურმა განვითარებამ, კერძოდ კი სატელევიზიო მეშვეობით ეთერში გადაცემების დაწინაურებამ, განაპირობა ის ფაქტი, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მოქმედი თანამედროვე კანონმდებლობა, მათ შორის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხლი 4(ლ)), ეთერით გადაცემებში მოიაზრებს სატელევიზიო გადაცემებსაც. ამგვარი მიდგომა გათვალისწინებულია, აგრეთვე, ისმოს-შეთანხმებაში „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“.

ერთდროულ გადაცემას ეთერით. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, გადაცემის ჩანაწერის, მათ შორის, კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული „ეფემერული“ ჩანაწერის მეშვეობით განხორციელებული შემდგომი გადაცემაც შეიძლება მოიცვას რეტრანსლაციის ცნებამ. უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიურ კონფერენციამდე ავსტრიის დელეგაცია მართლაც გამოდიოდა ინიციატივით, რომ რეტრანსლაციის ცნებაში მოაზრებულიყო არა მხოლოდ ერთდროული, არამედ დროში წანაცვლებული (შემდგომი) გადაცემაც. თუმცა, აღნიშნული ინიციატივა უარყოფილი იყო.

## თავი IV

### ეროვნული რეჟიმი და დაცვის მინიჭების კრიტერიუმები

#### ეროვნული რეჟიმი

ეროვნული რეჟიმის პრინციპი წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი მრავალი საერთაშორისო კონვენციისა და შეთანხმების საფუძველს. ეს პრინციპი ადგენს იმ უფლებებს, რომლებსაც საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე ქვეყანა თავის ტერიტორიაზე ანიჭებს ამავე შეთანხმების მონაწილე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს.

ეროვნული რეჟიმის არსი და ფარგლები განსხვავებულია საერთაშორისო შეთანხმებებში, მაგრამ შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი პრინციპი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა ეროვნულ რეჟიმთან მიმართებაში.

ერთ შემთხვევაში, ვალდებულება ეროვნული რეჟიმის მინიჭების თაობაზე კომბინირებულია გარკვეულ უფლებებთან, რომლის დაცვა უნდა უზრუნველყოს შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანამ. ამ შემთხვევაში, ეროვნული რეჟიმი მოიცავს ყველა იმ უფლებას, რომელსაც შეთანხმების მონაწილე მხარე, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, ანიჭებს თავის მოქალაქეებს, საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებების ჩათვლით. ამის მაგალითს წარმოადგენს ბერნის კონვენცია, რომლის მონაწილე ქვეყნებს აქვთ მსგავსი კონცეპტუალური ხედვა და საკმარისად ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა შესაბამის სფეროში.

მეორე შემთხვევაში ეროვნული რეჟიმი ანიჭებს მხოლოდ იმ უფლე-

ბების მინიმუმს, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებით. ამ სახით ეროვნული რეჟიმი გვხვდება იმ საერთაშორისო შეთანხმებებში, რომელთა წევრი ქვეყნების კონცეპტუალური მიდგომები და ეროვნული კანონმდებლობის ნორმები, საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული სავალდებულო ნორმების გარდა, ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რის მაგალითსაც წარმოადგენს რომის კონვენცია.

რომის კონვენციაში შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფისათვის ეროვნული რეჟიმის პრინციპი გათვალისწინებულია კონვენციის მე-2 მუხლში. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეროვნული რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციით უზრუნველყოფილ სპეციალურ დაცვასა და მასში გათვალისწინებულ სპეციალურ შემღებებს. რომის დიპლომატიური კონფერენციის მასალებში კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განმარტებულია შემდგნაირად:

„(ეს დებულება) ეხება ე.წ. მინიმალურ დაცვას, რომელიც უზრუნველყოფილია მუხლებით: 7, 10, 12, 13 და რომლის მინიჭების ვალდებულებასაც იღებენ მონაწილე სახელმწიფოები – ნებადართული გამოწვევებისა და დათქმების გათვალისწინებით – მიუხედავად იმისა, ანიჭებენ თუ არა ისინი ამგვარ დაცვას თავის შესრულებებს, ფონოგრამებსა და გადაცემებს.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონვენციის წევრი ქვეყანა ვალდებულია თავის ტერიტორიაზე მიაწოდოს კონვენციით გათვალისწინებული მინიმალური დაცვა სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეროვნული კანონმდებლობით ამგვარ დაცვას არ ანიჭებენ თავის მოქალაქეებს. გარდა ამისა, კონვენციის მონაწილე ქვეყანას უფლება არა აქვს უარი უთხრას მინიმალური დაცვის გავრცელებაზე სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეებს მარტოდენ იმ მიზეზით, რომ მათთვის იმავე მოცულობის ანალოგიური უფლებები უზრუნველყოფილი არ არის მათ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით.

რაც შეეხება წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეებისათვის კონვენციით გათვალისწინებულზე უფრო ფართო დაცვის მინიჭებას, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი მეტად ბუნდოვანია და მასზე პასუხი კონვენციის ნორმების განმარტებისას და მათ ურთიერთშეღარებისას უნდა ვეძიოთ.

კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

„(1) ამ კონვენციის მიზნებისათვის, ეროვნული რეჟიმი ნიშნავს რეჟიმს, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობით ავრცელებს ის მონაწილე სახელმწიფო, რომელშიც მოთხოვნილია დაცვა:

- შემსრულებლებზე, რომლებიც არიან მისი მოქალაქეები, იმ შესრულებების მიმართ, რომლებიც სრულდება, გადაიცემა ეთერით, ან პირველად ჩაინერება მის ტერიტორიაზე;
- ფონოგრამების მწარმოებლებზე, რომლებიც არიან მისი მოქალაქეები, იმ ფონოგრამების მიმართ, რომელიც პირველად ჩაინერა ან პირველად გამოქვეყნდა მის ტერიტორიაზე;
- სამაუწყებლო ორგანიზაციებზე, რომელთა შტაბ-ბინები განლაგებულია მის ტერიტორიაზე, იმ საეთერო გადაცემების მიმართ, რომლებიც განხორციელდა მის ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემების მეშვეობით.“

ერთი შეხედვით, აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თუ A ქვეყანა თავის შემსრულებლებს, ფონოგრამის დამამზადებლებსა და სამაუწყებლო ორგანიზაციებს ეროვნული კანონმდებლობით ანიჭებს უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული, ის ვალდებულია ასეთივე დაცვა (და არა კონვენციით გათვალისწინებული მინიმალური დაცვა) გაავრცელოს B ქვეყნის მოქალაქეზეც, თუ ის აკმაყოფილებს დაცვის მინიჭების კრიტერიუმებს (მუხლები: 4-6). თუმცა, მეორე მხრივ, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „ეროვნული რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციით უზრუნველყოფილ სპეციალურ დაცვასა და გათვალისწინებულ სპეციალურ შემღუდვებს.“

ამდენად, თუ ეროვნული რეჟიმი მხოლოდ „უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციით უზრუნველყოფილ დაცვას“ და არ უნდა იყოს მასზე ფართო, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონვენცია არ ავალდებულებს მის წევრებს გაავრცელონ სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეებზე იმაზე მეტი დაცვა, რაც თავად კონვენციით არის გათვალისწინებული.

ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ბერნის კონვენციის შესაბამისად, ეროვნული რეჟიმი, კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებების გარდა, მოიცავს ყველა იმ უფლებას, რომელსაც წევრი ქვეყანა ანიჭებს თავის მოქალაქეებს. ეს პრინციპი პირდაპირ არის გათვალისწინებული ბერნის კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში. უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ რომის კონვენციაზე მომუშავე კონფერენციის მონაწილეებს განზრახული

ჰქონდათ ეროვნული რეჟიმის იმავე პრინციპებზე აგება, როგორც ეს ბერნის კონვენციაშია, კონვენციის მე-2 მუხლის რედაქცია სხვაგვარი იქნებოდა და მიუახლოვდებოდა ბერნის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის რედაქციას. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს, აგრეთვე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი TRIPS შეთანხმება, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი სხვა ხელშეკრულებების მსგავსად, ითვალისწინებს ეროვნული რეჟიმის პრინციპს. ამასთან, ამ შეთანხმების მე-3 მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ „თითოეული წევრი ქვეყანა სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებზე ავრცელებს თავისი მოქალაქეებისათვის გათვალისწინებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს... რაც შეეხება შემსრულებლებს, ფონოგრამების მწარმოებლებსა და სამაუწყებლო ორგანიზაციებს, ეს ვალდებულება გამოიყენება მხოლოდ ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით.“ აქედან გამომდინარეობს, რომ, მომიჯნავე უფლებებთან მიმართებაში, ერთი წევრი ქვეყნის ვალდებულება სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებზე დაცვის გავრცელებაზე, შემოიფარგლება მხოლოდ იმ უფლებებით, რომლებიც გათვალისწინებულია შეთანხმებაში. შესაბამისად, 1994 წელს TRIPS შეთანხმებაში პირდაპირ ჩაინერა ის, რაც ბუნდოვნად იყო მოცემული რომის კონვენციაში.

აღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ რომის კონვენცია არ ავალდებულებს მის წევრებს, სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეების მიმართ გაავრცელონ უფრო მეტი დაცვა, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული, თუმცა, ცხადია, რომ ის არ ზღუდავს წევრებს ამ თვალსაზრისით.

კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეროვნული რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს, აგრეთვე, კონვენციით გათვალისწინებულ სპეციალურ შემზღუდვებს. აქედან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ კონვენციაში მოცემულ შემთხვევებში შეუძლია წევრ ქვეყანას გააკეთოს დათქმა და შემზღუდოს კონვენციით გათვალისწინებული მინიმალური უფლებების მოქმედება. მაგალითად, კონვენციის მე-16 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ან არ აღიაროს ან შემზღუდოს უფლებები ფონოგრამის მეორად გამოყენებაზე (მუხლი 12) უცხოელი უფლების მფლობელების მიმართ, მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა მისი ეროვნული კანონმდებლობა ამგვარ უფლებებს.

რაც შეეხება იმ საკითხს, აქვს თუ არა კონვენციის დებულებებს

პირდაპირი მოქმედება მისი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, რადგან ეს დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული ქვეყნის საკონსტიტუციო სამართალზე და იმაზე, თუ როგორ ხდება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმათა ტრანსფორმაცია ეროვნულ კანონმდებლობაში.

### **დაცვის მინიჭების კრიტერიუმები**

კონვენციის მუხლები: 4, 5 და 6 ადგენს ვინ და რა შემთხვევებში არიან დაცული კონვენციით, ანუ ვისზე და რა შემთხვევებში უნდა გაავრცელოს წევრმა ქვეყანამ ეროვნული რეჟიმი. ერთი წევრი ქვეყნის მოქალაქე სუბიექტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, შეუძლიათ კონვენციის მე-7 (შემსრულებლის უფლებები), მე-10 (ფონოგრამის დამამზადებლის უფლება), მე-12 (ფონოგრამის მეორადი გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლება) და მე-13 (სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებები) მუხლებით განსაზღვრული უფლებების დაცვა და განხორციელება სხვა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამასთან, კონვენციის საფუძველზე, წევრი ქვეყნები ვალდებული არიან თავის ტერიტორიაზე დაცვა მიანიჭონ მხოლოდ უცხოელებს, რადგან კონვენცია არ არეგულირებს წევრი ქვეყნის მიერ საკუთარი მოქალაქეებისათვის დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამგვარ მიდგომას რომის დიპლომატიურ კონფერენციაზე მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, თუმცა, კონვენციაზე მომუშავე დელეგაციების უმრავლესობის აზრით, პრაქტიკულად გამორიცხული იყო, რომ ქვეყანას ეროვნული კანონმდებლობით თავისი მოქალაქეებისათვის არ მიენიჭებინა, სულ მცირე, ისეთივე დაცვა, როგორც მან კონვენციის საფუძველზე უნდა მიანიჭოს სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეებს. აქედან გამომდინარე, კონვენცია მისი წევრი ქვეყნების მიმართ არ წარმოშობს ვალდებულებას, რომელიც ამ უკანასკნელთა მიერ საკუთარი მოქალაქეებისათვის ეროვნული კანონმდებლობით დაცვის მინიჭებასთან არის დაკავშირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის მინიჭების პირობები რომის კონვენციაში მეტად თავისებურია და განსხვავდება ბერნის კონვენციისაგან. ამასთან, დაცვის მინიჭების კრიტერიუმები განსხვავებულია კონვენციით დაცული სამივე სუბიექტისათვის.

**შემსრულებლები.** კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად, „თითო-ეულმა მონაწილემ სახელმწიფომ შემსრულებლებზე უნდა გაავრცელოს



ეროვნული რეჟიმი, თუ დაკმაყოფილებულია რომელიმე შემდეგი პირობა:

(ა) შესრულება ხდება სხვა მონაწილე ქვეყანაში;

(ბ) შესრულება ჩართულია ფონოგრამაში, რომელიც დაცულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად;

(გ) შესრულება, რომელიც არ არის ჩანერილი ფონოგრამაზე, გადაიცემა ამ კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად დაცული საეთერო გადაცემის მეშვეობით.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, (ა) ქვეპუნქტი ადგენს, რომ თუ შესრულება ხდება კონვენციის ერთ-ერთ წევრ-ქვეყანაში, შემსრულებელი სარგებლობს კონვენციით მინიჭებული დაცვით სხვა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზეც. მაგალითად, თუ შემსრულებელი საფრანგეთში ატარებს კონცერტს, რომელიც გადაიცემა რადიოთი იტალიის ტერიტორიაზე, მას უფლება აქვს მოითხოვოს იტალიის ტერიტორიაზე კონვენციით უზრუნველყოფილი დაცვა, კერძოდ, არ დაუშვას შესრულების გადაცემა ეთერით იტალიის ტერიტორიაზე. ამ ქვეპუნქტის შესაბამისად, სხვა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე დაცვის მისაღებად მნიშვნელობა არა აქვს შემსრულებლის მოქალაქეობას (განსხვავებით ფონოგრამის დამამზადებლისაგან). თუმცა, რომის დიპლომატიურ კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია სწორედ „მოქალაქეობის“ კრიტერიუმის გათვალისწინებას მოითხოვდა, მაგრამ აღნიშნული უარყოფილ იქნა, რადგან ორკესტრებისა და გუნდების მიმართ, რომელთა წევრიც ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის (მათ შორის, რომელიც არ არის კონვენციის წევრი) მოქალაქე შეიძლება იყოს, რთული იქნებოდა „მოქალაქეობის“, როგორც დაცვის კრიტერიუმის, გამოყენება. ამდენად, შემსრულებელთათვის „ცოცხალ“ შესრულებასთან დაკავშირებით დაცვის მინიჭება დამოკიდებულია შესრულების ადგილზე.

(ბ) ქვეპუნქტი ადგენს, რომ შემსრულებელი სარგებლობს კონვენციით მინიჭებული დაცვით, თუ შესრულება ჩართულია ფონოგრამაში, რომელიც დაცულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, ხოლო (გ) ქვეპუნქტის თანახმად, შემსრულებელი სარგებლობს კონვენციით მინიჭებული დაცვით, თუ შესრულება, რომელიც არ ყოფილა ჩანერილი (ანუ ე.წ. „ცოცხალი“ შესრულება), ჩართულია გადაცემაში (გადაიცემა ეთერით), რომელიც დაცულია ამ კონვენციის მე-6 მუხლით. დაცვის მინიჭების აღნიშნული კრიტერიუმები დაკავშირებულია დაცულ ფონოგრამებსა და გადაცემებთან, ამიტომ მათზე საუბარი ქვევით გვექნება.

**ფონოგრამის დამამზადებლები.** მე-5 მუხლი ადგენს ფონოგრამის დამამზადებლებზე ეროვნული რეჟიმის გავრცელების პირობებს. თუმცა, კონვენცია ითვალისწინებს წევრი ქვეყნების მიერ გარკვეული დათქმების გაკეთების საშუალებას, რაზეც ქვევით გვექნება საუბარი. ახლა კი, განვიხილოთ ის პირობები, რომელთაგან ერთ-ერთის დაკმაყოფილების შემთხვევაში დამამზადებელს შეეძლება ისარგებლოს კონვენციით მინიჭებული დაცვით.

კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონვენციის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან დაცვით უზრუნველყონ ფონოგრამის დამამზადებელი, თუ: ა) ფონოგრამის დამამზადებელი სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეა (მოქალაქეობის კრიტერიუმი); ბ) ხმის პირველი ჩანაწერი განხორციელდა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (ჩანერის კრიტერიუმი); გ) ფონოგრამა პირველად გამოქვეყნდა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (გამოქვეყნების კრიტერიუმი).

(ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, დამამზადებელი კონვენციის წევრი ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ დამამზადებელი იურიდიული პირია, მისი „მოქალაქეობა“ განისაზღვრება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებით. ხშირად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელ ქვეყანაში აქვს კომპანიას შტაბ-ბინა ან რომელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად არის ის ორგანიზებული.

(ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ფონოგრამაზე ჩანერილი ხმების პირველი ფიქსაცია ფონოგრამის დამამზადებლის მიერ განხორციელებული უნდა იყოს კონვენციის წევრ ქვეყანაში. უნდა აღინიშნოს, რომ „ჩანერის“ კრიტერიუმი საშუალებას აძლევს არაწევრი ქვეყნის მოქალაქეს ისარგებლოს კონვენციით მინიჭებული დაცვით. მაგალითად, ამერბაიჯანის (რომელიც არ არის რომის კონვენციის მონაწილე) მოქალაქე (დამამზადებელი) ორგანიზებას უწევს შესრულების ჩანერას საქართველოში (რომელიც რომის კონვენციის წევრია) მდებარე სტუდიის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, ამერბაიჯანელ დამამზადებელს შეუძლია ისარგებლოს კონვენციით მინიჭებული უფლებებით მისი ნებისმიერი წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა, ამერბაიჯანს არა აქვს მსგავსი ვალდებულებები კონვენციის წევრი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ. სწორედ ამიტომ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, „ჩანერის“ კრიტერიუმთან მიმართებაში კონვენცია ითვალისწინებს დათქმის შესაძლებლობას (მუხლი 5.3).

(გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ფონოგრამა პირველად გამოქვეყნებული უნდა იყოს კონვენციის წევრ ქვეყანაში. როგორც კონვენციის ძირითადი ტერმინების განმარტებისას აღინიშნა, „გამოქვეყნებად“ ჩაითვლება ფონოგრამის ასლების საზოგადოებისათვის გონივრული რაოდენობით შეთავაზება. „ჩანერის“ კრიტერიუმის მსგავსად, „გამოქვეყნების“ კრიტერიუმი კონვენციის წევრი ქვეყნის დამამზადებლების სხვა წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე დაცვასთან ერთად, საშუალებას აძლევს არაწევრი ქვეყნის მოქალაქეს დაიცვას თავისი ინტერესები და განახორციელოს უფლებები იმ ქვეყნებში, რომლებშიც მოქმედებს რომის კონვენცია მაშინ, როდესაც თავად მის ქვეყანას ამგვარი ვალდებულებები არ გააჩნია. მუხლი 5.3 იძლევა, აგრეთვე, ამგვარი დისბალანსის აღკვეთის საშუალებასაც.

მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად:

„(2) თუ ფონოგრამა პირველად გამოქვეყნდა სახელმწიფოში, რომელიც არ არის ამ კონვენციის მონაწილე, მაგრამ პირველი გამოქვეყნებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში გამოქვეყნდა, აგრეთვე, მონაწილე სახელმწიფოშიც (ერთდროული გამოქვეყნება), ის ჩაითვლება პირველად გამოქვეყნებულად მონაწილე სახელმწიფოში.

(3) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შეტყობინების საშუალებით განაცხადოს, რომ იგი არ გამოიყენებს გამოქვეყნების კრიტერიუმს ან ჩანერის კრიტერიუმს. ასეთი შეტყობინების შესანახად გადაცემა შეიძლება განხორციელდეს რატიფიკაციისას, მიღებისას, შეერთებისას ან უფრო გვიან ნებისმიერ დროს; ბოლო შემთხვევაში შეტყობინება ძალაში შევა შესანახად გადაცემიდან 6 თვის შემდეგ.“

მე-2 პუნქტი განმარტავს „ერთდროული გამოქვეყნების“ ცნებასა და სამართლებრივ შედეგებს. ამ პუნქტის შესაბამისად, ფონოგრამა, რომელიც არაწევრი ქვეყნის ტერიტორიაზე პირველი გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში გამოქვეყნდა კონვენციის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, განიხილება წევრ ქვეყანაში გამოქვეყნებულად.

„ერთდროული გამოქვეყნების“ პრინციპი დამახასიათებელია საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებებისთვის (მას ითვალისწინებს ბერნის კონვენცია). ამ პრინციპის შესაბამისად, არაწევრ სახელმწიფოში ფონოგრამის გამოქვეყნებიდან, ანუ გონივრული რაოდენობით მისი სამოქალაქო ბრუნვაში გაშვების დღიდან, 30 დღის განმავლობაში, ფონოგრამის დამამზადებელს შეუძლია, ასევე, გონივრული რაოდენობით გაუშვას

ფონოგრამები სამოქალაქო ბრუნვაში წევრ ქვეყანაში, რითაც მოიპოვებს კონვენციით უზრუნველყოფილ დაცვას სხვა წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე.

მე-3 პუნქტი საშუალებას აძლევს კონვენციის წევრ ქვეყანას დათქვას „ჩანერის“ ან „გამოქვეყნების“ კრიტერიუმით ფონოგრამის დამამზადებლისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პუნქტი არ ითვალისწინებს „მოქალაქეობის“ კრიტერიუმის მიმართ დათქმის გავრცელების შესაძლებლობას. ამასთან, დათქმა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება შეეხოს მხოლოდ „ჩანერის“, ან მხოლოდ „გამოქვეყნების“ კრიტერიუმს და არა ორივეს ერთად. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დიპლომატიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უკვე იმ დროისათვის ითვალისწინებდა „გამოქვეყნების“ კრიტერიუმს და მათ არ ჰქონდათ „ჩანერის“ კრიტერიუმის აღიარების სურვილი და პირიქით. დათქმა შეიძლება განხორციელდეს კონვენციის დეკლარაციის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით, კონვენციის რატიფიკაციის, მიღების, მასთან შეერთების, ან ნებისმიერ სხვა დროს; ბოლო შემთხვევაში შეტყობინება ძალაში შევა მისი დეკლარაციებიდან 6 თვის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-17 მუხლი ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისს ამ პუნქტით დადგენილი წესებიდან, რაზეც დეტალურად ქვევით გვექნება საუბარი.

**სამაუნყებლო ორგანიზაციები.** მე-6 მუხლი ადგენს სამაუნყებლო ორგანიზაციებზე ეროვნული რეჟიმის გავრცელების პირობებს. თუმცა, კონვენცია ისევე, როგორც დამამზადებლების შემთხვევაში, ითვალისწინებს წევრი ქვეყნების მიერ გარკვეული დათქმების გავრცელების საშუალებას.

ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამაუნყებლო ორგანიზაციაზე ეროვნული რეჟიმის გავრცელებისათვის საჭიროა დაკმაყოფილდეს ორი პირობიდან ერთ-ერთი:

- სამაუნყებლო ორგანიზაციის შტაბ-ბინა უნდა მდებარეობდეს კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოში;
- ეთერით გადაცემა უნდა ხორციელდებოდეს კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოში მდებარე გადამცემის მეშვეობით.

სამაუნყებლო ორგანიზაცია ორგანიზებული უნდა იყოს კონვენციის

წვერი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, სამაუწყებლო ორგანიზაციის უფლებები წვერ ქვეყნებში შეიძლება მაინც იყოს დაცული იმ პირობით, თუ ის განათავსებს გადამცემს წვერი ქვეყნის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ არანწვერი ქვეყნის სამაუწყებლო ორგანიზაციებს შეუძლიათ ისარგებლონ დაცვით წვერი ქვეყნის ტერიტორიებზე მაშინ, როდესაც მათ ქვეყანებს არ ექნებათ წვერი ქვეყნების სამაუწყებლო ორგანიზაციებზე დაცვის მინიჭების არანაირი ვალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურად მიგვაჩინია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი, რომლის თანახმადაც წვერ ქვეყანას შესაბამისი დათქმის გაკეთების უფლება ეძლევა. კერძოდ, ამ დათქმის თანახმად, წვერ ქვეყანას უფლება აქვს მიანიჭოს დაცვა სამაუწყებლო ორგანიზაციას, თუ დაკმაყოფილებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ორივე პირობა, ანუ სამაუწყებლო ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს წვერი ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო გადამცემი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება გადამცემა, განთავსებულია ამავე ქვეყნის ტერიტორიაზე. თუმცა, როგორც ჩანს, ამ დათქმის შესაბამისად, წვერ ქვეყანას შეუძლია, აგრეთვე, უარი თქვას გადამცემის დაცვაზე, თუ სამაუწყებლო ორგანიზაცია განთავსებულია ერთი წვერი ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო გადამცემი – მეორე წვერი ქვეყნის ტერიტორიაზე.

## თავი V დაცვის ობიექტები

რომის კონვენციას აქვს დაცვის სამი ობიექტი: შესრულება, ფონოგრამა და სამაუწყებლო ორგანიზაციის გადამცემა.

**შესრულება.** კონვენციაზე მომუშავე დელეგაციები შეთანხმდნენ, რომ ტერმინი „შესრულება“ აღნიშნავს შემსრულებლის მოქმედებას, როგორც ასეთს და ის, სხვასთან ერთად, მოიცავს ნაწარმოების საჯარო წაკითხვას (recitation) და ჩვენებას (presentation). შესრულება, თავისი არსიდან გამომდინარე, შეიძლება, ასევე, განხილულ იყოს, როგორც შემოქმედებითი პროცესი, რომლის შედეგადაც „ცოცხლდება„ (სრულდება) ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოები.

**ფონოგრამა.** დაცვის სამი ობიექტიდან კონვენცია მხოლოდ ტერმინის „ფონოგრამა“ განმარტებას იძლევა, რომლის შესაბამისად, „ფონოგრამა“ ნიშნავს „შესრულების ხმების ან სხვა ხმების მხოლოდ ხმოვან ჩანაწერს“.

ტრადიციულად ფონოგრამა მზადდებოდა გრამფირფიტისა და აუდიო კასეტის ფორმით. მოგვიანებით, ტექნოლოგიური განვითარების შედეგად, გაჩნდა ჯერ კომპაქტ-დისკები, ხოლო შემდეგ ციფრული ჩანაწერები. ციფრული ჩანაწერის ხასიათიდან გამომდინარე (მრავალჯერადი აღქმისა და ნებისმიერი ფორმით რეპროდუცირების საშუალება), უნდა ჩავთვალოთ, რომ ციფრული ფორმით განხორციელებული ხმების ჩანაწერი ექცევა ფონოგრამის კონვენციური განმარტების ქვეშ.

ფონოგრამა, როგორც დაცვის ობიექტი, წარმოიშობა შესრულების ხმების ან სხვა ხმების ჩანერისთანავე და დაცულია, მიუხედავად იმისა, გამოქვეყნებულია თუ არა ის.

**სამაუნწყებლო ორგანიზაციის გადაცემა.** გადაცემა წარმოადგენს სამაუნწყებლო კომპანიის ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური ძალისხმევის შედეგს. კონვენცია არ შეიცავს ტერმინის – „სამაუნწყებლო ორგანიზაციის გადაცემა“ განმარტებას. კონვენცია განმარტავს მხოლოდ „ეთერით გადაცემის“ შინაარსს (მუხლი 3(ბ)) და ნიშნავს „საზოგადოების მიერ მიღების მიზნით უსადენო საშუალებებით ხმების ან გამოსახულებებისა და ხმების გადაცემას“. აქედან გამომდინარე, „გადაცემა“ ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ხმების, გამოსახულებების ან ხმებისა და გამოსახულებების ერთობლიობა, რომელიც გადაიცემა ეთერით (ტექნიკური საშუალებების მეშვეობით) და განკუთვნილია საზოგადოებისათვის. ამდენად, გადაცემის, როგორც მომიჯნავე უფლების ობიექტის, დაცვისათვის სავალდებულო არ არის, მასში გამოყენებული იყოს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები, რადგან დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ხმა ან/და გამოსახულება, რომელიც გადაიცემა ეთერის მეშვეობით, მაგალითად, სპორტული შეჯიბრება.



## თავი VI დასული უფლებები და დაცვის ვადები

რომის კონვენციით მომიჯნავე უფლებების მფლობელთათვის უზრუნველყოფილი ქონებრივი უფლებები ორ ჯგუფად იყოფა: პირველ შემთხვევაში შემსრულებლებს შეუძლიათ არ დაუშვან შესრულების უნებართვო გამოყენება, ხოლო ფონოგრამის დამამზადებლებსა და სამაუნწყებლო ორგანიზაციებს შეუძლიათ ნება დართონ ან აკრძალონ, შესაბამისად, ფონოგრამისა და გადაცემის გამოყენება. გარკვეული ქმედების განსახორციელებლად საჭირო არ არის უფლების მფლობელის ნებართვა და ამ უკანასკნელს მხოლოდ ანაზღაურების მიღების უფლება აქვს. მაგალითად, კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამის ეთერით გადაცემისა ან საზოგადოებისათვის ნებისმიერი გაცნობისთვის საჭირო არ არის ფონოგრამის დამამზადებლისა და ფონოგრამაზე ჩანერილი ნაწარმოების შემსრულებლის ნებართვა და მათ მოსარგებლისაგან მხოლოდ ანაზღაურების მიღების უფლება გააჩნიათ.

კონვენცია არ არეგულირებს არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

კონვენციით დაცული სამი სუბიექტიდან მხოლოდ შემსრულებლის საქმიანობაში აღინიშნება შემოქმედებითი ელემენტები. ამიტომ, საავტორო სამართალში აღიარებული არაქონებრივი უფლებების (მაგ., სახელის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება და სხვ.) მფლობელი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ შემსრულებელი. ამასთან დაკავშირებით, რომის დიპლომატიურ კონფერენციაზე არგენტინის დელეგაციამ, რომელსაც მხარს მექსიკის წარმომადგენლებიც უჭერდნენ, გამოთქვა მოსაზრება კონვენციაში შემსრულებელთათვის არაქონებრივი უფლებების გათვალისწინების თაობაზე, რომელიც ქვეყნების უმრავლესობის მიერ არ იქნა გაზიარებული.

### შემსრულებლის უფლებები

როგორც აღინიშნა, შემსრულებელი არის ფიზიკური პირი, რომლის შემოქმედების შედეგადაც სრულდება ნაწარმოები. უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია იცავს მხოლოდ იმ შემსრულებლებს, რომლებიც ასრულებენ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს. 1961 წელს რომში ჩატარებულ დიპლომატიურ კონფერენციაზე გაკეთებული

მოხსენების შესაბამისად, დადგინდა, რომ რომის კონვენციაში ასახული ტერმინი – „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები“, შინაარსობრივად ბერნის კონვენციასა და უნივერსალურ კონვენციაში გამოყენებული იმავე ტერმინის ანალოგიურია. ამდენად, დაცვას ექვემდებარება მხოლოდ ის შემსრულებელი, რომელიც ასრულებს „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებს“. ეს პუნქტი არ ადგენს რაიმე მოთხოვნას შესრულებული ნაწარმოების საავტორო უფლების დაცვის ვადასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, შემსრულებელი დაცულია იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ასრულებს ნაწარმოებს, რომლის დაცვის ვადაც გასულია. შემოადინიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კონვენციით დაცული არ არიან ის შემსრულებლები, რომლებიც ასრულებენ ფოლკლორულ ნაწარმოებს ან საცირკო ნომერს (აკრობატები, ჯამბაზები). ამასთან, კონვენციის მე-9 მუხლში პირ-დაპირ არის ჩანწერილი, რომ მის წევრებს თავიანთი ეროვნული კანონმდებლობით შეუძლიათ ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა გაავრცელონ მსახიობებზე, რომლებიც არ ასრულებენ ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებს.

კონვენციის შესაბამისად, შემსრულებლებთან მიმართებაში, გათვალისწინებულია:

- უფლება არ დაუშვას შემდეგი ქმედებები – „ცოცხალი“ შესრულების ეთერით და საჯარო გადაცემა. (მუხლი 7(1)(ა)); იმ შესრულების ჩანწერა, რომელიც ადრე არ იყო ჩანწერილი (მუხლი 7(1)(ბ)); შესრულების ჩანწერის რეპროდუცირება (ამ უფლებასთან მიმართებაში გათვალისწინებულია გარკვეული დათქმები) (მუხლი 7(1)(გ));
- წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობების პრეროგატივა, დაარეგულირონ ერთობლივად მოქმედი შემსრულებლების მიერ უფლებების განხორციელების საკითხი (მუხლი 8);
- წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის უფლებამოსილება დაცვის გავრცელებაზე იმ მსახიობთა მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს“ (მუხლი 9);
- ფონოგრამის მეორადი გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლება (მუხლი 12);
- შემსრულებლის უფლებების არარსებობა აუდიო-ვიზუალურ ჩანაწერში (მუხლი 19).

**ძირითადი უფლებები.** შემსრულებლის ძირითადი უფლებები

მოცემულია კონვენციის მე-7 მუხლში. პირველ რიგში, საყურადღებოა განსახილველი მუხლის პირველი წინადადების შინაარსი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ შემსრულებელს უფლება აქვს არ დაუშვას შესრულების უნებართვოდ გამოყენება. მაშინ, როდესაც ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუნყებლო ორგანიზაციების შემთხვევაში, კონვენცია ითვალისწინებს უფლებას „ნება დართონ ან აკრძალონ“ გარკვეული ფორმით ფონოგრამებისა და გადაცემების გამოყენება.

აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ რომის კონვენციის მიღების დროს სხვადასხვა ქვეყანაში შემსრულებლების, როგორც ფიზიკური პირების, უფლებების დაცვა ხორციელდებოდა (და შესაძლებელია განხორციელებულიყო მომავალში) კონკრეტულ ქვეყანაში არსებული სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და იტალიაში კონვენციის მიღებამდე უკვე დამკვიდრებული იყო პრინციპი, რომლის შესაბამისადაც, შემსრულებლების უფლებების დარღვევა მიიჩნეოდა პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად და იწვევდა სისხლის სამართლის და არა სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობას. ამდენად, კონვენციაში შემსრულებელთათვის შესრულებების გამოყენების „ნებართვის და აკრძალვის“, ანუ სუბიექტური უფლების გათვალისწინება გამოიწვევდა მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანის აუცილებლობას დიდი ბრიტანეთისა და იტალიის მსგავსი ქვეყნების კანონმდებლობაში, რისი წინააღმდეგაც იყვნენ ეს ქვეყნები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 1925 წლიდან მოქმედებდა „დრამატული და მუსიკალური შემსრულებლების დაცვის აქტი“ (Dramatic and Musical Performers' Protection Act), რომლის შესაბამისადაც, შემსრულებლის უფლებების დარღვევა იწვევდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამდენად, კონვენციაზე მუშაობის პერიოდში, მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ფრაზა „არ დაუშვას“ უფრო მოქნილია კონვენციისთვის და შესაძლებლობას აძლევს მის წევრ ქვეყნებს საკუთარი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად, მიანიჭონ შემსრულებლებს დაცვა სისხლისსამართლებრივი ან/და სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების საფუძველზე. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამგვარ მიდგომას მონაწილე ქვეყნებიც ჰყავდა (განსაკუთრებით ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის სახით). განსაკუთრებით მწვავედ იდგა საკითხი იმასთან დაკავშირებით, ხომ არ გამოიწვევდა კონვენციის ამგვარი ფორმულირება მე-7 მუხლში ჩამოთვლილი უფლებების მიმართ ე.წ. „იძულებითი ლიცენზირების“ სისტემის დამკვიდრებას, ანუ როდესაც

შემსრულებელის ნებართვა არ იქნებოდა საჭირო აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედებების („ცოცხალი“ შესრულების ეთერით გადაცემა, შესრულების ჩანერა და ა.შ.) განსახორციელებლად და მხოლოდ იარსებებდა შემსრულებლისათვის ანაზღაურების გადახდის ვალდებულება. ამ საკითხთან დაკავშირებით, კონვენციაზე მომუშავე ქვეყნების დელეგაციებმა დააფიქსირეს პოზიცია, რომ მე-7 მუხლის ამგვარი გაგება დაუშვებელია და, შესაბამისად, ყველა ჩამოთვლილი ქმედებისათვის საჭიროა შემსრულებლის თანხმობა.

მე-7 მუხლის პირველი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი ადგენს შემსრულებლის უფლებას არ დაუშვას შესრულების ეთერით გადაცემა და საჯარო გადაცემა. საჯარო გადაცემა მოიცავს შესრულების გადაცემას სადენით ან ხმამაღლა მოლაპარაკის მეშვეობით, რომელიც საშუალებას იძლევა შესრულება აღქმულ იქნეს შესრულების უშუალო ადგილიდან მოშორებით. აღნიშნული არ ეხება შემთხვევებს, როდესაც ეთერით ან საჯარო გაცნობისთვის გადაცემის დროს გამოყენებული შესრულება ეთერით ადრე გადაცემული შესრულებაა, ან გადაცემა განხორციელებულია შესრულების ჩანაწერის გამოყენებით.

ვფიქრობთ, ეს ქვეპუნქტი საფუძვლიან განმარტებას მოითხოვს. განვიხილოთ ორი შემთხვევა: როდესაც გადაცემა ხორციელდება ჩანაწერის გამოყენებით და როდესაც ხდება ადრე გადაცემული შესრულების გადაცემა.

შესრულების ჩანაწერის გადაცემა შეიძლება მოხდეს მოგების მიღების მიზნით დამზადებული ფონოგრამის, ეფემერული ჩანაწერის (თუ ეროვნული კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს), ან სამაუნყებლო მიზნით დამზადებული სპეციალური ჩანაწერის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, შემსრულებელს არა აქვს უფლება არ დაუშვას შესრულების საჯარო გადაცემა (მაგ., ხმის გამაძლიერებლის ან სატელევიზიო ეკრანის საშუალებით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას შესრულების გადაცემა). ამასთან, საყურადღებოა, რომ კონვენცია, ამ შემთხვევაში, იყენებს ტერმინს „ჩანაწერი“, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ აუდიო, არამედ ვიდეო და აუდიო-ვიზუალურ ჩანაწერსაც.

ამ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემსრულებლის უფლება გადაცემაზე არ ვრცელდება ეთერით ადრე გადაცემული შესრულების გადაცემაზე, ანუ თუ ეთერით გადაცემასთან ერთად ხდება ამ გადაცემის ეთერით ან სადენით იმავდროული და შეუცვლელი გადაცემა (რეტრანსლაცია)

ან სხვაგვარი საჯარო გადაცემა. მაგრამ, თუ შესრულების საწყისი გადაცემა ხდება სადენით, მისი შემდგომი რეტრანსლაცია ეთერით ან სხვაგვარი საჯარო გადაცემა საჭიროებს შემსრულებლის თანხმობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ შემსრულებელს უფლება აქვს არ დაუშვას ეთერით და საყოველთაო გაცნობისათვის მხოლოდ „ცოცხალი“ შესრულების პირდაპირი გადაცემა და სადენით გადაცემული შესრულების შემდგომი რეტრანსლაცია ეთერით ან მისი საჯარო გადაცემა. ამასთან, კონვენცია არ ზღუდავს შემსრულებლის ამ უფლებას მხოლოდ ხმოვანი შესრულებით და, შესაბამისად, ის ვრცელდება ვიზუალურ და აუდიო-ვიზუალურ შესრულებებზეც.

მე-7 მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი ადგენს შემსრულებლის უფლებას არ დაუშვას იმ შესრულების ჩანერა, რომელიც ადრე არ იყო ჩანერილი, ანუ შესრულების რაიმე ობიექტური ფორმით ფიქსაციის უფლებას. (ა) ქვეპუნქტში განხილული უფლების მსგავსად, შესრულების ჩანერის უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ ხმოვანი ჩანანერით.

შეიძლება ითქვას, რომ ჩანერის უფლება ფუძემდებლურ როლს თამაშობს შემსრულებლის უფლებების განხორციელების პროცესში. ჩანერასთან ერთად, თვისობრივად იცვლება შესრულების არსებობის ფორმა და მის გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების მექანიზმები. სანამ შესრულება არ არის დაფიქსირებული ფონოგრამაზე, ის განუყოფელ კავშირშია შემსრულებელთან. ამასთან, ცოცხალი შესრულება შეზღუდულია შესრულების დროით, რომლის შემდეგაც ის მხოლოდ შთაბეჭდილების სახით რჩება მსმენელის ან მაყურებლის მესიერებაში.

შესრულების ჩანერა ძირეულად ცვლის სიტუაციას. ფიქსირებული შესრულება შორდება შემსრულებელს, იწყებს მისგან დამოუკიდებელ არსებობას და შეიძლება, გარკვეული აზრით, კონკურენციაც კი გაუწიოს თავად შემსრულებელს.

გასათვალისწინებელია, რომ ნაწარმოების (თუნდაც ერთი და იმავე) ყოველი ახალი შესრულება, წარმოადგენს მომიჯნავე უფლებათა ახალ ობიექტს და მის ჩანერაზე შესაბამისი უფლების მიღებაა საჭირო. ამაზე პირდაპირ მიუთითებს (ბ) ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, შემსრულებლის უფლება ვრცელდება შესრულებაზე, რომელიც ადრე არ იყო ჩანერილი.

მე-7 მუხლის პირველი პუნქტის (გ) ქვეპუნქტი ადგენს შემსრულებლის უფლებას არ დაუშვას შესრულების ჩანანერის რეპროდუცირება.

როგორც ამ ქვეპუნქტიდან ირკვევა, ეს უფლება არ მოქმედებს, თუ შესრულება ჩანერილია შემსრულებლის თანხმობით და რეპროდუცირება ხდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩანერა. შესაბამისად, შემსრულებლის უფლება რეპროდუცირებაზე მოქმედებას წყვეტს იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რა მიზნითაც იყო განხორციელებული ჩანერა. მაგალითად, თუ ჩანერა მოხდა ტელე ან რადიო გადაცემაში გამოსაყენებლად, მაშინ გადაცემის მიზნით განხორციელებული რეპროდუცირება აღარ საჭიროებს შემსრულებლის ნებართვას. მაგრამ, ამ შემთხვევაში დაუშვებელია ჩანანერის რეპროდუცირება სხვა მიზნით. რა თქმა უნდა, თუ შემსრულებელი ნებას რთავს სხვა პირს შესრულების ჩანერაზე, შეუძლია იმავედროულად მასვე მისცეს ჩანანერის სხვადასხვა მიზნისთვის გამოყენების უფლებაც. შემსრულებელს, აგრეთვე, არა აქვს უფლება არ დაუშვას შესრულების რეპროდუცირება, თუ აღნიშნული ხორციელდება კონვენციის მე-15 მუხლით დადგენილი პირობების არსებობისას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კონვენციის ტექსტზე მუშაობის პროცესში, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წევრმა არპად ბოგშმა<sup>3</sup>, გამოთქვა მოსაზრება, რომ შემსრულებლებს უნდა მიენიჭოთ შესრულების რეპროდუცირების უფლება ყოველგვარი დათქმის გარეშე, რაც არ გაიზიარა ქვეყნების უმრავლესობამ. საყურადღებოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ამგვარი პოზიციის პროგრესულობა დაადასტურა ამ სფეროში საერთაშორისო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციებმა<sup>4</sup>.

მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს შემსრულებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების ურთიერთობას, კერძოდ კი, ადგენს საკითხებს, რომელთა რეგულირებაც ეროვნული კანონმდებლობით უნდა განხორციელდეს.

1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ შემსრულებლის მიერ ნებადართულია შესრულების ეთერით გადაცემა, მაშინ შესრულების დაცვა ეთერით ხელახლა გადაცემისაგან, ეთერით გადაცემის მიზნით მისი ჩანერისა და რეპროდუცირებისაგან, წარმოადგენს იმ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს, რომელშიც მოთხოვნილია დაცვა.

მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად, სამაუწყებლო ორგანიზაციების

3 1973-1997 წლებში ეკავა ისმო-ს გენერალური დირექტორის პოსტი.

4 „ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებაში შემსრულებლებისა და ფონოგრამების შესახებ“ შემსრულებელთათვის რეპროდუცირების უფლება გათვალისწინებულია ყოველგვარი დათქმის გარეშე.



მიერ ეთერით გადაცემის მიზნით ჩანანერების გამოყენების ვადები და პირობები განისაზღვრება იმ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა.

მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობა, მიუხედავად 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტების შინაარსისა, არ უნდა ართმევდეს შემსრულებელს ხელშეკრულების მეშვეობით სამაუწყებლო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კონტროლის უფლებას. ამასთან, ტერმინი „ხელშეკრულება“ მოიცავს როგორც ინდივიდუალურ კონტრაქტს შემსრულებელსა და სამაუწყებლო ორგანიზაციას შორის, ისე კონტრაქტს შემსრულებელთა ჯგუფსა და სამაუწყებლო ორგანიზაციას შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციაზე მუშაობის პროცესში მე-2 პუნქტის ირგვლივ ხანგრძლივი და დაძაბული დისკუსიები გაიმართა, რადგან, ერთი მხრივ, სამაუწყებლო ორგანიზაციათა გაერთიანებებს მიაჩნდათ, რომ სატელევიზიო სტუდიაში ჩანერისათვის გადახდილი ერთჯერადი ანაზღაურება საკმარისი იყო შემსრულებლისათვის და რომ მათ არ უნდა გადაეხადათ მისთვის დამატებითი თანხები გადაცემების რეტრანსლაციის შემთხვევაში. მეორე მხრივ, შემსრულებელთა გაერთიანებები (ჩვენი აზრით სამართლიანად) მიუთითებდნენ, რომ ერთ ქვეყანაში, ერთი ტელეკომპანიის მიერ განხორციელებული მათი შესრულების ჩანანერის გადაცემა მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე, არასამართლიანი იყო.

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ყველა ქვეყანამ თავად უნდა დაარეგულიროს ამგვარი ურთიერთობები, რაც, ჩვენი აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ კონვენციის ფარგლებში ვერ მოხერხდა ისეთი გადანყვეტილების მიღება, რომელიც დააბალანსებდა, ერთი მხრივ, ტელეინდუსტრიის, ხოლო მეორე მხრივ კი, შემსრულებელთა ინტერესებს. ამდენად, კონვენციის მიერ ამ საკითხის გადანყვეტის ეროვნული კანონმდებლობისათვის მინდობა, რის შედეგადაც შემსრულებლებმა ვერ მიიღეს მათი უფლებების კონვენციით უპირობო დაცვის შესაძლებლობა, შეიძლება მივიჩნიოთ სამაუწყებლო ორგანიზაციათა სასარგებლოდ მიღებულ გადანყვეტილებად.

ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ პუნქტს მაინც გააჩნია ერთი პოზიტიური შედეგი, რის შესაბამისადაც მისი წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან არ შეზღუდონ შემსრულებლები,

სამაუნყებლო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებით დაარეგულირონ შესრულების გამოყენების საკითხები.

**უფლებების განხორციელება ერთობლივად მოქმედი შემსრულებლების მიერ.** კონვენციის მე-8 მუხლი ეხება ერთობლივად მოქმედი შემსრულებლების მიერ შესრულების გამოყენებაზე ნებართვის გაცემის საკითხებს. იმის გათვალისწინებით, რომ, ხშირ შემთხვევაში, შემსრულებლები გაერთიანებული არიან ანსამბლებში, ჯგუფებსა და დასებში, კონვენცია ხაზს უსვამს ამგვარი ურთიერთობების დარეგულირების მიზანშეწონილობას წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით.

ჩვეულებრივ, შემსრულებელთა კოლექტივები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომლებშიც შემსრულებლები მუშაობენ პრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას. მაგალითად, საქართველოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ შემსრულებელთა კოლექტივის შესრულების გამოყენებაზე ნებართვა გაიცემა კოლექტივის ხელმძღვანელის მიერ. შესაბამისად, კოლექტივის შემთხვევაში, მისი სახელით სხვადასხვა სახის გარიგებებს ხელს აწერს მისი ხელმძღვანელი და ცალკეული შემსრულებლის შესაძლო პრეტენზიებს შესრულების გამოყენებასთან დაკავშირებით მისი უფლებების დარღვევის თაობაზე, იურიდიული საფუძველი არ გააჩნია.

რასაკვირველია, კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანას უფლება აქვს აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს საკუთარი სამართლებრივი სისტემის შესაბამისად და, ამ მხრივ, კონვენცია წევრ ქვეყნებს არ ზღუდავს.

**მსახიობების დაცვა, რომლებიც არ ასრულებენ „ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს“.** კონვენციის მე-9 მუხლი ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობით დაცვის გაფართოვებას იმ მსახიობებზე, რომლებიც არ ასრულებენ „ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს“.

კონვენციაში ამ მუხლის არსებობა აიხსნება თავად მისი შინაარსით, რომლის შესაბამისადაც, ქვეყნებს შეუძლიათ გაავრცელონ კონვენციით განსაზღვრული დაცვა იმ მსახიობებზე, რომლებიც არ ასრულებენ „ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს“. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ იცავს იმ მსახიობებს, რომლებიც არ ასრულებენ

ასეთ ნაწარმოებებს, ის პირდაპირ ითვალისწინებს მათი დაცვის შესაძლებლობას წვერი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით. ამით კონვენცია თითქოს ხაზს უსვამს ამგვარი დაცვის მიზანშეწონილობას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი შეიძლება არ ასრულებდეს „ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს“, ეს არ ამცირებს მის შემოქმედებით წვლილს იგივე საცირკო ნომრის შესრულებისას, რომლის მიმზიდველობა სწორედ მის ოსტატობასა და არტისტიზმზე არის დამოკიდებული. ამდენად, ეს მუხლი თითქოს ახსენებს კონვენციის წევრებს, რომ მათ შეუძლიათ გაათავსონ შემსრულებელთა, როგორც მომიჯნავე უფლებების სუბიექტთა წრე. მაგალითად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის (ე) ქვეპუნქტის შესაბამისად, „შემსრულებელი, განმარტებულია, როგორც „მსახიობი (თეატრის, კინოსი და ა.შ.), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, მათ შორის, საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს.“ აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დაცვა გათავსებულია და ის ვრცელდება, აგრეთვე, მსახიობებზე (შემსრულებლებზე), რომლებიც ასრულებენ საცირკო, თოჯინურ ნომერს ან ფოლკლორულ ნაწარმოებს.

**ფონოგრამის მეორადი გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლება.** კონვენციის მუხლი 12 ადგენს, რომ დასაშვებია კომერციული მიზნებისათვის დამზადებული ფონოგრამის ეთერით გადაცემა ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად გაცნობა, მასზე ჩანერილი ნაწარმოების შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლის თანხმობის გარეშე, მაგრამ ჰონორარის გადახდის პირობით.

ეს მუხლი ეხება ფონოგრამის გადაცემას ეთერით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საზოგადოებისათვის ფონოგრამის სხვაგვარად გაცნობას (მაგ., ფონოგრამის გაჟღერება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ბარებში, რესტორნებში, უნივერსიტეტებში). ფონოგრამის ეთერით გადაცემისას ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად გაცნობისას, ფაქტობრივად, ადგილი აქვს ე.წ. იძულებით ლიცენზირებას, ანუ როდესაც ფონოგრამის გამოყენებისათვის საჭირო არ არის მომიჯნავე უფლებათა მფლობელების (დამამზადებელი, შემსრულებელი) წინასწარი თანხმობა და მათ მხოლოდ ანაზღაურების მიღების უფლება აქვთ, განსხვავებით ფონოგრამაზე ჩანერილი

ნაწარმოების ავტორებისაგან, რადგან ამ უკანასკნელთა ნებართვის გარეშე ფონოგრამის ამგვარი გამოყენება დაუშვებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია ითვალისწინებს ამ წესიდან გარკვეული გამონაკლისების დაშვების შესაძლებლობას, რაზეც ქვევით გვექნება საუბარი.

იმისათვის, რომ ფონოგრამა ჩაითვალოს კომერციული მიზნით გამოქვეყნებულად, ის უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას: ფონოგრამის ასლების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს, რომ აკმაყოფილებდეს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნილებებს (მუხლი 3) და დამამზადებელი მიზნად უნდა ისახავდეს ფონოგრამების რეალიზაციით მოგების მიღებას. მაგალითად, აღნიშნული პირობა ვერ გავრცელდება ჩანაწერზე, რომელიც გაკეთებულია სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ საკუთარი მაუწყებლობისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ამ მუხლის შესაბამისად, მომიჯნავე უფლების მფლობელებმა ჰონორარი უნდა მიიღონ იმ მოსარგებლეებისაგან, რომლებიც ფონოგრამას პირდაპირ იყენებენ. მაგალითად, ერთი რადიოკომპანია გადასცემს ეთერით ფონოგრამას, ხოლო მეორე რადიოკომპანია ახორციელებს პირველი რადიოკომპანიის გადაცემის რეტრანსლაციას. ამ შემთხვევაში, ფონოგრამას პირდაპირ იყენებს პირველი რადიოკომპანია და სწორედ მან უნდა გადაუხადოს შემსრულებელსა და დამამზადებელს შესაბამისი ჰონორარი, ხოლო მეორე რადიოკომპანია ირიბად იყენებს ფონოგრამას, რის გამოც, კონვენციის საფუძველზე, მას არ წარმოეშვება ჰონორარის გადახდის ვალდებულება.

სპეციალურ განხილვას მოითხოვს ფონოგრამის გამოყენების ფორმები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლით. რაც შეეხება ფონოგრამის ეთერით გადაცემას, აქ საკითხი ნათელია – კონვენციის მე-3 მუხლის (ვ) ქვეპუნქტი იძლევა „ეთერით გადაცემის“ განმარტებას. ამდენად, გასარკვევია თუ რას გულისხმობს ტერმინი „საჯარო გაცნობა“ (Communication to the public). მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი გვხვდება საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მოქმედ თითქმის ყველა საერთაშორისო აქტში, ის ყოველთვის ერთი მნიშვნელობით არ გამოიყენება. ზოგიერთ შემთხვევაში მას აქვს ფართო მნიშვნელობა და ის მოიცავს ნაწარმოების ან მისი შესრულების დაყვანას, მიტანას საზოგადოების წევრებამდე ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, როგორც ტექნიკური საშუალებების (რადიო, ტელევიზია, მაგნიტოფონი და ა.შ.) გამოყენებით, ისე ცოცხალი შესრულებით. არის

შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში ტერმინი ზუსტდება და ვინროვდება მისი შინაარსი. მაგალითად, „საჯარო გაცნობა კაბელი“.

რომის კონვენციაში ეს ტერმინი, ცხადია, არ ვრცელდება ნაწარმოების „ცოცხალ“ შესრულებაზე და ეხება მხოლოდ ფონოგრამაზე ჩანერილი ნაწარმოების შესრულებას. შესაბამისად, ჩვენ შემთხვევაში, ტერმინი „საჯარო გაცნობა“ ნიშნავს საზოგადოებისათვის ფონოგრამის გაცნობას ისეთი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, როგორცაა: კაბელი, რადიომიმღები, მაგნიტოფონი, CD ფლეიერი და ა.შ.

ეს მუხლი განსაზღვრავს, აგრეთვე, ვინ უნდა მიიღოს ჰონორარი მოსარგებლისაგან ფონოგრამის ეთერით გადაცემის და საჯარო გაცნობის შემთხვევაში. კონვენცია ადგენს, რომ ეს შეიძლება იყოს შემსრულებელი, დამამზადებელი ან ორივე ერთად. რაც შეეხება მიღებული ჰონორარის შემსრულებელსა და დამამზადებელს შორის განაწილებას, ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ამასთან, კონვენცია საშუალებას აძლევს წევრ ქვეყნებს კანონის საფუძველზე თავად განსაზღვრონ განაწილების წესი იმ შემთხვევებისათვის, როდესაც შემსრულებლებსა და დამამზადებლებს შორის არ არსებობს შეთანხმება ჰონორარის განაწილების თაობაზე.

### **შემსრულებლის უფლებები აუდიო-ვიზუალურ ჩანაწერზე.**

შემსრულებლისათვის კონვენციით გათვალისწინებული გარკვეული უფლებები ვრცელდება როგორც ხმოვან, ისე ვიზუალურ და აუდიო-ვიზუალურ შესრულებებზე. მაგალითად, შემსრულებლის უფლება არ დაუშვას შესრულების ჩანერა, ეხება როგორც შემსრულებლის ხმის, ისე მისი გამოსახულების (ან ორივესი ერთად) ჩანერას. მაგრამ, კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად, თუ შემსრულებელმა თანხმობა განაცხადა შესრულების ვიზუალურ ან აუდიო-ვიზუალური ფორმით ჩანერაზე, იგი კარგავს ყველა უფლებას, რომელიც დაკავშირებულია შესრულების შემდგომ გამოყენებასთან. განსხვავებული მდგომარეობაა მხოლოდ ხმის ჩანერასთან დაკავშირებით, რადგან კონვენციის შესაბამისად, შემსრულებელს რჩება გარკვეული უფლებები, რომელთა მეშვეობითაც მას შეუძლია აკონტროლოს ფონოგრამის შემდგომი გამოყენების პროცესი ან მიიღოს ჰონორარი მისი გამოყენებისათვის. კონვენცია, აგრეთვე, არ იცავს შემსრულებლის უფლებებს, როდესაც შემსრულებლის თანხმობით შესრულება ჩართულია ვიზუალურ ან აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებში.

თუმცა, აღნიშნული მუხლის პოზიტიური შედეგი არის ის, რომ არ იზღუდება შემსრულებლების უფლება შესრულების გამოყენების შესახებ აუდიო-ვიზუალური ნაწარმოებების დამამზადებლებთან და ტელეკომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრონ შესრულების გამოყენებისა და ანაზღაურების მიღების პირობები.

დასკვნის სახით გვინდა შევაჯამოთ ის შეზღუდვები, რომლებიც თან ახლავს შემსრულებელთათვის კონვენციით მინიჭებულ უფლებებს:

- ეთერით და საჯარო გაცნობისათვის შესრულების გადაცემის უფლება ეხება მხოლოდ „ცოცხალ“ შესრულებებს და არ მოქმედებს, თუ ხდება „ცოცხალი“ შესრულების გადაცემის რეტრანსლაცია ან გადაცემა ხორციელდება ჩანაწერის გამოყენებით (მუხლი 7(1)(ა));
- შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირების უფლება მოქმედებს მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში (მუხლი 7(1)(გ));
- თუ „ცოცხალი“ შესრულების ეთერით გადაცემა ნებადართულია შემსრულებლის მიერ, ასეთი გადაცემის რეტრანსლაციაზე შემსრულებლის კონვენციური უფლება გათვალისწინებული არ არის და ურთიერთობა შემსრულებელსა და სამაუწყებლო ორგანიზაციას შორის რეგულირდება ხელშეკრულებით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობებით (მუხლები: 7(2)(1)-7(2)(3));
- კონვენცია არ იცავს მსახიობებს, რომლებიც არ ასრულებენ „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს“, მაგრამ წევრ ქვეყნებს აძლევს უფლებამოსილებას დაცვა გაავრცელონ მათზე (მუხლები: 3(ა), 9);
- კონვენციის მე-7 მუხლი აღარ მოქმედებს, თუ შემსრულებელმა თანხმობა განაცხადა მისი შესრულების ვიზუალური ან აუდიო-ვიზუალური ფორმით ჩანწერაზე (მუხლი 19).

### **ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები**

კონვენციის შესაბამისად, „ფონოგრამების დამამზადებელი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც პირველად ახორციელებს შესრულების ხმების ან სხვა ხმების ჩანწერას. უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ პირებთან მიმართებაში კონვენცია არ ახდენს არავითარ დიფერენციაციას. ამდენად, დამამზადებელის უფლებებით შეიძლება ისარგებლოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის, როგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო იურიდიულმა პირმა, რომელიც ორგანიზებულია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი



ნესით და „რომელიც პირველად ახორციელებს შესრულების ხმების ან სხვა ხმების ჩანერას“.

ფონოგრამების დამამზადებელთათვის კონვენციით გათვალისწინებულია:

- ფონოგრამების რეპროდუცირების უფლება (მუხლი 10);
- ფონოგრამებთან დაკავშირებული ფორმალური პროცედურა (მუხლი 11);
- ფონოგრამის მეორადი გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლება (მუხლი 12).

**რეპროდუცირების უფლება.** მე-10 მუხლი ადგენს დამამზადებლის განსაკუთრებულ უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს ფონოგრამის რეპროდუცირება.

ფონოგრამის დამამზადებლის საქმიანობა არ ატარებს შემოქმედებით ხასიათს. მისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება მიმართულია მისი ინიციატივითა და დაფინანსებით დამამზადებული ფონოგრამების უკანონო რეპროდუცირების აღსაკვეთად და, აქედან გამომდინარე, იმ ინვესტიციების დასაცავად, რომლებიც ფონოგრამის დამამზადებლისთვის იყო გაღებული. ამასთან, დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ფონოგრამა, მიუხედავად ჩანერის ფორმისა და ხარისხისა. დამამზადებლის უფლებები წარმოიშობა შესრულების ჩანერის შედეგად.

ამ მუხლში ასახული უფლება ვრცელდება როგორც მთლიანად ფონოგრამაზე, ისე მასზე დაფიქსირებულ ცალკეულ შესრულებაზე ან მათ ნაწილებზე.

იმისთვის, რომ დამამზადებელმა დაუბრკოლებლად განახორციელოს რეპროდუცირების უფლება, პირველ რიგში, ნაწარმოები ჩანერილი უნდა იყოს მისი ავტორისა და შემსრულებლის ნებართვით. ამასთან, კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის (გ) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ჩანერა განხორციელებული უნდა იყოს შემსრულებლის თანხმობით და ფონოგრამის რეპროდუცირება უნდა ხდებოდეს იმავე მიზნისთვის, რაზეც თანხმობა განაცხადა შემსრულებელმა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, დამამზადებლის უფლება რეპროდუცირებაზე შემოიფარგლება იმ მიზნით, რისთვისაც მიღებული იყო ნებართვა შემსრულებლისაგან.

თუმცა, როდესაც ფონოგრამაზე დაფიქსირებულია ისეთი შესრუ-

ლება, რომლის დაცვის ვადაც გასულია ან საქმე გვაქვს ჩანანერთან, რომელიც არ არის დაცული საავტორო და მომიჯნავე უფლებებით, დამამზადებლის უფლება რეპროდუცირებაზე არ არის შეზღუდული.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონეზე დამამზადებელთა ესოდენ მწირი სამართლებრივი დაცვა არსებობდა 1971 წლამდე, როდესაც ჟენევაში ხელი მოეწერა კონვენციას „ფონოგრამების უნებართვო გამრავლებისაგან ფონოგრამების დამამზადებლების დაცვის შესახებ“ (ე. წ. ფონოგრამების კონვენცია), რომელმაც დამამზადებელთათვის გაითვალისწინა გავრცელებისა და იმპორტის უფლება. მოგვიანებით, ახალი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიღებასთან ერთად, დამამზადებელთა უფლებები კიდევ უფრო გაფართოვდა და ზემოთ აღნიშნულ უფლებებს დაემატა ფონოგრამის გაქირავებისა და ინტერნეტში გამოყენების უფლებები.

კონვენციის მე-11 მუხლი ეხება ფონოგრამებთან დაკავშირებულ ფორმალურ პროცედურებს. ამ მუხლის მიხედვით ფონოგრამის დამამზადებლის ან შემსრულებლის მიმართ მომიჯნავე უფლების წარმოშობისათვის არ არის აუცილებელი ისეთი ფორმალობების დაცვა, როგორც არის ფონოგრამის სავალდებულო სახელმწიფო ან სხვა სახის რეგისტრაცია, მასზე დამცავი დოკუმენტის მიღება და ა.შ., ხოლო თუ კონვენციის რომელიმე წევრი ქვეყანა ეროვნული კანონმდებლობით მაინც აწესებს ამგვარ მოთხოვნებს, ისინი ჩაითვლება შესრულებულად, თუ: „...გამოქვეყნებული ფონოგრამის ბრუნვაში გაშვებულ ყველა ასლზე ან მათ შეფუთვაზე, გაკეთებული წარწერა, რომელიც შედგება ნიშნისაგან © და პირველი გამოქვეყნების წლისაგან, მოთავსებულია ისე, რომ უზრუნველყოს მკაფიო მითითება იმაზე, რომ ფონოგრამა დაცულია; თუ ასლები ან მათი შეფუთვა არ იძლევა დამამზადებლის ან დამამზადებლის ლიცენზიატის იდენტიფიცირების საშუალებას (მისი სახელის, სასაქონლო ნიშნის ან სხვა შესაბამისი აღნიშვნის მეშვეობით), მაშინ წარწერა უნდა შეიცავდეს, აგრეთვე, დამამზადებლის უფლებების მფლობელის სახელს...“

უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის ნიშნის გამოყენება უფლების მფლობელთა უფლებაა და არა ვალდებულება. ის გავლენას არ ახდენს ფონოგრამის დამამზადებლის უფლებებზე.

**ფონოგრამის მეორადი გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლება.** მე-12 მუხლი ითვალისწინებს ფონოგრამის მეორადი გამოყენებისათვის ფონოგრამის დამამზადებლის მიერ

ჰონორარის მიღების უფლებას, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი, როდესაც განვიხილეთ ეს უფლება შემსრულებლებთან მიმართებაში.

### სამაუწყებლო ორგანიზაციის უფლებები

ტერმინი „სამაუწყებლო ორგანიზაცია“ ნიშნავს რადიო და ტელეკომპანიებს, რომლებიც საეთერო გადაცემის მეშვეობით ახორციელებენ ხმის ან/და გამოსახულების გავრცელებას.

კონვენციის შესაბამისად, სამაუწყებლო ორგანიზაციებთან მიმართებაში გათვალისწინებულია:

- გადაცემის რეტრანსლაციის უფლება (მუხლი 13(ა));
- გადაცემის ჩანერის უფლება (მუხლი 13(ბ));
- გადაცემის ჩანანერის რეპროდუცირების უფლება (ამ უფლებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია გარკვეული დათქმები) (მუხლი 13(გ));
- სატელევიზიო გადაცემის საზოგადოებისათვის გაცნობის უფლება (მუხლი 13(დ)).

თანმიმდევრულად განვიხილოთ კონვენციის მე-13 მუხლით სამაუწყებლო ორგანიზაციებისთვის გათვალისწინებული უფლებები.

(ა) ქვეპუნქტი ადგენს სამაუწყებლო ორგანიზაციის უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს გადაცემის რეტრანსლაცია, ანუ ნება დართოს ან აკრძალოს სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ მისი გადაცემის ერთდროული გადაცემა ეთერით. აღნიშნული უფლების გათვალისწინება განპირობებულია საზოგადოების მხრიდან პირდაპირი გადაცემებისადმი განსაკუთრებული ინტერესით, რაც საშუალებას აძლევს სამაუწყებლო ორგანიზაციას მიიღოს ასეთი გადაცემისაგან მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი, უპირველეს ყოვლისა, სარეკლამო შემოსავლის სახით. ამის საუკეთესო მაგალითია მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებებისა და პოპულარული შემსრულებლების გამოსვლების ტრანსლაციები. მაგალითად, ეს უფლება მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ერთი ტელეკომპანია იძენს მხატვრული ფილმის ჩვენების უფლებას, რაშიც მნიშვნელოვან თანხებს იხდის, ხოლო მეორე კომპანია ყოველგვარი დანახარჯების გარეშე ახდენს მისი გადაცემის რეტრანსლაციას. სწორედ (ა) ქვეპუნქტში ასახული უფლება აძლევს სამაუწყებლო ორგანიზაციებს ამგვარი ქმედებების აკრძალვის საშუალებას.

(ბ) და (გ) ქვეპუნქტები ადგენენ სამაუწყებლო ორგანიზაციის

უფლებას, შესაბამისად, გადაცემის ჩანერასა და ჩანანერის რეპროდუცირებაზე. ამ ორი უფლების მჭიდრო კავშირის გამო, მათ ერთად განვიხილავთ:

(ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, აკრძალულია სამაუწყებლო ორგანიზაციის ნებართვის გარეშე მისი გადაცემის ჩანერა, რადგან ამგვარი ქმედება არღვევს მის განსაკუთრებულ უფლებას.

(გ) ქვეპუნქტი ადგენს სამაუწყებლო ორგანიზაციის უფლებას გადაცემის ჩანანერის რეპროდუცირებაზე, ანუ ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით ჩანანერის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადებაზე. სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ამ უფლებების შეუფერხებელი განხორციელება მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტერესთან არის დაკავშირებული. ამასთან, (გ)(i) ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ სამაუწყებლო ორგანიზაცია ნებას რთავს სხვა პირს გადაცემის ჩანერაზე, ის კარგავს რეპროდუცირების აკრძალვის უფლებას თუ რეპროდუცირება ხდება იმავე მიზნით, რისთვისაც გაცემული იყო ნებართვა. (გ)(ii) ქვეპუნქტი შეიცავს გადაცემის რეპროდუცირებაზე სამაუწყებლო ორგანიზაციის უფლების შემლუდვის სხვა პირობებსაც, რომლებიც დადგენილია კონვენციის მე-15 მუხლით. მათ შესახებ დეტალური საუბარი ქვევით გვექნება.

(დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სამაუწყებლო ორგანიზაციას უფლება აქვს ნება დართოს ან აკრძალოს სატელევიზიო გადაცემის საჭარო გაცნობა ისეთ ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია. ეს განპირობებულია იმით, რომ ზოგიერთი რესტორანი და კაფე-ბარი, კლიენტების მოზიდვის მიზნით, უჩვენებს მათ სატელევიზიო გადაცემებს, რისთვისაც მათ დამატებით თანხებს ახდენენ. ამის საუკეთესო მაგალითია, სპორტის მოყვარულთა სპეციალური კლუბები, სადაც დიდ ეკრანზე ხდება სპორტული შეჯიბრებების (თამაშების) დემონსტრირება. ამდენად, აღნიშნული კატეგორიის მოსარგებლეები იყენებენ სამაუწყებლო ორგანიზაციების გადაცემებს საკუთარი შემოსავლების გაზრდისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისეთ ადგილებში, როგორც არის სასტუმრო, სადაც სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემის ჩვენება შედის მომსახურების სტანდარტში (ყოველ ოთახში დგას ტელევიზორი), რისთვისაც მომხმარებელი დამატებით საფასურს არ იხდის, ამ პუნქტით განსაზღვრული უფლება არ ვრცელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე სასტუმროებში შეიძლება არსებობდეს სპეციალური ფასიანი არხები, რომლის მეშვეობითაც ხდება როგორც აუდიო-ვიზუალური ნაწარმოებების, ისე სამაუწყებლო ორგანიზაციების გადაცემების

დემონსტრირება, რისთვისაც სასტუმროთა მეპატრონეებს სხვადასხვა უფლებით დაცული ობიექტების გამოყენებისათვის უნევთ დამატებითი გადასახადის გადახდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ქვეპუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად, „ამ უფლების გამოყენების პირობები განსაზღვრა იმ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა“. ამდენად, ამ უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული კონკრეტული პირობები უნდა განისაზღვროს წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით.

### **მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადები**

კონვენციის მე-14 მუხლი ადგენს დაცვის მინიმალურ ვადებს შემსრულებლებისთვის, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის. ეს მუხლი, ცხადია, არ ზღუდავს კონვენციის წევრებს, რომ ეროვნული კანონმდებლობით შესაბამისი სუბიექტებისათვის გაითვალისწინონ დაცვის უფრო ხანგრძლივი ვადა. აღსანიშნავია, რომ წევრი ქვეყანა უფლებამოსილია თავისი მოქალაქეებისათვის ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინოს დაცვის უფრო ხანმოკლე ვადა. თუმცა, ის ამ შემთხვევაშიც ვალდებულია სხვა ქვეყნების მოქალაქეებს მიანიჭოს კონვენციით გათვალისწინებული დაცვის მინიმალური ვადა – 20 წელი. აღნიშნული ნაკლებად სავარაუდოა, რადგან, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევაში, სხვა ქვეყნის მოქალაქეები უფრო ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდებიან, ვიდრე ამავე ქვეყნის მოქალაქეები.

(ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ფონოგრამის და მასზე ჩანერილი შესრულების დაცვის 20 წლიანი ვადის ათვლა იწყება იმ წლის ბოლოდან, როდესაც განხორციელდა ფონოგრამაზე შესრულების ჩანერა, რის შედეგადაც ფონოგრამაზე ჩანერილ შესრულებაზე შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს დაცვის ერთნაირი ვადა ენიჭებათ. როგორც ვხედავთ, ფონოგრამის და მასზე ჩანერილი შესრულების დაცვის ვადის ათვლა არ არის დაკავშირებული ფონოგრამის გამოქვეყნებასთან, რაც არახელსაყრელ პირობებში აყენებს აღნიშნულ სუბიექტებს, რადგან მოულოდნელი ტექნიკური, ფინანსური თუ სხვა პრობლემების გამო, შესრულების ჩანერიდან ფონოგრამის გამოქვეყნებამდე შეიძლება რამდენიმე წელიწადიც კი გავიდეს. ამდენად, ფონოგრამის გამოქვეყნების დღისთვის შესაძლოა მისი ჩანერიდან რამდენიმე წელიწადი იყოს გასული და სამოქალაქო ბრუნვაში მოხვედრილმა ფონოგრამამ დაცვით ისარგებლოს არა

20 წელი, არამედ უფრო ნაკლები. არადა ფონოგრამა სწორედ სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდეგ საჭიროებს სამართლებრივ დაცვას, მაგალითად, მისი უკანონო რეპროდუცირებისაგან.

(ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ შესრულება შესული არ არის ფონოგრამაში, მისი დაცვის ვადის ათვლა იწყება იმ წლის ბოლოდან, როდესაც მოხდა შესრულება. ეს ქვეპუნქტი გულისხმობს შემთხვევას, როდესაც „ცოცხალი“ შესრულება განხორციელდა, მაგალითად, საკონცერტო დარბაზში ან გადაიცა ეთერით.

(გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სამაუწყებლო ორგანიზაციის დაცვის ვადა აითვლება იმ წლის ბოლოდან, როდესაც განხორციელდა გადაცემა.

## თავი VII გამონაკლისები და დათქმები

### გამონაკლისები

კონვენციის მე-15 მუხლი ადგენს გამონაკლისებს, რომლებიც ეხება შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლების და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებების მოქმედებას. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს შესრულების, ფონოგრამისა და გადაცემის თავისუფალი გამოყენების შემთხვევებს და ფარგლებს, როდესაც კონვენციით დაცული ობიექტების გამოყენება შესაძლებელია უფლების მფლობელების ნებართვისა და მათთვის ჰონორარის გადახდის გარეშე.

(ა) ქვეპუნქტი ეხება შესრულების, ფონოგრამისა და გადაცემის გამოყენების შესაძლებლობას ფიზიკურ პირთა მიერ პირადი მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, ეროვნული კანონმდებლობით შეიძლება ნებადართული იყოს პირადი სარგებლობისათვის (და არა საჯაროდ ან კომერციული მიზნით) ისეთი მოქმედებების განხორციელება, როგორიც არის, მაგალითად, ტექნიკური საშუალების გამოყენებით ფონოგრამის შესრულება ოჯახის წრეში, შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლისათვის ჰონორარის გადახდის გარეშე.

(ბ) ქვეპუნქტი ადგენს შესრულების, ფონოგრამისა და გადაცემის მოკლე ნაწყვეტების ჩართვის შესაძლებლობას მიმდინარე მოვლენათა გაშუქებისას. ამ ქვეპუნქტის გამოყენებისას მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს, თუ რა ჩაითვლება „მოკლე ნაწყვეტად“ კონკრეტული



მოვლენის აღწერისას და რა – არა, რადგან ასეთმა მოქმედებამ არ უნდა შელახოს უფლების მფლობელის კანონიერი ინტერესები. ამ საკითხთან დაკავშირებით დავის წარმოშობისას, მხოლოდ სასამართლოს შეუძლია შეაფასოს შეილახა თუ არა მომიჯნავე უფლების მფლობელის ინტერესები ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ.

(გ) ქვეპუნქტი ადგენს სამაუწყებლო ორგანიზაციის უფლებას, თავის გადაცემებში მოკლევადიანი გამოყენების მიზნით, საკუთარი ტექნიკური საშუალებებით განახორციელოს შესრულების ხმოვანი ჩანერა მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ნებართვის გარეშე. თუმცა, ასეთი ჩანაწერის გამოყენების ფორმა და პირობები მას შეთანხმებული უნდა ჰქონდეს უფლებების მფლობელებთან.

(დ) ქვეპუნქტი ადგენს შესრულების, ფონოგრამისა და გადაცემის მოკლე ნაწყვეტების გამოყენების შესაძლებლობას სწავლების მიზნით.

საგანმანათლებლო მიზნით მომიჯნავე უფლების ობიექტების გამოყენებად უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, ილუსტრაციის სახით მათი დემონსტრირება სწავლების პროცესში ან მათი ჩართვა სპეციალურ სასწავლო გადაცემებში.

რომის დიპლომატიურ კონფერენციაზე მონაწილე დელეგაციებმა დასვეს მომიჯნავე უფლების ობიექტების თავისუფალი გამოყენების სხვა შემთხვევების გათვალისწინების საკითხიც. თუმცა, აღნიშნული ინიციატივები უარყვეს, რადგან მე-15 მუხლის ზოგადმა რედაქციამ მოიცვა მომიჯნავე უფლების ობიექტთა სხვა შესაძლო გამოყენების ფორმებიც, კერძოდ, მე-2 პუნქტი ადგენს: „მიუხედავად ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებისა, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, თავისი ეროვნული კანონმდებლობითა და წესებით, შეუძლია გაითვალისწინოს ისეთივე შეზღუდვები შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვასთან დაკავშირებით, როგორც გათვალისწინებულია მისი ეროვნული კანონმდებლობითა და წესებით ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. თუმცა, იძულებითი ლიცენზიების გაცემა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად.“

## დათქმები

კონვენციის მე-16 მუხლი ადგენს დათქმებს, რომლებიც უკავშირდება მე-12, მე-13 მუხლებსა და გარკვეული სახელმწიფოების მიერ მხოლოდ „ჩანერის“ კრიტერიუმის გამოყენებას.

### **კონვენციის მე-12 მუხლთან დაკავშირებული დათქმები.**

კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად, დასაშვებია კომერციული მიზნებისათვის გამოქვეყნებული ფონოგრამის ეთერით გადაცემა ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად გაცნობა, მასზე ჩანერილი ნაწარმოების შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლის თანხმობის გარეშე, მაგრამ სამართლიანი ანაზღაურების გადახდის პირობით. თუმცა, მე-16 მუხლის (ა)(i) ქვეპუნქტის თანახმად, კონვენციის წევრ ქვეყანას უფლება აქვს გააკეთოს დათქმა იმის შესახებ, რომ არ გამოიყენებს მე-12 მუხლის დებულებებს და, შესაბამისად, არ მიანიჭებს ფონოგრამის მეორადი გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლებას სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეს. მე-16 მუხლის (ა)(ii) ქვეპუნქტის შესაბამისად, წევრ ქვეყანას შეუძლია გააკეთოს დათქმა, რომლის შესაბამისადაც, შემსრულებელთათვის და ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ჰონორარის გადახდის ვალდებულება კომერციული მიზნით დამზადებული ფონოგრამის გამოყენების მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში იარსებებს. მაგალითად, მხოლოდ ფონოგრამის ეთერით გადაცემისას, ხოლო ფონოგრამის საზოგადოებისათვის სხვაგვარად გაცნობის შემთხვევაში კი – არა.

მე-16 მუხლის (ა)(iii) ქვეპუნქტის თანახმად, კონვენციის წევრ ქვეყანას უფლება აქვს გააკეთოს დათქმა, რომ კომერციული მიზნით დამზადებული ფონოგრამის გამოყენების შემთხვევაში, ჰონორარი გადახდილი იქნება მხოლოდ იმ დამამზადებლებისათვის, რომლებიც კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქეები არიან. კონვენციაში ეს ქვეპუნქტი გაჩნდა ირლანდიის დელეგაციის ინიციატივით და მის შესაბამისად, ფონოგრამის დამამზადებლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მოქალაქეობის კრიტერიუმით.

მე-16 მუხლის (ა)(iv) ქვეპუნქტის შესაბამისად, წევრ ქვეყანას შეუძლია შეზღუდოს ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვის ფარგლები იმ ფონოგრამებთან დაკავშირებით, რომელთა დამამზადებელია სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე, იმ მოცულობითა და ვადით, რომლითაც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს იმ ფონოგრამების დაცვას, რომელთა პირველი ჩანერა განახორციელა იმ სახელმწიფოს

მოქალაქემ, რომელმაც გააკეთა განცხადება. ამ ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს, რომ კონვენციის არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს რაიმე უპირატესობა სხვა წევრების მიმართ, ანუ თუ კონვენციის ერთი წევრი აკეთებს გარკვეულ დათქმას, რითიც ზღუდავს სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებებს თავის ტერიტორიაზე, ის მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ განსახილველი ქვეპუნქტის საფუძველზე სხვა ქვეყანა, ასევე, შეზღუდავს მისი მოქალაქეების უფლებებს თავის ტერიტორიაზე. ასეთი რედაქციით ეს წინადადება ჩამოყალიბდა დანიის, ფინეთისა და შვედეთის დელეგაციების ინიციატივით. ამავე ქვეპუნქტის, მეორე წინადადების შესაბამისად, „...ის ფაქტი, რომ მონაწილე სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც არის ფონოგრამის დამამზადებელი, არ ანიჭებს დაცვას იმავე ბენეფიციარს ან ბენეფიციარებს, რომელსაც სახელმწიფო, რომელმაც გააკეთა განცხადება, არ უნდა იქნეს მიჩნეული განსხვავებად დაცვის ფარგლებს შორის.“ ვფიქრობთ, ეს ქვეპუნქტი საფუძვლიან განმარტებას მოითხოვს და მიზანშეწონილი იქნება მისი განხილვა კონკრეტული მაგალითების საფუძველზე:

1) A ქვეყანა, დათქმის საშუალებით, ზღუდავს ფონოგრამის უცხოელი დამამზადებლების უფლებას ფონოგრამის ეთერით გადაცემისათვის ჰონორარის მიღებაზე, თუმცა, უტოვებს მათ უფლებას მიიღონ ჰონორარი საზოგადოებისათვის ფონოგრამის საჯარო გაცნობისთვის. აღნიშნული ქვეპუნქტის საფუძველზე, B ქვეყანას შეუძლია გააკეთოს დათქმა, რომლის საშუალებით საპასუხოდ შეზღუდავს A ქვეყნის ფონოგრამის დამამზადებლების უფლებას ფონოგრამის ეთერით გადაცემისათვის ჰონორარის მიღებაზე.

2) B ქვეყანა აღიარებს ფონოგრამის მეორადი გამოყენებისათვის, როგორც შემსრულებლის, ისე დამამზადებლის უფლებას, ხოლო თუ A ქვეყანა აღიარებს მხოლოდ შემსრულებლის აღნიშნულ უფლებას, B ქვეყანას არ შეუძლია მე-12 მუხლის საფუძველზე, საპასუხო ზომის სახით, უარი განუცხადოს A ქვეყნის ფონოგრამის დამამზადებელს ჰონორარის მიღების უფლებაზე.

მე-16 მუხლის (ბ) პუნქტის შესაბამისად, წევრი ქვეყნები უფლებამოსილნი არიან არ გამოიყენონ მე-13 მუხლის (დ) პუნქტი, ანუ არ მიანიჭონ უცხოურ სამაუწყებლო ორგანიზაციებს მათი სატელევიზიო გადაცემების საჯარო გაცნობისათვის იმ ადგილებში გადაცემის განსაკუთრებული უფლება, სადაც საზოგადოებისათვის შესვლა ფასიანია. თუ მონაწილე სახელმწიფო აკეთებს ასეთ განაცხადს,

სხვა მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არ არიან მე-13 მუხლის (დ) პუნქტით განსაზღვრული უფლება მიანიჭონ სამაუწყებლო ორგანიზაციებს, რომელთა შტაბ-ბინები მდებარეობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შეტყობინება განხორციელებულია რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების აქტის შესანახად გადაცემის თარიღის შემდგომ, შეტყობინება ძალაში შედის მის შესანახად გადაცემის თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.“ ამდენად, ასეთი შეტყობინების განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერ დროს და არა მხოლოდ კონვენციასთან შეერთების მომენტში.

**გარკვეული სახელმწიფოები, რომლებიც გამოიყენებენ მხოლოდ „ჩანერის“ კრიტერიუმს.** ამ მუხლის განხილვისას, კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც ავალდებულებს წევრ ქვეყნებს გაავრცელონ ეროვნული რეჟიმი ფონოგრამების დამამზადებლებზე, თუ:

- ა) ფონოგრამის დამამზადებელი სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეა (მოქალაქეობის კრიტერიუმი);
- ბ) ხმის პირველი ჩანერა განხორციელდა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (ჩანერის კრიტერიუმი);
- გ) ფონოგრამა პირველად გამოქვეყნდა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (გამოქვეყნების კრიტერიუმი).

ამასთან, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოს რჩება უფლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეტყობინების დეკლარაციით განაცხადოს, რომ ის არ გამოიყენებს გამოქვეყნების კრიტერიუმს, ან არჩევით, ჩანერის კრიტერიუმს. აქედან გამომდინარე, მე-5 მუხლით დადგენილი დაცვის მინიჭების პირობებიდან „მოქალაქეობის“ კრიტერიუმის საფუძველზე, დაცვის მინიჭება სავალდებულოა ყველა ქვეყნისათვის. თუმცა მე-17 მუხლი ადგენს ამ წესიდან გამონაკლისს და საშუალებას აძლევს ქვეყანას, რომლის კანონმდებლობაც 1961 წლის 26 ოქტომბრისათვის ფონოგრამების დამამზადებლებს ანიჭებს დაცვას მხოლოდ ჩანერის კრიტერიუმის საფუძველზე, კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან მასთან შეერთების დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეტყობინების დეკლარაციით განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ის გამოიყენებს მხოლოდ ჩანერის კრიტერიუმს და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის

(ა)(iii) და (ა)(iv) ქვეპუნქტების მიზნებისთვის – ჩანერის კრიტერიუმს მოქალაქეობის კრიტერიუმის ნაცვლად.

აღნიშნული დათქმის დაშვებას თავისი ობიექტური წინაპირობები გააჩნდა. 1961 წელს რომის დიპლომატიური კონფერენციის გამართვის თარიღისთვის სკანდინავიის ქვეყნებს ახალი მიღებული ჰქონდათ ეროვნული კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც, ფონოგრამის დამამზადებლებისათვის დაცვის მინიჭების საფუძვლად „ჩანერის“ კრიტერიუმი იყო მიჩნეული და ამიტომ ეს ქვეყნები მზად არ იყვნენ შეეცვალათ თავისი კანონმდებლობა. სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენელთა მოსაზრებას დაუპირისპირდნენ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებსაც არ უნდოდათ დაცვის დაყვანა მხოლოდ „ჩანერის“ კრიტერიუმამდე, რის შედეგადაც კონფერენცია დადგა გადაულახავი დაბრკოლების წინაშე, მაგრამ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების წინადადებამ გადაწყვიტა ეს პრობლემა. კერძოდ, მათ შესთავაზეს კონფერენციას, რომ იმ ქვეყნებისათვის, რომელთა კანონმდებლობაც 1961 წლის 26 ოქტომბრისთვის ითვალისწინებდა მხოლოდ „ჩანერის“ კრიტერიუმს, დაეტოვებინათ აღნიშნული კრიტერიუმის შენარჩუნების უფლება.

მე-18 მუხლი საშუალებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დამატებითი შეტყობინების შესანახად ჩაბარების გზით უკან გამოითხოვონ დათქმები ან შეამცირონ მათი ფარგლები. აღნიშნული ეხება კონვენციის მუხლების: 5(3), 6(2), 16(1) და 17 საფუძველზე გაკეთებულ დათქმებს. ეს მუხლი კონვენციას მოქნილობას მატებს, რადგან ქვეყნებს საშუალებას აძლევს ერთხელ გაკეთებული დათქმის შემდეგ დააკვირდნენ რამდენად სწორი იყო ეს გადანყვეტილება და თუ ის არ აღმოჩნდება იმდენად ეფექტური, როგორც ვარაუდობდნენ, არსებობს მე-18 მუხლის საფუძველზე ადრე გაკეთებული დათქმის გამოთხოვის ან მისი ფარგლების შემცირების საშუალება. აქვე გასათვალისწინებელია, რომ დათქმების განხორციელების შედეგი ქვეყნებისათვის შესაძლოა არამხოლოდ არაეფექტური, არამედ ნეგატიურიც აღმოჩნდეს. ამიტომ, დათქმების გაუქმების შესაძლებლობის არარსებობა მართებული არ იქნებოდა.

## თავი VIII სხვა მათერიალური საკითხები

მე-20 მუხლის შესაბამისად, კონვენციას არ გააჩნია უკუძალა ანუ არ ვრცელდება იმ უფლებებზე, რომლებიც წარმოიშვა მის ამოქმედებამდე, ხოლო 21-ე მუხლის შესაბამისად: „კონვენციით მინიჭებული დაცვა არ ლახავს ნებისმიერ სხვა დაცვას, რომლითაც უზრუნველყოფილი არიან შემსრულებლები, ფონოგრამის დამამზადებლები ან სამაუწყებლო ორგანიზაციები.“ აქედან გამომდინარე, კონვენცია არც იცავს და არც ლახავს იმ უფლებებს, რომლებიც უფლების მფლობელებს წარმოეშვათ მის ამოქმედებამდე.

გარდა აღნიშნულისა, კონვენცია ადგენს დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს და მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ მასთან შეერთების შემდეგაც გააფართოონ შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვა: მიანიჭონ მათ დამატებითი უფლებები, გაითვალისწინონ შემსრულებელთათვის არაქონებრივი უფლებები. გარდა ამისა, 21-ე მუხლის საფუძველზე, ნევრი სახელმწიფოები არ არიან შეზღუდული უფლებაში შექმნან და მონაწილეობა მიიღონ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებში, რისი მაგალითიცაა რამდენიმე სპეციალური შეთანხმება, რომელიც მოგვიანებით იქნა მიღებული და ეხება იმავე სუბიექტების უფლებებს, რომლებსაც იცავს რომის კონვენცია (მაგ., 1971 წლის ე.წ. „ფონოგრამების კონვენცია“, 1974 წლის კონვენცია „თანამგზავრით გადაცემული პროგრამის მატარებელი სიგნალების გავრცელების შესახებ“ და ა.შ.).

კონვენციის 22-ე მუხლის შესაბამისად: „მონაწილე სახელმწიფოები იტოვებენ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებების დადების უფლებას იმდენად, რამდენადაც ასეთი შეთანხმებები ითვალისწინებს შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის უფრო ფართო უფლებების მინიჭებას, ვიდრე გათვალისწინებულია ამ კონვენციით ან შეიცავენ სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას.“

როგორც განსახილველი მუხლის შინაარსიდან ირკვევა, მონაწილე ქვეყნებს შორის დადებული სპეციალური შეთანხმებები შეიძლება იყოს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი. თუმცა, 21-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ 22-ე მუხლი არ ეხება საერთაშორისო სამართლის გლობალურ ინსტრუმენტებს და მის საფუძველზე დადებული შეთანხმებები, ფაქტობრივად, შეიძლება იყოს ორმხრივი ან მაქსიმუმ რეგიონალური მნიშვნელობის.



## თავი IX პროცედურული ნორმები

კონვენციის 23-ე მუხლის შესაბამისად, „კონვენცია შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. ის ღიაა ხელმოსაწერად 1962 წლის 30 ივნისამდე ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც მოწვეულია შემსრულებლების, ფონო-გრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების საერთაშორისო დაცვის დიპლომატიურ კონფერენციაზე და არის საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენციის წევრი, ან არის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

აღნიშნული მუხლიდან გამომდინარეობს, რომ:

- კონვენციის დეკლარაციის ფუნქციას ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი;
- კონვენცია ღია იყო ხელმოსაწერად 1961 წლის 26 ოქტომბრიდან 1962 წლის 30 ივნისამდე მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მიწვეული იყვნენ რომის დიპლომატიურ კონფერენციაზე და არ მოაწერეს ხელი კონვენციას მისი დახურვის ცერემონიაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის ხელმოწერა კონკრეტული ქვეყნისათვის არ ნიშნავდა მის ავტომატურ ამოქმედებას, რადგან ამისთვის დამატებით საჭირო იყო შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულება;
- კონვენციის ხელმომწერი ქვეყანა უნდა იყოს საავტორო უფლებების შესახებ უნივერსალური კონვენციის ან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის, ანუ ბერნის კონვენციის წევრი. აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს იმაზე, რომ კონვენციის ავტორები შეეცადნენ დაემყარებინათ ერთგვარი კავშირი საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვას შორის საერთაშორისო დონეზე.

კონვენციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ის რატიფიცირებული ან მიღებული უნდა იყოს ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ, რაც უკავშირდება მის ამოქმედებას. ამასთან დაკავშირებით დიპლომატიურ კონფერენციაზე დაფიქსირდა, რომ ეს ორი ტერმინი იდენტურია და ის, თუ რომელ ტერმინს გამოიყენებს კონვენციასთან შეერთების სურვილის მქონე ქვეყანა, რათა მის მიმართ ამოქმედდეს კონვენცია, დამოკიდებულია ქვეყნების შიდა კანონმდებლობებზე.

განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონვენცია ღიაა იმ სახელმწიფოთა მისაერთებლად, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ დიპლომატიურ კონფერენციაზე და, ასევე, გერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის, თუ ეს ქვეყნები არიან „საავტორო უფლებების შესახებ“ უნივერსალური კონვენციის ან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრები.

მე-3 პუნქტის შესაბამისად, რატიფიკაცია, მიღება ან შეერთება ძალაში შვეა სათანადო აქტის გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეკონირების შემდეგ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონვენციის ავტორები შეეცადნენ დაემყარებინათ ერთგვარი კავშირი საერთაშორისო დონეზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვას შორის და კონვენციასთან შეერთების აუცილებელ პირობად დაადგინეს, რომ ქვეყანა, ერთი მხრივ, უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ხოლო, მეორე მხრივ, საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენციის ან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი. ეს აიხსნებოდა იმით, რომ მომიჯნავე უფლებების წარმოშობა და განხორციელება, უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებთან. ამდენად, კონვენციებს შორის ამგვარი კავშირის არარსებობის შემთხვევაში, საავტორო უფლებების საერთაშორისო დაცვის სისტემის არაწევრ ქვეყნებს საშუალება ექნებოდათ ესარგებლათ რომის კონვენციით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო დაცვით მაშინ, როდესაც თავიანთ ტერიტორიაზე არ ექნებოდათ საავტორო უფლებების ობიექტებისათვის დაცვის მინიჭების არავითარი ვალდებულება.

ზემოაღნიშნულ მიდგომას ჰყავდა მონინააღმდეგეები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ არ არსებობდა საავტორო უფლებებისა და მომიჯნავე უფლებების დაცვის საერთაშორისო სისტემებს შორის ამგვარი კავშირის დამყარების აუცილებლობა, რადგან გარკვეულ შემთხვევებში, მომიჯნავე უფლებების წარმოშობა და განხორციელება არ არის დაკავშირებული საავტორო უფლებებთან (მაგ., როდესაც შემსრულებელი ასრულებს ნაწარმოებს, რომელზეც საავტორო უფლებების დაცვის ვადა გასულია ან სამაუწყებლო ორგანიზაცია გადასცემს სპორტულ ღონისძიებას). თუმცა, კონფერენციაზე დამსწრე სახელმწიფოთა უმრავლესობამ ამგვარი მიდგომა არ გაიზიარა და

კავშირი საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო სისტემასა და კონვენციას შორის მაინც დამყარდა.

25-ე მუხლი ადგენს კონვენციის ამოქმედებისათვის საჭირო პირობებს. როგორც ტექსტიდან ჩანს, მისი ამოქმედებისათვის საჭიროა, რომ კონვენციის რატიფიკაცია, მიღება ან მასთან შეერთება მოახდინოს, სულ მცირე, ექვსმა ქვეყანამ, რაც განხორციელდა 1964 წლის 18 მაისს და, შესაბამისად, კონვენცია ამოქმედდა ამ თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

კონვენციის ამოქმედებისათვის საჭირო ქვეყნების რაოდენობა კონფერენციის მონაწილე ქვეყნების მიერ მიღწეული კომპრომისის შედეგია. დიდ ბრიტანეთს ჰქონდა წინადადება, რომ ეს რიცხვი ყოფილიყო სამი, მაშინ, როდესაც საფრანგეთის, იტალიისა და აშშ-ს წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ კონვენციის ამოქმედებისათვის მასში უნდა განეწიანებულიყო თორმეტი ქვეყანა, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა დელეგაციები ოპტიმალურად მიიჩნევდნენ – ექვსს. სწორედ, ამ რაოდენობაზე შეთანხმდნენ კონფერენციაზე.

მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონვენციის ამოქმედების შემდეგ, ყოველი ახალი წევრი ქვეყნისთვის ის ძალაში შევა მის მიერ რატიფიკაციის, მიღების ან მასთან შეერთების აქტის დეკონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

26-ე მუხლი ემსახურება კონვენციის ყოველი წევრის მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას. თითოეული მონაწილე ქვეყანა იღებს ვალდებულებას თავისი კონსტიტუციის თანახმად მიიღოს ზომები კონვენციის დებულებების განხორციელების უზრუნველსაყოფად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისათვის, რომელთა საკონსტიტუციო სამართლის შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებებს არა აქვთ პირდაპირი მოქმედება მათ ტერიტორიაზე და საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმათა ამოქმედებისათვის საჭიროა მათი ტრანსფორმაცია ეროვნულ კანონმდებლობაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონვენციის ამოქმედებისათვის საჭირო ზომები ქვეყანამ უნდა მიიღოს კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების აქტის დეკონირების თარიღისათვის, ანუ მის მიმართ კონვენციის ამოქმედებამდე სამი თვით ადრე მაინც. კონფერენციაზე დაფიქსირდა, რომ კონვენციის ამოქმედებისათვის საჭირო ქმედებები

მიზანშეწონილია განხორციელდეს კონვენციასთან შეერთების შესახებ სათანადო აქტის დეკონირების თარიღისთვის და არა დეკონირებიდან ამოქმედებამდე დარჩენილ სამთვიან პერიოდში.

27-ე მუხლი ადგენს კონვენციის გავრცელებას იმ ტერიტორიებზე, რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც პასუხისმგებელია წევრი ქვეყანა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, დაკმაყოფილებული უნდა იყოს პირობა, რომლის თანახმადაც, ყოველ ასეთ ტერიტორიაზე უნდა ვრცელდებოდეს საავტორო უფლებების შესახებ უნივერსალური კონვენცია ან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია.

ამ მუხლის მე-2 პუნქტი არეგულირებს კონვენციით ნებადართული დათქმების გავრცელების საკითხს პირველ პუნქტში გათვალისწინებულ ტერიტორიებზე. თუმცა, ამგვარ მიდგომას ჰყავდა მონინააღმდეგეები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ კონვენციის ასეთი რედაქცია ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1960 წლის განცხადებას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ (რეზოლუცია 1514(XV)). სხვა დელეგაციები მიიჩნევდნენ, რომ კონვენციის ასეთი ჩანაწერი არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ განცხადებას და იძლევა კონვენციის უფრო ფართო გავრცელების შესაძლებლობას, რაც დელეგაციების უმრავლესობამ გაიზიარა კიდევ.

28-ე მუხლი არეგულირებს კონვენციის დენონსაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. პირველი პუნქტის შესაბამისად, წევრ ქვეყანას შეუძლია შეწყვიტოს კონვენციის მოქმედება როგორც თავის, ისე იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი. თუმცა, წევრი ქვეყნის ასეთი გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგობით უნდა ეცნობოს კონვენციის დეპოზიტარს – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და დენონსაცია ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

ამასთან, მე-3 პუნქტის შესაბამისად, წევრ ქვეყანას უფლება არა აქვს გამოიყენოს დენონსაციის უფლება მის მიმართ კონვენციის ამოქმედებიდან ხუთი წლის განმავლობაში. ეს ვადაც გარკვეული კომპრომისის შედეგია, რადგან კონფერენციაზე აშშ-სა და იაპონიის დელეგაციებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ასეთი ვადის დაწესება

საერთოდ არ იყო საჭირო მაშინ, როდესაც ნიდერლანდების დელეგაციას მიაჩნდა, რომ ეს ვადა უნდა შემცირებულიყო სამ წლამდე, სამდივნოს მიერ მომზადებული პროექტის თანახმად კი, ქვეყანას კონვენციის დენონსაცია შეეძლო მასთან შეერთებიდან მე-6, მე-11, მე-16, 21-ე და ა.შ. წლების განმავლობაში. თუმცა, არც ერთი ეს წინადადება გაზიარებული არ იყო.

გარდა ამისა, განსახილველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ითვალისწინებს წევრი ქვეყნის მიმართ კონვენციის მოქმედების შეწყვეტის სხვა შესაძლებლობასაც. კერძოდ, კონვენცია ავტომატურად წყვეტს მოქმედებას წევრი ქვეყნის, ან ნებისმიერი იმ ტერიტორიის მიმართ, რომლის საერთაშორისო ურთიერთობაზეც ის არის პასუხისმგებელი, თუ ამ ქვეყანაზე ან ტერიტორიაზე აღარ ვრცელდება საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენცია ან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია.

29-ე მუხლში გათვალისწინებულია პროცედურა, რომლის შესაბამისადაც შესაძლებელია კონვენციის გადასინჯვა. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონვენციის გადასინჯვა არ შეიძლება მოხდეს მისი ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კი, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი შეტყობინების გაგზავნის გზით მოითხოვოს კონვენციის მონვევა კონვენციის გადასინჯვის მიზნით.

კონვენციის მონვევის წინადადებას, რომელსაც გენერალური მდივანი უგზავნის წევრ სახელმწიფოებს, უნდა დაეთანხმოს ამ უკანასკნელთა არანაკლებ ნახევარი, რის შედეგადაც გენერალური მდივანი შეატყობინებს ამის შესახებ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს, რომლებმაც უნდა მოიწვიონ გადამსინჯველი კონვენცია კონვენციის 32-ე მუხლით გათვალისწინებულ სამთავრობათაშორისო კომიტეტთან ერთად.

29-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება გადასინჯვის შესახებ შეიძლება მიღებული იყოს გადამსინჯველ კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის მიერ. ამასთან, ხმების ეს რაოდენობა უნდა მოიცავდეს იმ სახელმწიფოების

ორ მესამედს, რომლებიც გადამსინჯველი კონფერენციის ჩატარების თარიღისათვის არიან ამ კონვენციის წევრები, მიუხედავად იმისა, დებულებენ თუ არა მონაწილეობას გადამსინჯველი კონფერენციის მუშაობაში.

მე-3 პუნქტი არეგულირებს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება კონვენციის გადასინჯვის შედეგად კონვენციის თავდაპირველი და ახალი რედაქციების მოქმედებას.

ამ პუნქტის (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, გადასინჯული კონვენციის მიღების შემთხვევაში კონვენციის თავდაპირველი რედაქცია აღარ იქნება ღია რატიფიკაციის, მიღების ან შეერთებისათვის. თუმცა, (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, კონვენციის თავდაპირველი რედაქციის დებულებები ძალაში რჩება იმ მონაწილე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ან მათთან მიმართებაში, რომლებიც არ არიან გადასინჯული კონვენციის წევრები.

30-ე მუხლი არეგულირებს კონვენციის გამოყენებასა და ინტერ-პრეტაციასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების გადაწყვეტის წესს. გასათვალისწინებელია, რომ ეს ნორმა ეხება მხოლოდ სახელმწიფოებს და არა კერძო პირებს შორის წარმოშობილი სადავო საკითხების გადაწყვეტას. დაინტერესებულ სახელმწიფოებს დავის გადასაწყვეტად შეუძლიათ მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს. თუმცა, განსახილველი მუხლი აძლევთ მათ საშუალებას შეთანხმდნენ დავის გადაწყვეტის სხვაგვარ ფორმაზეც.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სადავო საკითხის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადასაცემად არ არის საჭირო დავის მონაწილე ყველა მხარის შეთანხმება და სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებისათვის საკმარისია თუნდაც ერთი მოდავე მხარის ინიციატივა.

31-ე მუხლი გამორიცხავს კონვენციის დებულებების მიმართ რაიმე დათქმების გაკეთების საშუალებას, გარდა იმ დათქმებისა, რომლებსაც ითვალისწინებს კონვენციის მუხლები: 5(3), 6(2), 16(1) და 17. აქედან გამომდინარე, კონვენციის ყველა სხვა დანარჩენი დებულება მიღებული უნდა იყოს უპირობოდ. თუმცა, პოლონეთის დელეგაციას მიაჩნდა, რომ დათქმების გაკეთება შესაძლებელი უნდა იყოს კონვენციის ნებისმიერი მუხლის მიმართ, რაც, ცხადია, სხვა დელეგაციებმა არ გაიზიარეს.

32-ე მუხლი ეხება სამთავრობათშორისო კომიტეტის შექმნას და განსაზღვრავს მის ფუნქციებს. როგორც რომის დიპლომატიური



კონფერენციის მასალებშია აღნიშნული, კომიტეტის ფუნქციაში შედის არა კონვენციის მოქმედების კონტროლი, არამედ კონვენციის მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, რაც ასახულია კიდევ ამ მუხლის პირველი პუნქტის (ა) ქვეპუნქტში, რომლის შესაბამისადაც, კომიტეტის მოვალეობას შეადგენს კონვენციის გამოყენებასა და მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, ხოლო (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, კომიტეტს ევალება, აგრეთვე, წინადადებების შესწავლა და დოკუმენტაციის მომზადება კონვენციის შესაძლო გადასინჯვის მიზნით.

აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს კომიტეტის დაკომპლექტების წესს, რომლის შესაბამისადაც, „კომიტეტი შედგება მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც შეირჩევიან სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპის გათვალისწინებით. კომიტეტი შედგება ექვსი წევრისაგან, თუ მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა არის თორმეტი ან ნაკლები, ცხრა წევრისაგან, – თუ მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა ცამეტიდან თვრამეტამდეა და თორმეტი წევრისაგან, – თუ მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი თვრამეტზე მეტია.“ მე-3 პუნქტით კი დადგენილია კომიტეტის არჩევნების ვადები და პროცედურა.

32-ე მუხლის 4–7 პუნქტები ეხება კომიტეტის თავმჯდომარისა და თანამდებობის პირების არჩევას, კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობას, კომიტეტის სხდომების მოწვევის პროცედურასა და კომიტეტის წევრების ხარჯების ანაზღაურების საკითხებს.

33-ე მუხლის შესაბამისად, კონვენცია შედგენილია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე და სამივე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია.

ამასთან, ავსტრიის, ბრაზილიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იტალიისა და შვეიცარიის დელეგაციების ერთობლივი წინადადების საფუძველზე, გადანყდა, რომ კონვენციის ოფიციალური ტექსტები დამატებით უნდა შემუშავდეს, აგრეთვე, გერმანულ, იტალიურ და პორტუგალიურ ენებზე.

34-ე მუხლით დადგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ვალდებულება, გაუგზავნოს შეტყობინება კონფერენციაზე მოწვეულ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორსა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან მასთან შეერთების თითოეული აქტის დეკლარაციის თაობაზე;
- კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- ყველა შეტყობინების, დეკლარაციისა ან ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, რომელიც გათვალისწინებულია ამ კონვენციით;
- კონვენციის 28-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების წარმოქმნის თაობაზე.

აღნიშნული მიხლის ე-2 პუნქტის შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უნდა შეატყობინოს შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორსა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს იმ მოთხოვნების თაობაზე, რომლებიც მას წარედგინა, კონვენციის 29-ე მუხლის შესაბამისად და, აგრეთვე, ნებისმიერი იმ შეტყობინების შესახებ, რომელსაც იგი მიიღებს მონაწილე სახელმწიფოებისაგან კონვენციის გადასინჯვასთან დაკავშირებით.

## ნაწილი 3

## საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა TRIPS შეთანხმების მიხედვით

## თავი I

## შეთანხმების შეფხვის ისტორია

XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში გამოვლინდა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სისტემის განვითარებაზე. პირველი იყო ნაწარმოებებისა და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების სულ უფრო მზარდი საერთაშორისო მასშტაბი, რაც განაპირობა ახალმა საკომუნიკაციო (სატელეკომუნიკაციო, საკაბელო გადაცემა) და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ. მეორე ფაქტორს წარმოადგენდა აუდიო და ვიდეოკასეტების წარმოებისა და საგამომცემლო სფეროებში არალეგალური ინდუსტრიების ჩამოყალიბება და მსოფლიოში მეკობრული პროდუქციის გავრცელების არნახული ზრდა. 90-იან წლებში საერთაშორისო ვაჭრობაში კონტრაფაქციული და პირატული პროდუქციის წილი შეადგენდა მთელი მისი მოცულობის 3-6%, ანუ 120-240 მილიარდ დოლარს წელიწადში.

იმ დროს მოქმედი საერთაშორისო კონვენციები (ბერნის, უნივერსალური, რომის, ფონოგრამების დაცვის) მიმართული იყო მათ მონაწილე ქვეყნებში საავტორო და მომიჯნავე უფლებების არსებობისა და გამოყენების სამართლებრივი მექანიზმების უზრუნველსაყოფად, მაგრამ პრაქტიკულად არ ეხებოდა, უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფოთა ვალდებულებებს უფლებათა განხორციელებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კონვენციები არ ითვალისწინებს, აგრეთვე, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებულ სახელმწიფოთა შორის დავების დარეგულირების მექანიზმებს, არ შეიცავს ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების (კომპიუტერული პროგრამები, მონაცემთა ბაზები) გამოყენების მარეგულირებელ დებულებებს.

ქვეყნები, რომლებიც იყვნენ საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების ძირითადი შემოქმედნი და მწარმოებლები, სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ ამ სფეროებში განვითარებული ტენდენციების ფონზე, საერთაშორისო დონეზე მათი დარეგულირების მექანიზმების არარსებობა საგრძნობ ზიანს აყენებს მათ ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროებთან დაკავშირებულ ეკონომიკის სექტორში გამოშვებული პროდუქცია შეადგენს განვითარებული ქვეყნების საერთო შიდა პროდუქტის (სშპ) და ექსპორტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს (მაგ., აშშ-ში ამ სექტორის წილი შეადგენს მთელი სშპ-ს 6%).

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა ამერიკის შეერთებულ შტატებში მის სავაჭრო კანონმდებლობაში „სპეციალური 301“ დებულებების დამატებით. ამ დებულებების მიხედვით ქვეყნები, რომლებიც არ უზრუნველყოფენ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სათანადო სტანდარტს, მიუხედავად აშშ-ს მხრიდან ასეთი მოთხოვნის არსებობისა, შეტანილ იქნებიან სპეციალური დაკვირვების სიაში და მათ მიმართ განხორციელდება სათანადო სანქციები. ამავე მიზნით, რეგიონულ დონეზე მიღებულ იქნა ორი შეთანხმება NAFTA-სა (აშშ, კანადა, მექსიკა) და Cartagen-ის (ბოლივია, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ, ვენესუელა), რომლებიც ითვალისწინებს მათ მონაწილე ქვეყნებში ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის და განხორციელების სისტემის გაუმჯობესებას.

ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) ფარგლებში, 1986 წელს დაწყებულ ვაჭრობის შესახებ მრავალმხრივ მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის იმ საკითხების ჩართვა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე, კერძოდ, საერთაშორისო ვაჭრობაზე. მოლაპარაკებათა საფუძველზე, ე. მარაკეში (მაროკო) 1994 წლის 15 აპრილს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) დაარსების შესახებ, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, ვმო-ს შეთანხმების დანართის სახით, იყო TRIPS შეთანხმება. ვმო-ს შეთანხმება TRIPS შეთანხმებასთან ერთად ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვარს.

TRIPS შეთანხმების ამოქმედებით, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა გახდა ვმო-ში განსახიერებული საერთაშორისო სავაჭრო სისტემის განუყოფელი ნაწილი. ეს შეთანხმება სხვა ორ შეთანხმებასთან („გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ“ და „გენერალური შეთანხმება მომსახურების განწესის შესახებ“) ერთად წარმოადგენს ვმო-ს საქმიანობის საფუძველს.

## თავი II

### შეთანხმების სტრუქტურა, პრინციპები და ძირითადი დებულებები

TRIPS შეთანხმება არის პირველი გლობალური ხასიათის ხელშეკრულება, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა სფეროს. ის ადგენს მინიმალურ სტანდარტებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ვმო-ს წევრი ქვეყნის კანონმდებლობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების, სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების, პატენტების, სამრეწველო ნიმუშების, ნახევარგამტართა ტოპოლოგიებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით. ეს შეთანხმება ქვეყნებს აკისრებს ვალდებულებებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით და ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოთა შორის დავათა დარეგულირების მექანიზმებს.

TRIPS შეთანხმება შედგება 7 ნაწილისაგან:

ნაწილი I – ზოგადი დებულებები და პრინციპები;

ნაწილი II – ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობასთან, ფარგლებსა და გამოყენებასთან დაკავშირებული სტანდარტები;

ნაწილი III – ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების განხორციელება;

ნაწილი IV – უფლებების მოპოვება და ძალაში შენარჩუნება;

ნაწილი V – დავების თავიდან აცილება და რეგულირება;

ნაწილი VI – გარდამავალი ღონისძიებები;

ნაწილი VII – ინსტიტუციონალური ღონისძიებები და დასკვნები.

მოკლედ განვიხილოთ TRIPS შეთანხმების ზოგადი დებულებები, პრინციპები და ის ნორმები, რომლებიც უშუალოდ არეგულირებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვას (მუხლები: 9-14), ამ უფლებების განხორციელებისა და დავების გადაწყვეტის საკითხებს.

შეთანხმების ზოგად დებულებებსა და პრინციპებს შორის, თავისი მნიშვნელობით, უნდა გამოიყოს:

- შეთანხმების მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებზე ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმების გავრცელება (მუხლები: 3, 4);
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და განხორციელების საფუძველზე ტექნოლოგიური ინოვაციების, ტექნოლოგიების გადაცემისა და გავრცელების ხელშეწყობა (მუხლი 7);

წევრი ქვეყნების მიერ ისეთი ზომების გატარების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს:

- ა) ქვეყნების სახელმწიფო ინტერესების დაცვას მათი სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სექტორებში (მუხლი 8(1));
- ბ) უფლებების მფლობელების მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ბოროტად გამოყენების ან ისეთი პრაქტიკის აღკვეთას, რომელიც უმართებულოდ ზღუდავს ვაჭრობას და არასასურველ გავლენას ახდენს ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემაზე. (მუხლი 8(2)).

საავტორო და მომხიზნავ უფლებების მფლობელების მიმართ ვმო-ს წევრ ქვეყნებს აქვთ სამი ძირითადი ვალდებულება:

1. გამოიყენონ ეროვნული რეჟიმი, ანუ გაავრცელონ ვმო-ს სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეებზე საკუთარი მოქალაქისთვის მინიჭებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი (მუხლი 3(1)). ამასთან, TRIPS შეთანხმების მიხედვით:
  - საავტორო და მომხიზნავ უფლებებთან მიმართებაში ეროვნული რეჟიმი ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც გათვალისწინებულია ბერნისა და რომის კონვენციებით;
  - შემსრულებლებზე, ფონოგრამის დამამზადებლებსა და სამაუწყებლო ორგანიზაციებზე ეროვნული რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ იმ უფლებებთან დაკავშირებით, რომლებიც დაცულია TRIPS შეთანხმებით.
2. გამოიყენონ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი უპირატესობა, შედავათი, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომელსაც წევრი ქვეყანა ანიჭებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ ვრცელდება ვმო-ს ყველა წევრი ქვეყნის მოქალაქეებზე. აღნიშნულ ვალდებულებასთან დაკავშირებით, შეთანხმებაში გათვალისწინებულია გამონაკლისები (მუხლი 4).
3. გამოიყენოს TRIPS შეთანხმების მუხლებით 9-14 დადგენილი საავტორო და მომხიზნავ უფლებების დაცვის მინიმალური სავალდებულო სტანდარტები.

შეთანხმება არ უკრძალავს ვმო-ს წევრ ქვეყანას მიანიჭოს ავტორებსა და მომხიზნავ უფლებების მფლობელებს უფრო ფართო დაცვა, იმ პირობით, რომ ამგვარი დაცვა არ ეწინააღმდეგება ამ



შეთანხმების დებულებებს (მუხლი 1(1)).

ავტორთა უფლებებთან დაკავშირებით TRIPS შეთანხმება, უპირველეს ყოვლისა, ავალდებულებს წევრ ქვეყნებს ბერნის კონვენციის მატერიალური ნორმების (გარდა პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ნორმებისა) შესრულებას (მუხლი 9(1)). მასში, აგრეთვე, გათვალისწინებულია დამატებითი მოთხოვნები (მუხლი 10-13):

- კომპიუტერული პროგრამების, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებების დაცვა;
- მონაცემების ან სხვა მასალების კომპილაციების დაცვა;
- კომპიუტერულ პროგრამებსა და პრინციპში, კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე გაქირავების უფლების არსებობა.

დაცვის ვადები არ გამოითვლება სიცოცხლის ხანგრძლივობის საფუძველზე და განისაზღვრება 50 წლით.

შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებები დადგენილია უშუალოდ TRIPS შეთანხმებით.

შემსრულებლის უფლებაა არ დაუშვას (მუხლები: 14(1), 14(5), 14(6)):

- ცოცხალი შესრულების უნებართვოდ ჩაწერა ფონოგრამაზე;
- ცოცხალი შესრულების ჩანაწერის უნებართვოდ რეპროდუცირება;
- ცოცხალი შესრულების ეთერით უნებართვოდ გადაცემა;
- ცოცხალი შესრულების უნებართვოდ საჯარო გაცნობა;

დაცვის ხანგრძლივობა შეადგენს 50 წელს შესრულების ან ჩაწერის განხორციელების წლის ბოლოდან.

ფონოგრამის დამამზადებლის უფლებებია (მუხლები: 14(2), 14(4), 14(5), 14(6)) ნებართვის გაცემა:

- ფონოგრამის პირდაპირ ან არაპირდაპირ რეპროდუცირებაზე;
- ფონოგრამის კომერციულ გაქირავებაზე;

დაცვის ვადა შეადგენს 50 წელს ფონოგრამის ჩაწერის წლის ბოლოდან.

სამაუწყებლო ორგანიზაციის უფლებაა (მუხლები: 14(3), 14(5), 14(6)) ნებართვის გაცემა:

- მისი გადაცემების ჩაწერაზე;
- გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირებაზე;

- მათი გადაცემების ეთერით ხელახლა გადაცემაზე;
- მისი სატელევიზიო პროგრამების საჯარო გაცნობაზე.

დაცვის ვადა შეადგენდეს 20 წელს ეთერით გადაცემის წლის ბოლოდან.

TRIPS შეთანხმებით სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის ამ უფლებების მინიჭება არ ატარებს სავალდებულო ხასიათს იმ პირობით, თუ ქვეყნის კანონმდებლობა საავტორო უფლების მფლობელებს გადაცემის ობიექტთან დაკავშირებით აძლევს შესაძლებლობას არ დაუშვას ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების არამართლზომიერი განხორციელება.

TRIPS შეთანხმების რეგულირების საგანს არ წარმოადგენს:

ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებები. შეთანხმების მუხლი 9(1) ადგენს წვერი ქვეყნების ვალდებულებას შეასრულონ ბერნის კონვენციის მატერიალური ნორმები, მაგრამ არ ავრცელებს ამ ვალდებულებას ბერნის კონვენციის მე-6<sup>bis</sup> მუხლით დადგენილ პირად არაქონებრივ უფლებებზე, კერძოდ, ავტორობისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებებზე.

რეალურად ეს გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნებზე, რომლებიც არ არიან ბერნის კავშირის წევრები, რადგან ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყნებმა პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით უნდა გააგრძელონ თავისი ვალდებულებების შესრულება, რასაც ითხოვს TRIPS შეთანხმების 2(2) მუხლი.

უფლებების ამონაწერა. ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებების მსვლელობისას, წარმოჩინდა აზრთა სხვადასხვაობა უფლებების ამონაწერის თაობაზე დაცული ობიექტების პირველი გავრცელების შემდეგ მათ შემდგომ გავრცელებაზე. კერძოდ, ვერ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა იმის შესახებ, ამონაწერას უნდა ჰქონდეს ტერიტორიული თუ საერთაშორისო ხასიათი.

TRIPS შეთანხმების მე-6 მუხლის თანახმად, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული დავების რეგულირების მექანიზმი, ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმების დაცვის პირობით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წევრ ქვეყნებს შორის უფლებების ამონაწერის საკითხზე უთანხმოებების მოსაწესრიგებლად, რაც ნიშნავს იმას, რომ შეთანხმებამ მის წევრ ქვეყნებს მიანიჭა თავისუფლება ამ საკითხის გადაწყვეტისას.

შემსრულებლების უფლებების დაცვა აუდიო-ვიზუალურ ჩანაწასთან დაკავშირებით. TRIPS შეთანხმება არ ანიჭებს შემსრულებლებს დაცვას მათი შესრულებების აუდიო-ვიზუალურ ჩანაწასთან დაკავშირებით. აღნიშნულისაგან განსხვავებით, რომის კონვენციის მუხლის 7(1)(ბ) თანახმად, შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლებები როგორც ხმოვან, ისე აუდიოვიზუალურ ჩანაწერებზე.

ფონოგრამის შესრულების უფლება. TRIPS შეთანხმება არ შეიცავს რომის კონვენციის მე-12 მუხლის მსგავს მუხლს, რომლის თანახმად შემსრულებელმა და ფონოგრამის დამამზადებელმა უნდა მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება კომერციული მიზნით გამოქვეყნებული ფონოგრამის ეთერში გადაცემის ან ნებისმიერი სხვა სახით საჯარო გაცნობის მიზნით გამოყენებისათვის.

TRIPS შეთანხმების III ნაწილი ეხება წევრი ქვეყნების ვალდებულებებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით (მუხლები: 41-51).

შეთანხმების ეს ნაწილი, აგრეთვე, შეიცავს სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებულ სპეციალურ ნორმებს, უფლებების დარღვევით დამზადებული საქონლის იმპორტის აღსაკვეთად (მუხლები: 51-60).

შეთანხმება ითვალისწინებს, ასევე, სისხლის სამართლის პროცედურებსა და სასჯელს კომერციული მიზნით საავტორო უფლებების დარღვევისათვის (მუხლი 61).

შეთანხმების V ნაწილი (მუხლები: 63, 64) ეხება ვმო-ს წევრ ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროს გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და ამ სფეროსთან დაკავშირებულ სახელმწიფოთაშორისი დავების აცილებისა და რეგულირების შესაძლებლობას ვმო-ში მოქმედი დავების გადაწყვეტის სისტემის გამოყენებით.

### თავი III ეროვნული რეჟიმი

შეთანხმების მუხლის 1(3) თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების შესაბამის უფლებებთან დაკავშირებით, წევრმა ქვეყნებმა შეთანხმებით დადგენილი დაცვის რეჟიმი უნდა გაავრცელონ სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებზეც. როდესაც საქმე ეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებად მოიაზრებიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ბერნისა და რომის კონვენციებით დადგენილ დაცვის მინიჭების კრიტერიუმებს.

3(1) მუხლის შესაბამისად, შეთანხმების მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან სხვა მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს საკუთარ ტერიტორიაზე მიანიჭონ ისეთივე დაცვა, როგორსაც ისინი ანიჭებენ თავის მოქალაქეებს, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო კონვენციებით. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შემთხვევაში, ეს გამონაკლისები დადგენილია შესაბამისად ბერნისა და რომის კონვენციებით.

**ავტორები.** როგორც უკვე აღინიშნა, TRIPS შეთანხმების მიხედვით ავტორებზე ეროვნული რეჟიმის გავრცელება ბერნის კონვენციით დადგენილი კრიტერიუმების შესრულებას გულისხმობს. კონვენციაში ეს კრიტერიუმები მოცემულია მუხლებში 3-5. ბერნის კონვენცია ეროვნული რეჟიმის გავრცელებას ითვალისწინებს კონვენციის წევრი ქვეყნების მოქალაქეებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე (მოქალაქეობის კრიტერიუმი) და ავტორებზე, რომლებიც არ არიან კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქეები, მათი იმ ნაწარმოებებისათვის, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა კონვენციის ერთ-ერთ ქვეყანაში (ტერიტორიული კრიტერიუმი). კინემატოგრაფიული ნაწარმოებების, არქიტექტურული და გარკვეული სახის ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებისათვის კონვენცია ადგენს დამატებით კრიტერიუმებს (იხ.გვ. 33).

ისევე, როგორც ბერნის კავშირის წევრებს, TRIPS შეთანხმების წევრ ქვეყნებსაც უფლება აქვთ ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებით გაავრცელონ ბერნის კონვენციით გათვალისწინებული გამონაკლისები. ეს გამონაკლისები ეხება გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების დაცვას, ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე უფლებების შეზღუდვას არანაწილ ქვეყნების ავტორებისათვის, ვადების შედარებასა და „droit de suite“-ს.

ვმო-ს წევრი ქვეყნებისათვის ბერნის კონვენციით დადგენილი ეროვნული რეჟიმის გავრცელების კრიტერიუმების მოქმედება შემოიფარგლება ქონებრივი უფლებებით და არ ვრცელდება არაქონებრივ უფლებებზე. აღნიშნული გამომდინარეობს TRIPS შეთანხმების მუხლის 9(1) დებულებებიდან, რომელთა თანახმადაც ვმო-ს წევრ ქვეყნებს, როგორც უკვე აღინიშნა, არ ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან ბერნის კონვენციის მე-6<sup>bis</sup> მუხლით გათვალისწინებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები. ამის შედეგად, თუ ავტორი არის ვმო-ს იმ წევრი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც არ არის ბერნის კონვენციის მონაწილე, ვმო-ს წევრი ქვეყნები, რომლებიც იცავენ ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს, არ არიან ვალდებული ამ ავტორზე გაავრცელონ ეროვნული რეჟიმი პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით.

**მომიჯნავე უფლებების მფლობელები.** TRIPS შეთანხმების თანახმად, შემსრულებლებზე, ფონოგრამის დამამზადებლებსა და სამაუწყებლო ორგანიზაციებზე ეროვნული რეჟიმის გავრცელების კრიტერიუმები დადგენილია რომის კონვენციის 4-6 მუხლებით. ეს კრიტერიუმები ცალ-ცალკეა განსაზღვრული შესრულებების, ფონოგრამებისა და ეთერით გადაცემებისათვის და დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა: შესრულების ადგილი, ჩანერის ადგილი, ფონოგრამის გამოქვეყნების ადგილი, ფონოგრამის დამამზადებლის მოქალაქეობა, სამაუწყებლო ორგანიზაციის შტაბბინის ან რადიოგადამცემის ადგილმდებარეობა (იხ. გვ. 98). ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის დათქმები, რომელთა მეშვეობითაც რომის კონვენციისა და შესაბამისად TRIPS შეთანხმების, წევრ ქვეყანას შეუძლია ზოგიერთი კრიტერიუმით ეროვნული რეჟიმის მინიჭებაზე უარის თქმა, რაზეც მიუთითებს TRIPS შეთანხმების მუხლი 1(3).

რაც შეეხება დაცვის ფარგლებს, TRIPS შეთანხმების თანახმად, ერთი წევრი ქვეყნის მოქალაქეებისათვის მეორე წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე მინიჭებული უფლებები უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ უფლებებით, რომლებიც უზრუნველყოფილია TRIPS შეთანხმებით მომიჯნავე უფლების მფლობელებისათვის. ანუ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეთანხმების მონაწილე A ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა მომიჯნავე უფლებების მფლობელთათვის ითვალისწინებს უფრო ფართო დაცვას, ვიდრე TRIPS შეთანხმება, მას არ წარმოეშვება ვალდებულება გაავრცელოს შეთანხმების მონაწილე B ქვეყნის მოქალაქეზე დაცვის უფრო მაღალი სტანდარტები, ვიდრე

ეს გათვალისწინებულია შეთანხმებით, რაც TRIPS შეთანხმების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს.

## თავი IV უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

ბერნისა და რომის კონვენციები ეფუძნება საკონვენციო უფლებები-სა და ეროვნული რეჟიმის პრინციპებს, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებენ უპირატესი ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმის გამოყენებას. აღნიშნული პრინციპი დამახასიათებელია ვაჭრობის სფეროში მოქმედი შეთანხმებებისათვის და TRIPS შეთანხმების მიღებამდე უცხო იყო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისათვის.

TRIPS შეთანხმების მე-4 მუხლის შესაბამისად, „ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით ნებისმიერი უპირატესობა, შეღავათი, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომელსაც წევრი ქვეყანა ანიჭებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ ვრცელდება ყველა სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეებზე...“. ამასთან აღსანიშნავია, რომ მნიშვნელობა არა აქვს, TRIPS შეთანხმების წევრი ქვეყანა შეღავათებს ანიჭებს სხვა მონაწილე ქვეყანას, თუ იმ ქვეყანას, რომელიც არ მონაწილეობს შეთანხმებაში. ამრიგად, თუ ვმო-ს წევრი A ქვეყანა ანიჭებს B ქვეყნის მოქალაქეებს უპირატესობას, მაგალითად, საავტორო უფლების განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა არის თუ არა B ქვეყანა ვმო-ს წევრი, ამგვარი უპირატესობა უნდა მიენიჭოს ვმო-ს ყველა სხვა წევრ ქვეყანასაც.

მე-4 მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნული პრინციპიდან არსებობს ოთხი გამონაკლისი, რომელთა შესაბამისად, წევრი ქვეყნის მიერ მინიჭებული ნებისმიერი უპირატესობა, შეღავათი, პრივილეგია ან იმუნიტეტი, არ ექვემდებარება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს, თუ:

„(ა) გამომდინარეობს საერთაშორისო შეთანხმებებიდან სასამართლო დახმარების შესახებ ან ზოგადი ხასიათის კანონის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც არ არის შეზღუდული მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების დაცვით;

(ბ) მინიჭებულია ბერნის კონვენციის (1971 წ.) ან რომის კონვენციის დებულებების შესაბამისად, რომლებითაც დაშვებულია, რომ მინიჭებული რეჟიმი წარმოადგენს არა ეროვნული რეჟიმის, არამედ



სხვა ქვეყანაში მინიჭებული რეჟიმის ფუნქციას.“

აქ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გამონაკლისი ეხება შემთხვევას, როდესაც ეროვნული რეჟიმის ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით, ბერნისა და რომის კონვენციებით ნებადართულია ნაცვალგების პრინციპი.

„(გ) ეხება შემსრულებლების, ფონოგრამების მწარმოებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებებს, რომლებიც ამ შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული“.

აღნიშნული ეხება უცხოელ შემსრულებელთათვის, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის მინიჭებულ იმ უფლებებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული TRIPS შეთანხმებით.

„(დ) გამომდინარეობს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც ძალაში შევიდა ვმო-ს შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლამდე იმ პირობით, რომ ასეთი შეთანხმებების შესახებ ეცნობა TRIPS-ის საბჭოს და რომ ისინი არ წარმოადგენს სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეების თვითნებურ ან გაუმართლებელ დისკრიმინაციას“.

ჩვენ შემთხვევაში, ეს მოთხოვნა ეხება გამონაკლისებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლებიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვრამდე, ანუ იმ თარიღამდე, როდესაც ამოქმედდა TRIPS შეთანხმება. ამასთან, ამ გამონაკლისებით სარგებლობა შეთანხმების მონაწილე ქვეყანას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ TRIPS შეთანხმების ამოქმედებამდე დადებული ხელშეკრულება არ წარმოადგენს სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეების თვითნებურ ან გაუმართლებელ დისკრიმინაციას. ამოქმედების თარიღიდან გამომდინარე, მაგალითად, „საავტორო უფლებების შესახებ“ ისმო-ს 1996 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების შემთხვევაში, ნებისმიერი უფლება, რომელიც გათვალისწინებულია აღნიშნული შეთანხმებით, ავტომატურად უნდა მიენიჭოს ვმო-ს წევრი ქვეყნების მოქალაქეებს, მიუხედავად იმისა არიან თუ არა მათი ქვეყნები ისმო-ს ხელშეკრულების მონაწილენი.

## თავი V საავტორო უფლებები

TRIPS შეთანხმების იურიდიული სტრუქტურის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ საავტორო უფლებების ნაწილში ეს შეთანხმება ეფუძნება ბერნის კონვენციის მატერიალურ ნორმებსა (გამონაკლისია პირადი არაქონებრივი უფლებები) (მუხლი 9(1)) და ითვალისწინებს რიგ დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ან სხვა მასალების კომპილაციების დაცვასთან, აგრეთვე, კომპიუტერული პროგრამებისა და კინემატოგრაფიული ნაწარმოებების გაქირავების უფლებასთან (მუხლი 10).

მნიშვნელოვანია, რომ TRIPS შეთანხმება ვმო-ს წევრი ქვეყნებისათვის სავალდებულოს ხდის ბერნის კონვენციის პარიზის 1971 წ. აქტით დადგენილი ნორმების შესრულებას.

ამდენად, ვმო-ს წევრი ქვეყანა მიუხედავად იმისა, მიერთებულია ის ბერნის კონვენციის უფრო ადრინდელ რედაქციასთან თუ არა, ვალდებულია დაიცვას ბერნის კონვენციის 1971 წლის რედაქციით დადგენილი მინიმალური სტანდარტები. აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, ვმო-ს წევრმა ქვეყანამ ავტორებს უნდა მიანიჭოს განსაკუთრებული და სხვა უფლებები, რომლებიც მოიცავს: თარგმნის, რეპროდუცირების, საჯარო შერულების, ეთერით გადაცემის, კინემატოგრაფიული გადამუშავებას, „droit de suite“-სა და სხვა უფლებებს (იხ. გვ. 47).

TRIPS შეთანხმების მეშვეობით ვმო-ს წევრ ქვეყნებში (მათი რაოდენობა დღეისათვის შეადგენს 148) ბერნის კონვენციის პარიზის (1971 წ.) აქტით გათვალისწინებული დაცვის სტანდარტების გავრცელება აღიარებულია უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად საავტორო უფლებების საერთაშორისო დაცვის სფეროში.

**კომპიუტერული პროგრამები.** ბერნის კონვენციის 2(1) მუხლში მოცემული ნაწარმოებების ჩამონათვალში, რომლებზეც ვრცელდება საავტორო უფლებები, კომპიუტერული პროგრამები არ ფიგურირებს. TRIPS შეთანხმება პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომელიც კომპიუტერულ პროგრამებს საავტორო უფლებებით დაცვის ობიექტებად მოიხსენებს. შეთანხმების მუხლის 10(1) თანახმად, „კომპიუტერული პროგრამები, იქნება ეს სანყისი ტექსტი თუ ობიექტური კოდი, დაცულია ბერნის კონვენციით

(1971წ.) როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები“. საერთაშორისო დონეზე კომპიუტერული პროგრამების საავტორო უფლებების დაცვის ობიექტად აღიარებას წინ უძღოდა მრავალწლიანი დებატები ეროვნულ დონეზე, რომელთა დროსაც იხილებოდა კომპიუტერული პროგრამების დაცვის ორი ალტერნატივა: საავტორო უფლებით და sui generis უფლებით. საბოლოოდ მრავალი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით კომპიუტერული პროგრამები აღიარებულ იქნა საავტორო უფლების დაცვის ობიექტად. უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის ბოლოს აქტუალური გახდა კომპიუტერული პროგრამების საავტორო უფლებების დაცვის პარალელურად მათი საპატენტო სისტემით დაცვის საკითხიც. ამასთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებობს ამრთა მკვეთრი დაპირისპირება. დღეისათვის უმეტეს ქვეყნებში, მათ შორის ევროკავშირში, კომპიუტერული პროგრამების პატენტით დაცვა ხორციელდება არაპირდაპირ მათი გამოყენებით მიღწეული ტექნიკური შედეგის საფუძველზე, აშშ-სა და იაპონიაში კი უშუალოდ კომპიუტერული პროგრამები არიან პატენტით დაცვის ობიექტები.

**მონაცემების კომპილაცია.** გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების ტექნოლოგიების (ელექტრონული, ელექტრო-მაგნიტური, ელექტრო-ოპტიკური) სწრაფმა განვითარებამ ბიძგი მისცა მონაცემებისა და სხვა სახის მასალების კომპილაციების (მონაცემთა ბაზები) შექმნას. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი კომპილაციების შექმნა მოითხოვდა მნიშვნელოვან ინტელექტუალურ და მატერიალურ ინვესტიციებს, დღის წესრიგში დადგა ამ ობიექტის, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო დონეზე დაცვის საკითხი. პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელმაც გაითვალისწინა კომპილაციების დაცვა არის TRIPS შეთანხმება. ამ შეთანხმების მუხლის 10(2) თანახმად „მონაცემების ან სხვა მასალების კომპილაცია, იქნება ეს მანქანით ნაკითხვადი ფორმით თუ სხვა ფორმით, რომელიც თავისი შემცველობის შერჩევითა და განლაგებით არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, დაიცვება როგორც ასეთი...“.

აღნიშნულ მუხლში გამოყენებული ტერმინები „მონაცემები“ და „მასალები“, თავისი შინაარსით, ძალზე ფართოა და მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას ნაწარმოებების ჩათვლით. ამდენად, TRIPS შეთანხმებით დაცული კომპილაციები შეიძლება შეიცავდეს, როგორც ნაწარმოებებს, ისე საავტორო უფლებებით დასაცველ ობიექტებს,

ან ორივეს ერთად. ეს დაცვა ვრცელდება კომპილაციაზე „იქნება ეს მანქანით წაკითხვადი ფორმით თუ სხვა ფორმით“ ანუ როგორც ნაბეჭდი სახით წარმოდგენილ კრებულებზე (მაგ., ენციკლოპედია), ისე კომპიუტერში განთავსებულ ბაზებზე.

კომპილაციის დაცვის აუცილებელი პირობაა, რომ ის შემცველობის შერჩევით ან განლაგებით იყოს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომპილაცია არ დაიცვება.

TRIPS შეთანხმების აღნიშნული მოთხოვნა პრაქტიკულად იდენტურია ბერნის კონვენციის მოთხოვნისა, რომლის მუხლის 2(5) თანახმად, „საავტორო უფლებებით დაცვის ობიექტებს მიეკუთვნება ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებთა კრებულები..., რომლებიც მასალის შერჩევისა და განლაგების გამო, ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს...“. როგორც ვხედავთ, არსებულ მსგავსებასთან ერთად, ამ მუხლებს შორის არის არსებითი განსხვავებაც – თუ TRIPS მიხედვით დაცვას ექვემდებარება მონაცემები და სხვა მასალები (მათ შორის, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები), ბერნის კონვენციის 2(5) მუხლი დაცვას ავრცელებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებისაგან შედგენილ კრებულებზე.

აქ საჭიროა გაკეთდეს მოკლე კომენტარი. ბერნის კონვენციის 2(5) მუხლიდან გამომდინარე შეიძლება გვევარაუდა, რომ ამ კონვენციით დაცვას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი კრებულები, რომლებიც შედგებიან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებისაგან. მაგრამ, ისმო-ს ბიუროს შემორანდუმში „Implications of the TRIPS Agreement on Treaties administered by WIPO“ (TRIPS შეთანხმების კავშირი ისმო-ს მიერ ადმინისტრირებად ხელშეკრულებებთან) მოცემული განმარტების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ ბერნის კონვენცია დაცვას ავრცელებს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა ნაწარმოებზე (მუხლი 2(1)), ნებისმიერი მასალების შემცველი კრებული, თუ იგი შედგენილია ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის საფუძველზე, ამ კონვენციით ექვემდებარება დაცვას.

10(2) მუხლით აგრეთვე დადგენილია, რომ TRIPS შეთანხმებით მინიჭებული დაცვა არ ვრცელდება კომპილაციაში შესულ მონაცემებსა და მასალებზე და რომ კომპილაციაში შეტანისას არ უნდა დაირღვეს მათზე არსებული საავტორო უფლებები.

**გაქირავების უფლება.** TRIPS შეთანხმება საერთაშორისო სამართლის პირველი აქტია, რომელშიც გათვალისწინებულია გაქირავების უფლება. შეთანხმების მუხლი 11 ავალდებულებს ვმო-ს წევრ ქვეყნებს მიაწოდონ ავტორებსა და მათ უფლებამონაცვლეებს, კომპიუტერულ პროგრამებსა და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან მიმართებაში მაინც, უფლება, აგრეთვე, ნება დართონ ან აკრძალონ საავტორო უფლებით დაცული თავისი ნაწარმოებების ორიგინალების ან ასლების კომერციული გაქირავება.

გაქირავების უფლებების შემოღება განაპირობა აუდიო და ვიდეოჩანაწერების, კომპიუტერული პროგრამების გაქირავების მზარდმა მასშტაბებმა და ამ ობიექტების ასლების საავტორო უფლებების დარღვევით დამზადების და საზოგადოებაში ფართოდ გავრცელების პრაქტიკამ.

TRIPS შეთანხმების მიღების მომენტისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში გაქირავების უფლების მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობდა, რის შედეგადაც ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებდა, ზოგიერთისა კი ნაწილობრივ ან საერთოდ არ ითვალისწინებდა გაქირავების უფლებას. ამდენად, TRIPS შეთანხმებაზე მუშაობისას აუცილებლად მიიჩნიეს გაქირავების უფლების გათვალისწინება „სულ მცირე კომპიუტერული პროგრამებისა და კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ“ საავტორო უფლებების მფლობელთათვის. შეთანხმების მე-11 მუხლის ასეთი ფორმულირება, არ ზღუდავს მის წევრებს, რომ მათ ეროვნული კანონმდებლობით გაავრცელონ გაქირავების უფლება სხვა ნაწარმოებებზეც.

აქვე უნდა აღინიშნოს იმ ორი დათქმის შესახებ, რომელიც მოცემულია შეთანხმების მე-11 მუხლში. პირველი დათქმიდან გამომდინარე, წევრი ქვეყანა თავისუფლდება გაქირავების უფლების მინიჭებისაგან კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაქირავება არ იწვევს ამგვარი ნაწარმოებების მასშტაბურ კოპირებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ამ წევრ ქვეყანაში ავტორებისა და მათი უფლებამონაცვლეებისათვის მინიჭებულ რეპროდუცირების უფლებას. მეორე დათქმის თანახმად კი, კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით გაქირავების უფლების მინიჭების ვალდებულება არ მოქმედებს, თუ გაქირავების ძირითადი ობიექტი არ არის თვით პროგრამა.

TRIPS შეთანხმება არეგულირებს გაქირავების უფლების დროში მოქმედების საკითხს და მუხლით 70(5) ადგენს, რომ შეთანხმების მუხლები: 11 და 14(4) არ ვრცელდება კინემატოგრაფიული ნაწარმოებისა და კომპიუტერული პროგრამის ორიგინალებსა და ასლებზე, რომლებიც გაიყიდა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე მის მიმართ TRIPS შეთანხმების ამოქმედებამდე.

**დაცვის ვადები.** TRIPS შეთანხმების მე-12 მუხლი განსაზღვრავს საავტორო უფლებების დაცვის ვადას. ვინაიდან, TRIPS შეთანხმების ყველა მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს ბერნის კონვენციის 1-21 მუხლების მოთხოვნებს, კონვენციის მე-7 მუხლს გააჩნია სავალდებულო ძალა TRIPS შეთანხმების მონაწილე ქვეყნებისთვის. აღნიშნული მუხლით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა უნდა მოიცავდეს ავტორის სიცოცხლესა და 50 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ, თუმცა მუხლები: 7(2), 7(3) და 7(4) გარკვეული კატეგორიის ნაწარმოებებისთვის ადგენს დაცვის ვადის გამომწვევების განხვავებული რეჟიმის დაწესების შესაძლებლობას. TRIPS შეთანხმების მე-12 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ შეთანხმების მონაწილე ქვეყანაში საავტორო უფლებების დაცვის ვადის გამოთვლის წესი არ ეფუძნება ავტორის სიცოცხლის ხანგრძლივობას (ბერნის კონვენციის ზოგადი წესი), ის, სულ მცირე, უნდა შეადგენდეს 50 წელს ავტორის თანხმობით ასეთი ნაწარმოების გამოქვეყნების წლიდან, ან თუ ამ პერიოდში ნაწარმოები არ გამოქვეყნდა, მისი შექმნიდან 50 წელს. აღსანიშნავია, რომ TRIPS შეთანხმების მე-12 მუხლი არ ვრცელდება ფოტოგრაფიულ და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებზე.

**შეზღუდვები და გამონაკლისები.** TRIPS შეთანხმების მე-13 მუხლის თანახმად, „წევრი ქვეყნები განსაკუთრებული უფლების შეზღუდვებსა და გამონაკლისებთან დაკავშირებით იფარგლებიან გარკვეული სპეციალური შემთხვევებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას და არ აყენებს ზიანს უფლების მფლობელის კანონიერ ინტერესებს.“

TRIPS შეთანხმებაში არსებულ შეზღუდვებსა და გამონაკლისებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეთანხმების ბერნის კონვენციასთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი ძირითადი ნაწილი სწორედ, ბერნის კონვენციას ეფუძნება. თუმცა, ამ მიმართებით TRIPS შეთანხმებაც ადგენს გარკვეულ წესებს. ამდენად, TRIPS შეთანხმებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და გამონაკლისების



განსახილველად უნდა მივმართოთ ბერნის კონვენციის შესაბამის დებულებებს.

ბერნის კონვენციის განხილვისას, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნორმები, რომლებიც აწესებს აღნიშნულ შეზღუდვებს შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად:

1. პირველ შემთხვევაში დაცვიდან ამოღებულია გარკვეული სახის ნაწარმოებები: საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული ხასიათის ტექსტები და ამგვარი ტექსტების ოფიციალური თარგმანები – მუხლი 2(4); გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები – მუხლი 2(7); პოლიტიკური ხასიათის გამოსვლები და სასამართლო პროცესების მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები (მუხლი 2<sup>bis</sup>(1)); დღის ახალი ამბები და სხვადასხვა ფაქტები, რომელთაც უბრალო პრეს-ინფორმაციის ხასიათი აქვს (მუხლი 2(8));
2. მეორე შემთხვევაში, კავშირის წევრ ქვეყნებს ეძლევათ უფლება დაუშვან ნაწარმოებთა თავისუფალი გამოყენება გარკვეული პირობებით და გარკვეული მიზნებისათვის, მაგალითად, სასწავლო პროცესში, კვლევების მიზნით ან სიახლეების შესახებ რეპორტაჟებში გამოსაყენებლად (მუხლები: 9(2), 10, 2<sup>bis</sup>(2), 10<sup>bis</sup>);
3. მესამე შემთხვევაში, შესაძლებელია ნაწარმოებების გარკვეული სახით გამოყენება ნებართვის გარეშე, მაგრამ ავტორებისათვის სამართლიანი ანაზღაურების გადახდის პირობით (მუხლები: 11<sup>bis</sup>(2), 13).

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბერნის კონვენციის მუხლით 9(2) გათვალისწინებული შეზღუდვის დაწესება, რაც უკავშირდება რეპროდუქციების უფლებას, შეიძლება მხოლოდ ე.წ. სამსაფეხურიანი ტესტის საფუძველზე. ამ მუხლის თანახმად, შეზღუდვის შემოღება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი სამი პირობის ერთდროულად დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- რეპროდუქცირება უნდა მოხდეს მხოლოდ გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში;
- რეპროდუქცირება არ უნდა აყენებდეს ზიანს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას;
- რეპროდუქცირება უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

რაც შეეხება TRIPS შეთანხმებას, მისი მე-13 მუხლი იმეორებს ბერნის კონვენციის მუხლის 9(2) რედაქციას, თუმცა, არ აკეთებს

დათქმას, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული ე.წ. სამსაფეხურიანი ტესტი უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ შემზღუდვებზე, რომლებიც ეხება რეპროდუცირების უფლებას. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ TRIPS შეთანხმების მონაწილე ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი შემზღუდვები, ყველა შემთხვევაში, და არამხოლოდ რეპროდუცირების უფლებასთან მიმართებაში, უნდა ითვალისწინებდეს სამსაფეხურიანი ტესტის მოთხოვნებს.

## თაპი VI მომიჯნავე უფლებები

საავტორო უფლებებისაგან განსხვავებით, TRIPS შეთანხმება მომიჯნავე უფლებების სფეროში არ ეფუძნება რომელიმე საერთაშორისო შეთანხმებას, მათ შორის, რომის კონვენციას, და ეს უფლებები დადგენილია უშუალოდ TRIPS შეთანხმების ნორმებით, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, რომის კონვენციის მსგავსია, თუმცა, გააჩნიათ გარკვეული თავისებურებანიც. TRIPS შეთანხმებით, ისევე როგორც რომის კონვენციის შემთხვევაში, დაცვის სუბიექტები არიან შემსრულებლები, ფონოგრამის დამამზადებლები და სამაუნყებლო ორგანიზაციები, ხოლო დაცვის ობიექტებს შესაბამისად წარმოადგენს შესრულება, ფონოგრამა და ეთერით გადაცემა.

TRIPS შეთანხმება არ იძლევა „შესრულების“, „ფონოგრამისა“ და „საეთერო მაუნყებლობის ორგანიზაციის“ დეფინიციას, მაგრამ არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ მათი მნიშვნელობა განსხვავდება რომის კონვენციაში მოცემული განმარტებისაგან.

### შემსრულებლის უფლებები

შემსრულებლის უფლებებთან დაკავშირებული ნორმები მოცემულია TRIPS შეთანხმების მუხლებში: 14(1), 14(5) და 14(6). გარდა ამისა, შემსრულებელზე შესაძლებელია გავრცელდეს მუხლით 14(4) გათვალისწინებული გაქირავების უფლებაც.

რომის კონვენციის მსგავსად, TRIPS შეთანხმებით შემსრულებელს არ გააჩნია განსაკუთრებული უფლება შესრულებაზე (იხ. გვ. 109). მისი უფლება შემოიფარგლება მხოლოდ შესაძლებლობით არ დაუშვას მისი ნებართვის გარეშე შემდეგი ოთხი ქმედების განორციელება: შესრულების ჩაწერა ფონოგრამაზე, ასეთი ჩანაწერის რეპროდუცირება, „ცოცხალი“ შესრულების ეთერით გადაცემა და ასევე, ასეთი შესრულების საჯარო გაცნობა.

**ჩანერა ფონოგრამაზე.** მუხლის 14(1) მიხედვით შემსრულებელს აქვს უფლება არ დაუშვას მისი ნებართვის გარეშე „ცოცხალი“ შესრულების ჩანერა ფონოგრამაზე. ვინაიდან ფონოგრამა არის შესრულების ან სხვა ხმების ხმოვანი ჩანაწერი, TRIPS შეთანხმებით შემსრულებლის ჩანერის უფლება ვრცელდება მხოლოდ ხმოვან ჩანერაზე, განსხვავებით რომის კონვენციისაგან, რომელიც შემსრულებელს აძლევს საშუალებას არ დაუშვას შესრულების როგორც ხმოვანი, ისე ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ფორმით ჩანერა. (იხ. გვ. 113)

შესრულების ჩანერის უფლება მოიცავს ჩანერას, როგორც ხმის ჩამწერ სტუდიაში, ისე საკონცერტო დარბაზსა თუ სხვა საზოგადოებრივ ადგილას, აგრეთვე, „ცოცხალი“ შესრულების საეთერო გადაცემიდან ჩანერას.

**ფონოგრამაზე ჩანაწერის რეპროდუცირება.** შემსრულებელს უფლება აქვს არ დაუშვას ფონოგრამაზე ჩანაწერის უნებართვო რეპროდუცირება. უნდა აღინიშნოს, რომ მუხლში 14(1) ამ საკითხთან დაკავშირებით არის ორაზროვნება და ბუნდოვანია ვრცელდება რეპროდუცირების უფლება მხოლოდ უნებართვოდ გაკეთებულ ჩანაწერებზე, თუ ჩანაწერებზე, რომლებიც გაკეთდა შემსრულებლების ნებართვით.

თუ ვივარაუდებთ, რომ ეს უფლება ვრცელდება მეორე შემთხვევაზეც, უნდა ითქვას, რომ ასეთი უფლება შემსრულებლებს არ გააჩნიათ რომის კონვენციის მიხედვით გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩანაწერის რეპროდუცირება ხდება სხვა მიზნით, ვიდრე თავიდან იყო განსაზღვრული. აღნიშნული საკითხის გარკვევა საჭიროებს TRIPS საბჭოს ოფიციალურ განმარტებას.

**ეთერით გადაცემა.** მუხლის 14(1) შესაბამისად, შემსრულებელს უფლება აქვს არ დაუშვას მისი ნებართვის გარეშე „ცოცხალი“ შესრულების ეთერით გადაცემა. ამ შემთხვევაში, შემსრულებლის უფლებები ვრცელდება არა მხოლოდ ხმის, არამედ მაგალითად, ტელევიზიის მეშვეობით, გამოსახულების ან ხმისა და გამოსახულების გადაცემაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ TRIPS შეთანხმება არ ანიჭებს შემსრულებელს უფლებას მისი შესრულების აუდიო ან ვიზუალური ჩანაწერის ეთერით გადაცემაზე. შემსრულებელს, აგრეთვე, არ გააჩნია დაცვა შესრულების ეთერით გადაცემის ხელახლა ეთერით გადაცემის უნებართვოდ განხორციელების შემთხვევაში.

**საჯარო გაცნობა.** მუხლის 14(1) თანახმად, შემსრულებელს აქვს უფლებები „ცოცხალი შესრულების“ საჯარო გაცნობასთან დაკავშირებით. ცოცხალი შესრულების საჯარო გაცნობა უშუალოდ საზოგადოების წინაშე შესრულების გარდა მოიცავს:

- ა) შესრულებას საზოგადოების წინაშე ხმის გამაძლიერებლის გამოყენებით;
- ბ) შესრულების გადაცემას სადენის გამოყენებით ინდივიდუალური მომხმარებლისათვის;
- გ) შესრულების გადაცემას სადენით ან ეთერის გამოყენებით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (რესტორანი, კაფე და სხვ.);
- დ) შესრულების სადენით გადაცემას და რეტრანსილაციას;
- ე) შესრულების ეთერით გადაცემის ხელახალ გადაცემას.

შემსრულებელს შეუძლია არ დაუშვას ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება.

**გაქირავების უფლება.** TRIPS შეთანხმების მუხლის 14(4) შესაბამისად, შემსრულებლებს შეიძლება მიენიჭოთ ფონოგრამების გაქირავების განსაკუთრებული უფლება, თუ ამას ითვალისწინებს წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა. ამასთან, თუ 1994 წლის 15 აპრილისათვის „წევრ ქვეყანაში მოქმედებდა უფლების მფლობელებისათვის სამართლიანი ანაზღაურების გადახდის სისტემა ფონოგრამების გაქირავებასთან დაკავშირებით, მას შეუძლია შეინარჩუნოს ამგვარი სისტემა იმ პირობით, რომ ფონოგრამების კომერციული გაქირავება მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებს უფლების მფლობელის რეპროდუცირების განსაკუთრებულ უფლებას“. როგორც აღინიშნა, TRIPS შეთანხმება არეგულირებს გაქირავების უფლების დროში მოქმედების საკითხს და მუხლით 70(5) ადგენს, რომ შეთანხმების მუხლი 14(4) არ ვრცელდება ფონოგრამის ორიგინალებსა და ასლებზე, რომლებიც გაიყიდა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე მის მიმართ TRIPS შეთანხმების ამოქმედებამდე.

**მოქმედება.** TRIPS შეთანხმების მუხლის 14(5) შესაბამისად, შემსრულებლის უფლებები მოქმედებს 50 წლის განმავლობაში შესრულების განხორციელებიდან ან შესრულების ჩაწერიდან. როგორც ვხედავთ, რომის კონვენციით გათვალისწინებული დაცვის 20 წლიანი ვადა TRIPS შეთანხმებით გაზრდილია 50 წლამდე.

**უკუძალა.** TRIPS შეთანხმების მუხლი 14(6) ადგენს, რომ ბერნის კონვენციის მე-18 მუხლის დებულებები გამოიყენება შესაბამისი

ცვლილებებით, შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების მიმართ.

ბერნის კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად, დაცვა ვრცელდება ნაწარმოებებზე, რომლებიც, დაცვის ვადის გასვლის გამო, კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის წარმოშობის ქვეყანაში ჯერ არ ქცეულა საყოველთაო კუთვნილებად. TRIPS შეთანხმების მიხედვით, ეს პრინციპი უნდა გავრცელდეს შესრულებებსა და ფონოგრამებზე.

### **ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები**

მუხლების: მე-14, მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები ეხება ფონოგრამის დამამზადებლის რეპროდუცირებისა და გაქირავების უფლებებს, დაცვის ვადებისა და უფლებების მოქმედების უკუძალას.

**რეპროდუცირება.** TRIPS შეთანხმებით გათვალისწინებული ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები შემოიფარგლება უფლებით ნება დართონ ან აკრძალონ ფონოგრამის პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირება. აღნიშნული ნორმა რომის კონვენციის მე-10 მუხლის იდენტურია (იხ. გვ. 120).

ფონოგრამის პირდაპირი რეპროდუცირება გულისხმობს ფონოგრამის დამზადებას ტრადიციული ტექნოლოგიით (მაგ., მატრიცების გამოყენება) ან ფონოგრამის კოპირებას (მაგ., კომპაქტ-დისკიდან ფირზე ან სხვა დისკზე გადაწერა). არაპირდაპირი რეპროდუცირება შეიძლება განხორციელდეს იმ სამაუწყებლო გადაცემის ჩაწერით, რომელშიც გამოიყენება ფონოგრამა.

**კომერციული გაქირავება.** TRIPS შეთანხმების მუხლის 14(4) თანახმად, „კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით მე-11 მუხლის დებულებები ვრცელდება „mutatis mutandis“ ფონოგრამის დამამზადებლებზე და ფონოგრამაზე უფლების ნებისმიერ სხვა მფლობელზე ნევრი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად“. აქედან გამომდინარე, ფონოგრამის დამამზადებლებსა და ფონოგრამაზე უფლების ნებისმიერ სხვა მფლობელს, ნევრი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ენიჭებათ უფლება ნება დართონ ან აკრძალონ ფონოგრამების ორიგინალების ან მათი ასლების კომერციული გაქირავება. აქ ფონოგრამის დამამზადებელი უნდა იქნეს გაგებული რომის კონვენციაში მოცემული დეფინიციის შესაბამისად, ანუ როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც პირველმა ჩაიწერა შესრულების ხმები ან სხვა ხმები.

აღნიშნული მუხლი ავალდებულებს ვმო-ს წევრ ქვეყანას მიანიჭოს ფონოგრამის გაქირავების განსაკუთრებული უფლება ფონოგრამის დამამზადებელს.

ვმო-ს წევრი ქვეყანა უფლებამოსილია, აგრეთვე, ეს უფლება მისცეს სხვა პირებს, მაგალითად შემსრულებელს ან ავტორს (ან ორივეს ერთად). თუმცა, ისევე, როგორც შემსრულებლების შემთხვევაში, თუ 1994 წლის 15 აპრილისათვის წევრი ქვეყნის კანონმდებლობით ფონოგრამის გაქირავებისათვის გათვალისწინებულია უფლების მფლობელებისათვის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, მას შეუძლია ამ სისტემის შენარჩუნება, თუ ის ზიანს არ აყენებს უფლების მფლობელების განსაკუთრებულ უფლებას ფონოგრამის რეპროდუცირებაზე. როგორც უკვე აღინიშნა, შეთანხმების მუხლის 70(5) თანახმად, შეთანხმების მუხლი 14(4) არ ვრცელდება ფონოგრამის ორიგინალებსა და ასლებზე, რომლებიც გაიყიდა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე მის მიმართ TRIPS შეთანხმების ამოქმედებამდე.

**მოქმედების ვადა.** TRIPS შეთანხმების მუხლის 14(5) შესაბამისად, ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები მოქმედებს ჩანერის განხორციელებიდან 50 წლის განმავლობაში.

### სამაუნყებლო ორგანიზაციის უფლებები

სამაუნყებლო ორგანიზაციების უფლებებს ეხება TRIPS შეთანხმების მუხლი 14(3), რომლის შესაბამისადაც მათ შეუძლიათ აკრძალონ მათი ნებართვის გარეშე განხორციელებული შემდეგი ქმედებები: გადაცემის ჩანერა, ჩანანერის რეპროდუცირება, გადაცემის ეთერში ხელახლა გადაცემა, სატელევიზიო გადაცემის საჯარო გაცნობა.

**ჩანერისა და რეპროდუცირების უფლება.** რომის კონვენციის მსგავსად, TRIPS შეთანხმება ანიჭებს სამაუნყებლო ორგანიზაციებს მათი გადაცემის ჩანერის უფლებას.

მეორე უფლება, რომელიც ენიჭება საეთერო მაუნყებლობის ორგანიზაციას, არის გადაცემის ჩანანერის რეპროდუცირების უფლება. TRIPS შეთანხმებით რეპროდუცირების უფლება მინიჭებულია ყოველგვარი დათქმების გარეშე და უფრო ფართოა, ვიდრე რომის კონვენციაში გათვალისწინებული, რომლის თანახმადაც ეს უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ ჩანანერის რეპროდუცირებაზე, რომელიც გაკეთდა სამაუნყებლო ორგანიზაციის ნებართვის გარეშე მაშინ, როცა TRIPS შეთანხმების მიხედვით სამაუნყებლო ორგანიზაციის ნებართვა საჭიროა ნებისმიერ შემთხვევაში.



**გადაცემის ეთერით ხელახლა გადაცემის უფლება.** ამ უფლებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ TRIPS შეთანხმების მიხედვით, ისევე როგორც რომის კონვენციით, ეს უფლება ვრცელდება მხოლოდ ეთერით და არა სადენით ხელახალ გადაცემაზე, რაზეც პირდაპირ მიუთითებს შეთანხმების მუხლი 14(3).

გადაცემის საჯარო გაცნობის უფლება რომის კონვენციისაგან განსხვავებით, TRIPS შეთანხმებით დაცულია მიუხედავად იმისა, ფასიანია თუ არა შესვლა იმ ადგილას, სადაც ხდება გადაცემის საჯარო გაცნობა. აქედან გამომდინარე, TRIPS შეთანხმების მიხედვით, ეს უფლება ვრცელდება ყველა ისეთ შემთხვევაზე, როცა ადგილი აქვს გადაცემის საჯარო გაცნობას.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ TRIPS შეთანხმების მუხლის 14(3) თანახმად, თუ ნევრი ქვეყანა საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას არ ანიჭებს გადაცემის ჩანერის, ჩანანერების რეპროდუცირების, გადაცემების ეთერში ხელახალი გადაცემისა და საჯარო გაცნობის უფლებას, მაშინ ნევრმა ქვეყანამ, ბერნის კონვენციის დებულებების გათვალისწინებით, საავტორო უფლებების მფლობელები უნდა უზრუნველყოს გადაცემის ობიექტთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული ქმედებების აღკვეთის უფლებით. ამდენად, საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციისათვის ზემოაღნიშნული უფლებების მინიჭება სავალდებულო არ არის და ამ საკითხის გადაწყვეტა ნევრი ქვეყნების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

**დაცვის ვადები.** სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის უფლებათა დაცვის ვადები ასახულია შეთანხმების მუხლში 14(5) და შეადგენს 20 წელს იმ წლის ბოლოდან, როდესაც განხორციელდა გადაცემა, რაც შეესაბამება რომის კონვენციით დაწესებულ მინიმალურ სტანდარტებს.

### **შეზღუდვები და გამონაკლისები.**

TRIPS შეთანხმების მუხლი 14(6) მიუთითებს, რომ შეთანხმების ყველა მონაწილეს მომიჯნავე უფლებების მფლობელთა მიმართ შეუძლია დაანესოს შეზღუდვები, რომლებიც გათვალისწინებულია რომის კონვენციით. კონვენციის მუხლის 15(1) თანახმად, ნებისმიერ მონაწილეს სახელმწიფოს უფლება აქვს, კონვენციით მინიჭებულ დაცვაში ეროვნული კანონმდებლობით დაუშვას გამონაკლისი, რომელიც უკავშირდება:

- პირად გამოყენებას;
- მოკლე ნაწყვეტების გამოყენებას მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას;

- ხანმოკლე გამოყენებისათვის განკუთვნილ ხმოვან ჩანაწერებს, რომლებიც ხორციელდება საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ საკუთარი მონყობილობებით საკუთარი საეთერო გადაცემებისათვის;
- მხოლოდ სწავლების ან სამეცნიერო კვლევის მიზნით გამოყენებას.

## თავი VII უფლებების ამონაწილი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საავტორო და მოტივანავე უფლებების განხორციელებასთან, ეხება უფლებების ამონაწილს. მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს, ეროვნული კანონმდებლობით საავტორო და მოტივანავე უფლებების მფლობელები ნაწარმოების ასლების (ნიგნი, აუდიო და ვიდეო კასეტა, კომპაქტდისკი და სხვ.) სამოქალაქო ბრუნვაში გაშვების შედეგად, კარგავენ მათი შემდგომი გაყიდვის ან მათზე საკუთრების უფლების სხვა ფორმით გადაცემის კონტროლის უფლებას იმ ტერიტორიაზე, სადაც ასლები გაშვებულ იქნა სამოქალაქო ბრუნვაში. მაგალითად, საქართველოში სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებული ნიგნის ასლები შეიძლება გახდეს შემდგომი გაყიდვის საგანი საქართველოს ტერიტორიაზე, რაზეც უფლების მფლობელის თანხმობა საჭირო არ არის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საავტორო და მოტივანავე უფლებების მფლობელებს, როგორც წესი, უნარჩუნდებათ სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული ნაწარმოებების ასლებზე გაქირავებისა და თხოვების უფლება ამ ნაწარმოების ასლების სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდეგაც კი.

TRIPS შეთანხმებაზე მუშაობის დროს მიუხედავად იმისა, რომ უფლებების ამონაწილის საკითხი ქვეყნებს შორის სერიოზული და ხანგრძლივი დისკუსიების საგანი იყო, ვერ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა. სახელმწიფოების ნაწილი ითხოვდა შეთანხმებაში ცალსახად უფლებების ამონაწილის ტერიტორიული პრინციპის დაფიქსირებას, ნაწილი კი აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ ერთ ქვეყანაში ნაწარმოების ასლების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვების შედეგად, მათი შემდგომი გავრცელების უფლების ამონაწილი მთელ მსოფლიოში მომხდარიყო. საბოლოოდ ამ საკითხის გადაწყვეტა TRIPS შეთანხმებამ მონაწილე ქვეყნებს მიანდო. ამდენად, TRIPS შეთანხმების მუხლი 6 კომპრომისის შედეგია.

## თავი VIII უფლებების განხორციელება

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ TRIPS შეთანხმების უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს კონტრაფაქციასა და მეკობრეობასთან საერთაშორისო დონეზე ბრძოლის სამართლებრივი ნორმების დამკვიდრება.

TRIPS შეთანხმების III ნაწილში მოცემულია ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმები. აღნიშნული ნორმები შეიცავს მოთხოვნებს საპროცესო, სამოქალაქო, ადმინისტრაციულსა და სისხლის სამართლის კანონმდებლობების მიმართ. შეთანხმებით წევრ ქვეყნებს დაეკისრათ ვალდებულება, ეროვნულ კანონმდებლობებში უფლებების განხორციელების ისეთი პროცედურების გათვალისწინების შესახებ, რომლებიც:

- საშუალებას იძლევა განხორციელდეს ეფექტური ღონისძიებები ამ შეთანხმებით მოცული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის ნებისმიერი ქმედების წინააღმდეგ (მუხლი 41(1));
- უზრუნველყოფს დარღვევის თავიდან აცილების მიზნით სასწრაფო ზომების გატარების და შემდგომი დარღვევის შემაკავებელი სასამართლო დაცვის საშუალებების არსებობას (მუხლი 41(1));
- არ არის ზედმეტად რთული და ძვირადღირებული და არ იწვევს ვადების უსაფუძვლო გაზრდას ან გაუმართლებელ შეფერხებას (მუხლი 41(2));
- იძლევა ადმინისტრაციული და სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების საშუალებას (მუხლი 41(4));
- უზრუნველყოფს სასამართლო პროცესში დამოუკიდებელი ადვოკატის მონაწილეობას (მუხლი 42);
- უფლებას აძლევს სასამართლო ორგანოებს დაავალონ მოპასუხე მხარეს მტკიცებულებების წარდგენა (მუხლი 43);
- ითვალისწინებს სასამართლო აკრძალვების არსებობას (მუხლი 44);
- იძლევა ზარალის და განუული ხარჯების ანაზღაურების, მიღებული მოგების დაბრუნების ან/და წინასწარ დადგენილი ზარალის ანაზღაურების საშუალებას (მუხლი 45);
- ითვალისწინებს სავაჭრო ქსელიდან უფლებების დარღვევით დამზადებული საქონლის ამოღებასა და შესაბამის შემთხვევებში მათ განადგურებას, აგრეთვე, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, იმ მასალებისა და მოწყობილობების ამოღებას, რომლებიც

გამოიყენებოდა მის დასამზადებლად (მუხლი 46);

- ანიჭებს სასამართლო ორგანოებს უფლებას მოითხოვონ გადაუდებელი და დროებითი ზომების გატარება, რომლებიც მიმართულია ინტელექტუალური საკუთრების უფლების ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად და სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებული შესაბამისი მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად (მუხლი 50).

შეთანხმების მუხლები 51-60 ეხება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სასაზღვრო ღონისძიებებს. აღნიშნული ნორმები საშუალებას იძლევა, რომ კონტრაფაქციული საქონელი გაჩერებულ იქნეს ქვეყნის საბაჟო საზღვარზე და არ დაიშვას სამოქალაქო ბრუნვაში.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სასაზღვრო ღონისძიებებს შეიძლება მიმართოს უფლების მფლობელმა ან სხვა დაინტერესებულმა პირმა, რომლის უფლებებიც ირღვევა ქვეყნის შიდა ბაზარზე კონტრაფაქციული საქონლის შეტანით (მუხლი 51).

დაინტერესებული პირი, რომელიც ითხოვს სასაზღვრო ღონისძიებების გატარებას, ვალდებულია გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო ორგანო უზრუნველყოს მტკიცებულებებით, რომლებიც ადასტურებს, რომ იმპორტისთვის განკუთვნილი საქონელი არღვევს მის უფლებებს (მუხლი 52).

შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გააჩნიათ უფლებამოსილება მოსთხოვონ დაინტერესებულ პირს უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა იმ შემთხვევისათვის, თუ დადგინდება, რომ იმპორტისათვის განკუთვნილი საქონელი დამზადებულია მართლზომიერად და მისი შეჩერების გამო, ზარალი განიცადა ტვირთის მფლობელმა ან მისმა მიმღებმა (მუხლი 53).

ტვირთის შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ ინფორმირებულები იმპორტიორი და დაინტერესებული პირი (მუხლი 54).

კონტრაფაქციული ტვირთი შეიძლება შეჩერებულ იქნეს 10 დღის ვადით, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს მომდევნო 10 დღით ან იმ ვადით, რომელსაც დაადგენს შესაბამისი ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანო (მუხლი 55).

გარდა ამისა, TRIPS შეთანხმების წევრი ქვეყნების კანონმდებლობები უნდა ითვალისწინებდეს საბაჟო ორგანოების უფლებამოსილებას ე.წ. ex officio მოქმედებაზე, ანუ როდესაც, საკმარისი მტკიცებულების არსებობისას, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, ინტელექტუალური

საკუთრების უფლების დარღვევის გამოსავლენად, თავისი ინიციატივით მოახდინოს ტვირთის შემოწმება (მუხლი 58).

TRIPS შეთანხმების 61-ე მუხლი ეხება სისხლის სამართლის პროცედურებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ხელყოფისათვის. ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, წევრი ქვეყნების კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას განზრახ სასაქონლო ნიშნის არამართლზომიერი გამოყენების და საავტორო უფლების ხელყოფისათვის, თუ ამ ქმედებებს აქვთ კომერციული ხასიათი. სასჯელის ზომა უნდა იყოს დანაშაულის ადევკატური და ასრულებდეს შემაკავებელ ფუნქციას.

## თავი IX

### დავების თავიდან აცილება და რეგულირება

TRIPS შეთანხმების V ნაწილი შეიცავს ორ მუხლს, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროს გამჭვირვალობასა და დავების აცილებისა და რეგულირების საკითხებს, რაც ქმნის სრულიად ახალ შესაძლებლობებს საერთაშორისო დონეზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

63-ე მუხლი ადგენს ე.წ. „გამჭვირვალობის“ პრინციპს, რომლის არსი მდგომარეობს შეთანხმების მონაწილე ქვეყნების ვალდებულებაში უზრუნველყონ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონების, კანონქვემდებარე აქტების, სახელმწიფო გადაწყვეტილებებისა და წევრ ქვეყანებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ხელმისაწვდომობა სხვა მონაწილე სახელმწიფოთათვის. ამ მუხლის გათვალისწინებით, წევრმა ქვეყნებმა უნდა გამოაქვეყნონ ან გახადონ საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი და TRIPS-ის საბჭოს მიანოდონ კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, საბოლოო სასამართლო და ზოგადი ხასიათის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება შეთანხმების საგანს (ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების არსებობა, მათი ფარგლები, მოპოვება, განხორციელება და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება).

აღნიშნული დებულება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საშუალებას იძლევა შეფასდეს წევრი ქვეყნების საქმიანობის შესაბამისობა შეთანხმებით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებთან და, მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, წევრი ქვეყნის მიმართ გატარდეს საჭირო ღონისძიებანი.

---

ვმო-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მის ფარგლებში დავების რეგულირების ერთიანი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ TRIPS, არამედ ვმო-ს ფარგლებში მოქმედი სხვა შეთანხმებებიდან წარმოშობილი დავების გადაწყვეტის წესსაც.

მუხლი 64-ე ადგენს წევრი ქვეყნების მიერ TRIPS შეთანხმებით აღებული ვალდებულებების დარღვევის შედეგად წარმოშობილი სადავო საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის წესს.

ამ მუხლის შესაბამისდ, TRIPS შეთანხმებით მოცული უფლებების დარღვევებთან ან შეთანხმების ნორმების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე წევრმა ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ ვმო-ს დავების რეგულირების პროცედურები. მნიშვნელოვანია, რომ დავების განხილვისათვის დანესებულია მკაცრი ვადები, ხოლო წევრი ქვეყნები ვალდებული არიან დაემორჩილონ დავებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია სანქციების გამოყენება, ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს TRIPS შეთანხმების ეფექტურობის უზრუნველყოფას.

მართალია, ბერნისა და რომის კონვენციები ითვალისწინებს ეროვნულ კანონმდებლობებში მეკობრეობასთან დაკავშირებული ნორმების არსებობას, მაგრამ მათ აქვთ დაბალი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ეს ნორმები არ შეიცავს საავტორო და მომიჯნავე უფლებების განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს. ამდენად, TRIPS შეთანხმების საშუალებით პირველად გადაიდგა ნაბიჯი აღნიშნული საკითხების საერთაშორისო დონეზე მოწესრიგების თვალსაზრისით.



**ლიტერატურისა და ხელოვნების  
ნაწარმოებების დაცვის  
ბერნის კონვენცია**

**პარიზის აქტი, 19716.**

მიღებულია 1886 წლის 9 სექტემბერს;  
შევსებულია პარიზში 1896 წლის 4 მაისს;  
გადასინჯულია ბერლინში 1908 წლის 13 ნოემბერს;  
შევსებულია ბერნში 1914 წლის 20 მარტს;  
გადასინჯულია – რომში 1928 წლის 2 ივნისს, ბრიუსელში 1948 წლის 26 ივნისს,  
სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს და პარიზში 1971 წლის 24 ივლისს  
და შეცვლილია 1979 წლის 28 სექტემბერს

კავშირის ქვეყნებმა, რომლებიც ერთნაირად არიან განმსჭვალულნი ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე ავტორთა უფლებების შეძლებისდაგვარად ეფექტურად და ერთგვაროვნად დაცვის სურვილით,

აღიარებენ რა კონვენციის გადასინჯვის მიზნით 1967 წელს სტოკჰოლმში გამართული კონფერენციის მუშაობის მნიშვნელობას,

გადაწყვიტეს გადასინჯონ სტოკჰოლმის კონფერენციის მიერ მიღებული აქტი, ამ აქტის 1-20 და 22-26 მუხლების უცვლელად დატოვებით.

აქედან გამომდინარე, ქვემოთ ის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებმაც წარადგინეს თავიანთი სრული უფლებამოსილებანი შესაბამისი ფორმით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

## **მუხლი 1** **კავშირის დაარსება<sup>1</sup>**

ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ავტორთა უფლებების დასაცავად მათ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე.

## **მუხლი 2** **დაცული ნაწარმოებები:**

1. „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები“; 2. ფიქსაციის შესაძლო მოთხოვნა; 3. წარმოებული ნაწარმოებები; 4. ოფიციალური ტექსტები; 5. კრებულები; 6. დაცვის ვალდებულება; პირები, რომლებიც სარგებლობენ დაცვის უფლებით; 7. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები და სამრეწველო ნიმუშები; 8. ახალი ამბები

(1) გამოთქმა „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები“ მოიცავს ყველა ნამუშევარს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, მისი გამოხატვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორცაა: წიგნები, ბროშურები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები; დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები; ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები; მუსიკალური ნაწარმოებები ტექსტით ან ტექსტის გარეშე; კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც არის გათანაბრებული კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოებები; ნახატები, ფერწერული, არქიტექტურული, სკულპტურული, გრაფიკული და ლითოგრაფიული ნაწარმოებები; ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც გათანაბრებულია ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოებები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები; ილუსტრაციები, გეოგრაფიული რუკები, გეგმები, ესკიზები და სამგანზომილებიანი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებას.

(2) მიუხედავად ამისა, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება დაანესოს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, ან მათი გარკვეული კატეგორიები არ ექვემდებარება დაცვას, თუ ისინი არ არის დაფიქსირებული რაიმე მატერიალური ფორმით.

<sup>1</sup> ისმო-ს შენიშვნა: კონვენციის ტექსტით სარგებლობის გადავიღების მიზნით, თითოეულ მუხლსა და დამატებით კარს აქვს სათაური. ხელმოწერილ ტექსტში სათაურები არ არის.

(3) თარგმანები, გადამუშავებები, მუსიკალური არანჟირებები და ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების სხვა სახეცვლილებები დაცულია როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ორიგინალურ ნაწარმოებებზე საავტორო უფლების შელახვის გარეშე.

(4) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება განსაზღვროს დაცვა, რომელიც ენიჭება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და იურიდიული ხასიათის ოფიციალურ ტექსტებსა და ასეთი ტექსტების ოფიციალურ თარგმანებს.

(5) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების კრებულები, მაგალითად, ენციკლოპედიები და ანთოლოგიები, რომლებიც მასალის შერჩევისა და განლაგების გამო, ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს, დაცულია როგორც ასეთი, ამგვარი კრებულების შემადგენელი თითოეული ნაწარმოების ავტორის უფლებების შელახვის გარეშე.

(6) ამ მუხლში აღნიშნული ნაწარმოებები სარგებლობს დაცვით კავშირის ყველა ქვეყანაში. ეს დაცვა მოქმედებს ავტორისა და მისი უფლებამონაცვლეების სასარგებლოდ.

(7) ამ კონვენციის მუხლის 7(4) დებულებების გათვალისწინებით, კავშირის ქვეყნებს რჩებათ უფლება გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის და სამრეწველო ნიმუშებისა და მოდელებისათვის განსაზღვროს მათი კანონების გამოყენების ფარგლები, ასევე, ამგვარი ნაწარმოებების, ნიმუშებისა და მოდელების დაცვის პირობები. ნაწარმოებებს, რომლებიც წარმოშობის ქვეყანაში დაცულია როგორც მხოლოდ ნიმუშები და მოდელები, კავშირის სხვა ქვეყანაში აქვს მხოლოდ ისეთი სპეციალური დაცვის უფლება, როგორიც ენიჭება ამ ქვეყანაში ნიმუშებსა და მოდელებს. თუმცა, თუ ამ ქვეყანაში არ ანიჭებენ ასეთ სპეციალურ დაცვას, ეს ნაწარმოებები დაიცვება როგორც ხელოვნების ნაწარმოებები.

(8) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება დღის ახალ ამბებზე ან სხვადასხვა ფაქტებზე, რომელთაც უბრალო პრეს-ინფორმაციის ხასიათი აქვს.

## მუხლი 2<sup>bis</sup>

### გარკვეული ნაწარმოების დაცვის შესაძლო შემლუღვა:

1. გარკვეული გამოსვლები; 2. ლექციებისა და მიმართვების გარკვეული გამოყენება; 3. ამგვარი ნაწარმოების კრებულების შედგენის უფლება

(1) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება წინა მუხლით გათვალისწინებული დაცვიდან სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხოს პოლიტიკური გამოსვლები და სასამართლო პროცესების მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას, ასევე, რჩება უფლება განსაზღვროს პირობები, რომლებითაც ლექციები, მიმართვები და ამავე ხასიათის საჯაროდ წარმოთქმული სხვა ნაწარმოებები შეიძლება რეპროდუცირებულ იქნეს პრესის მეშვეობით, გადაიცეს ეთერით, გადაიცეს საჯარო გაცნობისათვის სადენის მეშვეობით და გახდეს საჯარო გაცნობის საგანი, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ კონვენციის 11<sup>bis</sup> მუხლის (1) პუნქტში, როდესაც ამგვარი გამოყენება გამართლებულია საინფორმაციო მიზნით.

(3) მიუხედავად ამისა, ავტორი სარგებლობს წინა პუნქტებში მითითებული, თავისი ნაწარმოების კრებულის შედგენის განსაკუთრებული უფლებით.

## მუხლი 3

### დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმები:

1. ავტორის მოქალაქეობა; ნაწარმოების გამოქვეყნების ადგილი;
2. ავტორის საცხოვრებელი ადგილი; 3. „გამოქვეყნებული“ ნაწარმოებები; „ერთდროულად გამოქვეყნებული“ ნაწარმოებები

(1) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა ვრცელდება:

(ა) ავტორებზე, რომლებიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების მიმართ.

(ბ) ავტორებზე, რომლებიც არ არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მათი ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა ერთ-ერთ ამ ქვეყანაში, ან ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ქვეყანაში.

(2) ავტორები, რომლებიც არ არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის

მოქალაქეები, მაგრამ აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში, ამ კონვენციის მიზნებისთვის უთანაბრდებიან ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

(3) „გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში“ იგულისხმება ავტორების თანხმობით გამოქვეყნებული ნაწარმოებები, მიუხედავად ასლების დამზადების საშუალებებისა იმ პირობით, თუ ამ ასლების რაოდენობა, ნაწარმოების ხასიათის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს. გამოქვეყნებად არ ჩაითვლება დრამატული, მუსიკალურ-დრამატული, კინემატოგრაფიული ნაწარმოების ან მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, ლიტერატურული ნაწარმოების საჯარო წაკითხვა, ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების გადაცემა სადენით ან ეთერის საშუალებით, ხელოვნების ნაწარმოების გამოფენა და არქიტექტურული ნაწარმოების აგება.

(4) ნაწარმოები ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში გამოქვეყნებულად მიიჩნევა, თუ ის გამოქვეყნდა ორ ან მეტ ქვეყანაში მისი პირველი გამოქვეყნებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

#### მუხლი 4

#### **კინემატოგრაფიული ნაწარმოებების, არქიტექტურული ნაწარმოებებისა და ხელოვნების გარკვეული ნაწარმოებებისათვის დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმები**

ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ სრულდება მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები, ვრცელდება:

- (ა) იმ კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ავტორებზე, რომელთა დამამზადებელს აქვს შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში;
- (ბ) იმ არქიტექტურული ნაწარმოებების ავტორებზე, რომლებიც აგებულია კავშირის რომელიმე ქვეყანაში, ან ხელოვნების იმ სხვა ნაწარმოებების ავტორებზე, რომლებიც შეადგენენ კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს.

## მუხლი 5

### გარანტირებული უფლებები:

1. და 2. წარმოშობის ქვეყნის გარეთ;
3. წარმოშობის ქვეყანაში; 4. „წარმოშობის ქვეყანა“

(1) ამ კონვენციით დაცული ნაწარმოებების მიმართ ავტორები, კავშირის ქვეყნებში, ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის გარდა, სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ ამაჟამად და შესაძლოა მიენიჭოთ მომავალში მათ მოქალაქეებს ქვეყნის შესაბამისი კანონებით, აგრეთვე, ამ კონვენციით სპეციალურად მინიჭებული უფლებებით.

(2) ამ უფლებებით სარგებლობა და მათი გამოყენება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობის შესრულებასთან; ასეთი სარგებლობა და გამოყენება არ არის დამოკიდებული ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დაცვის არსებობაზე. აქედან გამომდინარე, ამ კონვენციის დებულებების გარდა, დაცვის ფარგლები, ისევე როგორც ავტორის უფლებების დასაცავად მინიჭებული ზიანის ანაზრაურების საშუალებები, რეგულირდება მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(3) დაცვა წარმოშობის ქვეყანაში რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. თუმცა, თუ ავტორი არ არის იმ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის მოქალაქე, რომლისთვისაც მას კონვენციით ენიჭება დაცვა, ამ ქვეყანაში იგი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორითაც ამ ქვეყნის მოქალაქე ავტორები.

(4) წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა:

(ა) კავშირის რომელიმე ქვეყანაში ნაწარმოების პირველად გამოქვეყნების შემთხვევაში – ეს ქვეყანა; ნაწარმოებების გამოქვეყნების შემთხვევაში ერთდროულად კავშირის რამდენიმე ქვეყანაში, რომლებიც დაცვის სხვადასხვა ვადას ანიჭებენ – ის ქვეყანა, რომლის კანონმდებლობითაც დადგენილია დაცვის უმოკლესი ვადა;

(ბ) ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში – ეს უკანასკნელი ქვეყანა;

(გ) იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებები არ არის გამოქვეყნებული, ან ნაწარმოებები პირველად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, კავშირის რომელიმე ქვეყანაში ერთდროულად



გამოქვეყნების გარეშე – ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის ავტორი, იმ პირობით, რომ:

- (i) კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისათვის, რომელთა დამამზადებელს აქვს შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ქვეყანაში, წარმოშობის ქვეყანა არის ეს ქვეყანა, და
- (ii) კავშირის ქვეყანაში აგებული არქიტექტურული ნაწარმოებების ან ხელოვნების სხვა ნაწარმოებებისათვის, რომლებიც წარმოადგენს კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს, წარმოშობის ქვეყანა არის ეს ქვეყანა.

## **მუხლი 6**

### **დაცვის შესაძლო შემლუდვა გარკვეული ნაწარმოებების მიმართ იმ გარკვეული ქვეყნების მოქალაქეთათვის, რომლებიც არ შედიან კავშირში:**

1. პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში;
2. უკუძალის არარსებობა; 3. შეტყობინება

(1) თუ რომელიმე ქვეყანა, რომელიც არ შედის კავშირში, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს იმ ავტორების ნაწარმოებების დაცვას, რომლებიც არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, ამ უკანასკნელ ქვეყანას შეუძლია შემლუდოს იმ ავტორთა ნაწარმოებებისთვის მინიჭებული დაცვა, რომლებიც პირველი გამოქვეყნების თარიღისათვის არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები და არ აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში. თუ პირველი გამოქვეყნების ქვეყანა ისარგებლებს ამ უფლებით, კავშირის სხვა ქვეყნებს არ მოეთხოვებათ განსაკუთრებულ რეჟიმს დაქვემდებარებულ ნაწარმოებებს მიანიჭონ იმ დაცვაზე უფრო ფართო დაცვა, ვიდრე მათ აქვთ მინიჭებული პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში.

(2) წინა პუნქტით დადგენილი არანაირი შემლუდვა არ ახდენს გავლენას იმ უფლებებზე, რომლებიც შეძენილი აქვს ავტორს კავშირის რომელიმე ქვეყანაში გამოქვეყნებული ნაწარმოების მიმართ, ასეთი შემლუდვის ძალაში შესვლამდე.

(3) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ მუხლის შესაბამისად ზღუდავენ საავტორო უფლებების მინიჭებას, ამის შესახებ აცნობებენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს (შემდგომ – „გენერალური დირექტორი“) წერილობითი დეკლარაციით, რომელშიც განსაზღვრულია ის ქვეყნები, რომელთა

მიმართაც იზღუდება დაცვა, აგრეთვე, შეზღუდვები, რომლებსაც ექვემდებარება იმ ავტორთა უფლებები, რომლებიც ამ ქვეყნების მოქალაქეები არიან. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს კავშირის ყველა ქვეყანას ამ დეკლარაციის შესახებ.

### **მუხლი 6<sup>bis</sup>**

#### **პირადი არაქონებრივი უფლებები:**

1. ავტორად აღიარების მოთხოვნა; შედავება გარკვეულ ცვლილებებსა და სხვა დამრღვევ ქმედებებთან დაკავშირებით;
2. ავტორის გარდაცვალების შემდეგ;
3. ზიანის ანაზღაურების საშუალებები

(1) ავტორის ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად და აღნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს ნაწარმოების ავტორად აღიარება და არ დაუშვას ამ ნაწარმოების ნებისმიერი გაუკუღმართება, დამახინჯება, ან სხვაგვარი ცვლილება, აგრეთვე, ამ ნაწარმოების ნებისმიერი სხვა შელახვა, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებას ან რეპუტაციას.

(2) წინა პუნქტის შესაბამისად, ავტორისათვის მინიჭებული უფლებები ინარჩუნებს ძალას მისი გარდაცვალების შემდეგ, სულ მცირე, ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადის გასვლამდე და ხორციელდება იმ პირების ან დანესებულებების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. თუმცა იმ ქვეყნებს, რომელთა კანონმდებლობა, ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების მომენტში, არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ უზრუნველყოფს წინა პუნქტში ჩამოთვლილი ყველა უფლების დაცვას, შუძლიათ გაითვალისწინონ, რომ ზოგიერთი ეს უფლება შეწყდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

(3) ზიანის ანაზღაურების საშუალებები ამ მუხლით მინიჭებული უფლებების უზრუნველსაყოფად რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

## მუხლი 7

### დაცვის ვადა:

1. ზოგადი დებულება;
2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისთვის;
3. ნაწარმოებებისთვის, რომელთა ავტორები დარჩნენ ანონიმად ან გამოიყენეს ფსევდონიმი;
4. ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის;
5. ათვლის დაწყების თარიღი;
6. უფრო ხანგრძლივი ვადები;
7. უფრო ხანმოკლე ვადები;
8. გამოსაყენებელი კანონი; ვადების „შეადარება“

(1) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა შეადგენს ავტორის სიცოცხლის მთელ პერიოდსა და ორმოცდაათ წელს მისი გარდაცვალების შემდეგ.

(2) მიუხედავად ამისა, კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში, კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ მას მერე, რაც ნაწარმოები ავტორის თანხმობით ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის, ან – თუ ასეთი ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში ეს ვერ განხორციელდა – ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ.

(3) ნაწარმოებების შემთხვევაში, რომელთა ავტორები დარჩნენ ანონიმად ან გამოიყენეს ფსევდონიმი, ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ, მას მერე, რაც ნაწარმოები კანონიერად გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. თუმცა, თუ ავტორის ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს მის ვინაობასთან დაკავშირებით, დაცვის ვადა შეადგენს (1) პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდს. თუ ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, გამოიყენება (1) პუნქტით დადგენილი დაცვის ვადა. კავშირის ქვეყნებს არ მოეთხოვებათ დაიცვან ნაწარმოებები, რომელთა ავტორები დარჩნენ ანონიმად ან გამოიყენეს ფსევდონიმი, თუ არსებობს სრული საფუძველი ვარაუდისა, რომ მათი ავტორების გარდაცვალებიდან გასულია ორმოცდაათი წელი.

(4) ფოტოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ვადა განისაზღვრება კავშირის ქვეყნების კანონმდებლობით იმდენად, რამდენადაც ისინი დაცულია, როგორც ხელოვნების ნაწარმოებები; თუმცა, ეს ვადა უნდა გაგრძელდეს ნაწარმოების შექმნიდან, სულ მცირე, ოცდახუთწლიანი პერიოდის ბოლომდე.

(5) ავტორის გარდაცვალების შემდეგ მინიჭებული დაცვის ვადა და

(2), (3) და (4) პუნქტებით გათვალისწინებული ვადები აითვლება ავტორის გარდაცვალების ან ამ პუნქტებში მითითებული მოვლენის თარიღიდან, მაგრამ ასეთი ვადების ათვლის თარიღად ყოველთვის მიიჩნევა ავტორის გარდაცვალების ან ასეთი მოვლენის შემდგომი წლის 1 იანვარი.

(6) კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ დაადგინონ დაცვის ვადა, რომელიც აღემატება წინა პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებს.

(7) კავშირის ქვეყნებს, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულებები ამ კონვენციის რომის აქტით, და რომლებიც ამ აქტის ხელმოწერის დროისათვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით ანიჭებენ დაცვის უფრო ხანმოკლე ვადებს, ვიდრე წინა პუნქტებშია გათვალისწინებული, უფლება აქვთ, ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს ძალაში დატოვონ ეს ვადები.

(8) ნებისმიერ შემთხვევაში ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. თუმცა, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეს ვადა არ აღემატება ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დადგენილ ვადას.

### **მუხლი 7<sup>bis</sup>**

#### **თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების დაცვის ვადა**

წინა მუხლის დებულებები გამოიყენება, აგრეთვე, თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ვადები, რომლებიც განისაზღვრება ავტორის გარდაცვალების დროიდან, აითვლება უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილი ავტორის გარდაცვალების დღიდან.

### **მუხლი 8**

#### **თარგმნის უფლება**

ამ კონვენციით დაცული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები, ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების დაცვის მთელი ვადის განმავლობაში, სარგებლობენ თავისი ნაწარმოებების თარგმნისა და თარგმნაზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებით.

## მუხლი 9

### რეპროდუცირების უფლება:

1. ზოგადი დებულება; 2. შესაძლო გამონაკლისები;
3. ხმისა და გამოსახულების ჩანაწერები

(1) ამ კონვენციით დაცული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ ამ ნაწარმოებების ნებისმიერი სახით ან ფორმით რეპროდუცირებაზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება.

(2) ვაჭირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება, გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაუშვას ასეთი ნაწარმოებების რეპროდუცირება იმ პირობით, თუ ასეთი რეპროდუცირება არ აყენებს ზიანს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებასა და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

(3) ამ კონვენციის მიზნებისთვის ხმის ან გამოსახულების ნებისმიერი ჩანაწერი მიიჩნევა რეპროდუცირებად.

## მუხლი 10

### ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების

#### გარკვეული შემთხვევები:

1. ციტატები; 2. ილუსტრაციები სწავლების მიზნით;
3. წყაროსა და ავტორის მითითება

(1) დასაშვებია ციტატების მოყვანა ნაწარმოებიდან, რომელიც კანონიერად უკვე გახდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, იმ პირობით, რომ ეს შეთავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან და მისი მოცულობა გამართლებულია დასახული მიზნით, მათ შორის, სტატიების ციტირება ჟურნალ-გაზეთებიდან პრესის მიმოხილვის ფორმით.

(2) ვაჭირის ქვეყნების კანონმდებლობით და მათ შორის უკვე არსებული ან მომავალში დადებული სპეციალური შეთანხმებებით, შეიძლება ნებადართული იყოს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ილუსტრაციის სახით გამოყენება დასახული მიზნით გამართლებული მოცულობით, სასწავლო ხასიათის გამოცემებში, სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემებში, ან ხმის ან გამოსახულების ჩანაწერებში, იმ პირობით, თუ ასეთი გამოყენება თავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან.

(3) ამ მუხლის წინა პუნქტების თანახმად, ნაწარმოებების გამოყენებისას მითითებული უნდა იყოს წყარო და ავტორის სახელი, თუ ის აღნიშნულია ამ წყაროში.

### **მუხლი 10<sup>bis</sup>**

#### **ნაწარმოებების შესაძლო თავისუფალი გამოყენების დამატებითი შემთხვევები:**

1. გარკვეული სტატიებისა და ეთერთ გადაცემული ნაწარმოებების;
2. მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას ნაჩვენები ან გაუღერებული ნაწარმოებები

(1) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება დაუშვას მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან რელიგიურ საკითხებზე გაზეთებში ან პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიებისა და ეთერთ გადაცემული ამავე ხასიათის ნაწარმოებების პრესის საშუალებით რეპროდუცირება, ეთერთ გადაცემა ან სადენით საჯარო გაცნობა იმ შემთხვევაში, როდესაც მათ რეპროდუცირებასთან, ეთერთ გადაცემასა ან საჯაროდ გაცნობასთან დაკავშირებით არ არსებობს საგანგებო დათქმები. თუმცა, ყოველთვის მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული წყარო; ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას, აგრეთვე, რჩება უფლება განსაზღვროს პირობები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ფოტოგრაფიის, კინემატოგრაფიის, ეთერთ გადაცემის ან სადენით საჯარო გაცნობის საშუალებით მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას, რეპროდუცირებულ იქნეს და საინფორმაციო მიზნით გამართლებული მოცულობით გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ისმის ან ჩანს მოვლენის მსვლელობისას.

### **მუხლი 11**

#### **გარკვეული უფლებები დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებებზე:**

1. საჯარო შესრულების და შესრულების საჯარო გაცნობის უფლება;
2. თარგმანებთან დაკავშირებით

(1) დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

(i) თავიანთი ნაწარმოებების საჯარო შესრულებაზე, ნებისმიერი



საშუალებით ან ხერხით განხორციელებული საჯარო შესრულების ჩათვლით;

(ii) თავიანთი ნაწარმოებების შესრულების საჯარო გადაცემაზე ნებისმიერი საშუალებით.

(2) ასეთივე უფლებებით სარგებლობენ დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების ავტორები ნაწარმოებების თარგმანებთან დაკავშირებით ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების სრული ვადის განმავლობაში.

## მუხლი 11<sup>bis</sup>

### ეთერით გადაცემა და მასთან დაკავშირებული უფლებები:

1. ეთერით გადაცემა და სხვა სახის უსადენო გადაცემები, საეთერო გადაცემის საჯარო გაცნობა სადენით ან ეთერით ხელახალი გადაცემის საშუალებით, საეთერო გადაცემის საჯარო გაცნობა ხმამაღლამოლაპარაკის ან ანალოგიური ხელსაწყოს მეშვეობით; 2. იძულებითი ლიცენზიები;

3. ჩაწერა; ჩაწერები ხანმოკლე გამოყენებისათვის

(1) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

(i) თავიანთი ნაწარმოებების ეთერით გადაცემაზე, ან ამ ნაწარმოებების საჯარო გადაცემაზე ნიშნების, ხმების ან გამოსახულებების უსადენო გავრცელების ნებისმიერი სხვა საშუალებით;

(ii) ეთერით გადაცემული ნაწარმოების ნებისმიერ საჯარო გადაცემაზე სადენით ან ეთერით ხელახლა გადაცემის მეშვეობით, თუ მას ახორციელებს არა პირვანდელი, არამედ სხვა ორგანიზაცია;

(iii) ეთერით გადაცემული ნაწარმოების საჯარო გაცნობაზე ხმამაღლამოლაპარაკით, ნიშნების, ბგერების ან გამოსახულებების გადამცემი ნებისმიერი სხვა ანალოგიური ხელსაწყოს მეშვეობით.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება წინა პუნქტში გათვალისწინებული უფლებების განხორციელების პირობები, თუმცა პირობები იმოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი იქნა დადგენილი. ეს პირობები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ავტორის არაქონებრივ უფლებებსა და სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლებას, რომელსაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს კომპეტენტური ორგანო.

(3) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად გაცემული ნებართვა არ გულისხმობს ეთერით გადაცემული ნაწარმოების ჩანერის ნებართვას ბგერებისა ან გამოსახულებების ჩამწერი ხელსაწყოების მეშვეობით. თუმცა, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება განსაზღვროს ხანმოკლე გამოყენების ჩანაწერების შესრულების წესები, რასაც ახორციელებს სამაუწყებლო ორგანიზაცია საკუთარი მონაცემილობებით და იყენებს საკუთარი საეთერო გადაცემებისთვის. ამგვარი კანონმდებლობით შესაძლებელია ნებადართული იყოს ოფიციალურ არქივებში ასეთი ჩანაწერების შენახვა მათი განსაკუთრებული დოკუმენტური ხასიათის გამო.

### **მუხლი 11<sup>ter</sup>**

#### **გარკვეული უფლებები ლიტერატურულ ნაწარმოებებზე:**

1. საჯაროდ წაკითხვის უფლება და წაკითხულის საჯარო გაცნობის უფლება;
2. თარგმანებთან დაკავშირებით

(1) ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

- (i) თავიანთი ნაწარმოებების საჯარო წაკითხვაზე, მათ შორის, ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით განხორციელებული საჯარო წაკითხვის ჩათვლით;
- (ii) თავიანთი ნაწარმოებების წაკითხვის ნებისმიერ საჯარო გადაცემაზე.

(2) ასეთივე უფლებებით სარგებლობენ ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორები თავიანთი ნაწარმოებების თარგმანებთან დაკავშირებით ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

### **მუხლი 12**

#### **გადამუშავების, არანაწილებისა და სხვა ცვლილებათა უფლება**

ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ნაწარმოებების გადამუშავების, არანაწილებისა და სხვა ცვლილებების ნებართვა.

### მუხლი 13

#### მუსიკალური ნაწარმოებებისა და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექსტების ჩანერის უფლების შესაძლო შეზღუდვა:

1. იძულებითი ლიცენზიები; 2. გარდამავალი ღონისძიებები;
3. ავტორის ნებართვის გარეშე იმპორტირებულ ასლებზე ყადაღის დადება

(1) კავშირის თითოეულ ქვეყანას შეუძლია თავისთვის დააწესოს დათქმები და პირობები მუსიკალური ნაწარმოებების ავტორისა და იმ ნებისმიერი ტექსტის ავტორისთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებებთან დაკავშირებით, რომელმაც გასცა მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად, ტექსტის ჩანერის ნებართვა, რათა გასცეს ასეთ ტექსტთან ერთად, თუ ამგვარი არსებობს, ამ მუსიკალური ნაწარმოების აუდიო ჩანაწერის დამზადების ნებართვა; თუმცა ყველა ასეთი დათქმა და პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებმაც ისინი დააწესა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ამ ავტორების უფლებას მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება, რომელსაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს უფლებამოსილი ორგანო.

(2) რომში 1928 წლის 2 ივნისს და ბრიუსელში 1948 წლის 26 ივნისს ხელმოწერილი კონვენციების 13(3) მუხლის შესაბამისად, კავშირის ქვეყნებში დამზადებული მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერების რეპროდუცირება შესაძლებელია მუსიკალური ნაწარმოების ავტორის ნებართვის გარეშე ამ ქვეყანაში, ვიდრე ორი წელი არ გავა ქვეყნისთვის ამ აქტით ვალდებულების დაკისრების შემდეგ.

(3) ამ მუხლის (1) და (2) პუნქტების თანახმად, დამზადებული ჩანაწერები, იმპორტირებული დაინტერესებული მხარეების ნებართვის გარეშე იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი მიჩნეულია უკანონოდ, ექვემდებარება ყადაღის დადებას.

### მუხლი 14

#### კინემატოგრაფიასთან დაკავშირებული უფლებები:

1. კინემატოგრაფიული გადამუშავება და რეპროდუცირება; გავრცელება; ამგვარად გადამუშავებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების საჯარო შესრულება ან საჯარო გადაცემა სადენის მეშვეობით;
2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებების გადამუშავება;
3. იძულებითი ლიცენზიების გამოუყენებლობა

(1) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

- (i) ამ ნაწარმოებების კინემატოგრაფიულ გადამუშავებასა და

რეპროდუცირებაზე და ამგვარად გადამუშავებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების გავრცელებაზე;

(ii) ამგვარად გადამუშავებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების საჯარო შესრულებასა და სადენით საჯარო გადაცემაზე.

(2) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებიდან წარმოებული კინემატოგრაფიული პროდუქციის გადამუშავება ნებისმიერ სხვა მხატვრულ ფორმად, კინემატოგრაფიული პროდუქციის ავტორის ნებართვის გარდა, აგრეთვე, საჭიროებს ორიგინალური ნაწარმოებების ავტორთა ნებართვასაც.

(3) 13(1) მუხლის დებულებები არ გამოიყენება.

### **მუხლი 14<sup>bis</sup>**

#### **კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები:**

1. „ორიგინალურ“ ნაწარმოებებთან გათანაბრება; 2. უფლებების მფლობელები; ნაწარმოების შექმნაში წვლილის შემტან გარკვეულ პირთა ზოგიერთი უფლებების შეზღუდვა; 3. ნაწარმოების შექმნაში წვლილის შემტანი ზოგიერთი სხვა პირები

(1) კინემატოგრაფიული ნაწარმოები ექვემდებარება დაცვას, როგორც ორიგინალური ნაწარმოები, იმ ნებისმიერ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების შეუღახავად, რომელიც შეიძლება ყოფილიყო გადამუშავებული ან რეპროდუცირებული. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორი, წინა მუხლში გათვალისწინებული უფლებების ჩათვლით.

(2)

(ა) კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელები განისაზღვრებიან იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(ბ) მიუხედავად ამისა, კავშირის ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელთა შორის ითვალისწინებს ავტორებს, რომლებმაც შეიტანეს წვლილი ნაწარმოების შექმნაში, ასეთ ავტორებს, თუ მათ იკისრეს ამგვარი წვლილის შეტანა, არ შეუძლიათ, ნებისმიერი საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობის არარსებობისას,

წინააღმდეგობა გაუწიონ ნაწარმოების რეპროდუცირებას, გავრცელებას, საჯარო შესრულებას, სადენით საჯარო გადაცემას, ეთერით გადაცემას ან ნებისმიერ სხვა სახის საჯარო გადაცემას, აგრეთვე, ტექსტების სუბტიტირებას ან დუბლირებას.

(გ) საკითხს იმის შესახებ, უნდა ჰქონდეს თუ არა წერილობითი შეთანხმების ან თანაბარი ძალის მქონე წერილობითი აქტის ფორმა ზემოაღნიშნულ ვალდებულებას (ბ) ქვეპუნქტის გამოყენების მიზნით, განსაზღვრავს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელშიც კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებელს აქვს თავისი შტაბ-ბინა, ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. თუმცა, კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა, განისაზღვრება აღნიშნულ ვალდებულებას ექნება წერილობითი შეთანხმების თუ თანაბარი ძალის მქონე წერილობითი აქტის ფორმა. ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ითვალისწინებს ამას, ატყობინებენ აღნიშნულის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომლის შესახებაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

(დ) „საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობა“ ნიშნავს ნებისმიერ შემზღუდავ პირობას, რომელიც შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებას.

(3) თუ ეროვნული კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ზემოთ აღნიშნული (2)(ბ) პუნქტის დებულებები არ ვრცელდება კინემატოგრაფიული ნაწარმოებისთვის შექმნილი სცენარების, დიალოგებისა და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებსა ან მის დამდგმელ რეჟისორზე. თუმცა, კავშირის ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს აღნიშნული (2) (ბ) პუნქტის გამოყენებას დამდგმელი რეჟისორის მიმართ, აცნობებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომლის შესახებაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

**მუხლი 14<sup>ter</sup>**  
**“Droit de suite” ხელოვნების**  
**ნაწარმოებებსა და ხელნაწერებზე:**

1. უფლება ხელახალი გაყიდვით მიღებული შემოსავლის წილზე;
2. გამოსაყენებელი კანონი; 3. პროცედურა

(1) ავტორი ან, მისი გარდაცვალების შემდეგ, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირები, ან დაწესებულებები, ხელოვნების ნაწარმოებების ორგინალებთან და მწერლებისა და კომპოზიტორების ხელნაწერების ორგინალების მიმართ, ნაწარმოების ყოველი გაყიდვისას სარგებლობენ წილობრივი მონაწილეობის განუსხვისებელი უფლებით, რომელიც მოჰყვება ავტორის მიერ ნაწარმოების პირველ დათმობას.

(2) წინა პუნქტით გათვალისწინებული დაცვა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია იმ ქვეყანაში, საიდანაც არის ავტორი, და იმ მოცულობით, რომელიც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(3) თანხის შეგროვების პროცედურა და ოდენობა განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით.

**მუხლი 15**  
**დაცული უფლებების განხორციელების უფლება:**

1. როდესაც ავტორის სახელი მითითებულია ან ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს ავტორის ვინაობაში; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში;
3. ანონიმურად და ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში; 4. უცნობი ავტორის გარკვეული გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში

(1) იმისათვის, რომ ამ კონვენციით დაცული ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორი, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნეოდეს ავტორად და შესაბამისად, იყოს უფლებამოსილი კავშირის ქვეყნებში აღძრას საქმე დარღვევასთან დაკავშირებით, საკმარისია მისი სახელის აღნიშვნა ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით. ეს პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ ეს სახელი არის ფსევდონიმი და ავტორის მიერ შერჩეული ფსევდონიმი ეჭვს არ იწვევს მის ვინაობაში.

(2) კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებლად, საპირისპირო



მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი აღნიშნულია ამ ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში, (1) პუნქტში მითითებულის გარდა, გამომცემელი, რომლის სახელიც აღნიშნულია ნაწარმოებზე, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნევა ავტორის წარმომადგენლად და ამ სახით უფლებამოსილია დაიცვას და განახორციელოს ავტორის უფლებები. ამ პუნქტის დებულებების მოქმედება წყდება მაშინ, როდესაც ავტორი გაამხელს თავის ვინაობას და განაცხადებს თავის უფლებას ნაწარმოების ავტორობაზე.

(4)

(ა) გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების შემთხვევაში, როდესაც ავტორის ვინაობა უცნობია, მაგრამ არსებობს ვარაუდის ყველა საფუძველი, რომ იგი კავშირის ქვეყნის მოქალაქეა, ეს ქვეყანა განსაზღვრავს კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც იქნება ავტორის წარმომადგენელი და ექნება კავშირის ქვეყნებში მისი უფლებების დაცვისა და განხორციელების უფლებამოსილება.

(ბ) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ დებულების შესაბამისად განსაზღვრავენ ასეთ ორგანოს, აცნობებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას ამგვარად განსაზღვრული ორგანოს შესახებ. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს განცხადების შესახებ კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

## მუხლი 16

### უფლებების დარღვევით დამზადებული ასლები:

1. ყადაღის დადება; 2. ყადაღის დადება იმპორტირების დროს;
3. გამოსაყენებელი კანონი

(1) უფლებების დარღვევით დამზადებული ნაწარმოების ასლები ექვემდებარება ყადაღის დადებას კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, რომელშიც ეს ნაწარმოები სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.

(2) წინა პუნქტის დებულებები ვრცელდება, ასევე, რეპროდუქციებზე, რომელთა იმპორტირება ხდება ქვეყნიდან, რომელშიც ეს ნაწარმოები არ არის დაცული, ან აღარ სარგებლობს დაცვის უფლებით.

(3) ყადაღის დადება ხორციელდება თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 17**

### **ნაწარმოების ბრუნვაში გაშვების, პრეზენტაციისა და ჩვენების კონტროლის შესაძლებლობა**

ამ კონვენციის დებულებებს არ შეუძლიათ მოახდინონ რაიმე გავლენა კავშირის თითოეული ქვეყნის მთავრობის უფლებებზე კანონმდებლობით ან სხვა აქტებით დაუშვას, გააკონტროლოს ან აკრძალოს ნებისმიერი იმ ნაწარმოების ან პროდუქციის ბრუნვაში გაშვება, პრეზენტაცია ან ჩვენება, რომელთა მიმართაც კომპეტენტური ორგანო საჭიროდ მიიჩნევს ასეთი უფლების გამოყენებას.

## **მუხლი 18**

### **ნაწარმოები, რომლებიც უკვე არსებობს კონვენციის ძალაში შესვლისას:**

1. დაცულია, როდესაც წარმოშობის ქვეყანაში დაცვის ვადა ჯერ არ არის გასული; 2. დაუცველია, როცა დაცვის ვადა გასულია იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა; 3. ამ პრინციპების გამოყენება;
4. სპეციალური შემთხვევები

(1) ეს კონვენცია გამოიყენება ყველა ნაწარმოებთან დაკავშირებით, რომელიც მისი ძალაში შესვლის მომენტისათვის წარმოშობის ქვეყანაში, დაცვის ვადის გასვლის გამო, ჯერ არ ქცეულა საზოგადო კუთვნილებად.

(2) თუმცა, თუ ნაწარმოები ადრე მინიჭებული დაცვის ვადის გასვლის გამო, უკვე იქცა საჯარო კუთვნილებად ქვეყანაში, რომელშიც მოითხოვება დაცვა, ეს ნაწარმოები ხელახლა აღარ დაიცვება.

(3) აღნიშნული პრინციპი გამოიყენება იმ სპეციალური კონვენციების დებულებების შესაბამისად, რომლებიც დადებულია ამ მიზნით ან დაიდება მომავალში კავშირის ქვეყნებს შორის. ასეთი დებულებების არარსებობისას, შესაბამისი ქვეყნები თავად განსაზღვრავენ ამ პრინციპის გამოყენების პირობებს.

(4) წინა დებულებები გამოიყენება, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როცა კავშირს მიუერთდებიან ახალი ქვეყნები და იმ შემთხვევებშიც, როდესაც დაცვა ფართოვდება მე-7 მუხლის გამოყენების საფუძველზე ან დათქმებზე უარის თქმის შედეგად.

## **მუხლი 19**

### **კონვენციით გათვალისწინებულ დაცვაზე ფართო დაცვა**

ამ კონვენციის დებულებები არ ეწინააღმდეგება ნებისმიერი უფრო ფართო დაცვის მოთხოვნას, რომელიც შეიძლება იქნეს მინიჭებული კავშირის ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობით.

## **მუხლი 20**

### **კავშირის ქვეყნებს შორის დადებული სპეციალური შეთანხმებები**

კავშირის ქვეყნების მთავრობები იტოვებენ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებების დადების უფლებას, თუ ეს შეთანხმებები ანიჭებენ ავტორებს ამ კონვენციით მინიჭებულ უფლებებზე უფრო ფართო უფლებებს, ან შეიცავენ სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას. უკვე არსებულ შეთანხმებათა დებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნულ პირობებს, გამოიყენება შემდგომშიც.

## **მუხლი 21**

### **სპეციალური დებულებები განვითარებადი ქვეყნების შესახებ:**

1. მითითება დამატებით კარზე; 2. დამატებითი კარი – აქტის ნაწილი

(1) სპეციალურ დებულებებს განვითარებადი ქვეყნების შესახებ შეიცავს დამატებითი კარი.

(2) 28(1)(ბ) მუხლის დებულებების გათვალისწინებით, დამატებითი კარი წარმოადგენს ამ აქტის განუყოფელ ნაწილს.

## **მუხლი 22**

### **ასამბლეა:**

1. დაფუძნება და შემადგენლობა; 2. ამოცანები; 3. კვორუმი, ხმის მიცემა, მეთვალყურეები; 4. მონვევა; 5. პროცედურის წესები

(1)

(ა) კავშირს აქვს ასამბლეა, რომელიც შედგება კავშირის იმ ქვეყნებისგან, რომლებსაც აკისრიათ ვალდებულებები 22-26 მუხლებით.

(ბ) თითოეული ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს დამატებითი დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.

(გ) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა,

რომელმაც ის დანიშნა.

(2)

(ა) ასამბლეა:

- (i) განაგებს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის შენარჩუნებას, განვითარებას და ამ კონვენციის გამოყენებას;
- (ii) გადასინჯვის მიზნით მონვეული კონფერენციების მომზადებასთან დაკავშირებით მითითებებს აძლევს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომ – „საერთაშორისო ბიურო“), როგორც განსაზღვრულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომ – „ორგანიზაცია“) დამფუძნებელ კონვენციაში, ამასთან, სათანადო ყურადღებას უთმობს კავშირის იმ ქვეყნების ნებისმიერ შენიშვნებს, რომლებსაც არ ეკისრებათ ვალდებულებები 22-26 მუხლებით;
- (iii) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას კავშირთან დაკავშირებით და აძლევს მას ყველა საჭირო ინსტრუქციას კავშირის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ;
- (iv) ირჩევს ასამბლეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს;
- (v) განიხილავს და ამტკიცებს თავისი აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშებსა და საქმიანობას და აძლევს მას ინსტრუქციებს;
- (vi) განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, იღებს მის ორწლიან ბიუჯეტს და ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;
- (vii) ამტკიცებს კავშირის ფინანსურ რეგლამენტს;
- (viii) ქმნის ექსპერტთა ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, როგორც აუცილებლად მიაჩნია კავშირის მიზნების განხორციელებისათვის;
- (ix) განსაზღვრავს, კავშირის რომელი არანევრი ქვეყანა და რომელი სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება დაშვებულ იქნეს მის სხდომებზე მეთვალყურეებად;
- (x) იღებს 22-26 მუხლების შესწორებებს;
- (xi) ახორციელებს ნებისმიერ სათანადო ქმედებას, რომელიც მიმართულია კავშირის მიზნების მისაღწევად;
- (xii) ასრულებს ყველა სხვა ისეთ ფუნქციას, რომელიც

გამომდინარეობს ამ კონვენციიდან;

(xiii) მისი თანხმობის შემთხვევაში, ახორციელებს ისეთ უფლებებს, რომლებიც მინიჭებული აქვს ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციით.

(ბ) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებადი სხვა კავშირებისათვისაც, ასამბლეა გადანყვეტილებებს იღებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ.

(3)

(ა) ასამბლეის თითოეულ წევრ ქვეანას აქვს ერთი ხმა.

(ბ) ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(გ) (ბ) ქვეპუნქტის დებულებების მიუხედავად, თუ წებისმიერ სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რიცხვი ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ მეტია ან ტოლი ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მესამედისა, ასამბლეას შეუძლია გადანყვეტილებების მიღება, თუმცა, საკუთარ პროცედურულ წესებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების გარდა, ყველა გადანყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულების შემთხვევაში. საერთაშორისო ბიურო აცნობებს აღნიშნულ გადანყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ მას, და სთავაზობს გადანყვეტილების გაგზავნის თარიღიდან სამი თვის განმავლობაში წერილობითი სახით აცნობონ აძლევენ ხმას ამ გადანყვეტილებებს, წინააღმდეგნი არიან, თუ თავს იკავებენ. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც ამგვარად გამოხატეს ხმის მიცემა ან თავის შეკავება, აღწევს იმ რაოდენობას, რომელიც აკლდა სესიაზე კვორუმის მისაღწევად, ასეთი გადანყვეტილებები ძალაში შედის იმ პირობით, რომ იმავდროულად შენარჩუნებული იქნება აუცილებელი უმრავლესობა.

(დ) 26-ე მუხლის (2) პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე, ასამბლეის გადანყვეტილებების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმების ორი მესამედი.

(ე) თავის შეკავება არ ითვლება ხმის მიცემად.

(ვ) თითოეულ დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მისი სახელით.

(ზ) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, მის სხდომებზე დაიშვებიან მხოლოდ როგორც მეთვალყურეები.

(4)

(ა) ასამბლეა გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება რიგით სესიაზე ყოველ მეორე კალენდარულ წელს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, იმავე დროსა და ადგილზე, სადაც ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

(ბ) ასამბლეა იკრიბება საგანგებო სესიაზე, რომელსაც იწვევს გენერალური დირექტორი აღმასრულებელი კომიტეტის ან ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(5) ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს.

### **მუხლი 23**

#### **აღმასრულებელი კომიტეტი:**

1. დაფუძნება; 2. შემადგენლობა; 3. წევრთა რაოდენობა; 4. გეოგრაფიული განაწილება; სპეციალური შეთანხმებები; 5. ვადა, გადარჩევის შემლუდვები, არჩევნების წესები; 6. ამოცანები; 7. მოწვევა; 8. კვორუმი, ხმის მიცემა;
9. მეთვალყურეები; 10. პროცედურის წესები

(1) ასამბლეას ჰყავს აღმასრულებელი კომიტეტი.

(2)

(ა) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ქვეყნებისგან, რომლებიც არჩეულია ასამბლეის მიერ ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვიდან. გარდა ამისა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ორგანიზაციის შტაბ-ბინა, კომიტეტში აქვს „ex officio“ ერთი ადგილი იმ პირობით, თუ სრულდება 25(7)(ბ) მუხლის დებულებები.

(ბ) აღმასრულებელი კომიტეტის ყოველი წევრი ქვეყნის მთავრობას წარმოადგენს ერთი დელეგატი, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ დამატებითი დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.

(გ) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც ის დანიშნა.

(3) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რიცხვი შეესაბამება ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვის ერთ მეოთხედს. შესავსები ადგილების რაოდენობის დადგენისას, ოთხზე გაყოფის შემდეგ დარჩენილი ნაშთი მხედველობაში არ მიიღება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისას ასამბლეა სათანადო ყურადღებას უთმობს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებასა და იმის აუცილებლობას, რომ იმ სპეციალური შეთანხმებების მონაწილე ქვეყნები, რომლებიც შეიძლება დადებულ იქნეს კავშირთან მიმართებაში, შედიოდნენ აღმასრულებელ



კომიტეტში.

(5)

(ა) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრი ასრულებს თავის ფუნქციებს ასამბლეის სესიის დახურვიდან, რომელზეც ის იქნა არჩეული, ასამბლეის შემდეგი რიგითი სესიის დახურვამდე.

(ბ) აღმასრულებელი კომიტეტის წევრები შეიძლება გადაირჩიონ, მაგრამ არაუმეტეს მათი შემადგენლობის ორი მესამედისა.

(გ) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისა და შესაძლო გადარჩევის მარეგულირებელი წესების დეტალებს.

(6)

(ა) აღმასრულებელი კომიტეტი:

(i) ამზადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;

(ii) ასამბლეას წარუდგენს წინადადებებს, რომლებიც ეხება გენერალური დირექტორის მიერ მომზადებულ პროგრამის პროექტსა და კავშირის ორნლიან ბიუჯეტს.

(iii) [ამოღებულია]

(iv) ასამბლეას წარუდგენს, სათანადო შენიშვნებით, გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებსა და საფინანსო რევიზიის ყოველწლიურ აქტებს.

(v) ასამბლეის გადანყვეტილებების შესაბამისად და იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელიც წარმოიქმნება ასამბლეის ორ რიგით სესიას შორის პერიოდში, მიმართავს ყველა აუცილებელ ზომას გენერალური დირექტორის მიერ კავშირის პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად;

(vi) ასრულებს ყველა სხვა ფუნქციას, რომელიც ამ კონვენციით აქვს დაკისრებული.

(ბ) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირებისათვისაც, აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადანყვეტილებებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(7)

(ა) გენერალური დირექტორის მოწვევით აღმასრულებელი კომიტეტი იკრიბება რიგით სესიაზე წელიწადში ერთხელ უპირატესად იმავე დროსა და ადგილზე, სადაც ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი.

(ბ) აღმასრულებელი კომიტეტი საგანგებო სესიაზე იკრიბება

გენერალური დირექტორის მოწვევით ან მისი პირადი ინიციატივით, თავმჯდომარის ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8)

(ა) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.

(ბ) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(გ) გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

(დ) თავის შეკავება არ განიხილება ხმის მიცემად.

(ე) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მისი სახელით.

(9) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, მის სხდომაზე დაიშვებიან მხოლოდ, როგორც მეთვალყურეები.

(10) აღმასრულებელი კომიტეტი იღებს პროცედურის თავის საკუთარ წესებს.

## **მუხლი 24**

### **საერთაშორისო ბიურო:**

1. ზოგადი ამოცანები, გენერალური დირექტორი; 2. ზოგადი ინფორმაცია; 3. ჟურნალი; 4. ქვეყნებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია; 5. კვლევები და მომსახურება; 6. სხდომებში მონაწილეობა; 7. კონფერენციები გადასინჯვის თაობაზე; 8. სხვა ამოცანები

(1)

(ა) კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ამოცანები ხორციელდება საერთაშორისო ბიუროს მიერ, რომელიც არის კავშირის ბიუროსა და სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კონვენციით დაარსებული კავშირის ბიუროს მემკვიდრე.

(ბ) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო ასრულებს კავშირის სხვადასხვა ორგანოს სამდივნოს ფუნქციებს.

(გ) ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი აღმასრულებელი პირი და წარმოადგენს კავშირს.

(2) საერთაშორისო ბიურო აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას, რომელიც ეხება საავტორო უფლებების დაცვას. კავშირის თითოეული

ქვეყანა დაუყოვნებლივ აცნობებს საერთაშორისო ბიუროს ყველა ახალი კანონის ტექსტსა და ოფიციალურ ტექსტს, რომელიც შეეხება საავტორო უფლებების დაცვას.

(3) საერთაშორისო ბიურო გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს.

(4) საერთაშორისო ბიურო, მოთხოვნის საფუძველზე, აწვდის კავშირის ნებისმიერ ქვეყანას ინფორმაციას საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

(5) საერთაშორისო ბიურო ატარებს კვლევებსა და უზრუნველყოფს მომსახურებას საავტორო უფლებების დაცვის გაადვილების ხელშეწყობის მიზნით.

(6) გენერალური დირექტორი და ნებისმიერი მის მიერ დანიშნული თანამშრომელი ხმის უფლების გარეშე მონაწილეობას იღებს ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტისა და ექსპერტთა ნებისმიერი სხვა კომიტეტის ან მუშა ჯგუფის ყველა სხდომაში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული თანამშრომელი არის ამ ორგანოების „ex officio“ მდივანი.

(7)

(ა) საერთაშორისო ბიურო, ასამბლეის მითითებების შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით, ამზადებს კონფერენციებს კონვენციის დებულებათა გადასინჯვის თაობაზე, გარდა 22-26 მუხლებისა.

(ბ) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია ჩაატაროს კონსულტაციები სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან გადასინჯვასთან დაკავშირებული კონფერენციების მომზადების თაობაზე.

(გ) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები მონაწილეობას იღებენ ამ კონფერენციების მუშაობაში ხმის უფლების გარეშე.

(8) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა ამოცანებს.

## მუხლი 25

### ფინანსები:

1. ბიუჯეტი; 2. სხვა კავშირებთან კოორდინირება; 3. წყაროები;
4. შესატანები; წინა ბიუჯეტის შესაძლო გაგრძელება; 5. გადასახადები და საფასურები; 6. საბრუნავი საშუალებების ფონდი; 7. მასპინძელი მთავრობის

ავანსები; 8. ანგარიშების რევიზია

(1)(ა) კავშირს აქვს ბიუჯეტი.

(ბ) კავშირის ბიუჯეტი შედგება საკუთრივ კავშირის შემოსავლებისა და გასავლებისაგან, მისი შესატანისაგან კავშირებისათვის საერთო ხარჯვითი ნაწილის ბიუჯეტში და, აგრეთვე, შესაბამის შემთხვევებში, ანარიცხებისაგან ორგანიზაციის კონფერენციის ბიუჯეტში.

(გ) კავშირებისათვის საერთო გასავლად ითვლება ხარჯები, რომლებიც არ ეკუთვნის მხოლოდ ამ კავშირს, არამედ ერთ-დროულად ეკუთვნის კიდევ ერთ ან მეტ კავშირს, რომელთა ადმინისტრირებასაც ახორციელებს ორგანიზაცია. კავშირის წილი საერთო გასავლებში პროპორციულია მისი წილისა აღნიშნულ ხარჯებში.

(2) კავშირის ბიუჯეტი მიიღება ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნის სათანადო გათვალისწინებით.

(3) კავშირის ბიუჯეტის ფინანსირების წყაროებია:

- (i) კავშირის ქვეყნების შესატანები;
- (ii) საფასურები და გადასახადები სერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან დაკავშირებით განეული მომსახურებისთვის;
- (iii) კავშირთან დაკავშირებული საერთაშორისო ბიუროს პუბლიკაციების, გაყიდვისა და მათზე უფლებების გადაცემის შედეგად მიღებული შემოსავლები;
- (iv) საჩუქრები, ანდერძით დატოვებული სახსრები და სუბსიდიები;
- (v) რენტები, პროცენტები და სხვადასხვა შემოსავალი.

(4)

(ა) იმისათვის, რომ განისაზღვროს მისი შესატანი ბიუჯეტში, კავშირის თითოეული ქვეყანა მიეკუთვნება გარკვეულ კლასს და წლიურ შესატანს იხდის ქვემოთ მოყვანილი ერთეულების რიცხვების საფუძველზე:

I კლასი	.....	25
II კლასი	.....	20
III კლასი	.....	15
IV კლასი	.....	10
V კლასი	.....	5
VI კლასი	.....	3

## VII კლასი . . . . . 1

(ბ) თითოეული ქვეყანა, თუ ადრე ეს არ გაუკეთებია, რატიფიკაციის ან შეერთების აქტის დეკონირებასთან ერთად მიუთითებს კლასს, რომელსაც სურს, რომ ეკუთვნოდეს. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეცვალოს კლასი. თუ ქვეყანა ირჩევს უფრო დაბალ კლასს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ასამბლეას მის ერთ-ერთ რიგით სესიაზე. ნებისმიერი ასეთი ცვლილება ძალაში შედის მითითებული სესიის მომდევნო კალენდარული წლის დასაწყისიდან.

(გ) თითოეული ქვეყნის წლიური შესატანის ოდენობა ტოლია სიდიდისა, რომელიც ისევე შეეფარდება კავშირის ბიუჯეტში ყველა ქვეყნის მიერ შესატანების ჯამს, როგორც მისი ერთეულების რაოდენობა შეეფარდება ყველა გადამხდელი ქვეყნის ერთეულების საერთო რაოდენობას.

(დ) შესატანები უნდა იქნეს გადახდილი ყოველი წლის პირველი იანვრიდან.

(ე) ქვეყანა, რომელსაც აქვს დავალიანება შესატანების გადახდაში, კარგავს ხმის უფლებას კავშირის ყველა ორგანოში, რომლის წევრიცაა, თუ მისი დავალიანების ოდენობა ტოლია ან მეტი გასული ორი სრული წლის განმავლობაში მის მიერ გადასახდელი შესატანებისა. თუმცა, კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ ქვეყანას ამ ორგანოში გააგრძელოს ხმის უფლებით სარგებლობა იმ შემთხვევაში და მანამ, სანამ დარწმუნებულია, რომ გადახდის დაგვიანება გამონვეული იყო განსაკუთრებული და გარდაუვალი გარემოებების გამო.

(ვ) თუ ბიუჯეტი არ არის მიღებული ახალი საფინანსო პერიოდის დაწყებამდე, საფინანსო რეგლამენტის შესაბამისად, იგი არის წინა წლის ბიუჯეტის დონეზე.

(5) საფასურებისა და გადასახადების ოდენობას, რომელსაც იღებს საერთაშორისო ბიურო კავშირთან დაკავშირებით განეული მომსახურებისთვის, ადგენს გენერალური დირექტორი, რომელიც ამის შესახებ მოახსენებს ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს.

(6)

(ა) კავშირს აქვს საბრუნავი სახსრების ფონდი, რომელიც შედგება კავშირის თითოეული ქვეყნის მიერ შემოტანილი ერთჯერადი გადასახადისგან. თუ საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისია,

ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.

(ბ) აღნიშნულ ფონდში თითოეული ქვეყნის თავდაპირველი გადასახადის ოდენობა ან მისი წილი ამ ფონდის გაზრდაში პროპორციულია ამ ქვეყნის შესატანისა იმ წლისათვის, როდესაც დაარსდა ფონდი ან მიღებული იყო გადაწყვეტილება მისი გაზრდის შესახებ.

(გ) ამ გადასახადის პროპორციასა და გადახდის პირობებს ადგენს ასამბლეა გენერალური დირექტორის წინადადებით მას შემდეგ, რაც იგი მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრს.

(7)

(ა) შეთანხმებაში შტაბ-ბინის თაობაზე, რომელიც იდება იმ ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს შტაბ-ბინა, გათვალისწინებულია, რომ როდესაც საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისი აღმოჩნდება, ეს ქვეყანა გაიღებს ავანსებს. ამ ავანსების თანხა და გაცემის პირობები, თითოეულ შემთხვევაში, წარმოადგენს განსაკუთრებული შეთანხმებების საგანს ასეთ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის. ვიდრე ამ ქვეყანას დაკისრებული აქვს ავანსების გაცემის ვალდებულება, მას ex officio აქვს ერთი ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში.

(ბ) როგორც (ა) ქვეპუნქტში დასახელებულ ქვეყანას, ისე ორგანიზაციას აქვს უფლება წერილობითი შეტყობინებით განახორციელოს ავანსების გაცემის ვალდებულების დენონსირება. დენონსაცია ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც მოხდა შეტყობინება.

(8) ანგარიშების რევიზია ხორციელდება საფინანსო რეგლამენტის შესაბამისად, კავშირის ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ან გარე აუდიტორების მიერ, რომლებსაც მათივე თანხმობით ნიშნავს ასამბლეა.

## **მუხლი 26**

### **ცვლილებები:**

1. დებულებები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ასამბლეის მიერ; წინადადებები; 2. მიღება; 3. ძალაში შესვლა

(1) წინადადებები შესწორებების შეტანის თაობაზე 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე მუხლებსა და მოცემულ მუხლში შეიძლება წამოყენებულ იქნეს ასამბლეის ნებისმიერი წევრი ქვეყნის, აღმასრულებელი კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ. გენერალური დირექტორი ასეთ წინადადებებს უგზავნის ასამბლეის წევრ ქვეყნებს ასამბლეის მიერ



მათ განხილვამდე, სულ მცირე, ექვსი თვით ადრე.

(2) (1) პუნქტში გათვალისწინებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება მიიღება ასამბლეის მიერ, რისთვისაც საჭიროა ხმების უმრავლესობა სამი მეოთხედის ოდენობით; ხოლო, 22-ე მუხლსა და მოცემულ პუნქტში ნებისმიერი შესწორების შესატანად აუცილებელია მიცემული ხმების ოთხი მეხუთედი.

(3) (1) პუნქტში მითითებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ მას მერე, რაც გენერალური დირექტორი მიიღებს წერილობით შეტყობინებას, საკონსტიტუციო პროცედურის შესაბამისად ამ ცვლილებების მიღების შესახებ, იმ ქვეყნების სამი მეოთხედიდან, რომლებიც იყვნენ ასამბლეის წევრები ამ ცვლილების მიღების დროს. ამგვარად მიღებული ამ მუხლის ნებისმიერი ცვლილება სავალდებულოა ყველა ქვეყანისათვის, რომლებიც არიან ასამბლეის წევრები ცვლილება ძალაში შესვლის დროს, ან ხდებიან მისი წევრები ამ თარიღის შემდეგ. თუმცა, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ზრდის კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც შეატყობინეს მათ მიერ ასეთი შესწორების მიღების შესახებ.

## **მუხლი 27**

### **გადასინჯვა:**

1. მიზანი; 2. კონფერენციები; 3. მიღება

(1) ეს კონვენცია შეიძლება გადასინჯოს მასში ისეთი ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლებიც სრულყოფენ კავშირის სისტემას.

(2) ამ მიზნით კავშირის ქვეყნებში რიგრიგობით ტარდება აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციები.

(3) 26-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენება ცვლილებების შეტანისას 22-დან 26-ის მუხლების ჩათვლით, ამ აქტის ნებისმიერი გადასინჯვა, დამატებითი აქტის ჩათვლით, მოითხოვს მიცემული ხმების ერთსულოვან თანხმობას.

## **მუხლი 28**

### **კავშირის ქვეყნებისათვის აქტის მიღება და ძალაში შესვლა:**

1. რატიფიკაცია, შეერთება; გარკვეული დებულებების გამორიცხვის შესაძლებლობა; გამონაკლისების გაუქმება; 2. 1-21 მუხლების ძალაში

შესვლა; 3. 22-38 მუხლების ძალაში შესვლა

(1)

(ა) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მისი რატიფიცირება, ხოლო თუ არა აქვს ხელი მოწერილი, შეუძლია მასთან შეერთება. რატიფიკაციის და შეერთების დოკუმენტები შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(ბ) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას რატიფიკაციის ან შეერთების აქტში შეუძლია განაცხადოს, რომ რატიფიკაცია ან შეერთება არ ვრცელდება 1-21 მუხლებსა და დამატებით კარზე; თუმცა, თუ ასეთმა ქვეყანამ წინასწარ გააკეთა განცხადება დამატებითი კარის VI(1) მუხლის შესაბამისად, მას აღნიშნულ დოკუმენტში შეუძლია განაცხადოს მხოლოდ იმის შესახებ, რომ მისი რატიფიკაცია ან შეერთება არ გამოიყენება 1-20 მუხლების მიმართ.

(გ) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, გამორიცხა შესაბამისი დებულებები თავისი რატიფიკაციის ან შეერთების მოქმედების სფეროდან, შეუძლია მოგვიანებით, ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ავრცელებს თავისი რატიფიკაციის ან შეერთების მოქმედებას ამ დებულებებზე. ასეთი განცხადება შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2)

(ა) 1-21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ, მას მერე, რაც შესრულდება შემდეგი ორი პირობა:

(i) კავშირის, სულ მცირე, ხუთი ქვეყანა მოახდენს ამ აქტის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას (1)(ბ) მუხლით გათვალისწინებული განცხადების გაკეთების გარეშე.

(ii) პარიზში 1971 წლის 24 ივლისს გადასინჯული საავტორო უფლებების უნივერსალური კონვენციის მოქმედება გავრცელდება საფრანგეთზე, ესპანეთზე, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოზე, ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

(ბ)(ა) ქვეპუნქტში მითითებული ძალაში შესვლა ვრცელდება კავშირის იმ ქვეყნებზე, რომლებმაც აღნიშნულ ძალაში შესვლამდე, სულ მცირე, სამი თვით ადრე მაინც ჩააბარეს შესანახად სარატიფიკაციო ან შეერთების დოკუმენტები, რომლებიც არ შეიცავს (1)(ბ) პუნქტში გათვალისწინებულ განცხადებას.

(გ) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელზეც არ

ვრცელდება (ბ) ქვეპუნქტი, და რომელმაც განახორციელა ამ აქტის რატიფიცირება ან შეუერთდა მას (1)(ბ) პუნქტით გათვალისწინებული განცხადების გაკეთების გარეშე, 1-21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის შესაბამისი სარატიფიკაციო ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ამ დოკუმენტში არ იქნება მითითებული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ ქვეყნის მიმართ, 1-21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

(დ) (ა)-(გ) ქვეპუნქტების დებულებები არ ახდენს გავლენას დამატებითი კარის VI მუხლის გამოყენებაზე.

(1) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც ახორციელებს ამ აქტის რატიფიკაციას ან უერთდება მას (1)(ბ) პუნქტში გათვალისწინებული განცხადების გაკეთებით ან მის გარეშე, 22-38 მუხლები ძალაში შედის სათანადო სარატიფიკაციო ან შეერთების დოკუმენტების დეპონირების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ ამ დოკუმენტში არ იქნება მითითებული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ ქვეყნის მიმართ, 22-38 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

## მუხლი 29

### მიღება და ძალაში შესვლა ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები:

1. შეერთება; 2. ძალაში შესვლა

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, შეუძლია მიუერთდეს ამ აქტს და გახდეს ამ კონვენციის მხარე და კავშირის წევრი. შეერთების დოკუმენტები შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2)

(ა) ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც არ არის კავშირის წევრი, (ბ) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ეს კონვენცია ძალაში შედის შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ამ დოკუმენტში არ იყო მითითებული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ ქვეყნის მიმართ,

ეს კონვენცია ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.  
(ბ) თუ ძალაში შესვლა (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, წინ უსწრებს 1-21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლას 28(2) (ა) მუხლის თანახმად, აღნიშნულ ქვეყანაზე ამ ხნის მანძილზე 1-21 მუხლების და დამატებითი აქტის ნაცვლად ვრცელდება ამ კონვენციის ბრიუსელის აქტის 1-20 მუხლები.

**მუხლი 29<sup>bis</sup>**  
**აქტის მიღების შედეგები**  
**ისმო-ს კონვენციის მუხლის 14(2) მიზნებისთვის**

ამ აქტის რატიფიკაცია ან მასთან შეერთება ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22-38 მუხლების მოქმედება, ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მხოლოდ და მხოლოდ 14(2) მუხლის მიზნებისთვის, 28 (1)(ბ)(i) მუხლით გათვალისწინებული შემდგომად, აღნიშნული სტოკჰოლმის აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების ტოლფასია.

**მუხლი 30**  
**დათქმები:**

1. დათქმების გაკეთების შემდგომად; 2. ადრე გაკეთებული დათქმები; დათქმა თარგმნის უფლების თაობაზე; დათქმის ამოღება

(1) ამ მუხლის (2) პუნქტით, 28(1)(ბ) მუხლით, 33(2) მუხლითა და დამატებითი კარით დაშვებული ამოღების გამოკვლების გათვალისწინებით, რატიფიკაციას ან შეერთებას ავტომატურად მოსდევს ამ კონვენციით დადგენილი ყველა დებულების აღიარება და ყველა უპირატესობის მიღება.

(2)

(ა) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ახორციელებს ამ აქტის რატიფიკაციას ან უერთდება მას, დამატებითი კარის V(2) მუხლის გათვალისწინებით, შეუძლია შეინარჩუნოს მის მიერ ადრე ფორმულირებული დათქმების უპირატესობა, თუ იგი გააკეთებს განცხადებას ამის შესახებ რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების დროს.

(ბ) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, ამ კონვენციასთან შეერთებისას დამატებითი აქტის V(2) მუხლის გათვალისწინებით, შეუძლია განაცხადოს, რომ განზრახული აქვს დროებით მანაც ამ აქტის მე-8 მუხლი თარგმნის უფლების

შესახებ შეცვალოს პარიზში 1896 წელს შევსებული 1886 წლის კავშირის კონვენციის მე-5 მუხლის დებულებებით, და იმის ნათლად გაცნობიერებით, რომ ეს დებულებები გამოიყენება მხოლოდ ამ ქვეყანაში საერთო გამოყენების ენაზე შესრულებული თარგმანების მიმართ. დამატებითი კარის I(6)(ბ) მუხლის გათვალისწინებით, კავშირის ნებისმიერ ქვეყანას უფლება აქვს იმ ნაწარმოებების თარგმნის უფლების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა სარგებლობს ასეთი დათქმით, გამოიყენოს ამ ქვეყნის მიერ მინიჭებული დაცვის ტოლფასი დაცვა.

(გ) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ნებისმიერ დროს ამოიღოს ასეთი დათქმები გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი შეტყობინების გზით.

### მუხლი 31

#### მოქმედება ზოგიერთი ტერიტორიის მიმართ:

1. განცხადება; 2. განცხადების გატანა; 3. ძალაში შესვლის თარიღი;
4. ფაქტობრივი ვითარებების მიღება არ იგულისხმება

(1) ნებისმიერ ქვეყანას რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტში ან ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, ან წერილობითი შეტყობინებით აცნობოს გენერალურ დირექტორს, რომ ეს კონვენცია მოქმედებს განცხადებაში ან შეტყობინებაში მითითებული ყველა ან ზოგიერთი იმ ტერიტორიის, რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა ასეთი განცხადება ან გაგზავნა ასეთი შეტყობინება, შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს გენერალურ დირექტორს ამ კონვენციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ ყველა ან ზოგიერთ ასეთ ტერიტორიაზე.

(3)

(ა) (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ძალაში შედის იმ თარიღიდან, როცა ძალაში შედის რატიფიკაცია ან შეერთება, რომლის დოკუმენტებიც შეიცავდა ამ განცხადებას, ხოლო ამ პუნქტის შესაბამისად გაგზავნილი ყოველი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მის შესახებ გაკეთებული შეტყობინებიდან სამი თვის შემდეგ.

(ბ) ყოველი შეტყობინება, რომელიც გაიგზავნა (2) პუნქტის შესაბამისად, ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

(4) ეს მუხლი არანაირად არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიერ ფაქტობრივი ვითარების უსიტყვოდ აღიარება ან მიღება იმ ტერიტორიების მიმართ, სადაც ეს კონვენცია მოქმედებს კავშირის სხვა ქვეყნის მიერ (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით.

### მუხლი 32

#### ამ აქტისა და უფრო ადრინდელი აქტების გამოყენება:

1. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც უკვე არიან კავშირის წევრები;
2. ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ხდება კავშირის წევრი და კავშირის წევრ სხვა ქვეყნებს შორის;
3. დამატებითი კარის გამოყენება ზოგიერთ ურთიერთობებში

(1) ეს აქტი კავშირის ქვეყნების ურთიერთობებში იმ მოცულობით, როგორც გამოიყენება, ცვლის ბერნის 1886 წლის 9 სექტემბრის კონვენციასა და მისი გადასინჯვის შემდგომ აქტებს. მანამდე ძალაში შესული აქტები კვლავინდებურად გამოიყენება მთლიანად ან ისეთი მოცულობით, როგორითაც ეს აქტი არ ცვლის მათ წინა წინადადების ძალით კავშირის იმ ქვეყნების ურთიერთობებში, რომლებიც რატიფიკაციას არ უწევენ ამ აქტს ან არ უერთდებიან მას.

(2) ქვეყნები, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან და ამ აქტის მხარეები ხდებიან, (3) პუნქტის გათვალისწინებით, იყენებენ მას კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელსაც არ ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, ან თუმცა ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, მაგრამ გააკეთა განცხადება, რომელიც გათვალისწინებულია 28(1) (ბ) მუხლით. ასეთი ქვეყნები აღიარებენ, რომ კავშირის აღნიშნულ ქვეყანას მათთან ურთიერთობაში:

- (i) შეუძლია გამოიყენოს უკანასკნელი აქტის დებულებები, რომლითაც მას ეკისრება ვალდებულება, და
- (ii) დამატების I(6) მუხლის გათვალისწინებით, აქვს უფლება შეუთავსოს დაცვა ამ აქტით გათვალისწინებულ დონეს.

(3) ყოველი ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა დამატებით აქტში გათვალისწინებული ნებისმიერი შესაძლებლობით, შეუძლია გამოიყენოს დამატებითი კარის დებულებები იმ უფლებების ან შესაძლებლობების მიმართ, რომლითაც მან ისარგებლა კავშირის იმ ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობისას, რომელსაც არ ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ქვეყანა უშვებს აღნიშნულ დებულებათა გამოყენებას.



### **მუხლი 33**

#### **დავა:**

1. საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია;
2. დათქმა ასეთი იურისდიქციის მიმართ; 3. დათქმის ამოღება

(1) ნებისმიერი დავა კავშირის ორ ან მეტ ქვეყანას შორის ამ კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ აღნიშნულ ქვეყანას შეუძლია გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესაბამისად შეტანილი განცხადების გზით, თუ ქვეყნები არ შეთანხმდებიან დავის მოგვარების სხვა ხერხზე. ქვეყანამ, რომელსაც შეაქვს განცხადება, დავის სასამართლოში გადაცემის შესახებ უნდა აცნობოს საერთაშორისო ბიუროს; საერთაშორისო ბიურო ატყობინებს ამის შესახებ კავშირის სხვა ქვეყნებს.

(2) ამ აქტის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებისას, ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ არ მიიჩნევს თავს შებოჭილად (1) პუნქტის დებულებებით. რაც შეეხება დავებს ამ ქვეყანასა და კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანას შორის, (1) პუნქტის დებულებები მათზე არ ვრცელდება.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც (2) პუნქტის დებულებების შესაბამისად გააკეთა განცხადება, ნებისმიერ დროს შეუძლია გამოითხოვოს ის განცხადება გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით.

### **მუხლი 34**

#### **ზოგიერთი უფრო ადრინდელი დებულების დახურვა:**

1. ადრინდელი აქტების; 2. სტოკჰოლმის აქტის ოქმის

(1) 29<sup>bis</sup> მუხლის გათვალისწინებით, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ამ კონვენციის ადრინდელი აქტების რატიფიკაცია ან მათთან შეერთება 1-21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლის შემდეგ.

(2) 1-21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლის შემდეგ, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია განცხადების გაკეთება, სტოკჰოლმის აქტზე თანდართული, განვითარებადი ქვეყნების შესახებ პროტოკოლის მე-5 მუხლის შესაბამისად.

### **მუხლი 35**

#### **კონვენციის მოქმედების ვადა; დენონსაცია:**

1. შეუზღუდავი ვადა; 2. დენონსაციის შესაძლებლობა;
3. დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღი; 4. მორატორიუმი დენონსაციაზე

(1) ეს კონვენცია მოქმედებს დროის შეზღუდვის გარეშე.

(2) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით. აგრეთვე დენონსაცია წარმოადგენს, ასევე, ადრინდელი აქტების დენონსირებასაც და ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელმაც განახორციელა ის, მაშინ, როცა კავშირის სხვა ქვეყნების მიმართ კონვენცია რჩება ძალაში და ექვემდებარება შესრულებას;

(3) დენონსირება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

(4) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლების გამოყენება არ შეუძლია არც ერთ ქვეყანას, კავშირში მისი შესვლის თარიღიდან ხუთი წლის გასვლამდე.

### **მუხლი 36**

#### **კონვენციის გამოყენება:**

1. აუცილებელი ზომების განხორციელების ვალდებულება;
2. დრო, რომლიდანაც არსებობს ვალდებულება

(1) ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას, თავისი კონსტიტუციის შესაბამისად, მიიღოს აუცილებელი ზომები ამ კონვენციის გამოყენების უზრუნველსაყოფად.

(2) იგულისხმება, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ეკისრება ვალდებულება ამ კონვენციით, მას შეეძლება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს ამ კონვენციის დებულებები.

### **მუხლი 37**

#### **დასკვნითი დებულებები:**

1. აქტის ენები; 2. ხელმოწერა; 3. დამონმებული ასლები;
4. რეგისტრაცია; 5. შეტყობინებები

(1)

(ა) ამ აქტს ხელს აწერენ ერთ ეგზემპლარზე ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და (2) პუნქტის გათვალისწინებით, შესაძლებელია ბარდება

გენერალურ დირექტორს.

(ბ) ოფიციალური ტექსტები შემუშავდება გენერალური დირექტორის მიერ, დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ, არაბულ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ და ესპანურ ენებსა და, ასევე, ასამბლეის მიერ განსაზღვრულ სხვა ენებზე.

(გ) სხვადასხვა ტექსტის განმარტებისას უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

(2) ეს აქტი ღიაა ხელმოსაწერად 1972 წლის 31 იანვრამდე. ამ თარიღამდე (1)(ა) პუნქტში მითითებული ასლი შესანახად ბარდება საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას.

(3) გენერალური დირექტორი ამოწმებს ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის ორ ასლს და უგზავნის კავშირის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობებს, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(4) გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში გაატარებს ამ აქტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი ატყობინებს კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობებს აქტზე ხელმოწერების, რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებისა და იმ განცხადებების დეპონირების შესახებ, რომლებსაც შეიცავენ ეს დოკუმენტები ან გაკეთებულია 28 (1)(გ), 30(2)(ა) და (ბ) 30(2)(ბ) და 33(2) მუხლების შესაბამისად, ამ აქტის ნებისმიერი დებულების ძალაში შესვლის შესახებ, დენონსაციის თაობაზე შეტყობინების, 30(2)(გ), 31(1) და 31(2), 33(3) და 38(1) მუხლების შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინებებისა და, აგრეთვე, იმ შეტყობინებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია დამატებით კარში.

### **მუხლი 38**

#### **გარდამავალი დებულებები:**

1. „ხუთწლიანი“ პრივილეგიის გამოყენება; 2. კავშირის ბიურო, ბიუროს დირექტორი; 3. კავშირის ბიუროს მემკვიდრეობითობა

(1) კავშირის ქვეყნებს, რომლებმაც არ მოახდინეს ამ აქტის რატიფიცირება ან არ შეუერთდნენ მას, ან რომლებიც შებოჭილნი არ არიან ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22-26 მუხლებით, თუ მოისურვებენ შეუძლიათ 1975 წლის 26 აპრილამდე ისარგებლონ აღნიშნული მუხლებით მინიჭებული უფლებებით ისე, თითქოს ისინი ამ

მუხლებით იყვნენ შებოჭილნი. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს ასეთი უფლებებით სარგებლობა, ამ მიზნით უგზავნის გენერალურ დირექტორს წერილობით შეტყობინებას, რომელიც ძალაში შედის მისი მიღების თარიღიდან. აღნიშნულ თარიღამდე, ასეთი ქვეყნები ითვლებიან ასამბლეის წევრებად.

(2) ვიდრე კავშირის ყველა ქვეყანა გახდება ორგანიზაციის წევრი, ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო ფუნქციონირებს როგორც კავშირის ბიურო, ხოლო გენერალური დირექტორი მოქმედებს, როგორც ამ ბიუროს დირექტორი.

(3) როგორც კი კავშირის ყველა ქვეყანა ორგანიზაციის წევრი გახდება, კავშირის ბიუროს უფლებები, მოვალეობები და ქონება გადაეცემა ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს.

## დამატებითი კარი

### სპეციალური დებულებები განვითარებად ვწყენებთან დაკავშირებით

#### მუხლი I

##### განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი შეღავათები:

1. გარკვეული შეღავათების არსებობა; განცხადება; 2. განცხადების მოქმედების ხანგრძლივობა; 3. განვითარებადი ქვეყნის სტატუსის შეწყვეტა;
4. ასლების არსებული მარაგი; 5. განცხადება გარკვეული ტერიტორიების შესახებ; 6. ნაცვალგების ფარგლები

(1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, განვითარებად ქვეყნად მიჩნეული ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ახდენს რატიფიცირებას ან უერთდება ამ აქტს, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ეს დამატებითი კარი და რომელიც ითვალისწინებს თავის ეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს და მიაჩნია, რომ დაუყოვნებლივ ვერ უზრუნველყოფს ამ აქტით გათვალისწინებულ ყველა უფლების დაცვას, შეუძლია რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებისას, ან V(1)(გ) მუხლის გათვალისწინებით, შემდგომ, ნებისმიერ დროს, შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ ისარგებლებს შეღავათით, რომელიც

გათვალისწინებულია II ან III მუხლში, ან ორივე ამ შეღავათით. მას შეუძლია II მუხლში გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების ნაცვლად, გააკეთოს განცხადება V(1)(ა) მუხლის შესაბამისად.

(2)

(ა) ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებულია (1) პუნქტის შესაბამისად, 1-21 მუხლებისა და ამ დამატებითი კარის ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში, 28(2) მუხლის თანახმად, ძალაშია აღნიშნული პერიოდის ამონაწერამდე. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება განახლდეს მთლიანად ან ნაწილობრივ თითოეული ათი წლის ვადით გენერალური დირექტორისათვის ჩაბარებული შეტყობინების გზით, არა უმეტეს თხუთმეტი და არანაკლებ სამი თვით ადრე მიმდინარე ათწლიანი პერიოდის ამონაწერამდე.

(ბ) ნებისმიერი განცხადება, (1) პუნქტის შესაბამისად, რომელიც გაკეთდა 1-21 მუხლებისა და ამ დამატებითი კარის ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, 28(2) მუხლის შესაბამისად, ძალაშია მიმდინარე ათწლიანი პერიოდის ამონაწერამდე. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება განახლდეს (ა) ქვეპუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად.

(3) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, (1) პუნქტის შესაბამისად, აღარ აქვს (2) პუნქტში გათვალისწინებული განცხადების განახლების უფლება, და მიუხედავად იმისა, გამოითხოვს თუ არა ოფიციალურად თავის განცხადებას, ვეღარ ისარგებლებს (1) პუნქტში აღნიშნული შეღავათებით მიმდინარე ათწლიანი ან სამწლიანი პერიოდის ამონაწერიდან, მას შემდეგ, რაც მას აღარ მიიჩნევენ განვითარებად ქვეყნად; ამასთან, გამოიყენება ის პერიოდი, რომელიც უფრო გვიან იწერება.

(4) იქ, სადაც იმ დროისათვის, როდესაც (1) პუნქტის და (2) პუნქტის თანახმად გაკეთებული განცხადება წყვეტს მოქმედებას, არსებობს ამ დამატებითი კარის საფუძველზე გაცემული ლიცენზიით დამზადებული სათადარიგო ასლები, მათი მარაგის საბოლოოდ ამონაწერამდე, ნებადართულია გავრცელების გაგრძელება.

(5) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც ეკისრება ვალდებულება ამ აქტის დებულებებით, და რომელმაც 31(1) მუხლის შესაბამისად, განახორციელა განცხადების ან შეტყობინების შესანახად ჩაბარება ამ

აქტის გამოყენების თაობაზე განსაზღვრული ტერიტორიის მიმართ, რომლის მდგომარეობაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს (1) პუნქტში მითითებული ქვეყნების მდგომარეობის ანალოგიურად, ასეთ ტერიტორიასთან დაკავშირებით შეუძლია გააკეთოს (1) პუნქტში აღნიშნული განცხადება და (2) პუნქტში აღნიშნული შეტყობინება განახლების შესახებ. ვიდრე ასეთი განცხადება ან შეტყობინება ძალაშია, ასეთი ტერიტორიის მიმართ გამოიყენება დამატებითი კარის დებულებები.

(6)

(ა) ის გარემოება, რომ რომელიმე ქვეყანა სარგებლობს (1) პუნქტში გათვალისწინებული შეღავათებით, არ აძლევს უფლებას სხვა ქვეყანას მიანიჭოს ნაწარმოებებს, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის პირველი ქვეყანა, იმაზე ნაკლები დაცვა, ვიდრე ის, რომელსაც ვალდებულია ანიჭებდეს 1-20 მუხლების შესაბამისად.

(ბ) ტოლფასი დაცვის გამოყენების უფლება, რომელიც გათვალისწინებულია 30(2)(ბ) მუხლის მეორე წინადადებით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს I(3) მუხლის შესაბამისად მოქმედი პერიოდის ამონაწევამდე იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომელმაც გააკეთა განცხადება V(1)(ა) მუხლის თანახმად.

## მუხლი II

### თარგმნის უფლების შეზღუდვა:

1. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიები; 2-4. ასეთი ლიცენზიების გაცემის პირობები; 5. მიზნები, რომლებისთვისაც შეიძლება გაიცეს ასეთი ლიცენზიები; 6. ლიცენზიების მოქმედების შეწყვეტა;
7. ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება;
8. მიმოქცევიდან ამოღებული ნაწარმოებები;
9. ლიცენზიები სამაუწყებლო ორგანიზაციებისთვის

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, შეუძლია ბეჭდვითი ან რეპროდუქციების ანალოგიური ფორმებით გამოქვეყნებული ნაწარმოებების მიმართ, მე-8 მუხლით გათვალისწინებული თარგმნის განსაკუთრებული უფლება შეცვალოს სისტემით, რომელიც ითვალისწინებს კომპეტენტური ორგანოების მიერ, IV მუხლის გათვალისწინებითა და ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად, ჩვეულებრივი და ისეთი ლიცენზიების გაცემას, რომელთა გადაცემა არ შეიძლება.



(2)

(ა) (3) პუნქტის გათვალისწინებით, თუ სამწლიანი ან ნებისმიერი უფრო ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ, რასაც ადგენს აღნიშნული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა, და რომელიც აითვლება ნაწარმოების პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, თარგმნის უფლების მფლობელი პირის მიერ ან მისი ნებართვით, ამ ქვეყნის საერთო სარგებლობის ენაზე არ გამოქვეყნებულა ასეთი ნაწარმოების თარგმანი, ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ამ ნაწარმოების აღნიშნულ ენაზე თარგმნის ლიცენზია და გამოაქვეყნოს ასეთი თარგმანი ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმით.

(ბ) ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, ლიცენზია შეიძლება გაიცეს იმ შემთხვევებშიც, როცა ამ ენაზე გამოქვეყნებული თარგმანის ყველა გამოცემა მთლიანად გაიყიდა.

(3)

(ა) თუ თარგმანი შესრულებულია იმ ენაზე, რომელიც არ არის საერთო სარგებლობის ენა კავშირის წევრ ერთ ან რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში, (2)(ა) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი იცვლება ერთწლიანი პერიოდით.

(ბ) (1) პუნქტში მითითებულ ნებისმიერ ქვეყანას კავშირის წევრ განვითარებულ ქვეყნებთან ერთსულოვანი შეთანხმებით, რომლებშიც იგივე ენაა საერთო სარგებლობის ენა, ამ ენაზე თარგმნის შემთხვევაში, შეუძლია (2)(ა) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი შეცვალოს ასეთი შეთანხმებით განსაზღვრულ უფრო ხანმოკლე პერიოდით, მაგრამ ასეთი პერიოდი არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები. თუმცა, წინა წინადადების დებულებები არ ვრცელდება ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ნებისმიერი ასეთი შეთანხმების შესახებ, შესაბამისი მთავრობები, ატყობინებენ გენერალურ დირექტორს.

(4)

(ა) ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, ლიცენზიები, როლებიც მიიღება სამი წლის შემდეგ, არ შეიძლება გაიცეს დამატებითი ექვსთვიანი პერიოდის გასვლამდე, ხოლო ლიცენზიები, რომელთა მიღება შესაძლებელია ერთი წლის შემდეგ, არ გაიცემა დამატებითი ცხრათვიანი პერიოდის გასვლამდე:

(i) იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი შეასრულებს IV(1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს, ან

(ii) თუ უცნობია თარგმნის უფლების მქონე პირის ვინაობა ან მისი მისამართი, იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი, IV(2) მუხლის შესაბამისად გააგზავნის ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილი განცხადების ასლებს.

(ბ) ამ მუხლით გათვალისწინებული ლიცენზია არ გაიცემა, თუ აღნიშნული ექვს- ან ცხრათვიანი პერიოდის განმავლობაში თარგმნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით გამოქვეყნდება თარგმანი იმ ენაზე, რომელთან დაკავშირებითაც გაკეთდა განცხადება.

(5) ნებისმიერი ლიცენზია, ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, გაიცემა მხოლოდ სკოლებსა და უნივერსიტეტებში გამოსაყენებლად ან კვლევების ჩატარების მიზნით.

(6) თუ ნაწარმოების თარგმანი ქვეყნდება თარგმნის უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით იმ ფასად, რომელიც შეესაბამება მსგავს ნაწარმოებებზე ამ ქვეყანაში ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ამ მუხლის თანახმად გაცემული ნებისმიერი ლიცენზია წყვეტს მოქმედებას, თუ ასეთი თარგმანი შესრულებულია იმავე ენაზე და ძირითადად იმავე შინაარსისაა, როგორც ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანი. ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე გამოქვეყნებული ასლების გავრცელება შეიძლება მათი მარაგის ამოწურვამდე.

(7) ნაწარმოებებისთვის, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება, ლიცენზია ტექსტის თარგმნასა და გამოქვეყნებაზე და ლიცენზია ილუსტრაციების რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ მაშინ, თუ აგრეთვე, სრულდება III მუხლის პირობები.

(8) ამ მუხლის შესაბამისად, ლიცენზია არ შეიძლება გაიცეს, თუ ავტორმა მიმოქცევიდან ამოიღო თავისი ნაწარმოების ყველა ასლი.

(9)

(ა) ლიცენზია იმ ნაწარმოების თარგმნაზე, რომელიც გამოქვეყნებულია ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით, შეიძლება მიეცეს, აგრეთვე, ნებისმიერ სამაუწყებლო ორგანიზაციას, რომელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა (1) პუნქტში აღნიშნულ ქვეყანაში, ამ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოსათვის განცხადების წარდგენის შემდეგ, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

(i) თარგმანი განხორციელებულია იმ ასლიდან, რომელიც

დამზადებული და შეძენილია აღნიშნული ქვეყნის კანონების შესაბამისად;

(ii) თარგმანი განკუთვნილია მხოლოდ სამაუწყებლო გადაცემებში გამოსაყენებლად, მხოლოდ სწავლების ან კონკრეტული პროფესიის სპეციალისტებს შორის, სპეციალური ტექნიკური ან სამეცნიერო კვლევების შედეგების გავრცელების მიზნით.

(iii) თარგმანი გამოიყენება მხოლოდ (ii) ქვეპუნქტში აღნიშნული მიზნებით, კანონიერად შესრულებულ გადაცემებში, რომლებიც განკუთვნილია მსმენელთათვის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ გადაცემების ჩათვლით, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ ასეთი გადაცემების მიზნით კანონიერად გაკეთებული ხმის ან გამოსახულების ჩანაწერების მეშვეობით.

(iv) თარგმანის ნებისმიერი გამოყენება არ ისახავს კომერციულ მიზნებს.

(ბ) თარგმანის ხმოვანი ან ვიზუალური ჩანაწერები, რომლებიც შესრულებულია სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით, (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული მიზნებისა და პირობების გათვალისწინებით, და ამ ორგანიზაციის თანხმობით, შეიძლება, აგრეთვე, გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ, რომელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა ქვეყანაში, რომლის კომპეტენტურმა ორგანომ გასცა აღნიშნული ლიცენზია.

(გ) იმ პირობით, თუ სრულდება (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული ყველა კრიტერიუმი და პირობა, სამაუწყებლო ორგანიზაციას შეიძლება მიეცეს, აგრეთვე, იმ აუდიო-ვიზუალური ჩანაწერში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმნის ლიცენზია, რომელიც დამზადდა და გამოქვეყნდა მხოლოდ სისტემატური სწავლებისათვის გამოსაყენებლად.

(დ) (ა)-(გ) ქვეპუნქტების გათვალისწინებით, წინა პუნქტების დებულებები გამოიყენება ამ პუნქტის შესაბამისად ლიცენზიის გაცემისას და სარგებლობისას.

### მუხლი III

#### რეპროდუცირების უფლების შეზღუდვა:

1. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიები; 2-5. ასეთი ლიცენზიების გაცემის პირობები; 6. ლიცენზიების მოქმედების შეწყვეტა;
7. ნაწარმოებები, რომლებზეც ვრცელდება ეს მუხლი

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათებით, უფლება აქვს მე-9 მუხლში გათვალისწინებული ნაწარმოების რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება შეცვალოს სისტემით, რომელიც ითვალისწინებს კომპეტენტური ორგანოების მიერ IV მუხლის გათვალისწინებითა და ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად, ჩვეულებრივი და ისეთი ლიცენზიების გაცემას, რომელთა გადაცემა არ შეიძლება.

(2)

(ა) თუ იმ ნაწარმოებთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება ეს მუხლი (7) პუნქტის ძალით, მას შემდეგ, რაც ამოიწურება:

(i) (3) პუნქტში განსაზღვრული შესაბამისი პერიოდი, რომელიც იწყება ნაწარმოების მოცემული გამოცემის პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, ან

(ii) (1) პუნქტში აღნიშნული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი იმავე თარიღიდან დაწყებული უფრო ხანგრძლივი პერიოდი, თუ ასეთი გამოცემის ასლები არ იყო გავრცელებული ამ ქვეყნის ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით რეპროდუცირების უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით იმ ფასად, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ასეთი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ლიცენზია, ამავე ან უფრო ნაკლებ ფასად, ასეთი გამოცემის რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე სისტემატურ სწავლებაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

(ბ) (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად გავრცელებული გამოცემის რეპროდუცირებისა და გამოქვეყნების ლიცენზია შეიძლება გაიცეს, ასევე, ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, თუ გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში, მოცემულ ქვეყანაში არ გაყიდულა ამ გამოცემის არც ერთი ნებადართული ასლი ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით იმ ფასად, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში მსგავსი ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს.

(3) (2)(ა)(i) პუნქტში აღნიშნული პერიოდი შეადგენს ხუთ წელს, გარდა:

(i) საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების დარგის გამოცემებისთვის, მათემატიკისა და ტექნიკის ჩათვლით, რომლებსთვისაც ეს პერიოდი შეადგენს სამ წელს;

(ii) მხატვრული, პოეტური, დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისთვის, აგრეთვე, ხელოვნების დარგის წიგნებისთვის ეს პერიოდი შეადგენს შვიდ წელს.

(4)

(ა) ლიცენზია, რომლის მიღება შესაძლებელია სამი წლის შემდეგ, არ გაიცემა ამ მუხლის შესაბამისად, ვიდრე არ გავა ექვსთვიანი პერიოდი:

(i) იმ თარიღიდან, როდესაც განმცხადებელი შეასრულებს IV(1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს, ან

(ii) თუ უცნობია რეპროდუქციების უფლების მფლობელის ვინაობა ან მისამართი, იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი, IV(2) მუხლის შესაბამისად, გააგზავნის ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილი განცხადების ასლებს.

(ბ) თუ ლიცენზიების მიღება შესაძლებელია სხვა პერიოდების შემდეგ და გამოიყენება IV(2) მუხლი, განცხადების ასლების გაგზავნის თარიღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლამდე არ გაიცემა ლიცენზია.

(გ) თუ (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში მითითებული ექვსთვიანი ან სამთვიანი პერიოდის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა გავრცელებას, როგორც ეს აღწერილია (2)(ა) პუნქტში, ამ მუხლის შესაბამისად ლიცენზია არ გაიცემა.

(დ) ლიცენზია არ გაიცემა, თუ ავტორმა ამოიღო მიმოქცევიდან იმ გამოცემის ყველა ასლი, რომელზეც იყო რეპროდუქციებისა და გამოქვეყნების ლიცენზიის მოთხოვნა.

(5) ამ მუხლის თანახმად, არ გაიცემა ნაწარმოების თარგმანის რეპროდუქციებისა და გამოქვეყნების ლიცენზია შემდეგ შემთხვევებში:

(i) როდესაც თარგმანი არ იყო გამოქვეყნებული თარგმნის უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით, ან

(ii) როცა თარგმანი შესრულებულია იმ ენაზე, რომელიც არ წარმოადგენს იმ ქვეყანის საერთო სარგებლობის ენას, სადაც მოითხოვება ლიცენზია.

(6) თუ რეპროდუცირების უფლების მფლობელი პირის მიერ ან მისი ნებართვით, (1) პუნქტში აღნიშნულ ქვეყანაში ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით ვრცელდება ნაწარმოების გამოცემის ასლები იმ ფასად, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ამ მუხლის თანახმად გაცემული ნებისმიერი ლიცენზია წყვეტს მოქმედებას, თუ ამგვარი გამოცემა შესრულებულია იმავე ენაზე და ძირითადად იმავე შინაარსისაა, როგორც აღნიშნული ლიცენზიით გამოქვეყნებული გამოცემა. ლიცენზიის მოქმედების შეწყვეტამდე გამოცემული ნებისმიერი ასლების გავრცელება შეიძლება გაგრძელდეს მათი მარაგის ამოწურვამდე.

(7)

(ა) (ბ) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ეს მუხლი ვრცელდება ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე.

(ბ) ეს მუხლი, აგრეთვე, ვრცელდება კანონიერად განხორციელებული აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების აუდიო-ვიზუალური ფორმით რეპროდუცირებაზე, მათში ჩართული ნებისმიერი დაცული ნაწარმოების ჩათვლით, და მათში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმანზე იმ ქვეყანის საერთო სარგებლობის ენაზე, სადაც მოითხოვება ლიცენზია, იმ პირობით, თუ ყველა ამ შემთხვევაში აღნიშნული აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები გაკეთებული და გამოქვეყნებულია მხოლოდ სისტემატურ სწავლებაში გამოყენების მიზნით.

#### **მუხლი IV**

##### **საერთო დებულებები II და III მუხლების შესაბამისად გაცემული ლიცენზიისთვის:**

1. და 2. პროცედურა; 3. ნაწარმოების ავტორისა და სახელწოდების მითითება; 4. ასლების ექსპორტი; 5. შეტყობინება; 6. კომპენსაცია

(1) II ან III მუხლების შესაბამისად, ლიცენზიები შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ პირობით, თუ განმცხადებელი, ქვეყნის პროცედურის შესაბამისად დაამტკიცებს, რომ მან ნებართვისათვის მიმართა თარგმანის შესრულებასა და გამოქვეყნებაზე ან გამოცემის რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე უფლების მფლობელ პირს და უარი მიიღო მისგან ან, სათანადო ძალისხმევის მიუხედავად, ვერ შეძლო უფლების მფლობელი პირის დადგენა. ლიცენზიის



მოთხოვნისას განმცხადებელი ინფორმაციას აწვდის (2) პუნქტში მითითებულ ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს.

(2) თუ შეუძლებელია უფლების მფლობელი პირის დადგენა, ლიცენზიის მომთხოვნი ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილ განცხადების ასლებს შეკვეთილი ავიაფოსტით უგზავნის გამომცემელს, რომელიც მითითებულია ნაწარმოებზე და, აგრეთვე, ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს, რომელიც შეიძლება აღნიშნული იყოს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში იმ ქვეყნის მთავრობის მიერ, რომელშიც გამომცემელი სავარაუდოდ ახორციელებს თავის პროფესიულ საქმიანობას.

(3) II ან III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანის ან რეპროდუქციის ყველა ასლზე აღინიშნება ავტორის სახელი. ყველა ასეთ ასლზე იბეჭდება ნაწარმოების სახელწოდებაც. თარგმანის შემთხვევაში, ნაწარმოების ორიგინალის სახელწოდება, ნებისმიერ შემთხვევაში, იბეჭდება ყველა მითითებულ ასლზე.

(4)

(ა) II ან III მუხლების შესაბამისად გაცემული არანაირი ლიცენზია არ ვრცელდება ნაწარმოების ასლების ექსპორტზე და ძალაშია მხოლოდ თარგმანის გამოქვეყნებისას ან, შესაბამისად, რეპროდუცირებისას იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც იყო მისი მოთხოვნა.

(ბ) (ა) ქვეპუნქტის მიზნებისათვის ექსპორტის ცნება მოიცავს ასლების გაგზავნას ნებისმიერი ტერიტორიიდან იმ ქვეყანაში, რომელმაც I(5) მუხლის შესაბამისად გააკეთა განცხადება ამ ტერიტორიის მიმართ.

(გ) როცა იმ ქვეყნის სამთავრობო ან სხვა ორგანიზაცია, რომელმაც II მუხლის შესაბამისად გასცა ლიცენზია თარგმანის მომზადებაზე ნებისმიერ ენაზე, ინგლისური, ფრანგული ან ესპანური ენების გარდა, სხვა ქვეყანაში გზავნის ასეთი ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანის ასლებს, (ა) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ასლების ასეთი გაგზავნა არ ითვლება ექსპორტად, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

(i) ასლების მიმღებნი არიან ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მოქალაქეები, ან ის ორგანიზაციები, რომლებშიც ასეთი მოქალაქეები არიან გაერთიანებულნი;

(ii) ასლები გამოიყენება მხოლოდ სკოლებში, უნივერსიტეტებში ან კვლევების ჩატარების მიზნით;

(iii) ასლების გაგზავნა და მათი შემდგომი გავრცელება მიმდებარე შორის არ ემსახურება კომერციულ მიზნებს; და

(iv) ქვეყანა, რომელშიც იგზავნება ასლები, დაეთანხმა ქვეყანას, რომლის კომპეტენტურმა ორგანომ გასცა ლიცენზია, ნება დართოს მიღებაზე ან გავრცელებაზე, ან ორივეზე ერთად და ამ შეთანხმების შესახებ ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მთავრობამ შეატყობინა გენერალურ დირექტორს.

(5) II ან III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით გამოქვეყნებულ ყველა ასლზე სათანადო ენაზე აღნიშნულია, რომ ასლები ექვემდებარებიან გავრცელებას მხოლოდ იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება მოცემული ლიცენზია.

(6)

(ა) ეროვნულ დონეზე მიიღება სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

(i) ლიცენზიაში სამართლიანი კომპენსაციის გადახდის გათვალისწინება თარგმნის ან, შესაბამისად, რეპროდუქციების უფლების მფლობელის სასარგებლოდ, ჰონორარის იმ ნორმათა შესაბამისად, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ორ შესაბამის ქვეყანაში პირთა შორის ლიცენზიებზე თავისუფალი მოლაპარაკების დროს; და

(ii) კომპენსაციის გადახდა და გადაცემა: თუ მოქმედებენ განსაკუთრებული ეროვნული სავალუტო წესები, კომპეტენტური ორგანოები მიმართავენ სათანადო ზომებს, რათა საერთაშორისო მექანიზმების მეშვეობით უზრუნველყონ კომპენსაციის გადაყვანა საერთაშორისო კონვერტირებულ ვალუტაში ან მის ეკვივალენტში.

(ბ) ეროვნული კანონმდებლობა იღებს სათანადო ზომებს ნაწარმოების სწორად თარგმნის ან შესაბამისად, გარკვეული გამოცემის ზუსტი რეპროდუქციების უზრუნველსაყოფად.

## მუხლი V

### თარგმნის უფლების შეზღუდვის ალტერნატიული შესაძლებლობა:

1. 1886 და 1896 წლების აქტებში ამისათვის გათვალისწინებული პროცედურა;
2. II მუხლის თანახმად პროცედურის შეცვლის შეუძლებლობა;
3. ალტერნატიული შესაძლებლობის არჩევის ვადა

(1)

(ა) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც აქვს უფლება განაცხადოს, რომ ისარგებლებს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, ნაცვლად ამისა ამ აქტის რატიფიკაციისა ან მასთან შეერთების დროს შეუძლია:

(i) ამ დებულების თანახმად, გააკეთოს განცხადება თარგმნის უფლებასთან დაკავშირებით, თუ ის არის ქვეყანა, რომელზეც ვრცელდება 30(2)(ა) მუხლი.

(ii) თუ ის არის ქვეყანა, რომელზეც არ ვრცელდება 30(2)(ა) მუხლის დებულებები, და მაშინაც კი, თუ ის არ არის ქვეყანა, რომელიც არ შედის კავშირში, გააკეთოს განცხადება, როგორც ეს გათვალისწინებულია 30(2)(ბ) მუხლის პირველ წინადადებაში.

(ბ) თუ ქვეყანა აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, როგორც ეს გათვალისწინებულია I(1) მუხლით, ამ პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება ძალაში რჩება I(3) მუხლის შესაბამისად, გამოყენებული ვადის გასვლის თარიღამდე.

(გ) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ პუნქტის შესაბამისად, არ შეუძლია შემდგომში ისარგებლოს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით მაშინაც კი, თუ ის გამოითხოვს აღნიშნულ განცხადებას.

(2) (3) პუნქტის გათვალისწინებით, ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, არ შეუძლია შემდგომში განცხადების გაკეთება (1) პუნქტის თანახმად.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც I(1) მუხლის შესაბამისად აღარ მიიჩნევა განვითარებად ქვეყნად, შეუძლია I(3) მუხლის თანახმად დასაშვები პერიოდის გასვლამდე არაუგვიანეს ორი წლისა, გააკეთოს განცხადება 30(2)(ბ) მუხლის პირველ წინადადებაში გათვალისწინებული მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ქვეყანა, რომელიც კავშირში არ შედის. ასეთი განცხადება ძალაში შედის იმ დროს, როცა ამოიწურება I(3) მუხლის თანახმად დასაშვები ვადა.

## მუხლი VI

### დამატებითი კარის ზოგიერთი დებულებების გამოყენების შესაძლებლობები ან გამოყენების დაშვება სანამ ქვეყნები მისით შეიბოჭებიან:

#### 1. განცხადება;

#### 2. განცხადების შესანახად გადაცემა და ძალაში შესვლის თარიღი

(1) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, დაწყებული ამ აქტის მიღების თარიღიდან და ნებისმიერ დროს, ვიდრე მას დაეკისრება ვალდებულება 1-21 მუხლებითა და ამ დამატებითი კარით, შეუძლია განაცხადოს:

- (i) თუ ის არის ქვეყანა, რომელსაც 1-21 მუხლებითა და ამ დამატებითი კარით ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში, ექნებოდა უფლება ესარგებლა I(1) მუხლში აღნიშნული შეღავათებით, იგი გამოიყენებს II ან III მუხლის დებულებებს ან ორივეს ერთად იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომელიც ქვემოთ მოყვანილი (ii) ქვეპუნქტის თანახმად, უშვებს ამ მუხლების გამოყენებას ასეთი ნაწარმოებების მიმართ ან რომელსაც ეკისრება ვალდებულება 1-21 მუხლებითა და ამ დამატებითი კარით; ასეთი განცხადება II მუხლის ნაცვლად, შეიძლება ეყრდნობოდეს V მუხლს;
- (ii) უშვებს ამ დამატებითი კარის გამოყენებას იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა თვითონ არის, იმ ქვეყნების მიერ, რომლებმაც გააკეთეს განცხადება (i) ქვეპუნქტის თანახმად, ან გააკეთეს შეტყობინება I მუხლის შესაბამისად.

(2) ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებულია (1) პუნქტის თანახმად, უნდა იყოს წერილობითი ფორმის და შესანახად უნდა გადაეცეს გენერალურ დირექტორს.

**საერთაშორისო კონვენცია  
შემსრულებლების, ფონოგრამების  
დამამზადებლებისა და სამაუწყებლო  
ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ**

**რომის კონვენცია, 1961**

მონაწილე სახელმწიფოები, რომელთაც ამოძრავებდათ შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებების დაცვის სურვილი, შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1**

**საავტორო უფლებების დაცვის გარანტია<sup>1</sup>**

ამ კონვენციით მინიჭებული დაცვა ხელუხლებლად ტოვებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვას და არანაირად არ ახდენს შემოქმედებას მასზე. შესაბამისად, კონვენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება იქნეს გაგებული, როგორც ასეთი დაცვის შემლახველი.

**მუხლი 2**

**კონვენციით მინიჭებული დაცვა.  
ეროვნული რეჟიმის განსაზღვრა**

(1) ამ კონვენციის მიზნებისათვის, ეროვნული რეჟიმი ნიშნავს რეჟიმს, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობით ავრცელებს ის მონაწილე სახელმწიფო, რომელშიც მოთხოვნილია დაცვა:

(ა) შემსრულებლებზე, რომლებიც არიან მისი მოქალაქეები, იმ შესრულებების მიმართ, რომლებიც სრულდება, გადაიცემა ეთერით,

<sup>1</sup> კონვენციის ტექსტით სარგებლობის გაადვილების მიზნით, მუხლები დასათაურებულია ხელმოწერილ ტექსტში სათაურები არ არის.

ან პირველად ჩაინერება მის ტერიტორიაზე;

(ბ) ფონოგრამების მწარმოებლებზე, რომლებიც არიან მისი მოქალაქეები, იმ ფონოგრამების მიმართ, რომელიც პირველად ჩაინერა ან პირველად გამოქვეყნდა მის ტერიტორიაზე;

(გ) სამაუწყებლო ორგანიზაციებზე, რომელთა შტაბ-ბინები განლაგებულია მის ტერიტორიაზე, იმ საეთერო გადაცემების მიმართ, რომლებიც განხორციელდა მის ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემების მეშვეობით.

(2) ეროვნული რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციით უზრუნველყოფილ სპეციალურ დაცვასა და მასში გათვალისწინებულ სპეციალურ შეზღუდვებს.

### **მუხლი 3**

**განსაზღვრება: (ა) შემსრულებლები; (ბ) ფონოგრამა;  
(გ) ფონოგრამების დამამზადებლები; (დ) გამოქვეყნება;  
(ე) რეპროდუცირება; (ვ) ეთერით გადაცემა;  
(ზ) ეთერით ხელახლა გადაცემა**

ამ კონვენციის მიზნებისთვის:

(ა) „შემსრულებლები“ ნიშნავს მსახიობებს, მომღერლებს, მუსიკოსებს, მოცეკვავეებს და სხვა პირებს, რომლებიც ასრულებენ როლს, მღერიან, კითხულობენ, დეკლამირებენ, უკრავენ ან სხვაგვარად მონაწილეობენ ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების შესრულებაში;

(ბ) „ფონოგრამა“ ნიშნავს შესრულების ხმების ან სხვა ხმების ნებისმიერ მხოლოდ ხმოვან ჩანაწერს;

(გ) „ფონოგრამების დამამზადებელი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც პირველი ახორციელებს შესრულების ხმების ან სხვა ხმების ხმოვან ჩანაწერას;

(დ) „გამოქვეყნება“ ნიშნავს საზოგადოებისთვის ფონოგრამის ასლების გონივრული რაოდენობით შეთავაზებას;

(ე) „რეპროდუცირება“ ნიშნავს ჩანაწერის ასლის ან ასლების დამამზადებას;

(ვ) „ეთერით გადაცემა“ ნიშნავს უსადენო საშუალებებით საზოგადოების მიერ მიღების მიზნით, ხმების ან გამოსახულებებისა და ხმების გადაცემას;

(ზ) „ეთერით ხელმეორედ გადაცემა“ ნიშნავს ერთი სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის საეთერო გადაცემის ეთერით ერთდროულ გადაცემას.



**მუხლი 4**  
**დაცული შესრულებები. შემსრულებლებისათვის დაცვის**  
**მინიჭების პირობები**

ყოველი მონაწილე სახელმწიფო შემსრულებლებზე ავრცელებს ეროვნულ რეჟიმს, თუ დაკმაყოფილებულია რომელიმე შემდეგი პირობა:

- (ა) შესრულებას ადგილი აქვს სხვა მონაწილე სახელმწიფოში;
- (ბ) შესრულება ჩართულია ფონოგრამაში, რომელიც დაცულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად;
- (გ) შესრულება, რომელიც არ არის ჩანერილი ფონოგრამაზე, გადაიცემა ამ კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად დაცული საეთერო გადაცემის მეშვეობით.

**მუხლი 5**  
**დაცული ფონოგრამები:**

1. ფონოგრამების დამამზადებლებისათვის დაცვის მინიჭების პირობები; 2. ერთდროული გამოქვეყნება; 3. გარკვეული კრიტერიუმების არგამოყენების უფლება

(1) ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ ფონოგრამების დამამზადებლებზე უნდა გაავრცელოს ეროვნული რეჟიმი იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- (ა) ფონოგრამის დამამზადებელი სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეა (მოქალაქეობის კრიტერიუმი);
- (ბ) ხმის პირველი ჩანერა განხორციელდა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (ჩანერის კრიტერიუმი);
- (გ) ფონოგრამა პირველად გამოქვეყნდა სხვა მონაწილე სახელმწიფოში (გამოქვეყნების კრიტერიუმი).

(2) თუ ფონოგრამა პირველად გამოქვეყნდა სახელმწიფოში, რომელიც არ არის ამ კონვენციის მონაწილე, მაგრამ პირველი გამოქვეყნებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში გამოქვეყნდა, აგრეთვე, მონაწილე სახელმწიფოში (ერთდროული გამოქვეყნება), ის ჩაითვლება პირველად გამოქვეყნებულად მონაწილე სახელმწიფოში.

(3) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შეტყობინების საშუალებით განაცხადოს, რომ იგი არ გამოიყენებს გამოქვეყნების კრიტერიუმს ან ჩანერის კრიტერიუმს. ასეთი შეტყობინების შესანახად გადაცემა შეიძლება განხორციელდეს რატიფიკაციისას, მიღებისას,

შევრთებისას, ან უფრო გვიან ნებისმიერ დროს; ბოლო შემთხვევაში შეტყობინება ძალაში შევა შესანახად გადაცემიდან 6 თვის შემდეგ.

## **მუხლი 6**

### **დაცული საეთერო გადაცემები:**

1. სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის დაცვის მინიჭების პირობები;
2. დათქმის გაკეთების უფლება

(1) ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ სამაუწყებლო ორგანიზაციებზე უნდა გაავრცელოს ეროვნული რეჟიმი, თუ დაკმაყოფილებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

(ა) სამაუწყებლო ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს სხვა მონაწილე სახელმწიფოში;

(ბ) ეთერით გადაცემა განხორციელდა სხვა მონაწილე სახელმწიფოში მდებარე გადამცემი საშუალებით.

(2) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შესანახად გადაცემული შეტყობინების საშუალებით, შეუძლია განაცხადოს, რომ ის განახორციელებს საეთერო გადაცემების დაცვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამაუწყებლო ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს სხვა მონაწილე სახელმწიფოში და ეს გადაცემა განხორციელდა ამავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე გადამცემის საშუალებით. ასეთი შეტყობინების შესანახად გადაცემა შეიძლება განხორციელდეს რატიფიკაციისას, მიღებისას, ან შევრთებისას ან უფრო გვიან ნებისმიერ დროს; ბოლო შემთხვევაში, შეტყობინება ძალაში შევა მისი შესანახად გადაცემიდან ექვსი თვის შემდეგ.

## **მუხლი 7**

### **შემსრულებთა უფლებების მინიმალური დაცვა:**

1. განსხვავებული უფლებები; 2. ურთიერთობა შემსრულებლებსა და სამაუწყებლო ორგანიზაციებს შორის

(1) დაცვა, რომელიც ამ კონვენციით გათვალისწინებულია შემსრულებლებისათვის, უნდა შეიცავდეს შესაძლებლობას, არ დაუშვან:

(ა) მათი ნებართვის გარეშე შესრულების ეთერით გადაცემა და საჯარო გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეთერით გადაცემის ან საჯარო გადაცემისთვის გამოყენებული შესრულება უკვე იყო ეთერით გადაცემული ან ხორციელდება შესრულების ჩანაწერის გამოყენებით;

(ბ) მათი თანხმობის გარეშე, იმ შესრულების ჩაწერა, რომელიც არ იყო ჩაწერილი;

(გ) მათი თანხმობის გარეშე, შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირება თუ:

(i) თავად ორგინალური ჩანაწერი გაკეთდა მათი თანხმობის გარეშე;

(ii) რეპროდუცირება ხორციელდება არა იმ მიზნებისათვის, რისთვისაც შემსრულებლებმა მისცეს თანხმობა;

(iii) ორიგინალური ჩანაწერი განხორციელდა მე-15 მუხლის დებულებების შესაბამისად, ხოლო რეპროდუცირება ხორციელდება ამ დებულებებით განსაზღვრული მიზნებისაგან განსხვავებული მიზნებისათვის.

(2) (1) თუ ეთერით გადაცემა ხორციელდება შემსრულებლების ნებართვით, მაშინ დაცვა ეთერით ხელახლა გადაცემისაგან, ეთერით გადაცემის მიზნით ჩაწერის განხორციელებისა და ასეთი ჩანაწერის რეპროდუცირებისაგან წარმოადგენს იმ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით რეგულირების საგანს, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(2) სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ ეთერით გადაცემის მიზნით გაკეთებული ჩანაწერების გამოყენების წესი და პირობები განისაზღვრება იმ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(3) მიუხედავად აღნიშნულისა, ამ პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტებში ნახსენები ეროვნული კანონმდებლობა შემსრულებლებს არ უნდა ართმევდეს, ხელშეკრულების მეშვეობით, სამაუწყებლო ორგანიზაციებთან ურთიერთობების კონტროლის შესაძლებლობას.

## მუხლი 8

### ერთობლივად მონაწილე შემსრულებლები

თუ რამდენიმე შემსრულებელი მონაწილეობს ერთსა და იმავე შესრულებაში, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ეროვნული კანონმდებლობითა და წესებით განსაზღვროს, თუ რა სახით იქნებიან შემსრულებლები წარმოდგენილნი თავიანთი უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

## **მუხლი 9**

### **ვარიეტესა და ცირკის მსახიობები**

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, თავისი ეროვნული კანონმდებლობითა და წესებით გაავრცელოს ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა მსახიობებზე, რომლებიც არ ასრულებენ ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებს.

## **მუხლი 10**

### **ფონოგრამების დამამზადებლების რეპროდუქციების უფლება**

ფონოგრამების დამამზადებლებს უფლება აქვთ ნება დართონ ან აკრძალონ თავისი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუქცირება.

## **მუხლი 11**

### **ფორმალობები ფონოგრამებთან დაკავშირებით**

თუ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა ფონოგრამების დამამზადებლების ან შემსრულებლებისათვის, ან ორივე ამ კატეგორიისათვის, დაცვის მინიჭების პირობად მოითხოვს გარკვეულ ფორმალობათა დაცვას, ეს ფორმალობები ითვლება შესრულებულად, თუ გამოქვეყნებული ფონოგრამის ბრუნვაში გაშვებულ ყველა ასლზე ან მათ შეფუთვაზე გაცემებული წარწერა, რომელიც შედგება ნიშნისაგან © და პირველი გამოქვეყნების წლისაგან, მოთავსებულია ისე, რომ უზრუნველყოს მკაფიო მითითება იმაზე, რომ ფონოგრამა დაცულია; თუ ასლები ან მათი შეფუთვა არ იძლევა დამამზადებლის ან დამამზადებლის ლიცენზიატის იდენტიფიცირების საშუალებას (მისი სახელის, სასაქონლო ნიშნის ან სხვა შესაბამისი აღნიშვნის მეშვეობით), მაშინ, აგრეთვე, უნდა შეიცავდეს დამამზადებლის უფლებების მფლობელის სახელს; გარდა ამისა, თუ ასლები ან მათი შეფუთვა არ იძლევა ძირითადი შემსრულებლების იდენტიფიცირების საშუალებას, მაშინ წარწერა, აგრეთვე, უნდა შეიცავდეს იმ პირის სახელს, რომელსაც ეკუთვნის ასეთი შემსრულებლების უფლებები იმ ქვეყანაში, სადაც განხორციელდა ჩანერა.

## **მუხლი 12**

### **ფონოგრამების მეორადი გამოყენება**

თუ კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამა, ან ასეთი ფონოგრამის რეპროდუქცია გამოიყენება უშუალოდ

ეთერთ გადაცემის ან ნებისმიერი სახით საჯარო გაცნობისათვის, მოსარგებლემ უნდა გადაუხადოს ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება შემსრულებელს ან ფონოგრამის დამამზადებელს ან ორივეს ერთად. მხარეებს შორის შეთანხმების არარსებობისას, ანაზღაურების განაწილების პირობები შეიძლება განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით.

### **მუხლი 13**

#### **სამაუნწყებლო ორგანიზაციების მინიმალური უფლებები**

სამაუნწყებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ ნება დართონ ან აკრძალონ:

- (ა) თავისი საეთერო გადაცემების ეთერთ ხელახლა გადაცემა;
- (ბ) თავისი საეთერო გადაცემების ჩაწერა;
- (გ) რეპროდუცირება:

(i) თავისი საეთერო გადაცემების ჩანაწერების, რომლებიც გაკეთდა მათი თანხმობის გარეშე;

(ii) თავისი საეთერო გადაცემების ჩანაწერების, რომლებიც დამზადდა მე-15 მუხლის დებულებების შესაბამისად, თუ რეპროდუცირება ხორციელდება იმ მიზნებისათვის, რომლებიც განსხვავდება ამ დებულებებით განსაზღვრული მიზნებისაგან;

(დ) თავისი სატელევიზიო გადაცემების გამოყენება საჯარო გაცნობისათვის, თუ ის ხორციელდება იმ ადგილებში, სადაც საზოგადოების შესვლა ფასიანია; ამ უფლების გამოყენების პირობები განისაზღვრება იმ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

### **მუხლი 14**

#### **დაცვის მინიმალური ვადა**

ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 20 წელს, რომელიც აითვლება იმ წლის დასასრულიდან, როდესაც:

(ა) განხორციელდა ჩაწერა – ფონოგრამებისა და მათში ჩართული შესრულებებისათვის;

(ბ) მოხდა შესრულება – შესრულებებისათვის, რომლებიც არ არიან ჩართული ფონოგრამაში;

(გ) განხორციელდა ეთერთ გადაცემა – საეთერო გადაცემებისათვის.

## მუხლი 15

### ნებადართული გამონაკლისები:

1. სპეციალური შეზღუდვები; 2. საავტორო უფლებების შეზღუდვების ტოლფასი შეზღუდვები

(1) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია თავისი ეროვნული კანონმდებლობითა და წესებით გაითვალისწინოს კონვენციით გარანტირებული დაცვის შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება:

- (ა) პირად გამოყენებას;
- (ბ) მოკლე ნაწყვეტების გამოყენებას მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას;
- (გ) ხანმოკლე გამოყენებისათვის განკუთვნილ ხმოვან ჩანაწერებს, რომლებიც ხორციელდება სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ საკუთარი მონაცემებით საკუთარი გადაცემებისათვის;
- (დ) მხოლოდ სწავლების ან სამეცნიერო კვლევის მიზნით გამოყენებას.

(2) მიუხედავად ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებისა, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, თავისი ეროვნული კანონმდებლობითა და წესებით, შეუძლია გაითვალისწინოს ისეთივე შეზღუდვები შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვასთან დაკავშირებით, როგორც გათვალისწინებულია მისი ეროვნული კანონმდებლობითა და წესებით ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. თუმცა, იძულებითი ლიცენზიების გაცემა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად.

## მუხლი 16

### დათქმები

(1) ნებისმიერი სახელმწიფო, ხდება რა კონვენციის მონაწილე, თავის თავზე იღებს კონვენციიდან გამომდინარე ყველა ვალდებულებას და სარგებლობს მისგან გამომდინარე ყველა უპირატესობით. თუმცა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეტყობინების შესანახად გადაცემის საშუალებით მას შეუძლია ნებისმიერ დროს გააკეთოს განცხადება, რომ:

- (ა) მე-12 მუხლთან დაკავშირებით:
  - (i) არ გამოიყენებს ამ მუხლის დებულებებს;
  - (ii) არ გამოიყენებს ამ მუხლის დებულებებს გარკვეული სახის



გამოყენების მიმართ;

(iii) არ გამოიყენებს ამ მუხლს იმ ფონოგრამების მიმართ, რომელთა დამამზადებელი არ არის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე;

(iv) შეზღუდავს ამ მუხლით გათვალისწინებულ დაცვის ფარგლებს იმ ფონოგრამების მიმართ, რომელთა დამამზადებელი არის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე, იმ ფარგლებითა და ვადით, რომლითაც ეს უკანასკნელი სახელმწიფო ანიჭებს დაცვას იმ ფონოგრამებს, რომელთა პირველი ჩანერა განახორციელა იმ სახელმწიფოს მოქალაქემ, რომელმაც გააკეთა განცხადება; თუმცა, ის ფაქტი, რომ მონაწილე სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც არის ფონოგრამის დამამზადებელი, არ ანიჭებს დაცვას იმავე ბენეფიციარს ან ბენეფიციარებს, რომელსაც სახელმწიფო, რომელმაც გააკეთა განცხადება, არ უნდა იქნეს მიჩნეული განსხვავებად დაცვის ფარგლებს შორის;

(ბ) რაც შეეხება მე-13 მუხლს, ის არ გამოიყენებს ამავე მუხლის (დ) პუნქტს; თუ მონაწილე სახელმწიფო აკეთებს ასეთ განცხადებას, მაშინ სხვა მონაწილე სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, მიანიჭონ მე-13 მუხლის (დ) პუნქტით გათვალისწინებული უფლება იმ სამაუწყებლო ორგანიზაციებს, რომელთა შტაბ-ბინები მდებარეობს ამ სახელმწიფოში.

(2) თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შეტყობინება განხორციელებულია რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების აქტის შესანახად გადაცემის თარიღის შემდგომ, განცხადება ძალაში შედის მისი შესანახად გადაცემის თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

## მუხლი 17

### გარკვეული ქვეყნები, რომლებიც იყენებენ მხოლოდ „პირველი ჩანერის“ კრიტერიუმს

ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც 1961 წლის 26 ოქტომბრისათვის ფონოგრამების დამამზადებლებს ანიჭებს დაცვას მხოლოდ ჩანერის კრიტერიუმის საფუძველზე, შეუძლია რატიფიკაციის, მიღების ან შეერთებისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის გადაცემული შეტყობინების საშუალებით განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისათვის ის გამოიყენებს მხოლოდ ჩანერის კრიტერიუმს, ხოლო მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) (iii) და (iv) ქვეპუნქტების მიზნებისათვის, მოქალაქეობის კრიტერიუმის ნაცვლად – ჩანერის კრიტერიუმს.

## **მუხლი 18**

### **დათქმების გამოთხოვნა**

ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც შესაძლებელი გააქონა შეტყობინება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის ან მე-17 მუხლის შესაბამისად, შეუძლია შეზღუდოს მისი ფარგლები ან გამოითხოვოს ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შემდგომი შეტყობინების გადაცემის გზით.

## **მუხლი 19**

### **შემსრულებლების უფლებები ფილმში**

ამ კონვენციის დებულებების მიუხედავად, კონვენციის მე-7 მუხლი არ გამოიყენება, თუ შემსრულებელი დათანხმდა მისი შესრულების ჩართვაზე ვიზუალურ ან აუდიო-ვიზუალურ ჩანაწერში.

## **მუხლი 20**

### **უკუძალის არარსებობა**

(1) ეს კონვენცია არ ლახავს უფლებებს, რომლებიც მოპოვებული იყო ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოში მის მიმართ კონვენციის ამოქმედების თარიღამდე.

(2) არც ერთი მონაწილე სახელმწიფო არ არის ვალდებული გამოიყენოს ამ კონვენციის დებულებები იმ შესრულებებისა და საეთერო გადაცემებისათვის, რომლებსაც ჰქონდა ადგილი ან ფონოგრამებისათვის, რომელთა ჩაწერა განხორციელდა ამ სახელმწიფოში კონვენციის ძალაში შესვლის თარიღამდე.

## **მუხლი 21**

### **სხვა სახის დაცვის შენარჩუნება**

ამ კონვენციით მინიჭებული დაცვა არ ლახავს ნებისმიერ სხვა დაცვას, რომლითაც უზრუნველყოფილნი არიან შემსრულებლები, ფონოგრამის დამამზადებლები ან სამაუწყებლო ორგანიზაციები.

## **მუხლი 22**

### **სპეციალური შეთანხმებები**

მონაწილე სახელმწიფოები იტოვებენ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებების დადების უფლებას იმდენად, რამდენადაც ასეთი

შეთანხმებები ითვალისწინებს შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის უფრო ფართო უფლებების მინიჭებას, ვიდრე გათვალისწინებულია ამ კონვენციით ან შეიცავენ სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას.

### **მუხლი 23**

#### **ხელმოწერა და შესანახად გადაცემა**

კონვენციის შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. ის ღიაა ხელმოსაწერად 1962 წლის 30 ივნისამდე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც მონვეულია შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებათა საერთაშორისო დაცვის დიპლომატიურ კონფერენციაზე და არის საავტორო უფლებების შესახებ უნივერსალური კონვენციის მონაწილე ან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

### **მუხლი 24**

#### **კონვენციაში მონაწილეობა**

(1) ეს კონვენცია უნდა იქნეს რატიფიცირებული ან მიღებული ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ.

(2) ეს კონვენცია ღიაა მისაერთებლად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც მიწვეულია 23-ე მუხლში მითითებულ კონფერენციაზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის იმ პირობით, რომ ორივე შემთხვევაში ასეთი სახელმწიფო არის საავტორო უფლებების შესახებ უნივერსალური კონვენციის მონაწილე ან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

(3) რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების აქტები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.

### **მუხლი 25**

#### **ძალაში შესვლა**

(1) ეს კონვენცია ამოქმედდება რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების მეექვსე აქტის შესანახად გადაცემის თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

(2) შემდგომ ეს კონვენცია ძალაში შევა თითოეული სახელმწიფოს მიმართ რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების აქტის შესანახად გადაცემის თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

### **მუხლი 26**

#### **კონვენციის გამოყენება ეროვნული კანონმდებლობების ნორმებით**

(1) თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას თავისი კონსტიტუციის შესაბამისად მიიღოს აუცილებელი ზომები ამ კონვენციის დებულებების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

(2) ყოველ სახელმწიფოს რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების აქტის შესანახად გადაცემის თარიღისათვის უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს ამ კონვენციის დებულებების ამოქმედება.

### **მუხლი 27**

#### **კონვენციის გამოყენება ზოგიერთი ტერიტორიის მიმართ**

(1) ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების დროს, ან შემდგომში ნებისმიერ სხვა დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით განაცხადოს, რომ ეს კონვენცია გამოიყენება ყველა ან ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც მას ეკისრება პასუხისმგებლობა, იმ პირობით, რომ ამ ტერიტორიებზე ვრცელდება საავტორო უფლებების შესახებ უნივერსალური კონვენცია ან ლიტერატურულისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია. აღნიშნული შეტყობინება ძალაში შედის მისი შესანახად გადაცემის თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

(2) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-16 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-17 და მე-18 მუხლებში აღნიშნული შეტყობინება შეიძლება გავრცელდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ყველა ან ერთ რომელიმე ტერიტორიაზე.

### **მუხლი 28**

#### **კონვენციის დენონსირება**

(1) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის

დენონსირება თავისი სახელით ან 27-ე მუხლში მითითებული ყველა ან ერთი რომელიმე ტერიტორიის სახელით.

(2) დენონსაცია ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი შეტყობინების გზით და ძალაში შედის შეტყობინების მიღებიდან 12 თვის შემდეგ.

(3) მონაწილე სახელმწიფოს მიერ დენონსაციის უფლება არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მის მიმართ კონვენციის ამოქმედებიდან ხუთი წლის განმავლობაში.

(4) მონაწილე სახელმწიფო წყვეტს კონვენციის წევრობას მას შემდეგ, რაც აღარ იქნება საავტორო უფლებების შესახებ უნივერსალური კონვენციის მონაწილე ან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი.

(5) ეს კონვენცია აღარ გამოიყენება 27-ე მუხლში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიაზე შეწყდება საავტორო უფლებების შესახებ უნივერსალური კონვენციის ან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის გამოყენება.

## **მუხლი 29**

### **კონვენციის გადასინჯვა**

(1) ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით, შეუძლია ითხოვოს კონვენციის მოწვევა კონვენციის გადასინჯვის მიზნით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ყველა მონაწილე სახელმწიფოს ატყობინებს ამ თხოვნის შესახებ. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის შეტყობინების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოების არანაკლებ ნახევარი განაცხადებს თანხმობას, გენერალური მდივანი ამის შესახებ შეატყობინებს შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორსა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს, რომლებიც მოიწვევენ გადამსინჯველ კონვენციას 32-ე მუხლით გათვალისწინებულ სამთავრობათაშორისო კომიტეტთან ერთად.

(2) ამ კონვენციის ნებისმიერი გადასინჯვის მისაღებად საჭიროა გადამსინჯველ კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოების ხმათა ორი მესამედი, იმ პირობით, რომ აღნიშნული უმრავლესობა მოიცავს იმ სახელმწიფოების ორ მესამედს, რომლებიც გადამსინჯველი კონფერენციის ჩატარების თარიღისათვის არიან ამ კონვენციის წევრები.

(3) კონვენციის მიღების შემთხვევაში, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ცვლის ამ კონვენციას და თუ, გადამსინჯულ კონვენციაში სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული:

(ა) ეს კონვენცია აღარ იქნება ღია რატიფიკაციის, მიღების ან შეერთებისათვის გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან;

(ბ) ეს კონვენცია ძალაში რჩება იმ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით ან მათ მიმართ, რომლებიც არ არიან გადასინჯული კონვენციის წევრები.

### **მუხლი 30 დავების გადანაცვლა**

ნებისმიერი დავა, ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის, ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან მის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც ვერ გადაწყდა მოლაპარაკების გზით, ნებისმიერი მხარის მოთხოვნით შეიძლება განსახილველად გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს, თუ დაინტერესებული სახელმწიფოები არ შეთანხმდებიან დავის გადანაცვეტის სხვა წესზე.

### **მუხლი 31 დათქმების შეზღუდვა**

ამ კონვენციით არ დაიშვება დათქმის გაკეთება, თუ ის არ ეხება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის დებულებებს.

### **მუხლი 32 სამთავრობათაშორისო კომიტეტი**

(1) კონვენციით ფუძნდება სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომლის მოვალეობებშიც შედის:



(ა) ამ კონვენციის გამოყენებასა და მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა; და

(ბ) ამ კონვენციის შესაძლო გადასინჯვის მიზნით, წინადადებების შეგროვება და დოკუმენტების მომზადება.

(2) კომიტეტი შედგება მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც შეირჩევიან სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპის გათვალისწინებით. კომიტეტი შედგება ექვსი წევრისაგან, თუ მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა არის თორმეტი ან ნაკლები, ცხრა წევრისაგან – თუ მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა ცამეტიდან თვრამეტამდეა და თორმეტი წევრისაგან – თუ მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი თვრამეტზე მეტია.

(3) კომიტეტი დაკომპლექტდება კონვენციის ამოქმედებიდან თორმეტი თვის შემდეგ, წევრი სახელმწიფოების მონაწილეობით ჩატარებული არჩევნების გზით, რომელშიც თითოეულ სახელმწიფოს აქვს ერთი ხმის უფლება და რომლის ორგანიზებას, მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ წინასწარ დადგენილი წესით ახორციელებენ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორი.

(4) კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარესა და თანამდებობის პირებს, იღებს პროცედურის წესებს, რომლებიც განსაზღვრავს მომავალში კომიტეტის ფუნქციებსა და მისი შემადგენლობის განახლების წესს; ეს წესები უზრუნველყოფს როტაციის პრინციპის დაცვას სხვადასხვა მონაწილე სახელმწიფოს შორის.

(5) კომიტეტის სამდივნო შედგება შრომის საერთაშორისო ბიუროს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს თანამშრომლებისაგან, რომლებსაც ნიშნავენ, შესაბამისად, ორი გენერალური დირექტორი და ორგანიზაციის დირექტორი.

(6) კომიტეტის სხდომები, რომლებსაც იწვევენ მაშინ, როცა ამას მიზანშეწონილად მიიჩნევენ წევრთა უმრავლესობა, ტარდება რიგრიგობით შრომის საერთაშორისო ბიუროს, გაერთიანებული

ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს შტაბ-ბინებში.

(7) კომიტეტის წევრების ხარჯებს ანაზღაურებენ შესაბამისი მთავრობები.

### **მუხლი 33 ენები**

(1) ეს კონვენცია შედგენილია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ამასთან, კონვენციის სამივე ტექსტი ავთენტიკურია.

(2) ამ კონვენციის ოფიციალური ტექსტები უნდა შემუშავდეს, ასევე, გერმანულ, იტალიურ და პორტუგალიურ ენებზეც.

### **მუხლი 34 შეტყობინება**

(1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი 23-ე მუხლში მითითებულ კონფერენციაზე მოწვეულ სახელმწიფოებსა და ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორსა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს ატყობინებს:

(ა) რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების აქტის შესანახად გადაცემის შესახებ;

(ბ) კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს;

(გ) ამ კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინების, განცხადების ან უწყების თაობაზე;

(დ) 28-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ვითარების წარმოქმნის თაობაზე.

(2) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს, აგრეთვე, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორსა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო

კავშირის ბიუროს დირექტორს იმ თხოვნების შესახებ, რომლებიც მას აცნობეს კონვენციის 29-ე მუხლის შესაბამისად და, ასევე, სხვა ნებისმიერი შეტყობინების შესახებ, რომელსაც იგი მიიღებს მონაწილე სახელმწიფოებისაგან კონვენციის გადასინჯვასთან დაკავშირებით.

რის დასტურადაც ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელს ვაწერთ ამ კონვენციას.

შესრულებულია რომში, 1961 წლის 26 ოქტომბერს თითო ასლად ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. სათანადო წესით დამოწმებულ ასლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გადასცემს ყველა სახელმწიფოს, რომელიც მონვეული იყო კონფერენციაზე 23-ე მუხლის შესაბამისად, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს, აგრეთვე, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორსა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროს დირექტორს.

**შეთანხმება ინტელექტუალური  
საკუთრების უფლებების გაჭრობასთან  
დაკავშირებული ასპექტების შესახებ**

**TRIPS შეთანხმება, 1994 წ.**

[მუხლები: 1-14; 41-61, 63, 64; 70(5)]

**ნაწილი I**

**ზოგადი დებულებები და ძირითადი პრინციპები**

**მუხლი 1**

**ვალდებულებათა არსი და ფარგლები**

1. წევრ ქვეყნებს მოქმედებაში მოჰყავთ ამ შეთანხმების დებულებები. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ, მაგრამ არ არიან ვალდებული, თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინონ უფრო ფართო დაცვა, ვიდრე მოითხოვება ამ შეთანხმებით, იმ პირობით, რომ ამგვარი დაცვა არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების დებულებებს. წევრ ქვეყნებს აქვთ სრული თავისუფლება თავისი სამართლებრივი სისტემისა და პრაქტიკის ფარგლებში განსაზღვრონ ამ შეთანხმების დებულებების შესრულების სათანადო მეთოდი.

2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება“ ეხება ინტელექტუალური საკუთრების ყველა კატეგორიას, რომლებიც II ნაწილის 1-7 კარის განხილვის ობიექტს წარმოადგენს.

3. წევრი ქვეყნები ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ რეჟიმს ანიჭებენ სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებს<sup>1</sup>. ინტელექტუალური საკუთრების შესაბამის უფლებასთან დაკავშირებით, სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებად მიიჩნევიან ის ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ პარიზის კონვენციით (1967წ.),

<sup>1</sup> ამ შეთანხმებაში „მოქალაქეები“, ვმო-ს წევრი ქვეყნის ცალკე საბაჟო ტერიტორიის შემთხვევაში, აღნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომლებსაც აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ან ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან სავაჭრო სანარმო ამ საბაჟო ტერიტორიაზე.

ბერნის კონვენციით (1971წ.), რომის კონვენციითა და ინტელექტუალური მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის მინიჭების კრიტერიუმებს, ისე თითქოს ვმო-ს ყველა წევრი ქვეყანა ამ კონვენციების მონაწილე იყოს<sup>2</sup>. ნებისმიერი წევრი ქვეყანა, რომელიც სარგებლობს რომის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, ატყობინებს ამის შესახებ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების საბჭოს (TRIPS-ის საბჭო), როგორც გათვალისწინებულია აღნიშნულ დებულებებში.

## მუხლი 2

### კონვენციები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში

1. ამ შეთანხმების II, III და IV ნაწილების მიმართ, წევრი ქვეყნები იცავენ პარიზის კონვენციის (1967წ.) 1-12 მუხლებისა და მე-19 მუხლის დებულებებს.

2. ამ შეთანხმების I-IV ნაწილებში არაფერი ზღუდავს არსებულ ვალდებულებებს, რომლებიც ერთმანეთის მიმართ შეიძლება ჰქონდეთ წევრ ქვეყნებს პარიზის კონვენციის, ბერნის კონვენციის, რომის კონვენციისა და ინტელექტუალური მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

## მუხლი 3

### ეროვნული რეჟიმი

1. ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან<sup>3</sup> დაკავშირებით, თითოეული წევრი ქვეყანა სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებზე

<sup>2</sup> ამ შეთანხმებაში „პარიზის კონვენცია“ აღნიშნავს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას; „პარიზის კონვენცია (1967წ.)“ აღნიშნავს ამ კონვენციის 1967 წლის 14 ივლისის სტოკჰოლმის აქტს; „ბერნის კონვენცია“ ნიშნავს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციას; „ბერნის კონვენცია (1971წ.)“ აღნიშნავს ამ კონვენციის 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტს. „რომის კონვენცია“ ნიშნავს შემსრულებელთა, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენციას, რომელიც მიღებულია რომში 1961 წლის 26 ოქტომბერს. „ინტელექტუალური მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელშეკრულება“ (IPIC ხელშეკრულება) აღნიშნავს ხელშეკრულებას ინტელექტუალური მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, რომელიც მიღებულია ვაშინგტონში 1989 წლის 26 მაისს. „შეთანხმება ვმო-ს შესახებ“ აღნიშნავს შეთანხმებას ვმო-ს დაფუძნების შესახებ.

<sup>3</sup> მე-3 და მე-4 მუხლების მიზნებისათვის „დაცვა“ მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობას, მოპოვებას, ფარგლებს, ძალაში შენარჩუნებასა და განხორციელებას, აგრეთვე საკითხებს, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენებას და რომლებსაც ეთმობა სპეციალური ყურადღება ამ შეთანხმებაში.

ავრცელებს თავისი მოქალაქეებისათვის გათვალისწინებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, იმ გამონაკლისების გარდა, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია შესაბამისად პარიზის კონვენციით (1967წ.), ბერნის კონვენციით (1971წ.), რომის კონვენციითა და ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელშეკრულებით. რაც შეეხება შემსრულებლებს, ფონოგრამების დამამზადებლებსა და სამაუნწყებლო ორგანიზაციებს, ეს ვალდებულება გამოიყენება მხოლოდ ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით. ნებისმიერი წევრი ქვეყანა, რომელიც სარგებლობს ბერნის კონვენციის (1971წ.) მე-6 მუხლით, ან რომის კონვენციის მე-16 მუხლის 1(ბ) პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, აღნიშნული დებულებებით დადგენილი წესის შესაბამისად ატყობინებს ამის შესახებ TRIPS-ის საბჭოს.

2. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ისარგებლონ 1-ლი პუნქტით ნებადართული გამონაკლისებით სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, საქმიანი მიმოწერისათვის მისამართის არჩევის ან წევრი ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში რწმუნებულის დანიშვნის ჩათვლით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გამონაკლისები აუცილებელია იმ კანონებსა და წესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების დებულებებს და როცა ასეთი პრაქტიკა არ გამოიყენება იმგვარად, რომ შეიცავდეს ვაჭრობისათვის ფარულ შემღუდვას.

## **მუხლი 4**

### **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი**

ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი უპირატესობა, შეღავათი, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომელსაც წევრი ქვეყანა ანიჭებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ ვრცელდება ყველა სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეებზე. ეს ვალდებულებები არ ვრცელდება წევრი ქვეყნის მიერ გათვალისწინებულ ნებისმიერ უპირატესობაზე, შეღავათზე, პრივილეგიასა და იმუნიტეტზე, რომლებიც:

(ა) გამომდინარეობს საერთაშორისო შეთანხმებებიდან სასამართლო დახმარების შესახებ ან ზოგადი ხასიათის კანონის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც არ არის შემღუდული მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების დაცვით;



(ბ) მინიჭებულია ბერნის კონვენციის (1971წ.) ან რომის კონვენციის დებულებების შესაბამისად, რომლებითაც დაშვებულია, რომ მინიჭებული რეჟიმი წარმოადგენს არა ეროვნული რეჟიმის, არამედ სხვა ქვეყანაში მინიჭებული რეჟიმის ფუნქციას;

(გ) ეხება შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებებს, რომლებიც ამ შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული;

(დ) გამომდინარეობს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც ძალაში შევიდა ვმო-ს შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, იმ პირობით, რომ ასეთი შეთანხმებების შესახებ ეცნობა TRIPS-ის საბჭოს და რომ ისინი არ წარმოადგენს სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეების თვითნებურ ან გაუმართლებელ დისკრიმინაციას.

## **მუხლი 5**

### **მრავალმხრივი შეთანხმებები დაცვის მოპოვების ან ძალაში შენარჩუნების შესახებ**

მე-3 და მე-4 მუხლების ვალდებულებები არ ვრცელდება ისმო-ს ეგიდით დადებულ მრავალმხრივ შეთანხმებებში გათვალისწინებულ პროცედურებზე, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების მოპოვებასა ან ძალაში შენარჩუნებასთან.

## **მუხლი 6**

### **უფლებების ამონურვა**

ამ შეთანხმების შესაბამისად დავათა დარეგულირების მიზნით, მე-3 და მე-4 მუხლების დებულებების გათვალისწინებით, ამ შეთანხმებაში არაფერი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების ამონურვის საკითხის გადასაწყვეტად.

## **მუხლი 7**

### **მიზნები**

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვამ და განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ტექნოლოგიურ ინოვაციას, ტექნოლოგიების გადაცემასა და გავრცელებას მწარმოებელთა და ტექნოლოგიური ცოდნის მომხმარებელთა ურთიერთსასარგებლოდ იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობასა და უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსებას.

## **მუხლი 8 პრინციპები**

1. წევრ ქვეყნებს თავისი ეროვნული კანონებისა და წესების შემუშავებისა და მათში ცვლილებების შეტანისას შეუძლიათ მიიღონ ზომები საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისა და კვების, აგრეთვე, სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსაყოფად მათი სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სექტორებში, იმ პირობით, რომ ასეთი ზომები შეესაბამება ამ შეთანხმების დებულებებს.

2. სათანადო ზომების მიღება იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება ამ შეთანხმების დებულებებს, შეიძლება აუცილებელი იყოს უფლებების მფლობელის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ბოროტად გამოყენების ან ისეთი პრაქტიკის აღსაკვეთად, რომელიც უმართებულოდ ზღუდავს ვაჭრობას ან არასასურველ გავლენას ახდენს ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემაზე.

## **ნაწილი II ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობასთან, ფარგლებსა და გამოყენებასთან დაკავშირებული სტანდარტები**

### **პარი I საავტორო უფლებები და მომიჯნავე უფლებები**

#### **მუხლი 9 დამოკიდებულება ბერნის კონვენციასთან**

1. წევრი ქვეყნები იცავენ ბერნის კონვენციის (1971წ.) 1-21 მუხლებისა და მის დამატებითი კარის დებულებებს. მიუხედავად ამისა, ამ შეთანხმების შესაბამისად, წევრ ქვეყნებს არ გააჩნიათ უფლებები და ვალდებულებები აღნიშნული კონვენციის მე-6<sup>bis</sup> მუხლით მინიჭებულ, ან მათგან გამომდინარე უფლებებთან დაკავშირებით.

2. საავტორო უფლებების დაცვა ვრცელდება გამოხატვის ფორმებზე და არა იდეებზე, პროცედურებზე, მუშაობის მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

## მუხლი 10

### კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა კომპილაცია

1. კომპიუტერული პროგრამები, იქნება ეს საწყისი ტექსტი თუ ობიექტის კოდი, დაცულია ბერნის კონვენციით (1971წ.) როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები.

2. მონაცემების ან სხვა მასალების კომპილაცია, იქნება ეს მანქანით ნაკითხვადი ფორმით თუ სხვა ფორმით, რომელიც თავისი შემცველობის შერჩევითა და განლაგებით არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, დაიცვება როგორც ასეთი. ასეთი დაცვა, რომელიც არ ვრცელდება თვით მონაცემებსა და მასალებზე, არ უნდა აყენებდეს ზიანს საავტორო უფლებას თავად მონაცემებზე ან მასალებზე.

## მუხლი 11

### გაქირავების უფლებები

წევრი ქვეყანა, სულ მცირე, კომპიუტერული პროგრამებისა და კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ, ავტორებისა და მათი უფლებამონაცვლეებისათვის ითვალისწინებს უფლებას ნება დართონ ან აკრძალონ საავტორო უფლებით დაცული თავისი ნაწარმოებების ორიგინალების ან ასლების საჯარო კომერციული გაქირავება. წევრი ქვეყანა თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით, თუ ასეთი გაქირავება არ იწვევს ამგვარი ნაწარმოებების მასშტაბურ კოპირებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ამ წევრ ქვეყანაში ავტორებისა და მათი უფლებამონაცვლეებისათვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით ეს ვალდებულება არ ვრცელდება გაქირავებაზე, თუ თვითონ პროგრამა არ არის გაქირავების ძირითადი ობიექტი.

## მუხლი 12

### დაცვის ვადა

იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოების დაცვის ვადა, ფოტოგრაფიული ან გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების გარდა, გამოითვლება ფიზიკური პირის სიცოცხლის ხანგრძლივობისაგან განსხვავებულ საფუძველზე, იგი შეადგენს არანაკლებ 50 წელს ნაწარმოების მართლზომიერად გამოქვეყნების კალენდარული წლის

დასასრულიდან, ან ნაწარმოების შექმნიდან 50 წლის განმავლობაში მართლზომიერი გამოქვეყნების არარსებობის შემთხვევაში – 50 წელს იმ წლის ბოლოდან, როდესაც შეიქმნა ნაწარმოები.

### **მუხლი 13** **შებლუდვები და გამონაკლისები**

წვერი ქვეყნები განსაკუთრებული უფლების შეზღუდვებსა და გამონაკლისებთან დაკავშირებით იფარგლებიან გარკვეული სპეციალური შემთხვევებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას და არ აყენებს ზიანს უფლების მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

### **მუხლი 14** **შემსრულებელთა, ფონოგრამის (ხმის ჩანაწერების) დამამზადებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებების დაცვა**

1. შემსრულებლებს თავისი შესრულების ფონოგრამაზე ჩანწრასთან დაკავშირებით შესაძლებლობა აქვთ არ დაუშვან მათი ნებართვის გარეშე განხორციელებულ შემდეგ ქმედებებს: თავისი ჩაუნწერილი შესრულების ჩანწრა და ამგვარი ჩანაწერის რეპროდუცირება. შემსრულებლებს შესაძლებლობა აქვთ, აგრეთვე, არ დაუშვან მათი ნებართვის გარეშე განხორციელებული შემდეგი ქმედებები: თავისი ცოცხალი შესრულების ეთერით გადაცემა და საჯარო გაცნობა.

2. ფონოგრამების მწარმოებლებს უფლება აქვთ ნება დართონ ან აკრძალონ თავისი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირება.

3. სამაუწყებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ აკრძალონ მათი ნებართვის გარეშე განხორციელებული შემდეგი ქმედებები: გადაცემების ჩანწრა, ჩანაწერების რეპროდუცირება, გადაცემების ეთერით ხელახალი გადაცემა, აგრეთვე, მათი სატელევიზიო გადაცემების საჯარო გაცნობა. თუ წვერი ქვეყნები სამაუწყებლო ორგანიზაციებს არ ანიჭებენ ამგვარ უფლებებს, მაშინ ისინი საავტორო უფლების მფლობელებს გადაცემის ობიექტთან დაკავშირებით უზრუნველყოფენ შესაძლებლობით არ დაუშვან ზემოაღნიშნული ქმედებები, ბერნის კონვენციის (1971წ.) დებულებების გათვალისწინებით.

4. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით მე-11 მუხლის

დებულებები ვრცელდება *mutatis mutandis* ფონოგრამის დამამზადებლებსა და ფონოგრამაზე უფლების ნებისმიერ სხვა მფლობელზე ნევრი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. თუ ფონოგრამების გაქირავებასთან დაკავშირებით, 1994 წლის 15 აპრილისათვის ნევრ ქვეყანაში მოქმედებდა უფლების მფლობელებისათვის სამართლიანი ანაზღაურების გადახდის სისტემა, მას შეუძლია შეინარჩუნოს ამგვარი სისტემა იმ პირობით, რომ ფონოგრამების კომერციული მიზნით გაქირავება მნიშვნელოვან ზიანს არ მიაყენებს უფლების მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

5. ამ შეთანხმებით შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლებისათვის მინიჭებული დაცვის ვადა შეადგენს, სულ მცირე, 50 წელს, რომელიც აითვლება იმ კალენდარული წლის ბოლოდან, როდესაც განხორციელდა ჩაწერა ან მოხდა შესრულება. მე-3 პუნქტის შესაბამისად მინიჭებული დაცვის ვადა გრძელდება, სულ მცირე, 20 წლის მანძილზე იმ კალენდარული წლის ბოლოდან, როდესაც განხორციელდა ეთერით გადაცემა.

6. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებით მინიჭებულ უფლებებთან დაკავშირებით, ნებისმიერ ნევრ ქვეყანას შეუძლია გაითვალისწინოს პირობები, შეზღუდვები, გამონაკლისები და დათქმები რომის კონვენციით დაშვებული მოცულობით. მიუხედავად ამისა, ბერნის კონვენციის (1971წ.) მე-18 მუხლის დებულებები გამოიყენება, აგრეთვე, *mutatis mutandis* შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებებთან დაკავშირებით.

### ნაწილი III

## ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა განხორციელება

### პარი 1

## ზოგადი ვალდებულებები

### მუხლი 41

1. ნევრი ქვეყნები უზრუნველყოფენ, ამ ნაწილით განსაზღვრული უფლებების განხორციელებისათვის საჭირო პროცედურების თავიანთ კანონმდებლობაში გათვალისწინებას, რათა საშუალება მიეცეთ

განხორციელონ ეფექტური ღონისძიებები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის ნებისმიერი ქმედების წინააღმდეგ, რაზეც ვრცელდება ეს შეთანხმება, მათ შორის დარღვევის თავიდან ასაცილებელი სასწრაფო ზომები და ასევე, შემდგომი დარღვევის შემაკავებელი სასამართლო დაცვის საშუალებები. ეს პროცედურები გამოიყენება იმგვარად, რომ კანონიერ ვაჭრობას არ შეექმნას დაბრკოლებები და უზრუნველყოფილ იქნეს მათი დაცვა ბოროტად გამოყენებისაგან.

2. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები უნდა იყოს თანაბარი და სამართლიანი. ისინი არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ძვირადღირებული და არ უნდა იწვევდეს ვადების უსაფუძვლო გაზრდას ან გაუმართლებელ შეფერხებებს.

3. საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები უპირატესად წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით და სათანადოდ დასაბუთებული. ისინი, გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს, სულ ცოტა, სასამართლო განხილვის მხარეებისათვის. საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებზეც მხარეებს ჰქონდათ აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

4. სასამართლო განხილვის მხარეებს უნდა ჰქონდეთ სასამართლო ორგანოს მიერ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების, აგრეთვე, საქმის მნიშვნელობასთან დაკავშირებული წევრი ქვეყნის კანონმდებლობის იურისდიქციის დებულებებიდან გამომდინარე, სულ ცოტა, საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული პირვანდელი სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივი ასპექტების გადასინჯვის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, არ არის გათვალისწინებული სისხლისსამართლის საქმეებში გამამართლებელი გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება.

5. იგულისხმება, რომ ეს ნაწილი არ ითვალისწინებს რაიმე ვალდებულებას ზოგადად კანონების განხორციელების სისტემისაგან განსხვავებულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელების სასამართლო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. იგი არ ეხება, აგრეთვე, წევრი ქვეყნების კომპეტენციას ზოგადად თავიანთი კანონმდებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით.



ამ ნაწილში არაფერი ქმნის რაიმე ვალდებულებას რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელებასა და ზოგადად კანონის განხორციელებას შორის.

## პარი 2

### სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურები და სასამართლო დაცვის საშუალებები

#### მუხლი 42

##### თანაბარი და სამართლიანი პროცედურები

წევრი ქვეყნები უფლების მფლობელებს<sup>4</sup> ანიჭებენ შესაძლებლობას მიმართონ სამოქალაქო სასამართლო პროცედურებს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი უფლების განსახორციელებლად. მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ დროული და სავაჭარო დეტალური წერილობითი შეტყობინება, რომელიც შეიცავს სარჩელის საფუძველს. მხარეებს ეძლევათ უფლება წარმოდგინონ იყვნენ დამოუკიდებელი ადვოკატის მიერ, ხოლო პროცესუალური ნორმები არ უნდა ითვალისწინებდეს გადაჭარბებულ მოთხოვნებს სავალდებულო ჰირადად დასწრებასთან დაკავშირებით. ასეთი პროცედურების მონაწილე ყველა მხარეს შესაბამისი წესით ენიჭება უფლება დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარმოდგინოს საქმესთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. პროცესუალური ნორმები უნდა ითვალისწინებდეს კონფიდენციალური ინფორმაციის იდენტიფიცირებისა და დაცვის საშუალებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არსებულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

#### მუხლი 43

##### მტკიცებულებები

1. თუ მხარემ წარადგინა გონივრულად ხელმისაწვდომი მტკიცებულებანი, რომლებიც სავაჭარო საკუთარი სარჩელის გასამყარებლად და მიუთითა სარჩელის დასაბუთებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებზე, რომლებიც ხელთ აქვს მონაწილემ მხარეს, მაშინ შესაბამის შემთხვევებში, სასამართლო ორგანოებს

<sup>4</sup> ამ ნაწილის მიზნებისათვის, ტერმინი „უფლების მფლობელი“ მოიცავს ფედერაციებსა და ასოციაციებს, რომლებსაც აქვთ ასეთ უფლებებზე პრეტენზიის განცხადების სამართლებრივი სტატუსი.

აქვთ უფლებამოსილება მოსთხოვონ მონინააღმდეგე მხარეს ამ მტკიცებულებების წარმოდგენა, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის პირობით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო განხილვის მხარე შეგნებულად და უმიზეზოდ უარს ამბობს საჭირო ინფორმაციის გაცემაზე, ან სხვა სახით არ წარმოადგენს მას დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში, ან მნიშვნელოვნად აფერხებს უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული ზომების მიღებას, წევრ ქვეყანას შეუძლია სასამართლო ორგანოებს მიანიჭოს უფლებამოსილება მიიღონ წინასწარი და საბოლოო, დადებითი ან უარყოფითი, გადანყვეტილებები მათთვის წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, საჩივრის ან იმ მხარის განცხადების ჩათვლით, რომელზეც ინფორმაციასთან დაშვებაზე უარმა საზიანოდ იმოქმედა, იმ პირობით, რომ მხარეებს მიეცემათ განცხადებასთან ან მტკიცებულებასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

#### **მუხლი 44** **სასამართლო აკრძალვები**

1. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ მხარეებს თავი შეიკავონ უფლების დარღვევისაგან, კერძოდ, განბაჟებისთანავე inter alia აღკვეთონ მათ იურისდიქციაში არსებულ სავაჭრო ქსელში იმპორტირებული საქონლის შეტანა, რომელიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევასთან. წევრი ქვეყნები არ არიან ვალდებული ასეთი უფლებამოსილება მიანიჭონ დაცულ ობიექტებთან დაკავშირებით, რომლებიც შექმნილია ან შეკვეთილია იმ პირის მიერ, რომელმაც არ იცოდა ან არ ჰქონდა მნიშვნელოვანი საფუძველი სცოდნოდა, რომ ასეთ ობიექტებთან დაკავშირებით დადებული გარიგებები იწვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევას.

2. ამ ნაწილის სხვა დებულებების მიუხედავად და II ნაწილის იმ დებულებების დაცვის პირობით, რომლებიც ეხება უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე უფლების გამოყენებას მთავრობების ან მთავრობის მიერ უფლებამოსილი მესამე პირების მიერ, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ასეთი გამოყენების წინააღმდეგ არსებული სასამართლო დაცვის საშუალებები შეზღუდონ ანაზღაურების გადახდით 31-ე მუხლის (თ) ქვეპუნქტის შესაბამისად. სხვა შემთხვევებში გამოიყენება სასამართლო დაცვის საშუალებები ამ ნაწილის შესაბამისად, ან იმ

შემთხვევებში, როდესაც ეს საშუალებები ეწინააღმდეგება წევრი ქვეყნის კანონმდებლობას, შესაძლებლობა ეძლევათ გამოიყენონ განცხადებული გადაწყვეტილებები და შესაბამისი კომპენსაცია.

### **მუხლი 45** **ზარალის ანაზღაურება**

1. სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის გამო მიყენებული ზიანისათვის დამრღვევ პირს, რომელმაც იცოდა ან ჰქონდა საკმარისი საფუძველი სცოდნოდა, რომ ეწევა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, დააკისრონ უფლების მფლობელისათვის ზარალის ანაზღაურება თანხის იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება ზიანის ანაზღაურებისათვის.

2. სასამართლო ორგანოებს, აგრეთვე, აქვთ უფლება დამრღვევ პირს დააკისრონ უფლების მფლობელისათვის განუელი ხარჯების ანაზღაურება, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ადვოკატის სათანადო ჰონორარს. შესაბამის შემთხვევებში, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ სასამართლო ორგანოებს მიანიჭონ უფლებამოსილება დამრღვევ პირს დააკისრონ მიღებული მოგების დაბრუნება ან/და წინასწარ დადგენილი ზარალის ანაზღაურება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დამრღვევმა პირმა არ იცოდა ან საკმარისი საფუძველი ჰქონდა არ სცოდნოდა, რომ ახორციელებდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

### **მუხლი 46** **სასამართლო დაცვის სხვა საშუალებები**

უფლებების დარღვევისაგან თავის შეკავების ეფექტური საშუალების შესაქმნელად, სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან გამოიტანონ გადაწყვეტილება, რომ საქონელი, რომელთან დაკავშირებითაც მათ დაადგინეს უფლებების დარღვევა, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ამოღებულ იქნეს სავაჭრო ქსელიდან ისე, რომ არ მოხდეს უფლების მფლობელისათვის რაიმე ზიანის მიყენება ან განადგურდეს თუ ეს არ ეწინააღმდეგება არსებულ საკონსტიტუციო მოთხოვნებს. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, აგრეთვე, მიიღონ გადაწყვეტილება, რომ მასალები და მონაცობილობები, რომლებიც უპირატესად გამოიყენებოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დამრღვევი საქონლის შექმნისას, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ამოღებულ იქნეს სავაჭრო ქსელიდან, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ახალი დარღვევის

შესაძლებლობა. ასეთი მოთხოვნების განხილვისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული სამართალდარღვევის სერიოზულობა და დანესებული დაცვის საშუალებების თანაბომიერება და, აგრეთვე, მესამე პირების ინტერესები. უკანონოდ გამოყენებული სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელთან დაკავშირებით, ასეთი სასაქონლო ნიშნის უბრალოდ მოცილება არ არის საკმარისი, იმ შემთხვევების გარდა, როცა აუცილებელია ამ საქონლის სავაჭრო ქსელში გაშვება.

### **მუხლი 47** **ინფორმაციის მიღების უფლება**

წევრ ქვეყნებს შეუძლიათ სასამართლო ორგანოებს მიანიჭონ უფლებამოსილება, უფლებების დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე, დაავალონ დამრღვევ პირს უფლების მფლობელისათვის ინფორმაციის მიწოდება იმ მესამე პირთა ვინაობის შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ უფლებების დამრღვევი საქონლის ან მომსახურების წარმოებასა და გავრცელებაში და, აგრეთვე, მათი გავრცელების არხების შესახებ.

### **მუხლი 48** **მოპასუხისათვის ზარალის ანაზღაურება**

1. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან დაავალონ მხარეს, რომლის მოთხოვნის თანახმად მიღებულ იქნა ზომები და რომელიც ბოროტად სარგებლობდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელების პროცედურებით, ზიანის შესაბამისი კომპენსაცია გადაუხადოს მხარეს, რომელსაც არამართლზომიერად დაეკისრა აკრძალვები ან შეზღუდვები, რომელიც მას მიაღდა ასეთი ბოროტად გამოყენების შედეგად. სასამართლო ორგანოებს, აგრეთვე, აქვთ უფლებამოსილება დაავალონ განმცხადებელს მოპასუხისათვის ხარჯების ანაზღაურება, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ადვოკატისათვის შესაბამის ჰონორარსაც.

2. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის ადმინისტრირებისას, წევრი ქვეყნები ათავისუფლებენ სახელმწიფო ორგანოებს და ამ ორგანოებში მოსამსახურეებს მათ მიმართ სასამართლო დაცვის შესაბამისი საშუალებების გამოყენებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონმდებლობის გამოყენებისას ქმედებები სრულდება, ან განზრახულია შესრულდეს კეთილსინდისიერად.

## მუხლი 49

### ადმინისტრაციული პროცედურები

იმ ზომით, რომლითაც შეიძლება დაწესდეს სასამართლო დაცვის ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალება, როგორც ადმინისტრაციული წესით საქმის არსებითად განხილვის შედეგი, ასეთი პროცედურები თავისი არსით უნდა შეესაბამებოდეს პრინციპებს, რომლებიც, ძირითადად, ამ ნაწილში მოცემული პრინციპების ტოლფასია.

## პარი 3

### დროებითი ზომები

## მუხლი 50

1. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაუდებელი და ეფექტური დროებითი ზომები, რომლებიც მიმართულია:

(ა) ინტელექტუალური საკუთრების უფლების ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, არ დაუშვან მათ იურისდიქციაში მყოფ სავაჭრო ქსელში საქონლის, მათ შორის, უშუალოდ განბაჟების შემდეგ იმპორტირებული საქონლის შეტანა;

(ბ) სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებული შესაბამისი მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად.

2. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შესაბამის შემთხვევაში მიიღონ დროებითი ზომები *inaudita altera parte*, კერძოდ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს შესაძლებლობა ნებისმიერმა დაყოვნებამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს უფლების მფლობელს, ან როდესაც არსებობს სამხილების განადგურების აშკარა რისკი.

3. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან განმცხადებელს მოსთხოვონ ნებისმიერი გონივრულად ხელმისაწვდომი მტკიცებულების წარდგენა, რათა საკმარისი დამაჯერებლობით დარწმუნდნენ, რომ განმცხადებელი არის უფლების მფლობელი და ირღვევა მისი უფლება, ან რომ ასეთი დარღვევა გარდაუვალია და დაავალონ განმცხადებელს უზრუნველყოფის საშუალების ან ტოლფასი გარანტიის წარდგენა, რომელიც საკმარისი იქნება მოპასუხის დასაცავად და უფლებით ბოროტად სარგებლობის თავიდან ასაცილებლად.

4. თუ დროებითი ზომები მიღებულია *inaudita altera parte*, ამის შესახებ დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ დაუყოვნებლივ, ყველაზე გვიან ამ ზომების განხორციელების შემდეგ. გადასინჯვა, აზრის გამოთქმის უფლების ჩათვლით, ხორციელდება მოპასუხის მოთხოვნით, შეტყობინების მიღების შემდეგ დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში გადანყვეტილების გამოტანის მიზნით შეიცვალოს, გაუქმდეს თუ დადასტურდეს ეს ზომები.

5. ორგანოს, რომელიც ახორციელებს დროებით ზომებს, შეუძლია მოსთხოვოს განმცხადებელს შესაბამისი საქონლის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი სხვა სახის ინფორმაციის წარდგენა.

6. მე-4 პუნქტისათვის ზიანის მიყენების გარეშე, დროებითი ზომები, რომლებიც განხორციელდა 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, მოპასუხის მოთხოვნის შესაბამისად უქმდება ან სხვაგვარად ხდება მათი მოქმედების შეჩერება, თუ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვა არ იყო ინიცირებული დროის იმ გონივრული პერიოდის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრა გადანყვეტილების გამომტანმა სასამართლო ორგანომ. იმ შემთხვევებში, როდესაც ეს დაშვებულია წევრი ქვეყნის კანონმდებლობით, ან ასეთი დადგენილების არარსებობის შემთხვევაში, ეს პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 20 სამუშაო დღეს ან 31 კალენდარულ დღეს იმის მიხედვით, თუ რომელი პერიოდია უფრო ხანგრძლივი.

7. განმცხადებლის ნებისმიერი მოქმედების ან დაუდევრობის გამო დროებითი ზომების გაუქმების ან ვადის გასვლის შემთხვევაში, ან თუ შემდგომ დადგინდა, რომ არ ყოფილა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევა ან დარღვევის საფრთხე, სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან მოპასუხის მოთხოვნით მიიღონ გადანყვეტილება, რომელიც განმცხადებელს დააკისრებს ამ ზომებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანის შესაბამისი კომპენსაციის გადახდას მოპასუხისათვის.

8. იმ მოცულობით, რომლითაც ნებისმიერი დროებითი ზომა შეიძლება დაწესდეს ადმინისტრაციული პროცედურების განხორციელების შედეგად, ასეთი პროცედურები თავისი არსით უნდა შეესაბამებოდეს პრინციპებს, რომლებიც ამ ნაწილში მოცემული პრინციპების ტოლფასია.



## პარი 4 სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნები<sup>1</sup>

### მუხლი 51 საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერება

ქვემოთ მოყვანილი დებულებების შესაბამისად, წევრი ქვეყნები ადგენენ პროცედურებს<sup>2</sup>, რომლებიც საშუალებას აძლევს უფლების მფლობელს, რომელსაც საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ შესაძლებელია შემოტანილ იქნეს კონტრაფაქციული სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელი, ან ის საქონელი, რომელიც საავტორო უფლებებს არღვევს<sup>3</sup>, კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებში შეიტანოს წერილობითი განცხადება საბაჟო ორგანოების მიერ ასეთი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შეჩერების თაობაზე. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ დაუშვან ასეთი განცხადების გაკეთება იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სხვა დარღვევებსაც, ამ კარის მოთხოვნების დაცვის პირობით. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ, აგრეთვე, გაითვალისწინონ შესაბამისი პროცედურები საბაჟო ორგანოების მიერ თავისი ტერიტორიიდან საექსპორტოდ განკუთვნილი უფლებების დარღვევით წარმოებული საქონლის გასაშვებად.

<sup>1</sup> თუ წევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი წილი მოხსნა ყველანაირი კონტროლი საქონლის გადაადგილებაზე მეორე წევრი ქვეყნის საზღვარზე, რომელთანაც იგი ქმნის საბაჟო კავშირის ნაწილს, მაშინ აღნიშნულ საზღვარზე არ მოითხოვება ამ ნაწილის დებულებების გამოყენება.

<sup>2</sup> იგულისხმება, რომ სავალდებულო არ არის ასეთი პროცედურების გამოყენება საქონლის იმპორტთან ან სატრანზიტო საქონელთან დაკავშირებით, რომელიც სამეურნეო ბრუნვაში შეაქვს უფლების მფლობელს ან მისი თანხობით შეაქვთ სხვა ქვეყნის ბაზარზე.

<sup>3</sup> ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

(ა) „კონტრაფაქციული სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელი“ აღნიშნავს ნებისმიერ საქონელს შეფუთვის ჩათვლით, რომელიც უნებართვოდ არის ნიშანდებული ამგვარი საქონლისათვის კანონიერად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშნით ან ნიშნით, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ასეთი სასაქონლო ნიშნისაგან და აქედან გამომდინარე, არღვევს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;

(ბ) „საქონელი, რომელიც არღვევს საავტორო უფლებებს“ აღნიშნავს ნებისმიერ საქონელს ასლს, რომელიც შექმნილია უფლების მფლობელის ან საქონლის წარმოების ქვეყანაში სათანადო წესით უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე და პირდაპირ ან არაპირდაპირ დამზადებულია რაიმე ნაკეთობისაგან, თუ აღნიშნული ასლის შექმნამ გამოიწვია საავტორო ან მომიჯნავე უფლების დარღვევა იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 52** **განცხადება**

უფლების ნებისმიერმა მფლობელმა, რომელიც ახორციელებს პროცედურების ინიცირებას 51-ე მუხლის საფუძველზე, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებს კომპეტენტურ ორგანოებს, რომ იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ხდება prima facie ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების მფლობელის უფლებათა დარღვევა და, აგრეთვე, წარმოადგინოს საქონლის საკმაოდ დეტალური აღწერა საბაჟო ორგანოების მიერ მისი ადვილად ამოცნობის მიზნით. დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში კომპეტენტური ორგანოები აცნობებენ განმცხადებელს მიიღეს თუ არა სამოქმედოდ განცხადება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტური ორგანოები გამოიტანენ ასეთ გადაწყვეტილებას – იმ ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც საბაჟო ორგანოები განახორციელებენ შესაბამის ქმედებებს.

## **მუხლი 53** **უზრუნველყოფის საშუალება ან ტოლფასი გარანტია**

1. კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილნი არიან განმცხადებელს მოსთხოვონ უზრუნველყოფის საშუალების ან ტოლფასი გარანტიის წარდგენა, რომელიც საკმარისი იქნება მოპასუხისა და კომპეტენტური ორგანოების დასაცავად და უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. უზრუნველყოფის ასეთმა საშუალებამ ან ტოლფასმა გარანტიამ უსაფუძვლოდ ხელი არ უნდა შეუშალოს ამ პროცედურების გამოყენებას.

2. თუ ამ კარის საფუძველზე შეტანილი განცხადების თანახმად, სამრეწველო ნიმუშის, პატენტის, ინტელექტუალური მიკროსქემის ტოპოლოგიების და დახურული ინფორმაციის შემცველი საქონლის თავისუფალ ბრუნვაში გაშვება შეჩერებულია საბაჟო ორგანოების მიერ იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც არ ეკუთვნის სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელ ორგანოს, და თუ 55-ე მუხლით გათვალისწინებული ვადა გავიდა სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ პირობით გათავისუფლების მინიჭების გარეშე და იმ პირობით, რომ შესრულებულია იმპორტისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა, ასეთი საქონლის მფლობელს, იმპორტიორს ან მიმღებს უფლება უნდა ჰქონდეს გაუშვას ის მიმოქცევაში

სათანადო უზრუნველყოფის საშუალების წარდგენის შემთხვევაში, რომლის ოდენობა საკმარისი იქნება ნებისმიერი დარღვევისაგან უფლების მფლობელის დასაცავად. ამგვარი უზრუნველყოფის საშუალების გადახდამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სასამართლო დაცვის სხვა საშუალებებს, რომლებსაც შეიძლება მიმართოს უფლების მფლობელმა, ამასთან, იგულისხმება, რომ უზრუნველყოფის საშუალება დაბრუნებული უნდა იყოს, თუ უფლების მფლობელი დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში ვერ შეძლებს სარჩელის შეტანის უფლების გამოყენებას.

#### **მუხლი 54**

##### **შეტყობინება შეჩერების შესახებ**

51-ე მუხლის თანახმად, იმპორტიორს და განმცხადებელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ საქონლის გაშვების შეჩერების შესახებ.

#### **მუხლი 55**

##### **შეჩერების ხანგრძლივობა**

თუ არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც განმცხადებელს ოფიციალურად შეატყობინეს საქონლის თავისუფალ ბრუნვაში გაშვების შეჩერების შესახებ, საბაჟო ორგანოებს არ აცნობეს იმის შესახებ, რომ სასამართლო განხილვა საქმის არსებითად გადაწყვეტის მიზნით ინიცირებულია მხარის მიერ, რომელიც არ არის მოპასუხე, ან იმის შესახებ, რომ სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანოებმა მიიღეს დროებითი ზომები, რომლებიც ახანგრძლივებს საქონლის შეჩერებას, საქონელი ექვემდებარება გაშვებას, თუ შესრულებულია იმპორტსა და ექსპორტთან დაკავშირებული ყველა სხვა პირობა; შესაბამის შემთხვევებში, ეს ზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 10 სამუშაო დღით. თუ საქმის არსებითად განხილვის მიზნით ინიცირებულია სასამართლო განხილვა, მაშინ გადასინჯვა მოსაზრებების გამოთქმის უფლებით, გონივრული პერიოდის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღების მიზნით, იმის შესახებ საჭიროა თუ არა ამ ზომების შეცვლა, გაუქმება ან დადასტურება, ხორციელდება მოპასუხის მოთხოვნით. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, იმ შემთხვევებში, თუ საქონლის გაშვების შეჩერება ხორციელდება ან გრძელდება სასამართლოს მიერ მიღებული დროებითი ზომების შესაბამისად, გამოიყენება 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის დებულებები.

**მუხლი 56**  
**იმპორტიორისა და საქონლის მფლობელისათვის**  
**ზიანის ანაზღაურება**

შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილნი არიან განმცხადებელს მოსთხოვონ იმპორტიორისათვის, ტვირთის მიმღებისა და საქონლის მესაკუთრისათვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდა იმ ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც მათ მიადგათ საქონლის უკანონო შეჩერების ან 55-ე მუხლის შესაბამისად გაშვებული საქონლის შეჩერების შედეგად.

**მუხლი 57**  
**უფლება შემონმებასა და ინფორმაციაზე**

უფლების მფლობელის სარჩელის დასაბუთების მიზნით, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისათვის ზიანის მიყენების გარეშე, წევრი ქვეყნები კომპეტენტურ ორგანოებს ანიჭებენ უფლებამოსილებას უფლების მფლობელს მისი სარჩელის დასაბუთების მიზნით მისცენ საბაჟო ორგანოების მიერ შეჩერებული ნებისმიერი საქონლის შემონმების საკმარისი შესაძლებლობა. კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილნი არიან, აგრეთვე, იმპორტიორს მინიჭონ ნებისმიერი ამგვარი საქონლის შემონმების თანაბარი შესაძლებლობა. თუ საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ კომპეტენტურ ორგანოებს მინიჭონ უფლებამოსილება აცნობონ უფლების მფლობელს ტვირთის გამგზავნის, იმპორტიორისა და ტვირთის მიმღების სახელები და მისამართები, აგრეთვე, მოცემული საქონლის რაოდენობა.

**მუხლი 58**  
**Ex officio მოქმედება**

თუ წევრი ქვეყნები კომპეტენტური ორგანოებისაგან მოითხოვენ საკუთარი ინიციატივით მოქმედებას და იმ საქონლის გაშვების შეჩერებას, რომელთა მიმართაც მათ აქვთ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დარღვევის prima facie მტკიცებულებები, მაშინ:

(ა) კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ უფლების მფლობელს ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც მათ დაეხმარება ამ უფლებამოსილების განხორციელებაში;

(ბ) იმპორტიორს და უფლების მფლობელს დაუყოვნებლივ ეცნობებათ საქონლის გაშვების შეჩერების შესახებ. თუ იმპორტიორმა

კომპეტენტურ ორგანოებში შეიტანა საჩივარი საქონლის გაშვების შეჩერების წინააღმდეგ, შეჩერება ხორციელდება 55-ე მუხლით დადგენილი mutatis mutandis პირობების შესაბამისად;

(გ) წევრი ქვეყნები ათავისუფლებენ სახელმწიფო ორგანოებსა და ამ ორგანოებში მომსახურეებს სასამართლო დაცვის სათანადო საშუალებებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, მხოლოდ მოქმედებების კეთილსინდისიერი განხორციელების ან ასეთი განხორციელების განზრახვის შემთხვევაში.

## **მუხლი 59**

### **სასამართლო დაცვის საშუალებები**

კომპეტენტური ორგანოები, 46-ე მუხლში მოცემული პრინციპების შესაბამისად, უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დამრღვევი საქონლის განადგურების ან ამოღების შესახებ სარჩელზე უფლების მფლობელისათვის ხელმისაწვდომ სხვა უფლებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე და მოპასუხისათვის სასამართლო ორგანოში გადასინჯვის უფლების უზრუნველყოფის პირობით. სახელმწიფო ორგანოებმა, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, არ უნდა დაუშვან კონტრაფაქციული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონლის უცვლელ მდგომარეობაში რეექსპორტი ან მათ მიმართ სხვა საბაჟო პროცედურების გამოყენება.

## **მუხლი 60**

### **De minimis იმპორტი**

წევრ ქვეყნებს შეუძლიათ არ გამოიყენონ ზემოთ მოყვანილი დებულებები არაკომერციული ხასიათის მქონე მცირე რაოდენობის საქონლისათვის, რომელიც მოთავსებულია მგზავრის პირად ბარგში ან იგზავნება მცირე პარტიებით.

## **პარი 5**

### **სისხლის სამართლის პროცედურები**

## **მუხლი 61**

წევრი ქვეყნები ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პროცედურებსა და სასჯელს, რომლებიც, სულ მცირე, გამოყენებული უნდა იყოს სასაქონლო ნიშნების განზრახ უკანონოდ გამოყენებისათვის ან

საავტორო უფლების დარღვევისათვის კომერციული მასშტაბებით. სასამართლო დაცვის საშუალებები უნდა მოიცავდეს დაპატიმრებას ან/და ფულად ჯარიმას, რომელიც საკმარისი იქნება როგორც საშუალება დანაშაულისაგან თავის შეკავებისათვის და თანაზომიერი იქნება იმ სასჯელისა, რომელიც გამოიყენება შესაბამისი სიმძიმის დანაშაულებისათვის. შესაბამის შემთხვევებში სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებები მოიცავს, აგრეთვე, ყადაღის დადებას, კონფისკაციასა და კონტრაფაქციული საქონლისა და იმ ნებისმიერი მასალისა და მონუბილობების განადგურებას, რომლებიც უპირატესად გამოიყენებოდა სამართალდაღრვევისას. ნევრ ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ სისხლის სამართლის პროცედურები და სასჯელი ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დარღვევის სხვა შემთხვევებისათვის, კერძოდ, თუ ისინი ჩადენილია განზრახ და კომერციული მიზნით.

## ნაწილი V

### დავების თავიდან აცილება და რეგულირება

#### მუხლი 63

##### გამჭვირვალობა

1. კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, საბოლოო სასამართლო და ზოგადი ხასიათის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, რომლებიც აამოქმედა ნევრმა ქვეყანამ და უკავშირდება ამ შეთანხმების საგანს (ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების არსებობა, მათი ფარგლები, მოპოვება, განხორციელება და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება), ექვემდებარება გამოქვეყნებას, ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთი გამოქვეყნება არ არის შესაძლებელი, ისინი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე იმგვარად, რომ მთავრობებს და უფლების მფლობელებს ჰქონდეთ მათი გაცნობის შესაძლებლობა. გამოქვეყნებას ექვემდებარება, აგრეთვე, ამ შეთანხმების საგანთან დაკავშირებული შეთანხმებები, რომლებიც მოქმედებს ერთი ნევრი ქვეყნის მთავრობას ან სამთავრობო ორგანოსა და მეორე ნევრი ქვეყნის მთავრობას ან სამთავრობო ორგანოს შორის.

2. ნევრი ქვეყნები TRIPS-ის საბჭოს ატყობინებენ 1-ლ პუნქტში



აღნიშნული კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესახებ, რათა ხელი შეუწყონ საბჭოს ამ შეთანხმების მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. საბჭო მიმართავს ყველა ზომას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ტვირთი, რომელიც ეკისრება წევრ ქვეყნებს ამ ვალდებულების შესრულებისას და შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების უშუალოდ საბჭოსათვის შეტყობინების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ, თუ ისმო-სთან ამგვარი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საერთო რეესტრის დაარსებასთან დაკავშირებული კონსულტაციები წარმატებული იქნება. ამასთან დაკავშირებით, საბჭო განიხილავს, აგრეთვე, ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულების თანახმად და რომელიც გამომდინარეობს პარიზის კონვენციის (1967წ.) მე-6<sup>ter</sup> მუხლის დებულებებიდან.

3. თითოეული წევრი ქვეყანა სხვა წევრი ქვეყნის წერილობით მოთხოვნის პასუხად მზად უნდა იყოს 1-ლ პუნქტში აღნიშნული სახის ინფორმაციის მისაწოდებლად. წევრ ქვეყანას, რომელსაც საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ სპეციფიკური სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, ან ორმხრივი შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში გავლენას ახდენს ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებზე, შეუძლია, აგრეთვე წერილობით მოითხოვოს ასეთი სპეციფიკური სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების, ან ორმხრივი შეთანხმებების მიწოდება, ან მათ შესახებ საკმარისად დეტალური ინფორმაციის მიღება.

4. 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში არაფერი არ მოითხოვს წევრი ქვეყნებისაგან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც ხელს შეუშლიდა კანონის განხორციელებას ან სხვაგვარად ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, ან შელახავდა ცალკეული სახელმწიფო ან კერძო საწარმოების კანონიერ კომერციულ ინტერესებს.

## მუხლი 64

### დავათა დარეგულირება

1. 1994 წლის GATT-ის XXII-ე და XXIII-ე მუხლების დებულებები, როგორც ისინი შემუშავებულია და გამოიყენება დავათა რეგულირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, გამოიყენება

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული კონსულტაციებისათვის და დავათა მოგვარებისათვის, თუ მასში სპეციალურად სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. 1994 წლის GATT-ის XXIII-ე მუხლის 1(ბ) და 1(გ) ქვეპუნქტები არ გამოიყენება ამ შეთანხმების შესაბამისად დავათა დასარეგულირებლად ვმო-ს შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

3. მე-2 პუნქტში აღნიშნული პერიოდის განმავლობაში TRIPS-ის საბჭო ამ შეთანხმების შესაბამისად შეისწავლის გამოყენების სფეროს და 1994 წლის GATT-ის XXIII-ე მუხლის 1(ბ) და 1(გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტიპის პრეტენზიების წაყენების შემთხვევებს და დამტკიცების მიზნით თავის რეკომენდაციებს დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრთა კონფერენციას. მინისტრთა კონფერენციის ნებისმიერი გადაწყვეტილება ასეთი რეკომენდაციების დამტკიცების ან მე-2 პუნქტში განსაზღვრული პერიოდის გაგრძელების შესახებ მიიღება მხოლოდ კონსენსუსის საფუძველზე, ხოლო დამტკიცებული რეკომენდაციები ყველა წევრი ქვეყნისათვის ძალაში შედის მიღების შემდგომი ფორმალური პროცედურების გარეშე.

## **ნაწილი VII**

### **ინსტიტუციონალური ღონისძიებები; დასკვნითი დებულებები**

#### **მუხლი 70**

##### **არსებული ობიექტების დაცვა**

5. წევრი ქვეყანა ვალდებული არ არის გამოიყენოს მე-11 მუხლისა და მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებები ორგინალებისა ან ასლების მიმართ, რომლებიც შექმნილია წევრი ქვეყნის მიმართ ამ შეთანხმების გამოყენების დაწყებამდე.

# BERNE CONVENTION

## FOR THE PROTECTION OF LITERARY AND ARTISTIC WORKS

of September 9, 1886,  
 completed at PARIS on May 4, 1896,  
 revised at BERLIN on November 13, 1908,  
 completed at BERNE on March 20, 1914,  
 revised at ROME on June 2, 1928,  
 at BRUSSELS on June 26, 1948,  
 at STOCKHOLM on July 14, 1967,  
 and at PARIS on July 24, 1971,  
 and amended on September 28, 1979

The countries of the Union, being equally animated by the desire to protect, in as effective and uniform a manner as possible, the rights of authors in their literary and artistic works,

Recognizing the importance of the work of the Revision Conference held at Stockholm in 1967,

Have resolved to revise the Act adopted by the Stockholm Conference, while maintaining without change Articles 1 to 20 and 22 to 26 of that Act.

Consequently, the undersigned Plenipotentiaries, having presented their full powers, recognized as in good and due form, have agreed as follows:

### **Article 1** **Establishment of a Union**<sup>1</sup>

The countries to which this Convention applies constitute a Union for the protection of the rights of authors in their literary and artistic works.

### **Article 2** **Protected Works:**

- 1. „Literary and artistic works“; 2. Possible requirement of fixation;  
 3. Derivative works; 4. Official texts; 5. Collections;  
 6. Obligation to protect; beneficiaries of protection;  
 7. Works of applied art and industrial designs; 8. News*

(1) The expression „literary and artistic works“ shall include every production in the literary, scientific and artistic domain, whatever may be the mode or form of its expression, such as books, pamphlets and other writings; lectures, addresses, sermons and other works of the same nature; dramatic or dramatico-musical works; choreographic

<sup>1</sup> Each Article and the Appendix have been given titles to facilitate their identification. There are no titles in the signed (English) text.

works and entertainments in dumb show; musical compositions with or without words; cinematographic works to which are assimilated works expressed by a process analogous to cinematography; works of drawing, painting, architecture, sculpture, engraving and lithography; photographic works to which are assimilated works expressed by a process analogous to photography; works of applied art; illustrations, maps, plans, sketches and three-dimensional works relative to geography, topography, architecture or science.

(2) It shall, however, be a matter for legislation in the countries of the Union to prescribe that works in general or any specified categories of works shall not be protected unless they have been fixed in some material form.

(3) Translations, adaptations, arrangements of music and other alterations of a literary or artistic work shall be protected as original works without prejudice to the copyright in the original work.

(4) It shall be a matter for legislation in the countries of the Union to determine the protection to be granted to official texts of a legislative, administrative and legal nature, and to official translations of such texts.

(5) Collections of literary or artistic works such as encyclopaedias and anthologies which, by reason of the selection and arrangement of their contents, constitute intellectual creations shall be protected as such, without prejudice to the copyright in each of the works forming part of such collections.

(6) The works mentioned in this Article shall enjoy protection in all countries of the Union. This protection shall operate for the benefit of the author and his successors in title.

(7) Subject to the provisions of Article 7(4) of this Convention, it shall be a matter for legislation in the countries of the Union to determine the extent of the application of their laws to works of applied art and industrial designs and models, as well as the conditions under which such works, designs and models shall be protected. Works protected in the country of origin solely as designs and models shall be entitled in another country of the Union only to such special protection as is granted in that country to designs and models; however, if no such special protection is granted in that country, such works shall be protected as artistic works.

(8) The protection of this Convention shall not apply to news of the day or to miscellaneous facts having the character of mere items of press information.

**Article 2<sup>bis</sup>**

**Possible Limitation of Protection of Certain Works:**

- 1. Certain speeches; 2. Certain uses of lectures and addresses;**
- 3. Right to make collections of such works**

